

119
1961/4

0430
360368-0
012-1111911

მეტეორი



1

1 9 6 1

გნათობი

საქართველო
განათლების
მინისტროს

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 1

იანვარი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ბ რ ს ი

ახია იოსელიანი — ვარსკვლავთცვენა, რომანი	3
გიორგი ლეონიძე — ლექსები	30
რევაზ შარვაშიანი — ლექსები	32
აკაკი ბელიაშვილი — შეიღაცა, მოთხრობა, გაგრძელება	36
კოლაღ ნადირაძე — ლექსები	47
არჩილ სულაქაური — დიდთოვლობისას, მოთხრობა	48
ატიმურაზ ჯანგულაშვილი — ქალაქი ღია ზღვაზე, ლექსი	53
სერგო ფხაკაძე — გოგია მფარღნე, მოთხრობა	54
ოთარ ჭილაძე — ლექსები	57
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები	59
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	60
დ. ლომთაძე — ჩუენი დროის გმირები, ნარკვევი	61
ვილის ლაცისი — შეხვედრა, მოთხრობა, თარგმანი შარიაშვილისა	66
მ. ცაგარავეი — ძეგლი მთაში, მოთხრობა, თარგმანი გრ. ჩიჭოვანისა	74

კრიტიკა და ფილოსოფია

გურამ გვერდწითელი — გმირი და თანამედროვეობა	83
შ. ჩიჩუა — რევოლუცია და გმირის ხასიათის ჩამოყალიბება	102
შალვა ნუცუბიძე — ქართული ნააზრევი და გარდასვლა ანტიკურიდან ფეოდალური ეპოქის აზროვნებისაკენ	114
დავით გამეზარდაშვილი — ბაჩანა	125
ზურაბ გარხალაშვილი — ანა ზეგერსი — მებრძოლი მწერალი	142
ჯანსუღ ნიქაბაძე — სანდრო ეული — პოეტი და მოქალაქე	150

მ. მეორე გვერდი



ზ. შევლიძე — ნ. კ. კრუპსკაიას უცნობი წერილები	153
კ. ქოჩიაშვილი — წარსულის ფერცლები	157
ირ. ვეშაბიძე — აკაკი წერეთლის ერთი წერილის შესახებ	161
ირაკლი კენჭოშვილი — ინგლისური წიგნი ქუთეფან დედოფალზე	163



წიგნების მიმოხილვა

ბორის ბაბტაძე — პირველი ნაბიჯები	169
ბეჟან ლორთქიფანიძე — ვ. ბერძინის „თბილისის ხუროთმოძღვრება“	175
დ. პავლიაშვილი — აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან	178

საზღვარგარეთ

კულტურული ცხოვრების ქრონიკა	181
აზერნალ „მნათობის“ 1960 წლის ნომრების შინაარსი	186

რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ყლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბეღმოწერილია დასაბეჭდად 27/1-61 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილების ზომა 7½×12¼.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02312.
 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2412.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოლოგიკაფგამოშეკმლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ოზია იოსელიანი პარსკვლავთცვენა

რომანი

ჩემო ვიქტორ პეტროვიჩ!
შენ ჩემთან პირად სუბარში, სსკათა შორის, ვითქვამს:
თქვენ — ქართველებს ომი არ გინახავთო.

შეიძლება... არ გვინახავს-მეთქი.

თქვენ, აღბათ, გერმანული თვითმფრინავიც არ დაგინახავთო.

მე პირადად არა-მეთქი.

ახლა რა ხანია აღარ მინახავხარ. მომენტრაც შენი როს-როსა ხცილი და პირდაპირი სუბარი. ხახლშიც არავინაა, რომ ხმა გამცეს, გარეთ ნაწივმარია და გაელა არა დირს. ვხივარ ჩემთვის და ვწერ, გწერ შენ, გწერ, რაც დამამახსოვრდა ომის დროიდან.

ხეუარულით ო ტ ი ა ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

თავი პირველი

რიკ-ბაშელა

იმ დღეს რიკ-ბაშელას თამაშს არ ვაპირებდით. წინა ღამით შეეთანხმდით, დილიდანვე გავმძვრალიყავით სახლიდან, იქნებ გოჩას ფილთაც დაეთრია, თუ არა, შურდულეები ხომ თან გვქონდა. გვინდოდა ტუხუიასათვისაც გვეთქვა, მაგრამ მერე კლემენტის ნაშვილები წამოყოფდა თავს და ყვავის ბუდეში, ვინ იცის, რამდენი ბახალა იყო.

გოგონას თვალის ასახვევად გოჩა დუქნებზე წავიდოდა. იქიდან, დუქანში არც შეიხედავდა, ორღობეებით ჩამოირბენდა ცეტერაძეების კარზე და პირდაპირ მინდორში გაძვრებოდა. იქიდან ტყეში ვრგავდით თავს, ტყიდან ყანებით, ბოგირზე არ გადავივლიდით, ჩქერში გაეტრავდით: წყლის პირზე საშურ-

დულე კენჭებით ავივსებდით ჯიბეებს და კეხტეხიას სერს შევუყვებოდით.

...მაგრამ ასე არ მოხდა.

როგორც კი ღობეს გადავევლე და გზას დაეადექი, გოჩას ჭიშკართან სტვენა წამოვიწყე. ვიცი, მიწის ქვეშაც რომ მეელო, გოგონას ვერ დავმალეობდი. ეზოდან სტვენით გამომაჯავრა. შევხედე, მალალ ოჩოფეხებზე შემდგარი უახლოვდებოდა ჭიშკარს.

— გამარჯობა, გოგონა! — დავუტყბი მე.

— დილა მშვიდობისა...—მოუახლოვდა ჭიშკარს და ოჩოფეხებზე ამალღებულმა ლატანებს ზემოდან გადმოიმხედა, მერე გზას გააყოლა თვალი და გრძლად დაუსტვინა.

— რა გოგოს საქმეა სტვენა!

— ეს გოგიტას არ ეკითხება.—მერე

თვალთ მინდვრებისაკენ მანიშნა, — უკვე გაუღეკით გზას?

— რა გზას? — რამდენადაც შემეძლო გავიოცე მე.

ისე აკისკისდა, ხელიდან ოჩოფეხის სახელური გაუცდა და ცალ ფეხზე დარჩა ყანჩასავით, კიშკარს მოყრდნობილი. უცებ ერთმანეთს გადააბა წარბები და გაანჩხლდა, — სულ მე უნდა ვმწყემსო ძროხები? — შერე ვილაცას მოკრა თვალი, ისევე გაეხსნა სახე.

გოგონას კიშკრიდან მინდვრამდე სულ ორი მოსახლე იყო. უკანასკნელ ეზოდან ქალი გადმოვიდა, იგი დამფრთხალივით აცეცებდა თვალებს და გზს ნაძალადევი სიღინჯით გამოჰყვა.

— ვინაა? — ვანიშნე გოგონას, რომ საუბარი გადამეტანა.

— ვინაა?!. ვინ უნდა იყოს, არ იცი, აპ!

მე ვიცოდი, რომ ამირანმა შეირთო ცოლი ამ სამი კვირის წინ, ქორწილის დღესაც დავინახე, დავინახე ისე, სხვათაშორის, რადგან ყველას უნდოდა დაენახა. აქებდნენ, კარგი ქალიაო, მე არ ვიცი რა იყო აქ კარგი, მახსოვდა მარტო, რომ ჰქონდა დიდრონი თვალები... შერე არც მინახავს.

— ამირანის ცოლი თუა.

— ფატია, შე სულელო, თქვენ არაფერი არ გახსოვთ, არც სახლი იცით და არც კარი, არც მეზობელი, თუ რიკტაფელას არ თამაშობს და თქვენსავით წყალში არ იხრჩობა, შენ და გოჩია სასიკვდილომ ტუხუია თავგასიებულისა და კლემენტის ნაშვილების მეტი ვინ იცით!

— ფატი ჰქვია?

— ისეთი კარგი ქალია და ამან სახელიც კი არ იცის, — სინანულით თქვა გოგონამ და მოახლოებულს შეჰღიმა.

— რა ვიცი, რა ჩემი ტოლია, — ვიმართლე თავი. წასვლა რომ დაეპირე, მოახლოებულ ფატის დიდ თვალებს შევეჩხე. გვიყურებდა ჩვენ და თითქოს რცხვენოდა, თითქოს წითლდებოდა, შერე თავიც კი დახარა და ძლივს გასაგონად გვითხრა:

— გამარჯვებით, ბავშვებო!

— გაგიმარჯოს, დეიდა, ფატი!

— გაგიმარჯოს... — ფატი შექუქდა

არ ვიცოდი, დეიდა უნდა მეთქვა თუ ბიცოლა.

— როგორა ხართ, დეიდა. საბუდრე ვერცხლის კოლოფი იპოვეთ?

— მაღლობთ, გოგონა, კარგადა ვარ, კოლოფი ვიპოვეთ, — თქვა და იმევე გაწითლდა.

— სად მიბრძანდებით, გინდა, მე გაგაცილებთ? — თქვა გოგონამ, პასუხისათვის არ დაუცდია, ჩამოხტა ოჩოფეხიდან, ჩამირბინა: — წადი, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოთო, — ჩამილაპარაკა და მიმავალს ამოუდგა გვერდით. ფატის უარი არ უთქვამს გოგონას წაყოლაზე და ვიფიქრე, ძალიან კარგი ქალი ყოფილა მეთქი.

ჯერ კიდევ გზიდანვე შევნიშნე მინდორზე მოძრავი თეთრი წერტილი.

— აპა, ტუხუიაც იქ ყოფილა, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, რადგან, სადაც თეთრი ძაღლი იყო, ტუხუიაც იქ იქნებოდა. ტუხუიას მუდამ ეჭირა სქელი მკადის ნატეხი, ყველის ან ხორცის ნაჭერი და ძაღლიც და კაციც ძმურად იყოფდნენ.

მე არ მიყვარდა თოლია, რადგან ტუხუიასთან ხუმრობითაც კი არ შეიძლებოდა წაჭიდავება, შეყვირება და რიკტაფელას თამაშის დროსაც კი გვიჭირვებდა საქმეს.

ტუხუ და კლემენტის ნაშვილები ბუღუ თამაშის დროს ერთად იყვნენ, გოჩა და მე ერთად. თუ იგებდნენ, როგორც კი ტუხუია ზურგზე მომაჯდებოდა, ძაღლი სიხარულით ცას ეწეოდა. გოჩა რიკტაფელას თვალხუტვიც კარგად კენკავდა და თვალთა ხომ ცხრა მთას იქით სტყორცნიდა და როგორც ტუხუია ზურგს მომაშვერდა, იმ წამსვე მალლა მხრებში მოვევლებოდი, იმე რომ, ფეხები მის იღლიებამდე ამეტანა, თორემ თოლია ისე იწყებდა ღრენას და ისე აეშლებოდა ქინჩზე ბალანი, კარგს არ მიქადა. როგორც კი ძირს ჩამოვხტებოდი მომეპარდებოდა, პირსაც

წამოწვედა, მაგრამ თითქოს იტყოდა: ვიცი, ეს რომ თამაშია, თორემ... ღრენით მაინც მიღრენდა.

ტუხუია გულაღმა ეგდო ბალახზე და მჭადს ღრღნიდა, თან ხელუკუღმა ხან აღმა გადაისვრიდა მოზრდილა ნატეხს, ხან დაღმა. ძაღლიც ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქით.

ბუღუ შუა მინდვრამდე გაყოლოდა რიკს, ვარჯიშობდა, როგორც ყოველთვის, ხელში ახალი თეთრი ტაფელი ეჭირა და ჯიუტად ცემდა რიკს, შვიდჯერ მაინც დაპკრავდა და ერთხელ აყენკავდა ძლივ, აყენკავდა და იქვე სამოთხ ნაბიჯზე ძლივს გადაისროდა.

გოჩა არ ჩანდა.

მე უსიტყვოდ ვაპირებდი მინდვრის გადავლას, რომ ბუღუმ შემასწრო თვალი.

— არ გაგიშვებ, დედა მომიკედეს! — მომამახა და ტაფელი ხელიდან გააგდო.

— რა გინდა, ბიჭო!

— ტუხუ! — აყვირდა იგი.

ტუხუ შარვალში წატანებულ ძაღლს იგერიებდა და ალბათ თავისთვის ქვეთქვითით იცინოდა, არაფერი გაუგონია.

— ტუხუია, არ გეუბრებია! — ისევ აყვირდა ბუღუ.

ტუხუ წამოიწია, წამოჯდა, ხელში შერჩენილი მჭადის ნატეხი ძაღლს მიუგდო და, როცა მეგონა წამოდგებოდა, ისევ გულაღმა გაიშხლართა ბალახში და მჭადზე მივარდნილ ძაღლს ფეხები ზურგზე გადააწყო.

ცეტერაძეების კარიდან დაბალი სტეენა მოისმა.

— არც გოჩას გაუშვებ! — დაიყვირა ბუღუმ და ახლა იქით გატრიალდა.

გოჩა ჩვეულებრივ აქნევდა თავს სიმღერის კილოზე და ისევ უსტეენდა. ტუხუიას გაუსწორდა და ისე, რომ არ შეჩერებულა, ხმამაღლა მიამახა:

— ძაღლი მივაკვდა სულში, ტუხუია დოყლაპია!..

ტუხუმ ისევ წამოპყო თავი, მაგრამ არ წამოძვდარა. გაგიმარჯოსო და ისევ ჩაიძირა ბალახში.

გოჩამ ისევ სტეენით გამოსწია ჩემსკენ და გზადშეხვედრილ ბუღუმ მიამახა:

— პირი დამუწე, ბიჭო!

— არ გაგიშვებ! — დაიყვირა ბუღუმ.

— რაო, რა უნდა, თუ კითხე! — მე მომიბრუნდა გოჩა.

— რა ვიცი, რა უნდა...

— არ გაგიშვებთ...

— შენი შვილიშვილი ვარ თუ ნაშვილები, შენ კლემენტის არ ეკითხები, საით დაჩენჩერობ და მე მიპირებ დაკავებას?

— მეთამაშეთ, აბა, გუშინ რო...

— რა გუშინ?..

— ზურგი ეწვის გუშინდელი ნახედარი. — ჩავერჩე მე.

— ეე, ტუხუია! — გასძახა გოჩამ.

ტუხუიამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ძაღლს შარვლის ტოტი ჩაეგდო პირში, არ ანებებდა.

— ტუხუია! — ისე აღრიალდა ბუღუ, რომ ძაღლმა, როგორც იყო პირი უშვა.

— ძალიან ვცხელათ თამაში? — ვკითხე მე.

— ვითამაშოთ, თუ გინდათ, — თქვა ტუხუიამ და ისევ ძაღლს ამოკრა ფეხი.

— მე კი არა, თქვენ თუ გინდათ!

— გვინდა, ჰო, გვინდა! ტუხუ გვინდა... — აყვირდა ისევ ბუღუ და რიკს დაუწყო თვალით ძებნა ბალახში.

— ვინ იწყებს?

— კენჭი ვყაროთ.

— არ გვინდა, — იუარა გოჩამ, — მაგათ დაიწყონ, წაგებულეზია.

— ჩვენ ვიწყებთ, — გაიხარა ბუღუმ, — დადქით, დადქით, უკან, უკან, აი, ტუხუია, მიყურე, კიდევ დაიწი, გოგიტა, ხაზზე არ გიდგას ფეხი!

თეთრ რიკს ხელში ატრიალებდა, იღვრებდა სასროლად, უკან გვახევიწებდა. სოროლას აპიოებდა, თან ეშინოდა, არ დაგვეკირა და ისევ გვახევიწებდა. ტუხუნიდა ადგილზე უბალახო, მოხოტრილ მიწას. აქედან იწყებოდა ყოველთვის თამაში და მიწა, ზამთარ-ზაფხულ უბალახო იყო.

— ისროლე თუ სროულობ, ნუ დაგებჩენია პირი!

— ესროულობ, წინ არ წამოხვიდეთ. შენ ისროლე პირველად ტუხუია, თუ გინდა! — ტუხუიას ძაღლის ყურში ეკიდა ხელი, ბუდუ ჩვენ მოგვიბრუნდა და თეთრი რიკი ჰაერში გაისროლა.

მე ორივე ხელი მაღლა აღმართი. შევხტი, მაგრამ რიკი თითებს შორის გამისხლტა და უკან გადავარდა.

გოჩამ თვალთ გაზომა მანძილი ბუდუს ფეხებიდან რიკამდე და თქვა:

— ესროლოს!

— იქნებ გადავხტეთ, — ვთქვი მე, რადგან არც ისე შორს იყო რიკი.

— ესროლოს, მაინც ააცდენს.

— არაფერსაც, არაფერსაც... — ახალი ტაფელი მოიმარჯვა ბუდუმ და რიკს დაუმიზნა.

უგერგილოდ ნასროლი თეთრი ტაფელი ჰაერში გადაბრუნდა, მიწას ცხვირით დაეცა, გადატრიალდა და რიკს გაცდა.

— არ ვთქვი? — ნიშნის გეებით თქვა გოჩამ.

— ა, ბიჭო, ტუხუია, ახლა შენ ცადე! — ვესროლე მე რიკი და ტაფელი.

— არც მაგი უქნია ღმერთს, — ჩაურთო გოჩამ.

ტუხუიამ ტაფელი აიღო, უფრო შორს გადავარდნილი რიკი ძაღლმა მოურბენია. ბროლიამ იცოდა, თუ პატრონს ტაფელი ეჭირა რიკიც მისი იყო და იმ წამსვე მოურბენინებდა, მერე გვერდით დაუდგებოდა და ყველა მისი ხელის მოძრაობას გულსყურით ადევნებდა თვალს. გაისროდა ტუხუია რიკს და ძაღლი ჩვენს ხელეში იყო შემოჩერებული, ხომ არ დაიჭირესო. თუ ტუხუია გადაზომის შემდეგ აკენკვას იწყებდა, ძაღლი უკვე მიმობრობდა მინდორში.

ამ დროს ბუდუ ადგილზე ხტოდა.

— დაკარი ტუხუია, დაკარი, პოო!

ტუხუიას ნასროლი რიკი გოჩამ ჰაერში დაიჭირა და ტუხუიას და ბუდუს ხაზზე მოუხმო.

— მე ვიწყებ, — თქვა გოჩამ და შიშველ ღედოზე დადგა.

ძაღლი უხმოდ წავიდა და დაწვა ბაღებში.

— თოლია აღარაა ხასიათზე! — ვთქვი მე.

— იცის, რა დღეც ელის მის პატრონს.

— არაფერიც! — წამოიყვირა ბუდუმ, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიელვა რიკმა ჰაერში და ბუდუმ განძრევაც ვერ მოასწრო რიკმა თავზე გადაუარა. რიკი შორს იყო და დედოდან რიკამდე სამი კი არა, ბუდუს ვერც ექვსი ნახტომი მიწვდებოდა.

— ვესროლო? — იკითხა გოჩამ, რომ მერე ჰინჯულობა არ დაეწყო ბუდუს.

— ესროლე! — დაეთანხმა ტუხუ. ბუდუმ თავი გადააქნია, ეტყობოდა მაინც ეჭვობდა.

გოჩამ ტაფელი ჰაერში სრიალით გაუშვა.

ტაფელი რიკს მოხვდა. ავარდა, გადატრიალდა და მოშორებით დაეცა.

გოჩამ ტაფელი აიღო და რიკამდე მანძილი გადაზომა.

— ერთი, ორი, — ითვლიდა ბუდუ, კვალში მისდევდა გოჩას, — სამი, ოთხი, შვიდი... არაფერი!.. მერვეს აკლია...

— კარგი, შვიდი იყოს.

გოჩამ ცალ ფეხზე ჩაიჩოქა და გაიზუზუნა ტაფელმა.

რიკი არ ამხტარა პირველ დარტყმაზე და გოჩამ მოქნეული ტაფელით ბაიას წააწყვიტა თავი. მერე დაკრა, რიკი შეხტა ჰაერში და, როცა მიწისკენ წამოვიდა, ღონიერად მოქნეულ ტაფელზე გაიტაცუნა. გაიტაცუნა და შორს დაეშვა.

ჩიენ ყიყინით გამოუვლექით, ბუდუ ძუნძულთ გამოგვევა, ფეხი აიდგა ტუხუიასა და თოლიაც ყველაზე ზოლოს წამოვიდა.

გოჩამ ერთი კიდევ აკენკა და ისევ გაღრინდა რიკი. ისევ მოხაზა რკალი ჰაერში, მერე გადატრიალდა, მინდვრის განაკიდეს მთიდან დაგორებულ ვეება ღავსიან ლოდს დაეცა, ახტა, ქვაზე დახტა და ლოდს ქვევით ჩავარდა ბაღებში.

ჩვენ ახლა იქ მივცვივდით.

გოჩამ თვლით გაზომა. რიკი ზედ ქვის ძირთან ეგდო და ქვის მუცელი ტაფელის მოქნევის საშუალებას არ იძლეოდა...

— გამოვასწორებ, — თქვა გოჩამ.

— არაფერიც! მანდ დაკარი, თუ ბიჭი ხარ!

— ყუყუჩო, — ჩაიმუხლა ისევ გოჩამ, რომ როგორმე მოხერხებულად მიდგომოდა რიკს.

ამ დროს ზარივით ცივად გაისმა მინდვრის თავში გოგონას ხმა:

— გოჩაა!

ჩვენ მინდვრის თავს გავხედეთ.

მწვანე მოლზე საოცარი სისწრაფით მოქროდა გოგონა ბაიასფერი კაბით.

— გოჩაა! — წიოდა იგი, — გოგიტაა! წივილით მოგვიასლოვდა ნარბენი, გულამოვარდნილი გოგონა.

— გონა, გოგიტა, ტუხუ, ბიჭებო!.. — იგი ცალცალკე გვიყურებდა თვალეშში და სულს ძლივს იბრუნებდა.

— რა იყო, გოგონა! — ერთხმად ვიყვირეთ ყველამ. ძალიც კი ყურადღებით ყნოსავდა გოგონას ბაიასფერ კაბას.

— ბიჭებო!.. ბიჭე... — დიდხანს ისევ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ძალმა თავი ანება და გვერდზე გადაგა, შეატყო, კარგი სუნე არ უდიოდა ამ საქმეს.

მუხლზე დაჩოქილ გოჩას მოთმინება გაუწყდა და დას დაუყვირა:

— თქვი, რა დაგემართა, თორემ... — და მან ტაფელი აღმართა ფეხებში მოსარტყმელად.

— ომი... ომი დაიწყო...

— ომი...

ომი... რალაცნაირი იყო ეს სიტყვა, რალაც იღუმალი, რალაც ამაზრუნე, რომელიც არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა, მაგრამ ვიგრძენით კი.

ვიგრძენი მე, იგრძნო ბუღუმ, ტუხუმ, გოჩამ. ერთხანს ვერც ადგილიდან დავიძარით, ვერც ხმა ამოვიღეთ. მერე გოჩამ ხელი უნდლილად გაიქნია და ლოდს ქვეშ, მწვანე ბალახებში, ბაიას ყვავილის ძირთან ჩავარდნილ რიკს

ირიბად დაეცა თეთრი, ახალთახალი ტაფელი. ტაფელის თავი ^{სამ} ^{გოჯზე} გაცდა რიკის შუაწელს ^{და} ^{მოქცეულ} თეთრი ჯვარივით დარჩა.

თავი მორი

წუალდასხმული კერია

ქართაში კარგამოკეტილი უღელი ხარი და მეწველი ძროხა ბლავილით შეხვდა ჩემს გამოჩენას. კიშკართან ჩემი უმცროსი ძმა ექვსი წლის ზაზა მომეჭრა. შემომხვდა, მერე თავი დახარა და ჩაიბურტყუნა:

— შენ იცი, რომ ომია.

— მერე რა, რომ ომია.

— მაშას მოკლავენ.

მე შევკრთი, შემაერყოლა და პასუხი ვერ მივეცი, მაშინ მომაგონდა, ხომ შეიძლებოდა მაშა დაღუპულიყო ომში.

ეს ზაზამ შემატყო, მიხვდა რომ მე მისი უფროსი ძმა, რომელმაც ყველაფერი ვიცოდი, დავეპვი.

— მოკლავენ... — აღრიალდა იგი.

— არა, სულელო, — თავზე გადავუსვი ხელი, — რას მოკლავენ...

— არა, მოკლავენ, — კიდევ უფრო ამოუჯდა გული ჩემს დაყვავებაზე.

— ვერაფერსაც ვერ მოკლავენ, როგორ თუ მოკლავენ, ჩვენს მაშას ვინ მოერევა!

— თოფით მოკლავენ...

— თოფი, — მომაგონდა მე, — თოფს ისეთს მისცემენ მაშას ჯარში... იცი, როგორი თოფი აქვთ ჩვენს ჯარში? ზედ ხიშტიცა აქვს, აბა მიეკაროს ვინმე!

— ხიშტი აქვს?

— ისეთი გრძელი ხიშტი აქვს რო... შენ ასე ნუ კი გგონია.

ზაზას მხარზე ხელი გადავხვიე და სახლისაკენ წავედი.

ოდის კარები გამოკეტილი იყო. სამზადიდან ბოლი ამოდიოდა და გაკაპასებული ბავშვის ტირილი ისმოდა. სამზადის აივანზე კრუხ-წიწილა ქოთქოთებდა. ღორი ჭყვიტინით დაყვებოდა ბოს-

ტნის ღობეს და გაძრომას ლამობდა. დედა და მამა შიტინგზე წასულიყვნენ კანტორაში. კერასთან ბებია იჯდა დაბალ ჯორკოზე, ორივე ხელი თავზე შეშოვდა, იდაყვით მუხლს ეყრდნობოდა და ქვევით ნაღვერდალს ჩასჩერებოდა. იქვე გვერდით ედგა აკვანი, სადაც ჩემი უმცროსი და იპაჰებოდა ტირილით და ბებიას თითქოს არაფერი ესმოდა. მე უსიტყვოდ ვანიშნე ზაზას: წაურწე მეთქი. მას ჰირის დღესავით ძულდა აკვნის რწევა, მაგრამ ახლა ფეხებზე დადგმული დაუდგა აკვნის თავს და დიდი სიფრთხილით დაუწყაო რწევა. არწევდა დაძაბული, მონდომებული, რომ უსწორმასწორო სოხანეზე არ გადაბრუნებოდა აკვანი.

კერაზე შავი კარდალა იდგა. კარდალიდან ოზშივარი ამოდებოდა და ძნელი გასარჩევი იყო რა იხარშებოდა. მუგუზლები ბოლავდა, ადიოდა თეთრი კვამლი, ხრჩოლავდა, მთელ სამზადში სუნთქვა ჰირდა. ეტყობოდა კარდალიდან წყალს გადმოველო და ცეცხლი ჩაექრო. ახლა მდულარედასხმული მუგუზლები ბოლავდა და ალაგ-ალაგ კიაფობდა გადარჩენილი ნაკვერჩხალი.

ბებია ისევ ხელზეშემოდგმული მისჩერებოდა მიშქრალ კერიას და ვინ იცის რაზე ფიქრობდა. მხოლოდ ხანდახან თუ აღმოხდებოდა, „ღმერთო ჩემო“, და იჯდა და იჯდა.

ზაზა ისევ არწევდა აკვანს. პატარა თათია ძუძუს ითხოვდა, თუ გრძნობდა წამრწევის მიუჩვეველ ხელს, ჰირვეულობას არ იშლიდა.

მე ჩაფშუტულ ცეცხლს ჩავუცუცქდი და მპუტავ ნაკვერჩხლებს დაუწყე შეგროვება.

კარპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხშობდა აწივლებულ წიწილებს.

ქართაში ისევ ბლაოდა მშიერი ხარძროხა. მე გადაეწყვიტე, როგორც კი ცეცხლს გამოვანთებდი საქონელი გამერეკა მინდორში. მე არ დამეფიყებია, რომ ღვინისდერი რქებწამახული ხარი შერჩოდა, ერთხელ კინალამ ამაგორქებზე და ამის შემდეგ მამა სასტიკად

მიკრძალავდა ხარებთან მიახლოებას. მაგრამ მამას დღეს ალბათ დაეგვიანებოდა...

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდებოდა ბებიას.

კრუხი არ იშლიდა კრიახს. საილაც ბოსტნის ღობე გატეხა ღორმა, დაიქოთქოთეს ინდაურებმა და მშიერი აირუტყვი ისევ მთელი ხმით ითხოვდა საძოვარს.

ზაზა არწევდა და არწევდა ჰირვეული დის აკვანს.

მე კერასთან ჩაჩოქილი ვებერავდი ნაკვერჩხლებს, მაგრამ მდულარეს ერთიანად დაელუმბა კერა და სველ მუგუზლებს ასე იოლად აღარ ედებოდა აღი.

თავი მისამ

ხვალინდელი ჯარისკაცი

მეორე დილით მამა უნდა წასულიყო. ჩვეულებისამებრ დაეჯექით საეახშმოდ, მაგრამ ბებიამ ახლოს არაფერი არ წაიკარა.

მამაჩემი არ ეშვებოდა.

— ჰამე, დედაჩემო, ჰამე... ხა, ხა, ხა! — იცინოდა.

— შენ შეგარგოს, ღმერთმა, შეილო, მე ხეალაც აგერ არა ვარ!

— მერე რა, რომ აქა ხარ, ხა, ხა, ხა!

მე მიკვირდა, მამა დღეს ყველაზე მეტს იცინოდა.

დედა საგზალს აცხობდა ხვალისათვის და სუფრას არ გაკარებია.

— ჰალო, შენ მაინც რაღა დაგემართა, — მერე დედას მიუბრუნდა მამა. — არც შენ ჰამე?

— ჯანდაბას ვჰამ, — სახე აარიდა დედამ და შუა ცეცხლზე ჩამოგორებულ კეცი საკეცით მალლა, აღზე გადადგა.

მამამ მერე ჩვენ გადმოგვხედა.

ზაზას უზარმაზარი ლუკმა ჩადო პირში და ლოყები გამოებროდა.

— აი, ჩემი ზაზა როგორ მადიანად მიირთმევს! — და მამამ ისევ გაიცინა.

მამას სიცილზე ზაზასაც გაეცინა და ლუკმა პირიდან გაუვარდა.

— ლუკმას ნუ დაკარგავ, ბებია, — თქვა თავზე ხელებშემოდგმულმა ბებია.

მე სუფრის ქვეშ ჩავიხედე, მაგრამ უკვე გვიან იყო: ზაზას პირიდან გავარდნილ მჟაღის ნატებს შავი კატა შეემკვოდდა.

ნავახშმევს მამამ ხარებს დაეხედავო და საურმე ჭრაქი აანთო.

თათიან აკვანში ეძინა იქვე, კერასთან.

მე ზაზა წამოვიყვანე დასაწოლად.

— მამას უხარია, რომ თოფს მისცემენ, — თქვა ზაზამ და საბნის ქვეშ შეძვრა.

— უხარია... — ვთქვი მეც.

— ხიშტი ექნება.

— ექნება.

ზაზამ თავი წამოჰყო ლოგინიდან და თვალბში ჩამაცქერდა.

— გოგიტა!

— რა იყო, ზაზა, დაწვექი!

— გოგიტა, რათ უნდა ხიშტი თოფს?

— ხიშტი?... — მე არ ვიცოდი როგორ უნდა ამეხსნა ხიშტის მნიშვნელობა ზაზასთვის და გაუუჯავრდი: -- უნდა დაიძინე ახლა!

ზაზამ თავი ბალიშში ჩარგო და შეშინებული თვალებით შემომხედა.

— უნდა, ზაზა, აბა უხიშტოდ როგორ ექნება...

— ისე უნდა, არა?

— ჰო.

მე გარეთ გამოვედი. თბილი, ღრუბლიანი ღამე იყო, უმთვარო. ქართიდან საურმე ჭრაქის სინათლე ჩანდა. აივანიდან ჩახვტი და ფრთხილად მივუახლოვდი ქართის ღობეს. ჩავუტუკქდი. მამა რქაში ჩაბმულ ბაწარს უცვლიდა ღვინიას და კაცივით ესაუბრებოდა. მე არ მიყვარდა ღვინია, მამას ღვინია ერჩია. შავ ხარს, ახლაც ოვინიას აბამდა ახალთ-ახალ ბაწარს რქაში.

— ეს რა მოგსვლიაო, — ეკითხებოდა, — რქებში ჩაგვერია ბაწარი, მაგრამ შენი ბრალია, თავს რომ ერთ წუთს არ გააჩერებ, — მამამ ახალი ბაწარი,

ეტყობოდა სრულად ჩააბა, ხელზე საურველი ჩამოიარგო თასმით და ღვინიას ზევიდან ქვევით დაუწყო ვარცხნა.

ხარს ესიამოვნა და გაინაბა.

— აა, მოგვეწონა, შე მაკვარანცხო, შენა? შენ, შეჩვენებულო, რაეა გაღრკეწელი, გიცნობ, რა შეილიცა ხარ, ჩემი გაზრდილი ხარ, შე უღმერთო, თავის პატივი ქვეყანას გირჩევნია, საკმელი რომ დაგიგვიანდეს, ღმერთს შეაწუხებ ბლაგილით, არც მომიკლია, მარა, რაც მართალია, მართალია, არც შენ იცოლაღრი. აჰ, ძალიან კი მასახელე ამას წინათ, კეტეხიას სერიდან რომ ტყე ჩამოგვექონდა. ან რამ ჩაავდო ის ოჯახ-ქორი იმ ჰენჯუოში! ეე; ჩემო ღვინია, თუ ხარს პატრონი არ უვარგა, კაპიცია ფასი. კლემენტია ფეხუცამ რა იცის ხარის. ისე შენ გლაზა თვალთ შეგიხედავს კლემენტის ჯორა მოზერისათვის. თუმცა რალა მოზერია აწი, მაგრამ მაინც. ჰოდა, რაეა ფიქრობ, იქ რომ არ გადავდგო ურემი ის ხარი თავს შეირცხვენდა? დამელრიჯა ის წაწყმედილი, იქნებ შენი ღვინია გახდეს რამესო. რა მექნა თუ არა, რავარც ჩემი გოგიტას და ზაზას ჩავდება არ მინდა იმ ტალახში, არც შენი ჩაბმა არ მინდოდა, მარა მუხლი გივარგა, ჩემო ღვინია. რაეა შუბლში გაკოცა კლემენტიამ? გლაზა კაცს არც ქე ეკუთვნის შენი კოცნა. დაილოცა შენი ჯილაგო, მოგალოცეს მეურმეებმა. ტკაველი გავიზარდე, თუ ჩემში სინდისია, ტკაველი.

მამამ ახლა მეორეს გაუსინჯა სარქვე. ნაულზე შეუჯა ხელი. შავ ხარს კისერი ტკიოდა გასულ შემოდგომაზე. მამა მას მერე ყოველ დილა-სალამოს უსინჯავდა ქედს. არ გაუსენოს ავადმყოფობამო, წვიმაში არ ხედნიდა. ამ გაზაფხულზე ყანიდან მომავალს წამოწეოდა თავსხმა, მამას საწვიმარი გაეძრო, კისერზე დაეხვია ხარისათვის და თვითონ ერთიანად გაზუზული დაბრუნდა სახლში. მაინც ეშინოდა: ლურსმანა მუდრეგი ავადმყოფობაა, უღელში თუ კისერი დაუსველდა, გაუხსენებსო. მე-

რე უკანა ფეხი აუწია, ჭრაქი მიანათა ახლოს და გულდაგულ გაუსინჯა.

— ჰმ, წაივლიჯე არა, არ იქნა და არ წაეზარდა ჩლიქი, რომ ნალი დიმიანგროს ხეირიანად. უნდა დამეჭვება დღეს...

— გოგითა! — ხმადაბლა გასძახა.

მე სახლისაკენ გავიქეცი და ხმა იქედან მოვაწვდინე.

— მოდი აქ!

ხელში ჭრაქი მომცა და ხარის ფეხთან ჩაცუქდა.

— შეილო, — თქვა მან და შემომხედდა. მე გამივივრდა, მამა ყოველთვის სახელს მეძახდა, — შეილო, — გაიმეორა მან, — ხომ იცი, ამ ხარს ყოველთვის აქედან დაუღვევი, უკან ერიდე, წიხლი იცის. პოდა, მკვედელს თუ დააქედინო, ლურსმანი კიდეში დააკრას, კარგად არ მოიკიდებს პირს, მაგრამ ჩლიქი ჩამოტეხილი აქვს და შიგ რომ გაუშვას, ფეხს გაუფუჭებს ხარს. ღვინიას, — ახლა მან მეორესთან მიმიყვანა, — წინ, რქებისკენ არ გაეკარო, მოკლედ მიაბნევივინე ვინმეს. ურემი არაგის ათხოვოთ, ვინ იცის ნაავადმყოფარი ხარი შეაბან და გადმოედება. კავი... — მან თვალი შეასწრო ჩემს გაცეცხულ თვალებს და მითხრა, — შენ თორმეტი წლის კი არა მეტიც ხარ...

— პო.

მერე თავი გადააქნია და დაუმატა:

— ჯერ შენ რიკ-ტაფელას თამაშის მეტი მინც არაფერი არ იცი.

თავი მიმოთხა

გრძელ გზაზე

მეორე დღით მთელ სოფელს მოეყარა თავი კანტორასთან. ამდენი ხალხი ერთად მე არასოდეს არ მინახავს, არც ამდენი სიჩუმე. ზოგჯერ ეს იყო, რომ რომელიმე დარღვე შექვიფიანებული შეუკურთხებდა ვიღაცას.

მამა კანტორის ჭიშკარზე იყო მიყრდნობილი, ზურგზე მოგდებული ჩანთით, რომელიც დედამ სახელდახელოდ გამოუკერა ლურჯი ნარმიდან. ჩანთაში

ენშოში გამომცხვარი მკადები ეწყო. კეცის ხაჭაპურები და მოხარშული დედალი, რამოდენიმე თავი წითელი პილაკ ჩაუყარა დედამ, მამას პილაკიანი შექამანდი უყვარდა.

სულ ეს იყო, რაც მან წაიღო იმ გრძელი გზის საგზლად, რომლიდანაც ის აღარ დაბრუნებულა.

ძალიან ცოტა საგზალი დაჭირდა მამას.

ენშოს კუთხეში, მოღზე სუფრა გაეშალათ, პირდაპირ ხელში ავსებდნენ ჭიქებს და სვამდნენ. უფრო ახალგაზრდა ბიჭები ეტანებოდნენ, მაღალჭოჩრიანი დათო, პირველი მოჭიდავე სოსიკა, ბრიგადირი კოწია, ზოგჯერ „ძაღლისთავსაც“ ეძახდნენ, გათენებამდე რომ ჩამოურბენდა ბრიგადას და ფეხზე დააყენებდა, ხმელ-ხმელი სიმონიკა და კომკავშირის მდივანი უშანგი ჩხაიძე. და ბევრი სხვა, ვინც ჩაივლიდა, ვისაც თვალს შეასწრებდნენ ყველა სვამდა თითო-ოროლა ჭიქას.

ღმერთმა შეარგოთ, მათგან ბევრი აღარ დაბრუნებულა და თითო-ოროლა ჭიქა ცოტა იყო. ძალიან ცოტას დაღვეა მოასწრეს.

მე უგზო-უკვლოდ დაეიწყე ხეტიალი ხალხში. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ვისთვის რა მეთქვა. ან თავის ფიქრებთან იყვნენ განმარტოებულნი და ჩემთვის არ ეცალათ, ან, თუ ეცალათ, ყველას თვალში გეპატარაებოდით და რაც მათ აწუხებდათ, ვერც მიმხედდნენ.

— ხომ იცი, ბიჭო, — მესმოდა შეგროვილ ხალხიდან, — თავს გაუფრთხილდი, დედა, შენ ცუდი ძილი იცი. საბანს არ იცეცავ, შარშან ანთება გქონდა და კინალამ დამიდგა თვალები.

— ვიცი, დედაჩემო, ვიცი!

კანტორის შენობის ქილუქს ბეჭით მიყრდნობოდა ამირანი, მთლად დაეფარა ქილუქს ამოფარებული ფატი. ამირანი, შორს მთის შუბლს მღუმარედ გასცქეროდა და მიაპიტად დაკეცებულ ფატის თვალებს თვალს არიდებდა.

საწყობიდან საბარგო მანქანა ამო-
ჯაყუაყუდა და ჰიშკართან დადგა.

— მანქანით მიდიან? — იკითხა ვილა-
ცამ.

— მანქანაც მიდის, შოფერიც...

— თავმჯდომარეც...

— აგრონომიც თავისი ახალ გახედ-
ნილი თეთრონით.

— ვინ რჩება?

ყველამ მიიხედ-მოიხედა, ღობესთან
ყავარჯენებზე დაყრდნობილი თევდორე
იდგა. თევდორემ მასზე მიპარობილი
ამდენი თვალის რომ დაინახა, ვერ მიხ-
ვდა, ვის რაში დაჰქირდა იგი. ყველას
მოავლო სპასუხო მხერა, მერე ძირს
დაიხედა, ბოლოს ცას ახედა და:

— ამოგიწყდა ოჯახი!..

მე არ ვიცოდი, ვის წყევლიდა ბაბუა
თევდორე.

მაგრამ როცა ხალხს ტალღასავით გა-
დაუარა დედაკაცთა ჩურჩულმა, „ამინ“,
მე მივხვდი ვის რისხავდა მოხუცი.

კანტორიდან თავმჯდომარე გამოვი-
და, მან მაჯის საათზე დაიხედა:

— აბა, დროა, ამხანაგებო!

— დროა? — იკითხა ერთხმად რამო-
დენიმე ხმამ. ხალხში ამდენი ხნის დუ-
მილი დაირღვა.

— დროა!

— დრო მოსულა!

— შეილო!

— მამა!..

— ძამიკო, შენ გენაცვალე, ძმაო!..

— ბიკენტი!

— ლექსო, ლექსო!

— შენი ჰირიმე!

ვილაც ტიროდა, აზრი აღდა ხალხი, ამ-
დენი ხმა შეერთდა, შეიკრა, ახვირთდა
და დიდ გმინვასავით გაისმა.

მე ჰიშკარისაკენ გაიქეცი, რომ თავი
დამედწია და არ გავეპარისე ამ ხმას.
ჰიშკარში გავეპარდი, მაგრამ ხმა ძლი-
ერდებოდა და ფეხდაფეხ მომდევდა.
გზაში შევებინე დედაკაცს შევეფეთე.
ხელში აკაპიწებული მოათრევდა გრძელ
ქვედაწელ კაბას. ვიცანი, ელპიტე იყო.

გამიკვირდა, რას ეძებდა ელპიტე, ამ-
დენზე რომ წამოსულიყო სახლიდან!

— გოგოცა ხარ, ბიჭო, შენ?

— გოგოცა ვარ, ბიჭოცა!

— გოგოცა ქე ხარ მარა, ჩემი ბიჭი
არ გინახავს?

— ამბაკო?

— ჰო, ჩემი ამბაკო.

— აქ რას გაიგებ, ცა და ქვეყანა
შეყრილი.

— აბა რა ვქნა ახლა მე?

— აქა ვარ. დედა, — მოისმა ამბაკოს
ხმა, ალბათ ელოდა ელპიტეს გამოჩენას.

— მოდიო, რომ მოთხარი!..

— ჰო, მოდი, დედაჩემო, მოდი.

ამბაკომ ხელი მოხვია დედას და წა-
ყვანა დაუპირა.

— არ მინდა, ბიჭო, ამ ალაიაში, არ
იშლი? მაინც და მაინც მიდიხარ?

— მივდივარ, დედაჩემო, მივდივარ!..

— მერე რო დაგაგვიანდეს?

— არ დამაგვიანდება, — თავი გააქ-
ნია ამბაკომ.

— მალე მოხვალ, ბიჭო?

— მალე დედა, მალე.

— ხო იცი, რო დაგაგვიანდეს, უნდა
გეტებო!

— არა, არ მეძიო დედაჩემო, მე ისე-
დაც მალე მოვალ.

— არ იჩხუბო, ბიჭო, სახლში მალე
მოდი!

— წავედით, ამხანაგებო! — გაისმა
ამ დროს და მე დავინახე მანქანის სა-
ფეხურზე შემდგარი თავმჯდომარე. მას
ხელში ბავშვი ეჭირა და ცოლისათვის
ზურგი შეექცია.

ამ ხმაზე ისევ სამარისებური სიჩუმე
ჩამოვარდა. მე უკან მივბრუნდი კანტო-
რის ეზოში, ერთი წუთით არავინ გან-
ძრეულა. მერე ჰიშკარი ბოლომდე მო-
დეს და ერთხმად დაიძრა ხალხი, შე-
მოეხვია მანქანას. ძარაზე არავინ არ
ასულა. ძარის ირგვლივ იდგნენ წამს-
ვლელები, გარედან გამცილებლები ეხ-
ვია, ზოგი მკერდზე მიკროდა, ზოგს
გულში ჩაეკრა ფუნჩულა ბავშვი ან შავ-
თავსაფრიანი ქალის თავი, ყველა რა-
დაცის თქმას იწყებდა, ყველა რადაცის

დაბარებდას აპირებდა, მაგრამ ბევრის თქმის დრო არ იყო, ცოტას თქმას ვერ ახერხებდნენ.

მარტო ელპიტე იმეორებდა ერთსა და იგივეს.

— მალე მოხვალ?

— მალე. — პასუხობდა ამბაკო.

ხალხიდან გოჩა გამოძვრა. სახელოში ჩამავლო ხელი და წამიყვანა. არაფერი არ უთქვამს, არც მე მიკითხავს რაიმე. ჩვენ ბრბოში გავძვერით და მანქანასთან გავჩერდით. გვერდით გოგონა ამომიღვა. ერთი მომხედა. მაგრამ არც მას გაუცია ხმა. იგი დიდი ქალივით მოწყენილი იდგა და თვალს არ ამორებდა მამას.

— მოდი, ბიძი, მოდი. — მითხრა მამამისმა.

მე უხმოდ დავუდექი წინ. მახ მამაჩემს მხარზე ჩამოაღო ხელი და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— აბა, თქვენ იცით, ბიძია, — მერე კარგად გამოზომა თვალთ ჯერ მე, მერე მისი გოჩა და გაჩერდა. მე რატომღაც მივხედი, რომ მას მე გოჩაზე მეტად ვახსოვდი. თავი გადაიქნია, ის სათქმელი მაინც არ უთქვამს, რალაციის დაბარებდას რომ აპირებდა და გაჩერდა. მერე მამა დაიხარა, მოკლედ მოჭრა დაგუდული ხმით: — ჰო, თქვენ იცით...

ეს იყო და ეს, რაც დაგვიბარეს იმ გრძელ გზაზე წასვლის წინ, რომლიდანაც არცერთი აღარ დაბრუნებულა.

ძალიან ცოტა რამ დაგვიბარეს. თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭებიანათვის ეს ძალიან ცოტა იყო.

თავმჯდომარემ ბავშვი ცოლს გადასცა, კაბინა გამოაღო და შესვლის წინ დაიძახა:

— ჩაჯექით, ამხანაგებო! — მაგრამ ეს ხმა უკვე ათარ გაედა თავმჯდომარის ხმას. იგი გაბზარულ ჭურში ჩაძახებულის ექოს გაჟღა.

ვიღაცამ გაბედა და ძარაში ჩახტა. თითქოს ამას ელოდნენ, ძარა წამსვლელეებით აივსო. ახლა ყველა წამსვლელის გარჩევა შეიძლებოდა. მე თვალში მალალი მჭედელი მომხედა და იმ წუთ-

ში ის მომაგონდა, რომ შავ ხარს უკანა, მარჯვენა ფეხზე ჩლიქვე წატეხილი ჰქონდა და ხალის ლურსმანს აწმინდაგრებდა.

— ბავშვი არ გაგიციოვდეს... ბავშვებს მიხედე — თქვა მამამ. დედა თავს უქნევდა.

— შენ იცი, ბიჭო, — ამბობდა ვილაც ჩემს გვერდით.

— აბა, თქვენ იცით. — პასუხობდა მალლიდან.

— აბა...

ვილაც ისევ იწყებდა სათქმელს და ველარ ამბობდა.

ძარას შუაგულში ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო. საოცარი იყო ეს სიმღერა. ამან ყველა შეაერთო, გააოცა. მომღერალს ვილაც აჰყვა. ამოისუნთქეს, თითქოს ყველა ამ სიმღერას ელოდაო, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნესო და ამღერდა ყველა, ამღერდა მთელი ხმით. მღეროდა მამა, მღეროდა მალალი მჭედელი, მღეროდა სოსიკა, სიმონია გამყვიანი პირველით, მღეროდა გოჩას მამა დანგრეული ბანით, მღეროდა ამბაკო და ამირანი, მღეროდა ყველა.

მე არ მახსოვს ამ სიმღერის მოტივი, ამ სიმღერას არ ჰქონდა მოტივი, ეს სიმღერა არ იყო.

მე ყალყზე დამიდგა თმა, შემეშინდა, მივეკარ დედის კალთას და ტირილი ამივარდა. ამივარდა და ავტირდი მთელი ხმით. მთელი ძალით გრგვინავდა სიმღერა და მთელი ხმით ვტიროდი მე. და მარტო მე? ტიროდა დედა, იქვე გოგონა და გოჩა ტიროდნენ, ტიროდნენ მჭედლის ბიჭი გიგა და მანქანის ძარაზე ხელუბატოტებული დედაბერი, ტიროდა ყავარჯენზე დაყრდნობილი თევდორე, მხოლოდ ერთი საცოდავი ელპიტე იყო რომ ტირილი ვერ მოეხერხებინა და გაოცებული უყურებდა ხან ამღერებულ შვილს, ხან ატირებულ ხალხს.

მანქანა დაიძრა.

სიმღერა გაძლიერდა.

მე ვხედავდი, როგორ იქნედა ხელს მამა. იგი სიმღერას წამოენთო სახეზე

და კისრის ძარღვები დაჰიმვოდა, და კი არ მღეროდა, ჩქარა, სულმოუთქმელად თითქოს ვიღაცას უყვიროდა.

მანქანამ შემოუხვია და მამა გზის პირას ჩარიგებულ აკაციის ფოთლებში გაუჩინარდა ღია პირით და მალა აღმართული ხელით.

თავი მათით

კლემენტი ცებერაძე

ასე ადრე არასოდეს არ გამღვიძებია. ოთახში სანახევროდ ბნელოდა. ფანჯარაში მსხლის ტოტები ჩანდნენ, რომელთაც ოდნავ არხევდა ქარი. ხეებიდან ფართქალით ეშვებოდნენ ქათმები. მე თვალები დახუჭე და ფიქრი დავიწყე. კარგახანს დავრჩი ასე. თვალდახუჭული ვფიქრობდი რალაცაზე, ქათმებზე, მსხლის ტოტზე, ოშზე, ხარის ნალებზე და მჭედელზეც, მაგრამ მერე, როცა თვალები გავახილე, მივხვდი, რომ არაფერზე არ ვფიქრობდი. იქვე, ჩემი საწოლის თავთან ობობას ჩამოეშვა ქსელი და ზედ ეკიდა. ეკიდა უმოძრაოდ, მძინარესავით. მე ობობაზე დავიწყე ფიქრი. ობობა ქსელაგს სახლში, სარებზე, ხეებზე, ვენახის ხარდანზე, დილით, ცვარიანში ქსელი მძივებითაა ასხმული და ბრწყინავს ნაირფერად. მძინარე ზახა შეკრთა ჩემს ფეხით და მე ზახაზე დავიწყე ფიქრი.

ოთახი განათდა.

— ავდგები ახლა, — ვთქვი და წამოვდექი. ეზოში გამოვედი და მივიხედ-მოვიხედე.

— რა ვქნა, რომ არ ვიცი!

— გაგწყვიტათ ჰირმა, — მომესმა დედის ხმა ქართიდან.

— ხარს დავაჰედვინებ, — მომაგონდა მე, მაგრამ გამახსენდა მალალი მჭედელი, რა ხმამალა მღეროდა მანქანის ძარაზე, მერე მამაჩემის სიტყვები მომაგონდა: „ჰო, თქვენ იცითო“, მაგრამ მე არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. იქნებ გოჩამ იცოდა, მაგრამ მე ახლა არც ის ვიცოდი, გოჩამ იცოდა, თუ არა.

— შეშას დავჭრი, — და აივნის წინ კედელში ჩარჭობილ ნაჯახს მივეშურე. შეშის გროვასთან მივედინე მსხვილ ნაჯახს თაყი ჯირკვზე გადავუდე და ნაჯახი დავუშინე.

ქართიდან დედა გამოვიდა ქოთნით ხელში. შემომხედა, გაუყვირა.

— რას ჩეხავ, ბიჭო! — დედის ხმა ცივი მომეჩვენა და მალა ამართული ნაჯახი დავუშვი.

— შეშას ვჭრი.

— რა ჯანდაბათ მინდა ნაპობი შეშა, ამ ზაფხულში, რძეს ფიჩხვდაც ავადულებ.

— ჰო, რძეს ფიჩხვდაც ავადულებს, — ვთქვი ჩემთვის, რადგან დედა უკვე სახლში შევიდა.

ნაჯახს ხელი ვუშვი და ჰიშკარისაკენ წავედი. ჰიშკარი საიმედოდ იყო დახურული, მაგრამ მინც გავსინჯე. უკან გამოვბრუნდი.

— ჰო, საქონელს გავედენი, — გამახსენდა მე და ქართისაკენ გავაწიე.

ძუძუებზე მიშვებული ხბო თავპირს ცემდა უკვე გამოჯგვილ დედის ცურს. ბაწრით დავითრიე და სარზე გამოვაბი. ძროხა ავუშვი და ბაწარი რქაზე გადავახვიე. მერე შავი ხარი ავხსენი, სანამ რქაზე ბაწარს ვახვევდი ღვინია შავი თვალით მიყურებდა. ფშინავდა, თავს იქნევდა. მამას დაჩვეული ყავდა პირველობას, უწინ აუშვებდა, უწინ დაუყრიდა ბალახს თუ ჩალას, ამიტომ მემუქრებოდა, რქენას მპირდებოდა. ქართიდან გადმოვედი და ღობის აქედან ავხსენი სარზე გამობმული ღვინია. აიშვა, თავი გაიქნია, მაგრამ ჩვენს შორის ღობე იყო და ისევე გზაში გამავალ წენელის ჰიშკარს მიამუტრა.

ეზოს არ გავცილებივარ, რომ წინ კლემენტი ცებერაძე შემომხედა. ძლივს მოათრევდა თქოში ამოვარდნილ მარცხენას. შუა გზაზე დაესო სალი ფეხით და თვალი თავაწეულ ღვინიას დაამტერა. ღვინიამ გვერდი აუქცია და გზა განავრძო. კლემენტიმ ჩავლა აცადა და მერე ათრეულ ბაწარს დააფრინდა, მო-

ზიდა, მაგრამ ასე იოლად ვერ მოდრიკა თავმადგარი პირუტყვი.

მეგონა, ბაწარი თუ უნდა თავზე გადაახვიოს-მეთქი. ათრეული ბაწარი იცვითება გზაზე და მინდორში თრევისას.

— იყოს ბიძია, ნუ წუბდებით.

მან სალი ფეხი წინ გადაგა და ისევ დასწია. ხარი მოტრიალდა.

— ნუ დახვევ, ბიძია, მერე როგორ უნდა გადავაძრო, ახლოს არ მიკარებს.

— ახლოს არ გიკარებს?!.. — გაიმეორა მან ჩემი სიტყვები, — გაწყდა მაგის ჯილაგი.

— ჰო, რქენა იცის.

— იცის, აჰ, — ჩამომხედა თვალბში და ბაწრის ათოკვას შეუღდა.

— იცის, ერთხელ კინალამ დამფატრა რქებით.

— უყურე შენი — მან ახლოს მოითრია ხარი და დაკეცილი ბაწარი ცხვირზე გადაუჭირა — უყურე ამ უწმინდურს, — ღვინია დაფრთხა და ისევ გაიწია, მაგრამ კლემენტიმ ისევ წინ წადგა სალი ფეხი და ისევ დაიოკა ხარი.

— ნუ შემოკრავ, ბიძია, გაუშვი! — ვუთხარი მე, რადგან მან ისევ მოუღერა ათოკილი ბაწარი.

— მე მაგას ვაჩვენებ სეირს, — და ისევ გადაუჭირა.

ღვინიამ გაიწია და გაითრია კლემენტის, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილდა. — უყურე შენ, რავა დაუჯაბნია ბაეში! წადი, ბიძია, შენ, იმ ძროხას მიხედ, ამას მე მოვეუვლი, იმ შავსაც ვინმეს გადააბარებენ ამ დღეებში.

მე უცებ ვერ მიხვდი, რას მეუბნებოდა კლემენტი. თვალბში შევხედე. მან მწვანე, წვრილი თვალბებით ჩამომხედა და დამიყვავა:

— მამასადამე ომი გვაქვს, მტერს ვებრძვით, მიწა უნდა მოვხნათ, ყანა მოვიყვანოთ, სად, ცალია ხარს, გუთანს გუთნისდებდა უნდა, კაჟს მეხრე, ბიძია.

მივხვდი სად უმიზნებდა კლემენტი და ბაწარში ვწვდი.

— მამა მოვა და მოვეიდება.

— ჰო, რომ მოვა... — ბაწარი გამომართვა ხელიდან.

მე ისევ ვწვდი ბაწარს.

— უყურე შენ, — ისევ გაკრა კლემენტიმ ბაწარი, მე ისევ ვიყავი ჩაფრენილი, ვეღარ წამგლიჯა, მაგრამ მისკენ გადამიქნია და ზედ შევესკდი. — ხელი გაუშვი, თუ არა!..

— არა, არ გაუშვებო!.. — მე ბაწარს მთელი ძალით ჩავებლაუჭე და ფეხზე დავდექი, — არ გაუშვებ, მამას გაზრდილია, ჩვენი ხარია.

— ხარი კოლექტივისაა, ბიძი, — შეირბილა ხმა კლემენტიმ — არც ჩემია და არც მამაშენის, კოლექტივის საქმეს უნდა მოხმარდეს. მე რა, კოლექტივის ყანაში ვმუშაობ, ჩემს ეზოს კი არ ვხნავ...

— მამაც კოლექტივში ხნავს...

— მარა ახლა, კოლექტივის რო ვირდება. ომი გვაქვს ბიძია, მტერს ვებრძვით, ასე კი არ ვარგა.

მე გული ყელში მომებჯინა და ავხიხინდი:

— ხვალემდე...

— ხვალემდე კი მარა, — კლემენტიმ მალა აიხედა ცალი თვალით, — ღმერთმა მშვიდობით ჩამოიყვანოს და ხვალაც ვერ მოვა მამაშენი, — და ისევ გააწია ბაწარი.

— ხვალ... — მე ბაწრის მთელი ათოკილი გულზე მივიკარი და ვიყვირე:

— მამა, მოვა, მოვა!

— არ მოვა, შე მამაძაღლო!

კლემენტიმ გაკრა ბაწარი და მე ჩავიხოქე.

— მოვა, თუ არ მოვა მე... მე... აგერ არა ვარ... აგერ ვარ მე... — ისევ წამოვდექი და კლემენტის კბილით ვეცი ბაწარზე ჩავლებულ ხელზე. მან გველნაკებენივით უშვა ხელი და გადაიზინქა, თქმში ამოვარდნილ ფეხზე თავი ვეღარ შეიმაგრა და წაიქცა. ხარი დაფრთხა, გაიქცა. მე ბაწარზე ჩაფრენილი მივდედდი იქვე გვერდით დაოთხილ ღვინიას და არ მაგონდებოდა, რომ რქენა იცოდა.

თავი მთავარი

ლ ვ ი ნ ი ა

მინდვრის ბოლოს აკაციის ხეს მივეყრდენი. ბრაზი მახრჩობდა. მინდოდა მეტირა, მაგრამ არც ტირილი შემეძლო. ტირილი ახლა ქვეყანას მერჩია. მაგრამ ვერ ვტიროდი, ვერ ვტიროდი ვერაფრით, ალბათ იმიტომ, რომ მეგონა კლემენტი დამინახავდა. მერე შევეტრიალდი, თავშესაფარს ვეძებდი, რომ სადმე მივმალულიყავ, ისე, რომ არავის დავენახე და ავტირებულიყავი. ტყეს მივაშურე, მივაშურე და მთელი ძალით გაიქექეი. გავრბოდი, რაც შემეძლო, არ ვერიდებოდი ეკალს, ტოტს, კუნძებს, გავრბოდი, ვიკაწრებოდი და გავრბოდი, გავრბოდი ღრმა, გაუვალ ტყეში. გავრბოდი, მაგრამ მეგონა კლემენტი კვალდაკვალ მომდევდა, თეძოში ამოვარდნილი ფეხით და იცინოდა, ხითხითებდა და მე ისე გავედი ტყის მეორე მხარეს, ვერ ვიტირე.

ისევ მინდვრისაკენ გამოვბრუნდი. მინდვრის თავში გოჩას ხალებიანი ძროხა გამოვიდა. ძროხას დეკეული მოაცილებდა და ბოლოს გოგონაც გამოჩნდა თავისი ბაიასფერი კაბით. მე ბრაზისაგან წამოვენთე. მინდოდა გოგონა შეცემა და ახლა მისკენ გავიქექეი. გაიქექეი და გზიდან დავუყვირე:

- გოგონა, მოგკლავ, იცოდე!
- გოგონამ მიცნო და ყურადღება არ მიაქცია ჩემს სიტყვებს.
- მოგკლავ, ისე გაგლახავ!..
- გოგონა მომიახლოვდა, გაჩერდა ჩემს წინ და წყნარად მკითხა:
- რა გაყვირებს, გოგიტა?..
- გაგლახავ!..
- გამლახავ? — გაიოცა მან და სულ არ განძრეულა ადგილიდან.
- მე ბრაზით დაეჩერდი და დავიყვირე.
- რატომ გაცვია ეს კაბა!
- რა კაბა... — გოგონამ ტანზე დაიხედა, — რა კაბაა...
- შენ ჩემს ჯიბრზე იცმევ ამ კაბას!..

მე მძულდა მაშინ გოგონა, მძულდა

მთელი სიძულვილით, მას ის ბაიასფერი კაბა ეცვა, ის კაბა, რომელიც მაშინ მოირბინა გულგახეთქილმა...

მე კაბაში ვწვდი და მინდოდა ნაკუნებად მექცია კაბაც და მისი პატრონიც.

— გოგიტა, ნუ დამიხევ! — შემეხვეწა გოგონა. არ ვიცი, საიდან მიხედა მაშინ ეს ქართუშუტა გოგო, რა მტანჯავდა ასე.

- დაგიხევ!
- ნუ, ნუ დამიხევ და...
- არა, უნდა დაგიხიო!
- მე შევლევავ ამ კაბას.

შევეკრთი. იმ კაბის ფერი ეტყობოდა გოგონასაც არ უყვარდა და აბა რას ვერჩოდი.

გავტრიალდი, აკაციასთან ბარბაციით მივედი და ზედ მივეყრდენი. გოგონაც უხმოდ ამედევნა და ტყის პირას, არხის კიდეზე ჩაშოჯდა. იგი ზურგით იყო ჩემგან და ფესვიანად თხრიდა ორივე ხელით საქონლისაგან გადაბუტულ ბაღას.

ტყის თავზე მზე ამოძვრა. თვალბში ჩამხედა, მაგრამ არ დავხუჭე თვალები. ამიჭრელა, ამიწვა, მაგრამ არ დავხუჭე, ჯიბრზე არ დავხუჭე. ცრემლები მომაწვა, მერე ლაპა-ლუპით წამომივიდა, მე ჯიუტად ვუძკებდი მზეს და მაინც არ ვტიროდი.

— გოგიტა! — მომესმა გოგონას წივილი.

ხმა არ გამოიცია, ისე დავუწყე თვალთ ძებნა, მაგრამ უკვე ველარაფერს ვერ ვაჩივდი.

— გოგიტა! — ახლა ეს ხმა ისეთი იყო, როცა გინდა იყვირო და ხმას ვერ იღებ.

თვალები გამოქაჩე, მაგრამ ისევ ვერაფერი გავარჩიე, მერე თითქოს მომეჩვენა ლენიას თავი, მაგრამ ისევ ამიჭრელდა, მერე გოგონა გავარჩიე, ისევ ლენიაა... ჩამჯდარ გოგონას ლენია უახლოვდებოდა წინ წაშვერილი რქებით და თავს იქნევდა.

— ლენია! — ვუყვირე მე და გადავხტი. ლენია თვალებს აბრიალებდა და

უკანა ფეხით ბალახს თხრიდა.

— ღვინია! — მე ხელთ უბრალო წყნელიც კი არ მქონდა, ერთი ნახტომით გოგონას ჩამოვეფარე და გავშემდი, გავშემდი და ხარს მივაჩერდი, — ღვინია, — ცყვირი მთელი ხმით, — ღვინია, შე საძაგელო, — ორივე ხელი წინ მქონდა გაშვერილი — მოდი, შე ნადირო, მოდი! — თვალებში ჩავაჩერდი ხარს, — მოდი, რას უციდი, მოდი, მერჩოლე!

ყველა დღევანდელი ბოღმა ახლა ერთად მომაწვა ყელში და გოგონაც რომ არ ყოფილიყო ჩემს ზურგს უკან, მაინც არ დავიწვევდი, — მოდი, შე არაწმინდა! — ვუხმობდი მე, — მოდი, რას უციდი.

იგი გაჩერდა რქებმოღერილი და წინ აღარ წამოვიდა.

უცებ მომაგონდა, რომ კლემენტისთან შეხვედრა, ტყეში სირბილი, გოგონასთან წაქიდება და ყველაფერი დღევანდელი უბედურება, ღვინიას ბრალი იყო. მაშინ ყველაფერი ღვინიას დავაბრალე და მე წავდგი წინ ფეხი.

— მოდი, მოდი, თუ ბიჭი ხარ, მოდი! ღვინიას ალბათ უკვირდა ჩემი ასეთი გამბედაობა, რომ თავი ნელნელა მალლა აიღო.

— მოდი, მირჩინე, მირჩოლე, ამაგე რქებზე, მოდი! — მე ისევ გადავდგი ნაბიჯი.

— გოგიტა! — შარვლის ტოტში მწვდა გოგონა.

— გამიშვი გოგონა, გამიშვი! მირჩოლოს... მე მაგისტვის... ცრემლები მომერია, — მირჩოლოს, თუ ბიჭია... მე მაგას მოვკლავ!..

ფეხზე მოქიდებული გოგონა წინ ავითრიე და ახლა მართლა მინდოდა ვცემოდი ხარს და რქები დამემტვრია.

— გამიშვი გოგონა, გამიშვი, უნდა მოვკლა! — ვიყვირე. ფეხი გაიქინე, გავუსხლტი გოგონას და ხარისაყენ წავედი. ხარმა თავი გაიქნია, დაიფშვინვა და შებრუნდა. მე გვერდზე, ბეჭთან დავეტაკე და მღშტები ვამგერე. ღვინია დაფ-

რთხა, შეხტა და გაიქცა. მე დავედევნე, მივდევი გაბოროტებული და ვცემდი მუშტს, წიხლს, ვეხლებოდი შედარის გარბოდა, გარბოდა ჯერ ისე, ძუნძულით, მერე უმატა და დაოთხილმა უკან ჩამომიტოვა. არ ვეშვებოდი, მინდოდა დავწეოდი, მინდოდა ისევ მეყარა მისი ჯავრი, მისი თუ ჩემი, კლემენტის, გოგონას თუ ქვეყნის ჯავრი.

თავი მუხიფი

ხარ-შრამი

საქონელი არ დამიბამს მინდორზე. გოგონას მივეტოვე და სახლში გავბრუნდი. ჯერ ნელა მივდიოდი, მერე თანდათან ვუმატე ნაბიჯს და ეზოს ბოლოს სირბილით მივაწყდი. პირდაპირ მალალ მესერზე ავეტოტე და ეზოში გადავხტი.

სახლთან ნაჯახის ცემა მომესმა. ახლა დედაზე გავჯავრდი, მე არ დამაცალა შეშის დაპობა თვითონ კი ჩეხავს. რატომღაც ვიფიქრე: რაც მამა წავიდა დედასაც ისე აღარ ვუყვარდი, რაღაც სულ მიღრენდა, იწყევლებოდა და აგერ დღეს შეშის დაჭრაც არ დამანება.

სამზადს შემოვურბინე. ზახა ჩაბლაუჭებოდა ვეება ნაჯახს და ჯირკს უშენდა.

— ზახა! — დავიყვირე მე, — ფეხზე დაირტყამი

ზახა შეკრთა და ნაჯახი გაავლო.

ახლა გამახსენდა რომ მამა არასოდეს არ ტოვებდა წალდს და ნაჯახს შეუნახავს, სამზადის აივანზე კედელში გაარკობდა ხოლმე.

ნაჯახი ავიღე და ზახას ავეურძალე ხელის ხლება.

— ზომ გესმის, ხელი არ ახლო! არაა შენი საქმე! — მკაცრად ვთქვი მე, ნაჯახი ხელში შევაბრუნე და ცირა თითით ფხა გაუუსინჯე, როგორც მამამ იცოდა. ერთგან პირი ჩამტვრეოდა, ალბათ ზახას ქვაზე მოუხვდა, მე ვითომ არ შემინინწავს და გაიუმეორე: — არაა შენი საქმე, ზომ გესმის!

ზახამ თავი დამიქნია და ისე შემომ-

ხედა, თითქმის უკვირდა და მკითხავდა: შენი საქმე კიან?

ბებია აივანზე იჯდა, მზის გულზე და კალთაში თათიას აგორებდა, იქვე იდგარძით სავსე ბოთლი, თავზე გადაცმული საწოვრით. გამიკვირდა, თათიას დედის რძე ყოველთვის ყოფნიდა.

— ბებო!

ბებია ბავშვს კი ანანავებდა კალთაში, მაგრამ ეტყობა ფიქრით სხვაგან იყო.

— ბებო!

— რა იყო, შეილო! — გამოერკვა ბებია და თავსაფრის ყური თვალში ამოისვა.

— დედა სადაა?

— ჩაიშია, შეილო! სად დაიქარგე, მთელი დღეა...

დედა ორი წელი არ გასულა ჩაის საკრფად, თათო ბავშვიან ქალებს არავინ არ თხოვდა ჩაის კრფას.

— ბიჭო, საკმელი არ გინდა, მთელი დღეა?

მე თავი გავიქნე და თუთის ძირში აყუდებულ კავ-უღლისაკენ წავედი. ბებიაშ თვალი გამაყოლა. კავი გრძელი იყო და თუთის გადაყვანილ ტოტებში უწევდა თავს. იქვე კულტივატორი იდგა და ზედ ჯაჭვჩაბმული უღელი იყო გადაღებული. უღელს აბურები ეკიდა, რომელიც მიწამდე უწევდა. აბურს განაკვანძო აჩნდა. მე იმწამავე ვეცი და მტკაელთ გავზომე. ტაბიკიდან ორ მტკაველსა და ერთ გოჯზე თოკი სწორი იყო. აჰა, ვთქვი მე, ამას იქით უნდა გამოინასკეოს რომ ხარს არ ჩაუჭიროს. აბურს ხარის ტყავის თუ ბალნის სუნი უღიოდა.

აყუდებული კავი გადმოვწიე, მაგრამ ვერ შევიმაგრე. მიწას დაენარცხა და ბეწვზე აცდა იქვე ატუხულ ზაზას.

გაჯავრებულმა ზაზას შევუყვირე:

— რას გამტერებულხარ!

ზაზა გაბუტული გამშორდა და ქვეშამადგზე დაყრდნობილ ურმის ქვეშ შეძვრა.

კავი ერქვანიტ წამოვაცენე და მოვსინჯე. ერქვნის სახელური მაღალი იყო, თითქმის გულამდე მწვდებოდა და

ასე მაღალზე ცალი ხელით კავის დამაგრება გამიძნელებოდა, მერყეულ ხელთ ხომ სახრე უნდა შექნია. ისევე ძირს დავუშვი. არა, კავს ვერ მოვერეოდი.

რა შექნა?

მინდოდა ხელი ჩამექნია, მაგრამ მომაგონდა რომ ხელ დილით, როცა ისევე გავდენიდი საქონელს მინდორზე, ეზოს ბოლოში თეძომოვარდნილი კლემენტი დამხვდებოდა დარკობილი, ღვინიას ათრეულ ბაწარს დააფრინდებოდა და დამიყვავებდა.

— ომი გვაქვს, მაშასადამე, მტერს ვებრძვი, ასე კი არ ვარგა, ბიძია! — და ღვინიას ცხვირზე გადაუჭიკრებდა.

— არა, მე მოვეკიდები კავს! — ვთქვი და ისევე ავიტაცე სახელური, მაგრამ მივხვდი, რომ ასე ძალას ვერ დავატანდი, სახელური ორი ცილით მაინც დაბლა უნდა ყოფილიყო.

— მოდი, გადავჭრი, — ვთქვი მე ხმადაბლა, — გადავჭრი, ერქვანს ქვევით გავუტოხავ და სახელურს მოვარგებ.

— ზაზა, ხერხი მომიტან!

ზაზა ურმიდან გამოძვრა და საშხადში შეიბრინა.

საშხადიდან ბირდაბირი გამოათრია, კარაპანზე ხელიდან გაუვარდა და კბილებწამახული ფოლადი ზრიალით დაეცა აივანზე.

— არაფერი მოიწიო, შეილო! — მომესმა აივანიდან ბებიას ხმა.

მე შემეშინდა, ბებია შენიშნავდა რასაც ვაპირებდი და ნებას არ მომცემდა.

ზაზა კარაპანზე გადმოხტა, ხერხი აიტაცა და მომიბრენინა. მე ერთი ცილით ისე დავამოკლე ერქვანი, გავუტოხე ხელახლა და ისე ჩავავე სახელური, ბებიას არაფერი არ დაუნახავს. მხოლოდ როცა კავს ურემზე ვდებდი და ურეში დაირყა, კონკლა გამოეცალა და მიწას ხმაურით დაენარცხა, მაშინ იყო, რომ თქვა:

— არაფერი მოიწიო, ბებია!

მე ურემში უღელიც შევბე და გოჯასაკენ გავსწიე.

გოჯა ვენახიდან გამოძვრა. მას

გრძელტარიათ ვეება თოხი ეჭირა და მიწას არაქათგამოცლილი ცემდა.

— გოჩა!

— ჰა!

— გოჩა, უნდა მომეხმარო, მერე მე გაგათოხნივს ვენახს, მხოლოდ დღეს... ახლავე უნდა წამოხვიდე ჩემთან.

— სად წავედით...

— სად და... სადმე, იცი? სოფლიდან შორს, მინდვრების, ტყეების, პლანტაციების გადაღმა...

— სულელი ხარ...

— არა ვარ, გოჩა, სულელი, თუ შენ არ მომეხმარე, ხვალ კლემენტი ღვინიას წაიყვანს.

— ღვინიას წაიყვანს?!— გოჩამ შორს გაუგდო თოხს თავი, ყუთი მიწას მი-
აბჯინა და ზედ დაეყარდნო.

— ჰო, წაიყვანს. ხარს მეხრე უნდაო, მართალია, ჰოდა, წავედეთ სადმე, სოფლის გარეთ, შენ წინ გამიძღვები, მე მოვხნავ, ისე რომ არავინ დაგვიხახოს. თუ ვერ მოვხნანით... არა, გოჩა, თუ შენ გამიძღვები...

— ღვინია...

— ღვინია არ ირქინება გოჩა, გოგონას კითხვით თუ გინდა!

გოჩამ ურწმუნოდ გადააქნია თავი, თოხი კვლის თავში დააყუდა და მინდვრისაკენ გავსწიეთ.

გოგონა გაოცებული შეხვდა ჩემს გამოჩენას და, როცა ღვინიასაკენ წავედი, რომ ბაწრით შავ ხართან გადაღმესარქა, გოჩას მივიარდა:

— არ გაუშვია, გოჩა, არ გაუშვია. დახვეს!

მე მივედი და ჯიქურ დავუდექი ღვინიას წინ. ალბათ მაინც შიშით იყო, რომ ყოველ შემთხვევისათვის მუჯლუგური წაგვარი ცხვირში. ღვინიამ თავი გაიქნია და დაიფშვინა, მაგრამ რქენა ვერ გაბედა. მე ვიცოდი, ხარს ჩემთვის სიმხნა-
ლუ არ უნდა შეემჩნია, მაგრამ, როცა ბაწარი ხელში დავიჭირე და ხარი უკან ამედეგნა, შიშით არ ვიყავი, ვაი თუ. მცემოდა ზურგში და რქებზე ავეგე.

ხარები ისე დავსარქე, უკან არ მიმი-

ხედავს, მეშინოდა, ღვინიას ჩემი თვალები არ დაენახა.

ხარები სახლში გავიჭრებო ურემში შევებით. ბებიას ბავშვი ჩაეწვინა და ფეხით არწვედა. ეტყობოდა ბავშვი დიდი ხნის ჩაძინებული იყო, ბებია კი არწვედა და არწვედა.

— ბებია! — დავუძახე მე.

— რა იყო, ბიჭო! — რწვევას თავი ანება და კაბის კალთას დაუწყო ფერთხვა.

მე შევნიშნე, რომ კალთას ალაგ-ალაგ წვეთები აჩნდა.

— ბავშვმა ჩამასველა ამ გასაზრდეღმა...

— ბებია, არ მეძებო, ურემი უნდა წავეყვანო ბრიგადირს, აგერ გოჩა გამოუგზავნიათ. — ზაზა! — მიუღბრუნდი ახლა მე ზაზას, რომელიც იატაკის ქვე-
შიდან გამოძვრა და თან ცელის ქანგიანი ნატეხი გამოათრია, — ჰკუთ იყავი, ხო იცი?

— ვიცი, — თქვა მან, ურემში შებ-
მულ ხარებს გადახედა და, როცა მეგონა, ახლა დაიყვირებს: ურემზე მინდაო, თავი გააქნია და ჯიუტად გაიმეორა:

— ვიცი, გოგიტა!

თავი მიგვი

გაფხვეთილი აპეური

ურემი ჰინჯართან შევაჩერეთ და კარები ფართოდ მოვადეთ. მერე ნელა ჩავეძვინე ხარებს. ღვინიამ ქედი გაკრა შავს, ცალ მხარეს გადასწია და ღერძთან ტყაცანი გაისმა.

— ოო, — ავეყვირდი მე და ხარებს თავბირში დავუშინე.

დამფრთხალი ხარები ახლა უკან მი-
აწყდნენ ურემს. ღერძის თავი აცდა ლატანებს და ეზოში შეგორდა. ახლა ორივე ხელით ჩავეჭიდე სარქვეს. გზაზე გავედით.

ჰინჯარი გამოვიხურე, გატეხილ ლატანში წყნელი ჩავხლართე და ხარ-
ურემს ავედევე.

გოჩას ხელზე გადაეხვია სარქვე და ფრთხილად მიუძღვებოდა ურემს.

ორლობეში არავის შევხვედრივართ. არც მინდორზე ჩანდნენ მწყემსი გოგობიძეები. ტყის კიდეზე ნაურმალს დავადექით, გავედით გრძელი ყანების შუა გამავალ საურმეზე. გზის ორივე მხარეს მწვანედ ღაღანებდა მწყირვში ჩარიგებული, ახლად ნამარგელი სიმინდები. ქვევით, ტირიფებისა და თხმელების სიხშირეში ალაგ-ალაგ ჩანდა წყალდაკლებული მდინარე, რომელიც უხმაუროდ მიჩხრიალებდა ლოდებს შორის. შორს წისქვილის სახურავი ჩანდა.

აგერ გზა ორად იყოფა. ერთი წისქვილიაკენ მიდის, მეორე მდინარეს გადაჭრის, სერზე გადაივლის, სადაც იონჯა უთესია კოლექტის, იმას იქით ფერდობია, იქ დაბალი ბუჩქნარი იცის და მავალში გაბარდულ ქაცვის, კურკანტელას და დაბალი პანტა ვაშლის ქვეშ ისლი ხარობს.

გოჩამ ხარები შეაჩერა.

წისქვილის გზაზე ურემი გამოჩნდა.

— ეე, რა ვქნათ?

— რა ვქნათ, მე მგონია გადახვევა აჯობებს.

— აჯობებს, — თქვა გოჩამაც და ხარებს თავდაღმართში ჩაუძღვია. მდინარეში ლოდებს შორის ფრთხილად გაატარა ურემი და იქითა დაკიდებულ ნაპირს შეუყვია.

— უღელზე დაწევი ხარებს! — მივაძახე გოჩას, რადგან მამა აღმართში ყოველთვის ასე იქცეოდა. მაგრამ ხარებმა ცარიელი ურემი იოლად აიტანეს და მინდორში გავიდნენ.

ჩვენ განგებ გვერდი ავუქციეთ ნაურმალს, მდინარის პირს გავყევით და იონჯის თავში, სადაც საისლე ფერდობი იწყებოდა, ხარები მინდორზე შევაჩერეთ.

აქ არსაიდან ურმის გზა არ მოდიოდა, არც საცალფეხო ბილიკები ჩანდა, არსად კაცის ჰაჰანება არ იყო.

— აქ აჯობებს, — თქვა გოჩამ, ჩემს პასუხს აღარ დაუცადა და ურემი დააყენა.

მე აპურის შესსნა დავიწყე, მაგრამ არ იქნა და ასე იოლად ვერ გავხსენი.

მამა გასწევდა მარყუჟად გამობნეულ აპურს და ხარი თავისუფალი იყო. ჩვენ კი პირდაპირ ჩავვესვენა გვერდის წყურთული თოკი და ვერაფერი მოვუხერხეთ.

მე ხარის წინა ფეხებთან ჩავიმუხლე და ტაბიკზე ჩანასკვულ აპურს კბილით ვეცი. ხარი თავს იქნევდა, გოჩა სახრეს უღერდა და წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდა.

ფრჩხილით და კბილით როდის-როდის გამოვხსენით აპურები და ხარებს უღელი დავადგიეთ. კავი კულტივატორის ჯაჭვით მოვაბით უღელზე, რადგან ღვლეკის დაგრება უღლისათვის ჩვენ არცერთს არ შეგვეძლო.

— აბა, გაუძეხი, გოჩა, ოღონდ ნელა, — და სახნისი მიწას ვუმარჯვე, დაიძრნენ ხარები. სახნისმა უხსავ მიწას ბალახები გადაფხიკა და ყამირს ასე იოლად როდი მოეკიდა. სახრე გადავაგდე და სახელურს ორივე ხელით მოვებლაუქე. სახნისი ბალახების ძირებს ჩიჩქნიდა, ხარები წინ ჩქარობდნენ, კავი ხტოდა, ჯაყაყაყებდა, მიქნევდა და წინ მიმარბენინებდა.

— ოოო, — აყვირდი მე, — გოჩა, შეაჩერე, წაიქცევი! — ვაწყდებოდი, ვეხეთქებოდი, ერქვანს ხელს მაინც არ ვუშვებდი, მაგრამ ძალასაც ვეღარ ვატანდი.

გოჩამ ხარებს სახრე აუქნია.

— არ ეკიდება, არა?

— არ ეკიდება, ხარებსაც ვერ ვიმაგრებ, — შევესიტყვე და გული ყელში მომეზღინა, — უფრო ნელა წაიყვანე!

— ჰო, კარგი, მაგრამ იქნებ ქუსლზე დააწვე, თორემ, რაეა გგონია, ეგ ყამირია, თანაც გამაგრებულია მიწა.

მე ისევ ჩავებლაუქე სახელურს, რაც ძალა მქონდა, ხელები მაგრად მოვუჭირე, ფეხები ორივე მხარეს გავდგი და გოჩას გავძახე:

— აბა, წადი!

ხარები ნელა დაიძრნენ.

ვეცადე, მარცხენა ფეხით ქუსლს დავწოლოდი, მაგრამ, როგორც კი შევდგი ფეხი და სახნისი მოეკიდა, წონასწორობა დავკარგე, კავიც მარცხნივ გადავი-

ფერდა. ვიმარჯვე, არ წავტყულებარ. სახნისი ისევ ამოვარდა მიწიდან, მარტო ერთი მთხრდილა ბელტი ამოიყოლა და ისევ ბალახებს დაუწყო აჩეჩვა. ისევ ვცადე ქუსლზე დაწოლა, ისევ მოვეციდა, მაგრამ ახლა ზედ ბუჩქებს მიაწყდა გოჩა ზურგით, ხარბებიც შეჩერდნენ.

— ჯანდაბას, მოაბრუნე!

გოჩამ შავი ხარის მხარეზე მოაბრუნა, მე კავს დავეჭიდე ჩამოსათრევად, მაგრამ მიწაში ჩაფლული სახნისი ვერ დავძარი. ღვინია უხვევდა და შავი ხარი კავს უკანა ფეხებით მიაწყვითა.

გახელბებული ვეჭვრე ერქვანს, გადავხნიქე და მიწიდან ამოვგლიჯე, მაგრამ მეგონა ხერხემლის ძვლები ჩამემტვრა, მერე როგორღაც გავითრიე იწვე, მაგრამ როცა ხელახლა დავადექით სახნავს, უკვე არაქათი გამოცლილი მქონდა და ჩენს უძღურებაზე ჯავრით ვიგულებოდი.

სახნისი მიწას მოედო, ჯერ იდნავ წავიდა, მერე ამოხტა, გადაიხნიქა, გადაიწია, მე იქვე ამოვდებულ ბელტს წამოვკარ და თავდაღმა გადაეტრიალდი, ვერც ხელების დახვედრება მოვასწარ, რადგან ერქვანზე ვიყავი ჩაბლაუქებული და მიწაზე ცხვირით დავერქე.

იმწამსვე წამოვვარდი და ათრეულ კავს ავედევნე, მეშინოდა ფეხი არ დავტყრა სახნისზე ხარს. ამასობაში გოჩამაც იმარჯვა და შეაჩერა ხარები. კავი წამოვაყენე, მაგრამ პირში მოტკბო, მარილიანი თბილი სითხე ჩამეწვეთა. ენა მოვისვი, ცხვირიდან სისხლი მდიოდა.

გოჩა სახეში მიყურებდა და ადგილიდან არ იძროდა.

— წადი, წადი! — ვყვიროდი მე, — წადი-მეთქი, — ვბარბაცებდი, ვიქცეოდი, ვდგებოდი, მუხლზე ვეცემოდი, სისხლი ჩამომდიოდა ნიკაპზე და გულისპირზე მეწვეთებოდა, — წადი, არ შეჩერდე, წადი — მე უკვე აღარ ვერიდებოდი წაქცევას, არც იმას, რომ ფეხს მტკიუნებულად წამოვკრავედი, წამოვიჩოქებდი, ან სისხლი რომ მდიოდა, ისევ ვეკიდე სახელურს და მთელი ძალით

ვებრძოდი, ვეწეოდი. ბოლოს ქუსლს მივწვდი, შევდგი ფეხი, მთელი შევავლექი. ველოდი აი ახლა გადაიწვევას! ახლა დამახეტოქებს მიწას მეთქი, მაგრამ სახნისი ღრმად წავიდა და მალე ქუსლი მიწაში დაიმაღლა. მთელი ძალით დავაწექი სახელურს.

— წადი! — ყვირინას ვცემდი მე, — წადი!

ქუსლი მთლად დაიკარგა მიწაში, ხარბებმა სვლას უკლო, ქედი მოედრიკათ, მაინც ეწეოდნენ, ბალახებით შეკრული ყამირი ჯიუტობდა, კავი კი მიდიოდა და მიდიოდა სიღრმეში. ბოლოს შავს გაუქირდა, შეჩერდა, მიაწყდა ისევ წინ და წაიღო, მე ისევ ვაწექი უკვე დადაბლებულ ერქვანს და ზედ ვაკვდებოდი, რომ ზევით არ ამოშვარდნოდა. შავი ისევ შედგა.

— მიდი ჰო, — კი არ ვიყვირე, ვიხზავლე, ღვინია წაიწია იწვე და ერთიანად მოკეცა მეორე.

— დაახევინე, ღვინიას დაახევინე, თორემ შავი მოგუდა, ვერა ხედავ? გოჩამ სახრე ხელში შეაბრუნა და ღვინიას დაუშინა.

ღვინიას ემწეავა სახრე, ალბათ თვალში თუ მოხვდა, დაიზმუვლა, მიაწყდა უღელს უკან, მერე ვვერდზე გახტა, გაქრა, გაწყვითა აპეური, გადაამტვრია ტაბიკი, რქაზე შეიწყვითა სარქვე და მინდორში გაიქცა.

მე ბალახებში დავეცი და დიდხანს თავი არ ამიღია.

გოჩა ფეხდაფეხ დასდევდა გავეშებულ ღვინიას, როდის-როდის მოიყვანა, ურემში ისე შეაბა, ჩემთვის არაფერი უთქვამს, კავიც რის ვაი-ვაგლახით მარტომ ამოვგლიჯა მიწიდან, შეაგლო ურემზე და ნელა გაუძღვა სახლისაკენ.

მე მაშინ წამოვდექი, როცა ურემი იონჯის სათიბს გასცდა და მდინარესთან ჩაუხვია.

მდინარეში ცხვირ-პირი მოვიბანე. სახლისაკენ ბოღმითა და შხამით სავსე გავუდექი გზას. ურემს ყანებთან წამოვეწეი. გოჩა უკანმოუხედავად მიდიოდა ურემის წინ, მიდიოდა თავისთვის.

მინდორში, ცეტერაძეების კარისაკენ მიმავალ ორღობეს რომ მივუახლოვდით, ნაკაფიდან სიმღერა თუ თხის პეტელი მომესმა.

— ვინაა, რომ მღერის! — ამოვიხრიალე მე.

არ იქნება, არ იქნება.

არ იქნება ძალადა...

მე ბუღუს ხმა ვიცანი და გავჩერდი. გავჩერდი და თვალები გამიფართოვდა.

— არ იქნება, არ იქნება, არ იქნება... — დაყინებით იმეორებდა კლემენტის ნაშვილები აკვირებულ სიმღერას.

იგი ახლა ისე მესმოდა, თითქოს ეკლესიის ზარში თავი მქონდა შეყოფილი და ბუღუ გარედან რიყით ცემდა.

— არ იქნება, არ იქნება, არ იქნება ძალადა...

მე ადგილიდან მოვწყდი და ტყეში შევევარი.

დიდხანს არ დამპირვებია სირბილი. ტყის ვიწრო ბილიკზე ბუღუს შევასწარი თვალი, თხა მაშინ არ დამინახავს, მე ვხედავდი ბუღუს და გავრბოდი მისკენ.

— არ იქნება, არ...

მე მივევარი და რაც ძალი და ღონე მქონდა ბუღუს სახეში ვთხლიშე. ვთხლიშე ერთი, მეორე, მესამე, ვაძგერე თავი, გადავისროლე სხატეში, გადავგორე ეკლებზე და წიხლით შევდექი.

ბუღუ ყვიროდა, შევლას ითხოვდა. მე ვცემდი, ვცემდი გამალებით, ვცემდი უმოწყალოდ. ვცემდი...

ყვირილზე გონა მოვარდა და ძლივს გამომგლიჯა ხელიდან აღრიალებული ბუღუ.

თავი მისხრი

გაუსკვნელი საძირკველი

— სად გაჭრი, შვილო, მთელი დღეა! საკმელი მაინც არ მოგინდა? — მკითხა ბებია, როცა სამზადში შევედი, — ე, ქალიც რომ არსად ჩანს, შემომაკვდა ბოვში ხელში.

მე ხმა არ გამიცია, ისე დავიწყე ფათური ბუჯერში. შიმშილისაგან თავი

მიბრუოდა, ფეხზე ძლივს ვიდექი, ხმის ამოღება არ შემეძლო. ცუფთ მჭადეს ნატები ჩავკბინე.

ზიზღილი მხიჯა

— ჩაფიცე მაინც, ბებია, ვერ გადაიტან კისერში.

მე მჭადი ორად გავტეხე, ნახევარი ზაზას მივეცი, ნახევარს ისევ დავუწყე კბეჩა.

— პა, ზაზა, ჩაფიცე, შეჭამანდი არაფერია?

— ლობიო აღარაა. — თქვა ზაზამ.

— დედაშენი აღარ გამოჩნდა და მე ამ უძუძურ ბავშვს ვერაფერი მოუხერხე, არაა ამ რეზინის წოვას მიჩვეული. — მან თათიას ჩახედა კალთაში.

მე გაოცებისაგან ლუკმა პირში გამიჩერდა, მერე სასულეში გადამცდა და ხველა ამიტყდა.

თათიას პირში ბებიას გამჭკნარი ძუძუ ეღო და გამალებით წოვდა.

ეროში ძალღმა შეპყეფა.

აივანზე ცარიელი კალათი დაეცა და კარებს დედა მოადგა.

— დედა მოსულა, — დაიძახა ზაზამ და მიეგება.

— გეშველა, შე ქალო? — თქვა ბებია.

თათიამ პირიდან გააგდო ცარიელი გამჭკნარი ძუძუ და ატირდა.

დედამ წინ შეგებებული ზაზა გასწია და თათია აიტაცა.

— გოგიტა! — გადმოხედა მან და საკინძე გაიგლიჯა. ძუძუებთან გულისპირი დასველებოდა.

ბავშვი ძუძუს ეცა და ზედ ორივე პაწია ხელი შემოხვია.

— არ მისცე, ქალო, შეხურებული რძე ბოვშს, — შეახსენა ბებია, მაგრამ თათია წურბელივით ეკიდა დედის მკერდს.

— გოგიტა! — ისევ თქვა დედამ.

მე შუბლსკვევით გავხედე დედას და პასუხი არც ახლა მიმიცია, ვატყობდი ჩემზე გაჯავრებული იყო.

— გოგიტა, შე სასიკვდილე!

გაოცებულმა ზაზამ ჯერ დედას შეხედა, მერე მე, მერე ისევ დედას.

— რა გინდა, შე ქალო, მაგ ბოვ-

შთან, — გამომეჭონაგა ბებია, — მთელი დღეა არაფერი ჩაუდევს პირში, შეარგე ერთი ლუკმა.

— რატომ ხმას არ იღებ, შე ენაჩასაგდებო!

— რა გინდა, რა! — დავიღრინე და პირიდან ცივი მჰადის ფინჩხები წამომცვივდა.

— შენი ჯანდაბა მინდა! — მკერდზე მიკრულ ბავშვს პირი აუცდა ძუძუზე და აყვირა, — რამ გადაგრია შე არგადასარჩენო...

— მაგის მტერი... — ჩაურთო ბებია.

— რამ ვაღამრია? — ვკითხე მე გამომწევდა.

— კლემენტისთან რა გინდოდა, ბიჭო, უფროს-უმცროსი მინც არ იცი?

— ვიცი!

— იმხელა კაცს რავე კადრე, შე უწმინდურო!

— იმხელა კაცს, — გავიმეორე მე, მაგრამ დედამ ბავშვიანად ვადმოდგანაბიჯი ჩემსკენ.

— ბიჭო, რავე მომჭერი თავი, რა გინდოდა იმ კაცთან?

— მე არაფერი არ მინდოდა.

— ხედავ, რავე მიტლიკინებს ენას? ხედავ რავე აიშვა თავი?

— არაფერი თავი არ ამიშვია...

— ენა ჩაიგდე, ბიჭო, ორი დღეა მამაშენი წავიდა, აწი რას იზამ შენ? იგი ახლა ბებიას მიუბრუნდა: — კლემენტამ დღეს ჩაის ფარდელში სახალხოდ მითხრა: შენ ქალი მეგონე ჩემო ივდითი და ვერ ყოფილხარ შეილის გამზარდელიო, შეილს რომ მჰადი გამოუცხო, მარტო ეს არაა დედობაო, შენს ქალობას და დათიკოს გაეკაცობას არ შეფერის ასეთი შეილიო... მამამისის სახელს არცხვენს ეს დასამიწებელი...

— მაგის მტერი და ორგული, — ჩაურთო ბებია, — აჰ, მასე არ ვარგა შეილო, ვაგონილა?

— რატო არ დაანებე ის სამგლე ხარი?

— არ დავანებე...

— რატო, რატო!

— არც აწი დავანებებ, — ჯიუტად გავიმეორე მე, — კლემენტის ყავს თა-

ვისი ხარები, ლენია მამას გაზრდილია, კლემენტის არ მოვაკვლევინებ... კლემენტამ არ იცის ხარის ფასი! დღე და ღამე კისერში აზის და მერე სასაკლაოზე აგზავნის.

— აბა შენ იცი?

— მე ვიცი.

— ხარი კოლექტივისაა, შე უკულმართო...

— კოლექტივისაა, კლემენტის ხომ არა.

— ენა ჩაიგდე, ბიჭო.

— კლემენტის არ ზიეცემ ხარს.

— შენ ვისი მიმცემი ხარ?

— მე მოვეკიდები და კლემენტის არ მიშეცემ.

— ისე შენ გავისკდა მიწა და შიგ ჩავარდი, შენ ხარის მომკიდებელი არ იყო, შენ კი არა მამაშენი ვერ იმაგრებდა მაგ გადარეულ საქონელს.

— მამას უყვარს ლენია.

— მამაშენი დაბრუნდეს და... — დედას ხმა გაუწყდა, თვალეზე ცრემლი მოაწვა.

— არ მიეცემ კლემენტის ხარს! — გავიმეორე მე.

— გოგია! — დედამ ბავშვი ცალი ხელით მიიკრა მკერდზე და მეორე მუგუხალს წამოაგლო.

მე ადგილიდან არ დავმარტულვარ. დამარტყამს, — ვფიქრობდი მე, — რაც მამა წავიდა, დედას მინც სულ აღარ ვუყვარვარ, მაგრამ მან დასარტყმევად ვერ გამიმეტა და ტირილი აუვარდა. მუგუხალი ისევ კერიას დაანარტხა.

— რა ვქნა, დედა, რა უნდა ვქნა! — მივარდა იგი ბებიას, — რა გამიჩნდა ეს.

ბებია მთავრე შემოიდგა ხელეზი ისე, რომ დედისათვის არაფერი უთქვამს და თავისთვის ამოიოხრა: — ღმერთო ჩემო! შე მჰადის ნატეხი კედელს ვესროლე. კარებისაკენ გავტრიალდი და იქედან დავიყვირე:

— ჩემს ლენიას არ მიეცემ კლემენტის!

გარეთ გამოვედი და კარები ჰრიალით მივაჯახუნე. ზღურბლთან ატუხული ძალი გამებლანდა ფეხებში, წიხლი ამოვკარი და ეზოში გავედი.

ბნელოდა. სადღაც დაღუული ხარის ნალივით ილანდებოდა მთვარე ღრუბლებში. ცხელოდა.

ოდის წინ კონდარში მსხლის ძირთან ჩაეჯექი, ზურგით ხის ძირს მივეყრდნე. ვიჯექი ერთხანს, მერე წამოვდექი და ჰიშკარისაკენ გავსწიე. მივდიოდი ვინ იცის საით. მივდიოდი, და გოჩას ჰიშკართან შევჩერდი. სახლიდან სინათლე ჩანდა.

— არ ღირს, — ხელი ჩაიჭინე და გზა განვაგრძე. ისე ჩავეუარე სერაფიონის ჰიშკარს არ შევჩერებულვარ, არც ბიკენტის ჰიშკარი შემინიშნავს, არც მომდევნოს გავარჩევდი, ალბათ, რომ ჰიშკართან აჭყვირებულ ღორს არ გადავკროდი. ღორი მიმოდიოდა ჰიშკართან და განუწყვეტლივ ჰყვიროდა.

გზიდან ღია კარებში შუა ცეცხლი ჩანდა. ცეცხლზე მოზრდილი ქვაბი იდგა ალბათ, რადგან ალი მალა ფართოდებოდა, იშლებოდა დიდ წრედ. აივანზე, სახლიდან გამოსულ სინათლეზე ბრგე მამაკაცი გამოჩნდა. ვიცანი, ამირანის მამა იყო, ეზიკა. ეზიკაც ომში იყო ნამყოფი, მარჯვენა ფეხზე ტერფი არ ჰქონდა და უფეხო ქუსლს ხესავით დაათრევდა. ავი კაცი იყო ეზიკა. იგინებოდა, ილანდებოდა. ამბობდნენ ეზიკას ომში ადამიანის ცოდვა ადევს და სამში კაციოა. ახლაც გობი აივანზე დაავდო და ჰიშკართან აჭყვირებულ ღორს მიიძახა:

— რა გაყვირებს, შენი პატრონის ქვეყანა!

სახლიდან ფატიმ ქვაბი გამოიტანა, ალბათ სალაფავით სავსე, და გობზე მოაპირქვევა. მდუღარეს ორთქლი ავარდა და წელამდე დაფარა ფატი. ცხელმა ორთქლმა ხელი თუ დაწვა რომ ქვაბმა აიგნის სოხანზე გაიქრიალა.

— პაატ! — აღმოხდა ეზიკას და ახლა თვითონ მოაპირქვევა ქვაბი. მერე სალაფავით სავსე გობი ჰიშკარისაკენ წამოიღო.

ღორი კუტ კარს მივარდა და ჰყვიროდეს უმატა.

— მამალი მგელი! — გაეპასუხა ეზიკა. ფატი აივანზე იდგა და ხელს ხან-იღლის ქვეშ იდებდა, ხანაც მიიჩინებდა ქონდა.

გზა განვაგრძე. მინდორზე გავედი.

— მოდი, ტუხუსთან წავალ, — ცეტრადეების კარისკენ ავუხვიე, კლემენტის ფანჯრიდან გამოსული სინათლე გზას წედებოდა. მე თვალეზი დაეხუტე და ისე გავიარე. შუკაში ჩავეხვიე და ტუხუიას სახლს მივადექი. ჰიშკართან ავიტუხე, კარების სინათლეზე კუდზე წამომგდარი თოლია შეენიშნე. გზიდან შუა ცეცხლი არ ჩანდა და არც ტუხუი დამინახავს. სახლიდან კაპიტოს ხამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ჯარგვლის გვერდზე მიწყობილი თეთრი ფიცრები გავარჩიე ბნელში და გამახსენდა, რომ სახლის საშენი მასალა იყო. ვერ იქნა და ვერ დაიდგა სახლი კაპიტომ. ტუხუიას მის გარდა ხუთი დამა ჰყავდა მასზე უმცროსები. ერთმანეთზე თავწაუწყველი ექვსი შვილის მამა იყო კაპიტო ბანძელაძე. ყოველ წელს იწყებდა კაპიტო სახლის მშენებლობას. მახსოვს ჩვენთან რომ მოვიდოდა, ზამთრის მოცილილ დღეს, ჩამოჯდებოდა ცეცხლის პირს, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და მამაჩემს გამარჯვების შემდეგ ამას კითხავდა:

— რაა ატყობ, დათიკო, წელს როგორი გაზაფხული იქნება?

მამა გახედავდა გარეთ მუხლის თავზე ჩამოყრილ თოვლს და იტყოდა:

— ჯერ ვერაფერს ვერ გეტყვი, ჩემო კაპიტო!

— რა, კაცი და... — რატომღაც ყოველგვარ პასუხზე გადააბამდა თავისას, — სახლის მშენებლობა მინდა დავიწყო. ამ ზაფხულს, შენც იცი, შემეშალა ხელი, ჯიშადა გარდამეცვალა და იქ გადასახურავი, იქეთ ქორწილში დამიძახეს, მერე ბავშვის წამლის ფული... ძალიან შემეშალა ხელი...

— რაა, ბავშვი გყავდა ავად თუ? — იტყოდა მამაჩემი.

— ჰო, აციეებდა... ჰოდა, რაა ვქნა

ახლა, იქნებ ხეირიანი ოსტატი გეგულე-
ბა სადმე.

— არიან, ოსტატების შეტი რაა.

— კი მარა, კარგი მინდა, ჩემო და-
თიკო, კარგი. ის მყავდა ამას წინათ, გაბ-
რიელის სახლი რომ ააშენა.

— კარგი ოსტატია, გაბრიელის სახლი
არაა ცუდი ნაშენი.

— კარგია, მარა ვერ მოვრიგდით, ერ-
თი თვალი სახლი გამოვა ამ მასალიდანო,
მე კი სამ თვალად მინდა, შენც იცი.

— კი მარა, თუ არ გამოვა?

— რაღა დავიჯერო არ გამოვა, მერე
ის მყავდა, ჩემი ქვისლის ზეზობელი,
აპოლონი.

— ვერც იმასთან მოვრიგდი, ახლა...

კარებთან ტუხუია გამოჩნდა. ხელი
გაიქნია უცებ და ძალი მალლა შეხტა,
მერე ძელის მტვრევის და ღრღნის ხმა
მომესმა.

— ტუხუ! — დავიყვირე მე.

ძალი წამოვარდა და ჭიშკარს მოაწ-
ყდა, მაგრამ მიცნო და ისევ მითრეებულ
ძვალს მიუბრუნდა.

მერე ტუხუიამ გადმოალაჯა ჯარ-
გვალის ზღურბლს.

— გოგიტა ხარ? — მკითხა მოახლო-
ებულმა და ალაგზე ჩამოჯდა.

— გოგიტა ვარ!

— ჩამოდი!

— არა, მეჩქარება, — თავი გავიქნე
მე, — ხვალ არ გცალია?

— ხვალ... ხვალ...

— ჰო, რას აკეთებ ვითომ, — მეწყი-
ნა მე, როცა ხმაზე ორჭოფობა შევატ-
ყვე.

— მამა...

— მამაშენი ჯარში არ წაუყვანიათ?

— ხვალ მიდის. — თქვა ტუხუიამ
და მსხვილი თავი ზურგს უკან მალალ
სარს მიაყრდნო.

მამინ მომაგონდა, როცა მამაჩემი მი-
დიოდა იმ დღეს ტუხუიას მამა არ დამი-
ნახავს.

მე ვერაფერი ვერ ვთქვი.

— ხვალ მიდის, — გაიმეორა ტუხუ-
იამ, — ახლა დაბრუნდა, დღეს იყო გა-
მოძახებული...

— მერე ვისაა, რო ექაქანება, — გა-
მივივრდა მე, რადგან კაპიტრუ ვეხედე ხე-
ზე გადადგმული ყოველგვარი წყნარად
ყვებოდა მშენებლობის და ოსტატის ამ-
ბავს.

— ოსტატი მოიყვანა, სახლზე ურიგ-
დება.

სახლიდან ახლა გარკვევით მოისმა კა-
პიტოს ხმა:

— ჯერ არა, მარა მერე... უნდა ვი-
ცოდე, მე ჩემი ანგარიში მინდა...

— ოსტატი ყრუა, — თქვა ტუხუიამ.

თავი ხათთა

მეხად

იმ ღამეს ურემზე მეძინა. ქვეშ ხმე-
ლი თივა დავიგე, ზედაც თივა დავიყა-
რე, ხმელი ბალახის ღეროები მჩხვლეტ-
და თავში, ნემსებოვით მესობოდა ყურე-
ბში, მიღიტივებდა კისერში. ვტრიალებ-
დი, გვერდს ვიცვლიდი, უკეთესად ვეწ-
ყობოდი.

ბოლოს გულადმა დავწვიქი. თუთის
ტოტებში ალაგ-ალაგ გამომკრთალ ცის
ფერს დავუწყე ცქერა. ცაზე ღრუბლე-
ბი ირეოდა, მთვარე არ ჩანდა, ზოგჯერ
ვარსკვლავი გამოაპიტებდა, მაგრამ იმ-
წამსვე საიდანაც აუტყდებოდა ღრუბე-
ლი და წაეთარებოდა.

ძალის ყეფაზე ან ხარის ჭეხისხმა-
ზე დედა კარებს აღებდა და ზოგჯერ
ეზოშიაც ჩამოდიოდა.

ჩემს მახლობლად ხეზე მამალი აყივ-
ლდა.

— აღბათ მალე გათენდება, — ვი-
ფიქრე მე, იმის შიშით რომ ურემზე არ
დამთენებოდა. მინდოდა, არ დამეძინა.
ცაზე უამრავი ღრუბელი ირეოდა და
უამრავი ვარსკვლავი იმალეზოდა ღრუბ-
ლებს იქით, ზოგიც ჩანდა. საოცრად
დიდი იყო ცა. მე ვიცოდი გეოგრაფიი-
დან რომ დედამიწა მრგვალი იყო, მაგ-
რამ მე ბრტყელს ვხედავდი მთებითა და
გორებით და ცაც მხოლოდ ზედ დამხო-
ბილი მეჩვენებოდა. ჩაენი სოფელი კი
ქვეყნის შუა გულში იყო და ცაც ჩემი

ურმიდან ყველაზე მაღალი იქნებოდა. მთვარე, რომელიც ახლა აღარ ჩანდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი ურმის თვალზე დიდი ვერ წარმოემდგინა. ან თუ იყო, რა საჭირო იყო ასე უშველებელი მთვარე. ან მართლა ღმერთი თუ იყო ცაზე, როგორც ბებია ამბობდა, რატომ დაიწყეს ომი და კლემენტი ცეტე-რაძე რატომ გაჩნდა ქვეყანაზე. მაშინ ბუღუს სხვა ვინმე იშვილებდა და მე ტყუილ-უბრალოდ არ შემომეღობა და ხელში.

გვიან მაინც წამომეპარა ძილი და კლემენტი მესიზმრა. ღვინის კისერზე შეჯდომოდა, მღვრიე ზღვაში მიაცურებდა და მღეროდა.

გამომეღვიძა.

ქართას მივაყურე. ჩამი-ჩუმი არ იყო. ურმიდან ჩამოვხტი და ხარებს დაეხედე. ღვინის თავი ბეჭზე მიედო და ეძინა.

ისევ თივაში შევძქერი. გავიღურსე. ისევ არ მინდოდა დაძინება.

განთიადის წინ დაკრულმა სიცივემ გამომალეძა. ურმიდან ჩამოვხტი, ქართის კარი გავაღე და ღვინია გამოვიყვანე. მერე მეორის წამოსაყვანად გავბრუნდი. შავი ჭიშკარს წამოედო და ვიჭრიჭინა წანელის კარმა. მე გავიტრუნე, მაგრამ სახლში არავის გაუგია. ალბათ დედასაც - ჩაეძინა ბოლოს და ბოლოს.

— დღეს კულტივატორს მოვსინჯავ. — გავიფიქრე მე, — ჰო, ახლა სახნავი მაინც არაფერია, კულტივატორით ამუშაებენ ყანებს და ჩაის, — ვეცი კულტივატორს, მაგრამ ცხრათობიანი მანქანის აწევა არც ისე იოლი იყო.

მანქანის სახელურს ბეჭით შევეუღდექი, ავაცილე მიწას და თვალზე გამოვაგორე ურმის კოფომდე. ახლა საჭირო იყო აწევა და ურემზე დადება.

ვუცქერდი ხან ურმის კოფოს და ხან კულტივატორს, როგორ დამედო ურემზე ამოდენა მანქანა ისე უხმაუროდ, რომ არავის გაეგო.

— მოდი, გზაში გადავაგორებ როგორმე, მერე იქ... — ვთქვი და ისევ შევეუღდექი ბეჭით სახელურს და უკუ-

სვლით წავედი. თვალი ახალი დახვითილი იყო და არ ჭრიალებდნენ კეხელთგნ შევისვენე, მერე სახლის წინ მჩინდებოდა შევჩერდი, ბოლოს აღარ დავზოგე თავი და ჭიშკართან მივედი. ურემს მივუბრუნდი, ჩხილაზე ჩამოცმულ კამეჩის რქაში წყალი ჩავსახი, საპონი გავქენი, ღერძზე მოვუსვი ურემს, რომ ჭრიალა არ გაეღო და გზისაკენ თითის წვერებზე გავუქმე ხარებს. მინდორზე ნაბლით დაჭედლივით მიდიოდნენ ხარები. გავედით გზაზე.

მე ახლა გულდაგულ ვეცი კულტივატორს წინა თვალში და უკანა თოხზე და სახელურზე დავაყენე, მერე ურემს დავახვიენე უკან და კოფო წინა ორ თოხს მივაბჯინე. ვეცადე, სახელურით ამეწია, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

განთიადი ახლოვდებოდა.

ხარები ჭიშკრის ბოძს გამოვაბი და გოჩასთან გავიქეცი.

ეზოში ნავაზმა ერთი დაიქუხა, მაგრამ მე რომ არაფრად ჩავაგდე, მიბრუნდა. მოხურულის აივანზე ფეხით მიწა ამოქექა და შიგ ჩაწვა.

ღია ფანჯარას მივაღდექი და შევიხედე. ვიცოდი, ფანჯარასთან გოგონას საწოლი იდგა. გოჩა იქეთა კუთხეში იწვა, სადაც ჯერ ისევ ბნელოდა.

დავიხარე და გოგონას ყურთან მიუტანე თავი.

— გოგონა!

გოგონამ თავი შეაბრუნა და მისი თბილი ამონასუნთქი მეცა სახეში.

— გოგონა! — მე ნაწნავში მოვაველე ხელი და ფრთხილად დავწიე. — გოგონა, მე ვარ გოგიტა, გაიღვიძე! გესმის? გოგონამ თვალეზი გაახილა.

— გოგიტა ხარ?

— გოგიტა ვარ, არ შეგეშინდეს, გოგონა!

— რა გინდა, გოგიტა!

— გოჩა მინდა!

— გოჩა? რად გინდა... გოჩა დაღლილია, წისქვილიდან გვიან დაბრუნდა.

— მინდოდა, — ვთქვი მე და უკან გამოვბრუნდი.

— გოგიტა! — მომესმა ალბათ გო-

გონას ხმა, მაგრამ მე უკან აღარ მიმიხედოდა.

ჭიშკართან მოსულს უცებ ფრთხილი ფეხის ხმა მომესმა.

— გოგიტა! — მომაწყდა ნარბენი გოგონა, რომელსაც ისევ ახლდა ლოგინის სითბო.

— მე გოჩა მინდოდა, შენ რა შეგიძლია, შე ქარაფშუტა!

— რა გინდა, მითხარი და...

— რა მინდა და აი, რა მინდა! — მე აყირავებულ კულტივატორთან მივიყვანე — აი, ეს მინდა შევლო ურემზე, შეგიძლია?

— გოგიტა, — წყნარად თქვა მან, — მე მოგეხმარები, მე დაგინახე იმ დღით...

— რომელ დღით?

— გუშინ დღით, კლემენტის...

— აბა მოდი, — გავაწყვეტინე მე და კულტივატორს ვეცი, მეორე მხარეზე გოგონა მიაწვა სახელურს და მალა ავიღეთ, გიუტობდა, თოხები ედებოდა, მაინც ავთარივთ ურემზე.

— გოგონა, დაჯექი, წავიდეთ!

გოგონა ურმის წინა ჩხილასთან ჩაცუქდა.

საყანებში რომ გავედით, აღმოსავლეთი ხანძარივით ენთო.

პერში ტოროლები ტაცუნებდნენ.

მე ურემი შევაჩერე და ჩაცუქულ გოგონას ვკითხე:

— რა გქნათ, გოგონა, სად აჯობებს კულტივაცია?

— აქ ჯერ არ თოხნიან, ახალნამარგლია, ახლა ჩაიში...

— ჩაიში ქალები კრეფენ.

— ყველგან ზომ არ კრეფენ, მე ჩემი ყურით გავიგონე ბაბუას როგორ უთხრა ეზიკამ, ჩაის მიეხედოთ, იმ უპატრონოსო.

— ჩაიში უკეთესიცაა, აქ რომ კვალი გაგვემრუდოს სიმინდებს დათხრის კულტივატორი, ჩაი კი მაღალია, თანაც ასე იოლად არ მოითხრება.

ერთი დავკარი უღელზე ხელი, ურემზე შევხტი და ხარებს გადაეუჭირე. ურემი სირბილით მოწყდა ადგილიდან. მღი-

ნარესთან ისევ ჩავუძებე ხარებს, შემინოდა, ლოდებზე არ შემდგარივით თვალი და ურემი არ გადამბრუნებია.

ჯერ კიდევ არ იყო მზე ამოსული, რომ ჩვენ პლანტაციებში ვიყავით. არსად კაცის ქაჭანება არ იყო. არც გზაზე ჩანდა ჯერ ვინმე.

— შევაბათ, გოგონა, ნუ გეშინია არ გირჩოლებს, აგერ არა ვარ? — მე ღვინიას სახრე გავუქნიე ცხვირწინ და გოგონა გავუყვინე. ურმიდან კულტივატორი გულმოვაგღე.

აქურდები ისევ ჩხირით და კბილით გავხსენი და კაცის უღელი გადავადგი ხარებს, მერე ჯაჭვი წინა ბორბალთან კაკვი მოვდე კულტივატორს და გოგონას სარქვე მივეცი ხელში.

წინა თოხებთან ქვა დავაკარი ბაწრით და ხარები მწკრივებს შორის ჩავაყვინე. შუა მწკრივში გოგონა ჩადგა.

— ფშიი, ოუ, ხარო! — დავძახე და ხარები დაიძრნენ. კულტივატორი ცხრა გაშლილ თოხზე იდგა და ხელიც რომ გამეშვა არ წაიქცეოდა. წინა თოხები ღრმად წავიდა მიწაში.

— გოგონა! — დავიყვირე მე სიხარულით, მაგრამ უკანა თოხი მაინც არ მოეკიდა, მე ავიწიე, შუა თოხს ფეხით მივწვდი და ზედ შევდექი. ცხრა თოხი ერთიანად წავიდა მიწაში, მწკრივებს შორის მიწა აანჯრია, ამოყარა ბალახი, გაათხვიერა და ზურგს უკან შავი ხნული დატოვა.

— გოგონა, კარგია! — ვიყვირე მე, — აჩე, ღვინია, აჩე შავგულა!

— ჰო, კარგია, გოგიტა! — გამეპასუხა გოგონა.

ხარები ქვეიანად მიაბიჯებდნენ მწკრივებს შორის და, მე ვეკიდე ხარებს.

კვლის თავში ნაჩვევი ხარები თავისით მობრუნდნენ, მე კულტივატორს ისევ მხრებით შევუდექი სახელურებში და შემოვაბრუნე. ისევ ჩადგა მანქანა მეორე კვალში. მანქანა მძიმე იყო, ჰირდა მისი ჩამოთრევა, მაგრამ, როცა თოხები ისევ ღრმად შესერნენ მიწაში, სიმძიმე ისევ დამავიწყდა და ყიფინა დავეცი ხარებს. დავეცი ყიფინა და სოფლისაკენ

მთელი ხმით გავძახებ:

— კლემენტია ცეტერაძე, ვერ მოგართვი!

გოგონა შემობრუნდა, შემომხედა, გაეცინა ჩემს მუქარაზე და ისევ სარქვეზე ჩაფრენილი გაუდგა მწკრივებს შორის.

თავი მითხრობდა

უხისამართო წერილი

წვიმს.

წუხელიც წვიმდა, მთელი ღამე არ გადაუღია. მამაჩემის საწვიმარი მოვიხურე და ეზოს ბოლოსაკენ გავსწიე, ავედი მესერზე და მინდვრების გადაღმა გავხედე. მდინარე მოდიდებულა. კალაპოტი მოწითალო, მღვრიე ფერის წყლითაა სავსე. ყანებში ალაგ-ალაგ წყალი დგას... ალბათ დაუქვალავი დარჩენილა.

ხარები სამზადის აივანში მიბია. ზრუტუნებენ, ტყეპნიან ადგილზე, ტალახი ააყენეს სოხანზე. გაწუწული წიწილები წიაჭობენ და ხარის ფეხებში დამკვრივან. კრიახობს ქილუქთან მიყუყუელი კრუხი და უხმობს გაფანტულ წიწილებს. ზოგი უკვე შეფარულა ფრთის ქვეშ, ერთს გაწუწული თავი დედის ილიაში ამოუყვია კიდეც და ასლოკინებს.

დედას სარეცხი აქვს. ზაზა ხან ივიანშია აბუხული ხან სამზადში. ბებია ისევ აკვანს უზის. ხელები თავზე აქვს შემოდგმული. შავი, გრძელი კაბის კალთას ისევ აჩნია წვეთები, ალბათ ისევ თუ ჩაასველა თათიამ. თათია წუხს, ტირის, არ ეძინება, წუხელიც ტირილით გაათენა. ბებია ამბობს შეხურებულმარქმე აწყინაო. ძუძუსაც უხალისოდ კიდებს პირს, ღვიის და ღვიის.

კეცის ნატეხით თავდახურული ლობიოს ქოთანს კერიაში თუხთუხებს.

მე სატაბიკეებს მივაგენი შემაში და თლას შევუდგე. ვცემ წალღს, დავკრავ რამოდენიმეჯერ და მეღლება ხელი. წალღი მძიმეა, ტარი გრძელი და ფართო აქვს, ძლივს ვაწვდენ თითებს. ვისვენებ. მერე ისევ ვცემ, მაგრამ წალღის

გრძელი ტარი ხალათში მეღება და მიფხრეწს. ვცემ ისევ, მაგრამ წალღს ვაღწევ. წალღს ადგილზე ვერ ვახვედრებ. მიცდება, ან მაღლა ვურტყამ სატაბიკე ხეს და ვამოკლებ. ვერაფრით სააპეურე ვერ ჩავუთალე. აგერ, სულ მოვრჩი, რომ მეგონა, მაშინ გამიცდა, ველარ შევიმაგრე წალღი და ბოლომდე ჩავთალე.

ისევ ვბრაზობ ჩემს თავზე თუ წალღზე. მერე ხერხი მოაქვს ზაზას და ვამოკლებ ტარს. ვთლი ნაჯახით და ვაწვრილებ, საჩემოდ ვაკეთებ და ისევ ვთლი.

უკვე ოთხი შრომადღე გამოვიმუშავეთ მე და გოგონამ. დღესაც რომ ამინდი ყოფილიყო, ისევ წაეიდოდით ჩაიში, ძროხებს ურმის ბოლოს გამოვებამდით, მერე იქვე ქარსაფრებში და ველებში გავუშვებდით საბალახოთ და შევუდგებოდით საქმეს.

მზე რომ ორი თოხის ტარზე წამოვიდოდა, ეზიკაც გამოჩნდებოდა. უტერფო ფეხს ხესავით მოათრევდა და ნამუშევარს დახედავდა, თავს გადააქნევდა, ძროხებს დაინახავდა ქარსაფრებში და გადმოგვძახებდა:

— ჩაი არ გააფუქონ იმ ძაღლის შესაქმელებმა!

— არა, ბიძია, არა!

მერე გასწევდა სადღაც იქითა მხარეს, ბუჩქებზე დააპირებდა გადასვლას, მაგრამ წინ რომ მტკივან ფეხს გადაადგამდა და მერე მეორეს გადაიტანდა, დაბარბაცდებოდა, თავს ვერ იმაგრებდა. შეიგინებდა ერთს რჯულზე და მწკრივებს შორის გაყვებოდა.

საღამომდე არ ჩანდა. გვიან ისევ კოჩილით მომავალი გამოჩნდებოდა, ხელში საყინიანი გრძელი ჯოხით. დაუყვებოდა ნამუშევარს, სიგრძე-განს გაუზომავდა და დამიძახებდა:

— გაამრავლე ეს რაღაც ეშმაკია. ვერაფერი გავუგე...

მე სიგრძის მეტრებს განისაზე ვამრავლებდი და ნამრავლს ეზიკა წიგნაკში ჩაინიშნავდა, ჩემი სახელისა და გვარის გასწვრივ. გოგონას მოკრით უწერდა ნახევარ შრომადღეს. წასვლის წინ ისევ ძროხებზე მიგვითითებდა:

— არ გააფუტონ ეს ძირგასახმობი!

— არა! — ვეტყოდით ჩვენ და ისიც აითრევდა ფეხს, ჩაიბუზღუნებდა, შეიგინებდა და წავიდოდა.

ჩვენ არ ვიცოდით, ბრიგადირი იყო თუ არა ეზიკა, არც მან იცოდა. სად შეეძლო ბრიგადარობა, დილით მთელ სოფელს როგორ დაივლიდა, მაგრამ ნამუშევარს ზომავდა, ანგარიში არ იცოდა, მაგრამ რა ექნა, ვილაცას ხომ უნდა აეზომა და ეზიკაც დროებით ასრულებდა ამ საქმეს.

წვიმამ იკლო. მე ოთხი ტაბიკი გამოვიჩინე და ორი კავის უღელში ჩავაგე, ახალი აბეური ჩავაბი.

გაწუმებული ზაზა მოპარტყუნდა, მუჭში დასველებული ფული დედას გადასცა.

— დუქანში პური არაა!

— რაო, არ იქნებაო?

— არა, — თავი გაიქნია ზაზამ, რაღაცის თქმა კიდევ დააპირა, მაგრამ დედა გაწურული ხეწრის გადასაფენად გატრიალდა. ზაზა მე მომიახლოვდა, ერთხანს ჩემს საქმიანობას ადევნა თვალყური, ბოლოს გამშორდა, ბებიას ნაღვლიანი თვალები მიაპყრო და გაუბედავად უთხრა:

— მშია, ბებო!

— მერე ჭამე, თუ გშია, — თავაუღებლად თქვა ბებიამ.

— პური მშია!

— პური ჭამე, შვილო!

— პური არაა, — იგი სამზადში შევიდა, იქიდან მჭადის ნატეხი გამოიტანა აივნაზე, საძირკველის თავზე ჩამოგდო და უგულოდ დაუწყო ღირღნა.

— გოგიტა! — მოისმა გზიდან.

ჭიშკართან თომა იღვა დიდი შავი ჩანთით.

— წერილი მოვიდა! — დავიძახე მე და ჭიშკრისაკენ მოვკურცხლე.

თომა ჩანთაში აფათურებდა ღრმად-ჩაყოფილ ხელს და ელამი თვალებით ხან მე მიცქერდა თავის კმაყოფილი კანტურით, ხან ჩანთის ღია პირში ჩახედავდა. იგი თავიდან ფეხებამდე სოველი იყო, მუხლებამდე მოსვრილიყო ტალა-

ხში. ბოლოს ჩანთიდან სამკუთხა თეთრი ქალაღი ამოაძვრინა და ხელი მალა ასწია თვალები მოკუტა:

— რა იქნება, ბიძია, მაყარჩი, — მან წერილი ხელში შეათამაშა, — მოგიტანე, ბიძია, აბა!

— ეზოში ჩამობრძანდით! — მივიპატიე მე.

— გუშინწინ ვერაფერი მოგიტანე. ვერც გუშინ, მაგრამ დღეს... შენზე მითხრეს ხარებს ჰკიდიანო, მართალია? ჰოდა, აბა შენ იცი, ბიძიკო! და ჩემზე იყოს... ჰა, შენ წერილი, — გამომიწოდა, მაგრამ ხელი ისევ შეაჩერა და მკითხა:

— დედა სახლშია?

— სახლშია.

— ჰო, დღეს წვიმს... ვიფიქრე გადავიწვიმებ მეთქი მარა... — წერილი მომაწოდა და სანამ ხელში მომცემდა, გამაფრთხილა: — ბებიას წაუკითხე, იცოდე!

— მობრძანდით, მობრძანდით! — ჭიშკარს ვეცი მე.

— არა, ბიძი, აგერ სიმონიკას წერილია კიდევ... აგერ... ჰმ, ამბაკოს წერილი არც დღესაა, რატომ არ უნდა იყოს ამბაკოს წერილი, აპ? ვიკითხე იქ გამანაწილებელში, რაცაა, ესააო, მითხრეს, კი მაგრამ ამბაკოს წერილი უნდა იყოს მეთქი, — თომამ მხრები აიჩეჩა, — არაა, რას იზამ ახლა... არც კოწიას წერილი არაა.

ეზოში დედა გვიახლოვდებოდა. სოველ ხელებს წინსათარზე იმშრალებდა. უკან ზაზა მოსდევდა.

— ჩამოდით, ბიძია, გადაიწვიმეთ.

— მერე იყოს, ბიძია, დათიკო რომ ჩამოვა მერე. — გზას დაადგა და დედას მოაძახა: — ქმრის წერილი მოგიტანე, ივდითი, ქმრის, ხაჭაპური შენზეა, — იგი ატალახებულ ორღობეს ცუხცუხით გაუყვა.

ეზოს თავში შეჩერდა. ეტყობოდა ვილაცას მოკრა თვალი. წელში წაიხარა, ღობეს მოფარებული შემობრუნდა და ისევ ჭიშკარს მოადგა. იგი ახლა მოკუნტული ჩანდა, მხრები მალა წასვლოდა

და კისერი კუს ბაკანიდან თავგამოყოფილს უგავდა.

— გამილე, გამილე, ჩემი ბიძიე!

მე კიშკარი გავაღე.

იგი ეზოში მოხრილი შემოძვრა.

— მობრძანდი, მობრძანდი! — მოიპატიეა დედამ.

— არა, ჩემო ივდითი, მაქვთ სად მცალია, — მარა აგერ, — მან ეზოს თავში გაიშვირა ხელი — ეკა მელოდება: კიშკართან. გუშინაც მელოდა, გუშინწინაც, არაა წერილი, დღეისათვის დაეპირდი, ისევ არაა. აგერ ეზოზე გადამაცილე, ძალღმა არ მიკბინოს, — ახლა მე მომიტრიალდა თომა და სახლს მოფარებულმა ეზოს ბოლოსაკენ გასწია, — ხვალ ქე იქნება, მარა დღეს ხო მოვატყვილე ამ ხნის ქალი.

ეზოდან გადასვლის წინ თვალეზში

გამომცდელად ჩამხედა და მუდარით მითხრა:

— ეკასთან არ გამამხროს ჩემი მისაძიე!

მე სახლში გავიქეცი. დღესვე მამას წერილს გავუგზავნი და მივწერ, რომ ღვინია არ მერჩის, ოთხი შრომადლე გამოვიმუშავე, თათია რომ ავადაა არ მიეწერ.

წერილს სამკუთხა ბეჭედი ჰქონდა. ზედ ჩვენი რაიონისა და სოფლის სახელი ეწერა ქიმიური ფანქრით. ქვევით მრუდი ხაზი გავსვა მამას და თავისი სახელი მიეწერა. მეტი არც ქალაქის დასახელება იყო და არც ქუჩის. არც არავითარი ნომერი და მე გამიკვირდა.

მამა გზიდან იწერებოდა და არ იცოდა სად მიდიოდა ეშელონი, სად გაჩერდებოდნენ, სად დაბანაკდებოდნენ და როგორი იქნებოდა მისი მისამართი.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი ლონიძე

ჩვენი ჯერია!

„ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი,
განახლებული გრიგალის ქროლას“!
სთქვა ერთმა, როცა ყური დაადო
მიწას და იგრძნო ახალი თრთოლა!

და მეორემ სთქვა, როდესაც ხალხმა,
ცხელი ვაზნები თოფში ჩაყარა:
„ნეტავი სისხლით,
შემაღებინა ჩემი ჭაღარა“!

მესამე სიტყვა ჩვენი ჯერია,
სთქვას შემართებით ჩვენმა თაობამ;
რომ ქარიშხალთან ტყუპად იარო,
გინდა ქარიშხლის განმბედაობა!

ახლო ლექსო!

ტბათა მვერცხლავი მთვარე ბრწყინავდა,
ურმული ზურმუხტს ჰფანტავდა ველად...
ქაბუჯურ დღეებს გადამყივართა
და წარსულს ვმზერდი წაჭრილ თაველად.

დღე გარდასული თუ დაიჭიშკრა,
თუ შემიბერდა ხე რტორჩავალი;
ვარსკვლავთა ცრემლებს დავწურავ ცისკრად,
რომ გავინათო გზა მომავალი...

გამომხმობელი დიდ ნახმევების,
ძველ ნახმლევეების მწველი სიმღერის, —
მომავალ დღეებს ვესახელები,
დღეის ყრუანტლის დენის ზიმღები...

ახლო ლექსო, მოგელი კვარით,
ვით მარტში, მთის ღვარს, მოელის მტკვარი!...

ახ, კიდევ ერთხელ მაჩვენა!

ერთი პატარა სანთელი...

სულ ერთი, პატარა ღერი...

მოგონება და ნაღველი...

დამწვანებული წალვერი...

ახ, ნეტამც კიდევ ედინა,

ბულბულის რაკრაკს მთვარეში:

ახ, კიდევ ჩამახედინა,

იაგუნდჩამდგარ თვალეზში!

ტუჩის ვარსკვლავმა მინათოს,

წითელი დაწვის ატლასმა!

ვნატრობ და ხვალეც ვინატრო,

რაც მოგონებამ დათასმა!

რომ ხვალ, მეუფის არწივთან,

მღეროდეს ჩემი ბულბული;

და რაც შეგფურად მაწვიმდა

ის ცეცხლი, მწვავდეს გურგურით!

სულ ვიდგე მზიურ ელვაში,

ვიყო მზით ლექსის ყვერვაში!

ახ, კიდევ ერთხელ მაჩვენა,

ან, სულამც გადამაჯერა!..

სვეტიცხოველი

სვეტიცხოველი... დიდი საყდარი...

ლომკაცურ ნოდგმის ოცნება ქვისა...

წარსულ ქარების ქროლვით გამხმარი,

ძველი ზომალდი სისხლიან ზღვისა!..

შენ ხარ ფრინველი, წარღვნამდე მფრენი,

ახიის ტყეში გზაგახირული;

ხარ უკვდავების უკვდავი ფერი,

ერის ხერხენლით ამოკირული.

გუმბათის წვეტით მისჩხვლეტავ ზეცას,

მხრებზე დიდების სიმძიმე გზურავს;

გარდასულ ცეცხლის ბურჯღლებით მწეწავ.

შენ, — ისტორიის ჩამქრალო ქურავ!

მაგრამ შენს ირგვლივ დღღან დღეები,

ცხვევა ტალღა, ებრძვის ფრიალოს,

რომ თავისს შექმნილ სიმადღეებით,

ყველა მწვერვალი გადაიაროს!..

ჩვენს მარშიან

მარში

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარშილი
 და სვანეთივით სხვას ვესესხები,
 ალბათ ამიტომ ქარიშხალივით
 არ მქუხარებენ ჩემი ლექსები!

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარშილი,
 არ არის მყარი და ძვალმაგარი,
 თუმცა წინ მინთია კელაპტარივით
 ჩემი საშობლოს ლურჯი მთაბარი.

იქნებ!
 არ ვიცი, მკლავენ ეპეები,
 სიტყვა არ მიჭრის ბასრი ხმალივით,
 ვერ დავიჯერებ,

ვერ შევეჩვევი,
 რომ მართლა ჩემს ლექსს აკლდეს
 მარშილი.

მაგრამ ვაი თუ აქაც მიწია
 ჩემმა ჯილაგმა,
 ჩემმა სვანობამ
 ვერ დავიჯერებ! არ შემიძლია...
 უმარშილობა თუ მიწყალობა.
 წავალ აღზევანს
 ცხრა მთას,
 ცხრა წყაროს,

ძველ ურმულივით გზებს გადავივლი,
 რომ საქართველოს შემდეგ ვახარო —
 როგორ ვიშოვე სვანმა მარშილი

ჩიტილი

მე როცა მთიდან გადმომრგეს ბარში
 სუსტი ვიყავი, როგორც ჩიტილი,
 მთებს მივტიროდი პატარა ბავშვი
 და ბევრჯერ, ბევრჯერ წამისკდა ქვითინი.

მეგონა ჩიტილს მაჰკნობდა ხვატი,
 უხმოდ ენაბავდი სიცხიან თვალებს,
 წვიმას ენატრობდი, ღვთის გულისათვის,
 ნეტავ მოვიდეს თბილისში მალე!

წყალი მწყუროდა, მოჰქონდათ პეშვით,
 ის იყო ჩემი სიცოცხლის წყარო,

მიწაში მძლავრად გავიდგი ფესვი,
 ახლა თბილისის მიწაზე ვხარობ.

ახლაც აქ ვხარობ, კვლავ ფერუცვლელი,
 და ტრფობით ფეთქავს გული მღელვარე-
 ყელმოღერილი შორით ვუცქერი
 კავკასიონის ამაყ მწვერვალებს.

და მელანდება ფაფარაყრილი
 ღრუბლების ბრძოლა, მეხთა ჭიდილი,
 შორიდან აღწევს მთების ძახილი
 და კვლავ ვცახცახებ, როგორც ჩიტილი...

ვიცი რომ ბევრი გაფრინდა წელი

ვიცი რომ ბევრი გაფრინდა წელი
 დაუვიწყარი ყრმობიდან დღემდე.
 სიხარულიც და პატარა ცრემლიც
 გზადაგზა თითქოს კვალდაკვალ
 მდევდენ.

ლხენაც,
 სიმწარეც
 ვიგემე ბევრი
 ბევრი უარყავ და ბევრი დავგმე,
 ჩემს თავზე, როგორც კალოზე კვერი
 ბრუნავდა ჩემი სიტყვა და საქმე!

ყოველწლიურად ვბერტყავდი ხურჯინს
სიმაართლის მარცვლებს ვფანტავდი
ხალხში.

ხან ბავშვი ვიყავ,

ხან კიდეე ურჩი,

ხან საკარცხელზე მთვლემარე მახვში.

ხან ფეტვს ვთესავდი,

ხან კიდეე ხორბალს.

კვალი გამყავდა კიდიდან კიდით,
ვმკიდი და დღემდე რაც კარგი მომყვა
იმასაც მიწის საჩუქრად ვთვლიდი!

ბევრი ვიარე დარშიც და ქარშიც
და ქართულ სიტყვას კვლავ ვეჭვიდებო.
შუახნის კაცი ისევ ვარ ბავშვი
ქიმიურ მეღნით მოსვრილ თითებში.

ცხოვრების გზაზე ბევრჯერ ვღელავდი,
რაც განვიცადე შევე შეუთვისის...
სიხმარი იყო ჩემთვის გელათი,
ზღაპარი იყო ჩემთვის გეგუთი.

... სიტკბო მიმქონდა ამა სოფლიდან,
რომ საწყაული სულის აშევესო
ქიქა ღვინო და პური მყოფნიდა
და საქართველო საასპარეზოდ!

დ ა რ დ ი

თუმც სიხარულის ვარ თანამგზავრი
ზღაპრის ახდომის და სასწაულის.
მაშ, რისთვის ღვივის დარდი ჩამჭრალი
და მესმის გულის მძაფრი ხმაური.

კვირტს ვერ დავასწარ თვალის გახელა
და ჩემს გაზაფხულს ფიქრის განდობა,
თანდათან ქრება ვით ცისარტყელა
ჩემი მჩქეფარე ახალგაზრდობა!

თითქოს მიხსენებს, რაც გულს
სტკენია —
ბრძოლის და ტრფობის ნიარეები,
მე თვით არ ვიცი რისთვის მრცხენია,
რომ დარდიანი დავიარეები!

და განა დარდი მეუცხოვება?
გულში ღვივდება სევდის ხანძარი!
ეს მისთვის, რადგან ამ ჩვენს ცხოვრებას
თუნდ ერთი წუთით ვერ გავასწარი!

როგორ შევხედო მამულს თვალეზში
ვით გავუსწორო თვალი დამწველი,
ჩიტებს ნისკარტით ყველა მხარეში
ლექსი არ დააქვთ, ჩემი ნაწერი.

ისევ მიხსენებს რაც გულს სტკენია
ბრძოლის და ტრფობის ნიარეები...
გასაგებია? რისთვის მრცხენია,
რომ დარდიანი დავიარეები.

მოგონებებო წამით შეერთდით!

მოგონებებო, წამით შეერთდით
და იქნებ იცნოთ თქვენ ერთმანეთი!
ვაზებში ფხიზლობს დედის კლდეეთი.
ვაზზე ოცნებობს მამის სვანეთი!

რომელს გისმინოთ!
ერთი გული მაქვს
და რომელ თქვენგანს მივყურადო.
ჩემი ფიქრებიც დაფანტულია
მამავ გულადო, დედავ პურადო!

მე თუ ფიქრიან ბუხარს ჩავცქერი —
მაშინ მაჩუბის ცეცხლზე ვფიცხდები.
ხან მზე მაცხუნებს.

ხან მწვეავს ნამჭერი,
ხან ვილიმები, ხან ვინისლები!

ხანაც მწვიდი ვარ ბუნებასაეთი.
ხან გაყუჩებას ვერ ვეთვისებო.
ხან ჩემს თვალეზში ბრწყინავს
ვარსკვლავი
და ხან მდლდარე ცრემლით ვივსებო...

როდის, სად ნახეთ თქვენ ერთმანეთი
და ჩემში ასე როგორ შეერთდით,
რომ ძელქვად მკლავში სუნთქავს
სვანეთი
და მაქარივით ფიცხობს კლდეეთი!

წვიმაში

მოვარდა წვიმა.

ხატხულის წვიმა.

სულმოუთქმელად მცემდა სახეში.
 ღრუბელმა მკლავზე გადამიწვინა
 და ნისლში მოვხვდით მე და სპალეში¹.

მთის წვერზე იდგა ნიში ორბივით
 თითქოს შეჩერდა ცისკენ მავალი
 დასველებული და დაპორფლილი
 ფრთებად ეკიდა ძველი ყავარი...

ღია კარებში შუქი ჩამქრალი,
 მიტოვებული საკურთხეველი,
 არც ანთებული სანთლის კანკალი
 და მხოლოდ ხატი გაწვდილ ხელებით!

მე, შვილმა მამას რა უნდა უთხრას

თოთხმეტი წელი ლბინსა და ტირილს
 უშენოდ შევხვდი და შენდაგვარად,
 უცბათ შევნიშნე უღვაშზე რთვილი,
 უცბათ შევნიშნე თმაში ჭაღარა!

თოთხმეტი წელი გზედავდი ძილშიც
 და შენნაირად ვხედავდი ყველას,
 და მეც შენსავით ლექსების შიშით,
 წინ მედგა, მაგრამ ვეძებდი მელანს.

თოთხმეტი წელი გამიქრა ხელში
 და შეიღმა მამას რა უნდა უთხრას,
 შენ რაც დაკარგე სიმწიფის წლებში
 ნეტავ თუ ახსოვს მეგობრის სუფრას?!

შენ მხოლოდ გასციდი ორმოცდაცამეტს
 როცა მოგხვია სიკვდილმა ხელი,
 მას შემდეგ დედას აცვია ღამე

ომი შორს ჩამრჩა ხსოვნის ბურუსში

მე ელვა-მეხის შიში არა ჰაქვს,
 არც ზეაეის, კლდეს რომ ჩამოაგორებს
 და მინდა გითხრა დაუფარავად
 ეს ყველაფერი მე ომს მაგონებს!

თვით ღმერთებისგან დაღვიწყებულ
 და ამირანის ხელზე დასდგარი
 ხანდახან ელვით განათებული
 ღრუბლებში იდგა ძველი საყდარი!

წვიმა და ქარი მცემდა სახეში
 და ციდან მეხი დამგრუხუნებდა.
 მესმოდა ღრუბლის მღვრიე ტალღებში
 გუგუნე ძველთა საუკუნეთა.

მე კი დადლილს და ქცეულს ფიქრებად
 თვალწინ წარსული მედგა ჩამქრალი.
 ამოებას,

გადავიწყებას,
 ალბათ, ნაღვლობდა ძველი საყდარი.

კუპრივით შავი,
 კუპრივით ბნელი.

თოთხმეტი წელი.
 ძმობაც და შურიც....
 გადალახული თოთხმეტი წელი.
 ღვინოში ბევრჯერ ჩავაწე პური
 და მეც შენსავით მრავალი წელი
 შინ ვბრუნდებოდი ცარიელ ხელით.

თოთხმეტი წელი.
 ლბინიც და ტაშიც
 უშენოდ, მარტოდ და შენს გარეშე,
 ხან შენნაირი სითბო მაქვს ხმაში,
 ხან შენნაირად ცრემლი თვალებში!

... დიდი ხნის შემდეგ შევდგები შიშით
 დავეთვლი ჩემი სიცოცხლის წამებს,
 როცა გაცედები ჭირსა და ლბინში
 გამოტარებულ ორმოცდაცამეტს...

ომი შორს ჩამრჩა, ხსოვნის ბურუსში
 მოუშუშები მწველი ჭრილობა,
 გადავიწყებულ კამიშ-ბურუნში....
 ნუ მომაგონებ დედაშვილობას!

ომი შორს ჩამრჩა, სულის კენჭულში
 მიძინებული მწველი ნაღველი,
 დედის ლოცვაში,

¹ სპალეში — ადგილი სენანთში, სადაც დგას ძველთაძველი ეკლესია.



მამის გუგუნში
თრთოლვით ნათქვამი ომის სახელი....

ომი შორს დარჩა... ძმათა ხსოვნაში
ბევრი ღამე და ბევრი ღვიძილი,
მეგობრის სულის ამოხდომაში,
ტყვიამფრქვევების ისტერიული,
განუწყვეტელი შორი სიცილი....

მე ელვა-მეხის შიში არა მაქვს
ვერას დააკლებს იგი მთაგორებს,....
მსურს ისევ გითხრა დაუფარავად
ეს ყველაფერი მე ომს მაგონებს...

ჰო, ომს მაგონებს... იწივლებს ფერხთით
აბუტბუტდება ტყვიით ტალახი,
ოთხ წელს მეხვია ბურუსი დენთის,
მხრებზე მეკიდა ვით ჩაბალახი.

და როცა მთებში ელვა მძაფრდება...
და ნიაღვრები შხუილით რბიან...
ლოყაზე სიმწრის ცრემლიც ასხლტება,

როგორც ზუნს მტრისგან წასროლი

... და როცა მთებში მეხი გრუბუნებს
დამწვარი მუხა ხეებში ბოლავს,
ფიქრში წასული ზეცას ვუყურებ
ღრუბლის და ელვის ღმერთების
ბრძოლას....

ო, არა, არა, შიშს არ გავივლებ
თუნდ ელვა მეხმა თვალეზი დამწვას,
მიჩვეული ვარ ტყვიის ყვაივლებს,
ქარტახილების ცეცხლსა და ნაცარს.

მე შინ დაებრუნდი მშვიდობის საგზლით,
მე ჩამოვეყვი მშვიდობის ნიავს,
შინ მაინც მომყვა სიმკაცრე სანგრის,
ზუნჩე მიმსკდარი ვერაგის ტყვია...

მე ელვა-მეხის შიში არა მაქვს,
მეხი ვერ აკრთობს ამაყ მთაგორებს,
თუ დაუფიქრდება, დაუფარავად
მიტომ რომ განვლილ ბრძოლებს
მაგონებს.



აკაკი ბელიაშვილი

შპირკაცა*

მძიმე იყო ჩემთვის მაღაროში მუშაობის და სწავლის პირველი წელი. არა მარტო ჩემთვის, ყველასათვის. არც ისე ადვილი აღმოჩნდა პარმენის ინიციატივის განაღდება და თითქმის ყოველდღე ისეთი დაღლილი ვბრუნდებოდი სამუშაოდან, აღარც სწავლის თავი გვექონდა, აღარც გართობის, ხანდახან ჰამაც კი გვეზარებოდა და ძილათ ვიყავით მივარდნილი. რომ დავეყრებოდით ლოგინზე, დილამდე ფეხგაუნძრევლად გვეძინა. დილაო, ვლაპარაკობ, და, ჩვენთვის ხან საღამო იყო დილა, ხან შუადღე, ხან შუალამე. სხვადასხვა ცვლაში გვიხდებოდა მუშაობა. ყველაზე ძნელი ასატანი თურმე ეს ყოფილა. ჩვენთვის, სოფელში გაზრდილი ბიჭებისათვის დღისით ძილს შეჩვევა ნამდვილი წაშენა იყო. თვალები გვეწოდა, ისე გვეძინებოდა, მაგრამ დიდის გაჭირვებით კიდევაც რომ წაგვედვა თვალი, მეორე წუთში გაღვიძებული ვიყავით და მერე, რამდენიც არ უნდა მივძალუბოდით თავს, ძილი არ გვეკარებოდა.

ავდგებოდი, ვითომ მეცადინეობას შევეუდგებოდი, გადაეშლიდი მხაზველობით გეონეტრიას ან თეორიულ მექანიკას, მაგრამ მეტი არაა თქვენი მტერი სულ ატრიალდებოდა თვალწინ. ყველაფერი. არც ცისანასთან ერთად მიხერხდებოდა სისტემატიური მეცადინეობა. მარტო კვირაობით თუ შეეხვდებოდით ერთმანეთს და გადაეხედავდით მოსამზადებელ განაკვეთებს, თორემ სხვა დროს, როცა ის შინ იყო, ზე მაღაროში

ვიყავი და როცა მე შინ მოვდიოდი, ის სამუშაოდ იყო. ასეთ დღეში იყენებ ტანგესაც და კოტანგესაც, თუმცა ჩემთან შედარებით ისინი უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენდნენ და თავს ეძალუბოდნენ, რომ ცოტა რამეს მაინც მოეროდნენ.

განსაკუთრებით გვიჭირდა მხაზველობითი გეომეტრიის შეთვისება. ეს საგანი ჩვენთვის ნამდვილი ჩინური ანბანი იყო. უმალლეს მათემატიკას, თეორიულ მექანიკას, კრისტალოგრაფიას სულ ლაწალუწით ვაზნადებდით, ადვილათ ვგებულობდით, დამხმარე ლექციების მოსმენაც კი არ იყო ჩვენთვის საჭირო, ამოცანებს ადვილად ეხსნიდით. ამ მხაზველობითმა მოგვსპო. ლექტორი გვეუბნებოდა, ამაზე ადვილი საგანი ქვეყნად არ არსებობსო. ჩვენ კი სულ ბურანში ვიყავით და რას ნიშნავდა ეს გეგმილთა სიბრტყეები, ამ სიბრტყეების შებრუნება, წერტილების დაგეგმარება, ჯერ პირველ მეოთხედში ზერე მეორეში, მესამეში თუ მეოთხეში, აზრზე არ ვიყავით.

სინუსა უყურებდა ჩვენს წამებას და სიცილით იგუდებოდა. იმას რა ენაღვლებოდა, ჩვენ რომ ამ გაწამაში ვიყავით და თვალებს მუშტებით ვისრესდით, ძილი არ მოგვრეოდა, ის მელიასავით გაძვრებოდა და ხან კინოში იყო, ხან კი რომელიმე გოგოს გაიტყუებდა საარშიყოთ. მერე დაბრუნდებოდა და გვებთქავდა გულზე.

— რას შევებით? აკლავთ თავს? ჯერ მწარეს მიიართმევთ, რომ მერე ტკბილი ჩაცეცხლოთ? მეტი არაა თქვენი მტე-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11, 12.

რი, ტკბილი თქვენ არავინ გაღიროსოთ. ღენტორა კვახაძეს ეგონა, რაც უფრო დავეძალეები მწარეს, სიბერეში მეტ სიტკბოს ველირსებო, ის უბედური ისე ჩაეიდა სანარეში ერთი კენიტი შაქარი არ ღირსებია ცხოვრებაში.

— დაეგდე შენთვის, ნუ წაგიგდია ენა. ხომ ხედავ ვმეცადინობთ, — გულმოსულად ვუყვირი მე, მაგრამ სინუსა ამ ჩემს შენიშვნას ყურადღებას არ აქცევს.

— იმეცადინეთ, იმეცადინეთ. მე გიშლი თუ? იწვალეზთ, აგრე ერთი ექვსშვიდ წელიწადს, მაგაზე ადრე დაუსწრებელი ჯერ არავის დაუშთაერებია, მერე დაგინშნავენ ათისთავად და ერთ ხუთ წელიწადს კიდევ, რასაც ახლა ღებულობ, იმის ნახევარს დაგინშნავენ თვეში ჯამაგირს. მერე, ერთი ათი წლის შემდეგ იქნება გელიროსოთ მეზივის ხელფასი. ამასობაში თმა გაგკევიათ, მკლავში მართალია ღონე მოგემატებათ მარა... სხვაგან მოგაკლდებათ, ცოლის შერთვას დააპირებთ, მაგრამ შვიდი შვილი რომ ეყოლება გასაზრდელი, იმაზე ახალგაზრდა ქმარგაყრილის ან ქერივის მეტი თქვენ არავინ გამოგყევათ ცოლათ, ისიც ყოველღე იმისთანა აღილოს გაგიმართავს სახლში, რომელ ტოტზე ზოინდომებ თავის ჩამობრჩობას, გარჩევაში არ იქნები.

— შენ ხომ ასწრებ ყველაფერს ცხოვრებაში და მეტი რაღა გინდა, — გესლიანად ვუბნები მე და თვალს თვალში ვუყური, — კარტის თამაშის თეორია და პრაქტიკა ხომ ჩააბარე.

— კაცმა ყველაფერი უნდა იცოდე ცხოვრებაში. გაჩითვა ვინც არ იცის, ის რა კაცია! ასე რომ დაიჭერ კარტს ერთიერთმანეთზე დაღებულს და ნელნელა აძერენ ქვედა კარტს. ზევიდან „ტუზიანი“ ადევს და იძახი, აბა „ჩეტირესბოკი“, ბიკო. ან და „ტუზიანი“ და სალდათი გაქვს ხელში და დაირტყი კიდევ კარტი, „ტრისბოკი“ გინდა. მაშინ ნამეტანი ნელა უნდა გაჩითო კარტი. ზემოდან უნდა დაიწყო. დაწიო იმდენზე,

რომ ჯერ ორი „აჩკო“ გამოჩნდეს და მესამე ცოტა ქვეით შუაში, ახლა მთავარია გვერდებიდან. ჯერ „არქიტოცა“ „ტრისბოკია“ თუ „ჩეტირესბოკი“. ხსნი ნელნელა კარტს, ხსნი და... აჰ, მაგაზე გემრიელი ქვეყანაზე თუ რამეა ნეტა, რვიანი რომ გამოვა, გადაშლი ოცდაერთს და გორათ რომ დგას ფული, რომ მოხვეტავ. ის კი, ვისაც მოუჭრი, გულზე სკდება, ოციანი უდევს წინ...

— ეგაა შენი ტკბილი, ამთავითვე რომ მიირთმევ და ჩვენს დიდებულ მგოსანს დაეთ გურამიშვილს მასხრათ იღებ?

— რატომაც არა...

— წაგამწარებ მაგ სიტკბოს, თუ ბიჭი ვყოფილვარ, — ვემუქრები მე. მართლაც ჩემს დაგებულ ბადეში მალე გაებენ ყველანი.

როგორც კი მოგვიტანეს ანბავი, თუ რომელ გვირაბში შეძერენ პიერკვადრატა და მისი ამფსონები კარტის სათამაშოთ, მაშინვე მთელი ჩვენი ბრიგადა წავედით ზილიციელების თანხლებით მათ გასაძაგრადა. ყველაზე წინ პარმენი მიგვიძლოდა. მართლდა, ისეთი გვირაბი მოეძებნათ იმ უნამუსოებს, თუ საგანგებოთ არ იცოდნი, სად იმყოფებოდა, კაცი ვერ მიაგნებდა მის შესასვლელს. მთლად იყო დაფარული მაცყლის ბარდებით. გადაძვერით სათითაოდ, ავანთეთ ელექტრონის ფარნები და ისეთი სიფრთხილით წავედით, რომ თან ყურს ვუგდებთ, იქნება ლაპარაკი შემოგვესმას მათი. ჩამიჩუმნი არ ისმის. მივადექით ნაქცევებს, სად წაივდით, აღარ ვიცი, იმ ნაქცევებში თუ გაძვრებოდნენ, რას ვიფიქრებდით. დააღირათავი პარმენმა და ხელიკვიით გაძვრა ლოდებში. მივყევით ჩვენც. ვხედავთ. იქით, სუფთა, მშრალი გვირაბია, არც ბიგა, არც არაფერი, დგას ისე, თითქო გუშინ გაეთხარათ და სამოცდაათი წლის წინათ კია გაჭრილი. მივაყურეთ და გვესმის, სადღაც გვერდიდან, კაი-კაი სიტყვები. დედის გინებით შეზავებული

საუბარი. უცბათ დავადექით თავზე ეს ამოდენა ხალხი და მივანათეთ მუხარადებში ჩადგმული ელექტრონის შუქი.

ჯერ ვერც გამოერკვიენ, თავისი ამფსონები ეგონათ, მოგვემატნო. ყურადღებაც არ მოგვაქციეს. კარტი პიერკვადრატს ეჭირა ხელში. ჭრიდა და თან ბრახიანათ უცქეროდა ჭუჭულა ჭიტლაცემს. მერე, როგორც აქნა, მოეგენ გონს და ჩუხუხე წამოიჭრენ. პიერკვადრატს არავისთვის არ წეუხედავს, მარტო მე დამაცქერდა და ტუჩზე იკბინა.

— აბა, აკრიფეთ თქვენი გულანაბადი და გამოდით გარეთ, იქ მოვილაპარაკოთ, უთხრა პარმენმა.

ყველანი თავდახრილი დაიძრენ გასასვლელისაკენ, პიერკვადრატს გარდა. ის იდგა და ისეთი თვალით მიცქეროდა, მარტო რომ ვყოფილიყავით, ალბათ, შუაზე გაზგლეჯდა.

— წამოდი ახლა, რომ გელაპარაკებოთ, არ გესმის? — წაუპოტინა ხელი პარმენმა.

პიერკვადრატამ უხეშად ჩამოკრა ხელი მკლავზე პარმენს და ისე უბიძგა, კედელზე მიახეთქა.

საქმეში მილიციის ლეიტენანტები ჩაერიენ და პიერკვადრატს წინ გადაელოზნენ.

— რა ამბავში ხარ, ბიჭო, შენ? — უყვირა ერთმა მათგანმა, — შენ ხომ არ გგონია, რომ ღონით გახდები რამეს?

— თვარა ძალიან მეშინია. შენი, — უთხრა პიერკვადრატამ და გასასვლელისაკენ გზას გაუდგა.

გარეთ რომ გავედით, პიერკვადრატამ იფიქრა, საქმე ამით მთავრდებაო და წასვლა დააპირა, მაგრამ გზა გადაუღობეს.

სამძარტველოსკენ რომ მივდიოდით, მე უნებურად მოვხვდი პიერკვადრატს გვერდით.

მეგონა ვერ მამჩნევდა. მან კი გადზომხედა და მკითხა:

— რას გაძლევენ?

— რაში რას დაძლევენ, ბიჭო?

— შპიონობაში.

— ცხრა და ათ შაურსს

— განახვე ცალკე.

— აგერ ვარ და მნახე.

— აქ ამათი იმედი გაქვს და დიდ გულზე ხარ? — გესლიანად ჩაიციხა პიერკვადრატამ, — გასწავლი მე შენ ჯამუშობას. თუ გგონია დამეძალუბი. რომ დაგნაყავ ძველი ნიგოზივით, მერე ნახე, რაფერ უნდა დასმენა.

ყველანი მალაროს დირექტორის კაბინეტში შევედით. თითონ დირექტორი იდაყუებზე დაყრდნობილი მარკაშვიდერთან ერთად მაგიდაზე გადამოიღო გვირაბების რუკას ჩაჰკირკიტებდა.

— ესენი არიან, აქ — ნიუთონი პარმენმა ქალაქის მოთამაშეებზე.

დირექტორმა სათითაოდ შეათვალიერა ყველანი, პიერკვადრატა ვერ იცნო და გაოცებულმა კითხა:

— შენ სად მუშაობ?

— ნებსეთუ ატეკაში. — უპასუხა, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა პიერკვადრატამ.

— ეს შენ მომიწყვე აქ კახინო? — ნელა მიუახლოვდა დირექტორი და თავიდან ბოლომდე ახედ-დახედა—შენ განა არ იცი, რომ აზარტული თამაში აკრძალულია და დამნაშავეს ციხეში აგდებენ?

— ჩვენ რა, ისე ვერთობოდით. მართლა ხომ არ ვთამაშობდით.

— მაჩვენე შენი კარტი! რა უყავი? ახლავე გეტყვი, ერთობოდი თუ არა.

სწრაფად მიუახლოვდა, ჯიბეზე ხელი მოუფათურა, თითონ ჩაუყო ხელი, დასტა ამოიღო, გაშალა, შეათვალიერა, გადააბრუნა, დააკვირდა, მერე სინათლეზე გახედა და ახლა უკვე მრისხანედ უთხრა:

— ერთობოდი, ხომ? ეს ნიშნები რატომღა დაგისევამს კარტის პერანგზე?

— რა ნიშნები. გამოჩნდა ახლა ესეც გამომჩიებელი, — წაუპოტინა ხელში პიერკვადრატა.

— ჩუმაღ, შე ლაწირაკო, შენი — უბიძგა ხელი დირექტორმა და კარტი

საწერი მაგიდის უჯრაში ჩაყარა —
შეღერობაც გისწავლია! კარგი, გამო-
ვარკვევთ ყველაფერს!

• •

კლუბი, რომ იტყვიან, პირთამდე იყო
აესებული ხალხით. ისმოდა გამუდმე-
ბული ზუზუნი, სცენაზე ისხდნენ
ამხანაგური სასამართლოს წევრები;
თავმჯდომარე — ორდენოსანი, რაი-
კომის ბიუროს წევრი, მოწინავე მუშა
ამწმენდი — კალენიკე ბოგვერაძე და
მსაჯულები — მთლად თმა შევერცხ-
ლილი მასწავლებელი სადიკო ქაძუშაძე
და რაიონის გაზეთის რედაქტორის
მოადგილე პოეტი და ქურნალისტი
სიმონ ცანავა. მარჯვნივ ისხდნენ ბრალ-
დებულნი და მათი დამცველი. მარცხნივ
საზოგადოებრივი ბრალდებულები... ესე
იგი, არ გაგიკვირდეთ ახლა, მაგრამ მე
გამომყო კომკავშირის რაიკომის ზდი-
ვანმა. ერთი ათი დღე, სულ ოფლი
ვიწურე, საბრალმდებლო სიტყვა დი-
დის გაქირვებით დაეწერე, ვის არ წა-
ვაითხე, რაიკომის ზდივანს, ინსტიტუ-
ტის ფილიალის დირექტორს, გაზეთის
რედაქტორს, მითხრეს, ამისთანა სიტ-
ყვა ჯერ არ მოგვისმენია, მიდი და
დაურტყო.

მეც დაურტყი.

— ამხანაგებო, — დავიწყე მე, რო-
დესაც დაკითხვები დამთავრდა, დირექ-
ტორმა და სხვა მოწმეებმა ჩვენება მის-
ცეს და თავმჯდომარემ სიტყვა მე მომ-
ცა, — ამხანაგებო, მე ცხრამეტი წლის
ბიჭი ვარ, საშუალო შარშან დავამთავრე
და მალაროში დავიწყე მუშაობა. ასე
რომ შეიძლება დალაგებული სიტყვა
ვერ მოგახსენოთ, მაგრამ, რასაც გეტ-
ყვით ამ გულიდან იქნება წამოსული და
თუ...

— ჰო, ჰო, ჰო, არ გოუტლევიათ ამ
კომკავშირში! — ნესროლა ვილაცამ რეპ-
ლიკა პარტერიდან და დარბაზში სიცილ-
მა იფეთქა.

მე კი ისე დავიბენი, რომ სულ ბრინ-
ჯივით დამეფანტა მთელი წვითა და

დაგვით მოფიქრებული და გაზეპირებუ-
ლი სიტყვა. კიდევ კარგად რაც უნდა
ნეთქვა, დაწერილი მქონდა და შემშა
ჩქარა გამიარა, თორემ ცუდათ იყო
ჩემი საქმე. თანაც დამსწრეთა აბუჩათ
ავდებამ, ცოტა არ იყოს, გამაბრაზა და
ამან მიშველა. მთავარი იყო, რაიმე მოსწ-
რებული პასუხით უცბათ მომეჭრა სიტ-
ყვა იმ თავხედისათვის, მაგრამ გავსივ-
დი გულზე და ვერაფერი ვერ მოვიფი-
ქრე. მდგომარეობიდან თავმჯდომარემ
გამომიყვანა. მან ჩვეულებრივად, მუ-
შურად, მუშტი ბრეგვა მაგიდას და
წრისხანეთ გასძახა იმ კუთხისაკენ, საი-
დანაც ეს ხმა გაისმა.

— გატლევკილი შენ ავდიხარ მად,
ვილაცა ხარ. ამათი ამფსონი ხარ გე-
ტყობა, — თვალთ ბრალდებულებზე
ანიშნა, — ამაზე უარეს ადგილას დაგს-
ვამ, თუ ჭკულით არ იქნები.

ზერე დარბაზს მიუბრუნდა:

— ხმა არ გავიგონო არავისი. ჩვენ
აქ სამასხარაოთ კი არ შევკრებილვართ
და არც ძალიან სახალისოა ამისთანა
საქმისათვის შეკრება და საქმის გარჩევა.
დარბაზში გაისმა სისინი და წამოძა-
ხილები: „სიჩუნი“ „გავგავონეთ, რას
ლაპარაკობენ“, „გაჩუმდი, გეუბნები“.
„შენ ვინ ხარ რო მაჩუმებ“. „ვინცა ვარ,
გავაგებიებ“, „გეყოფათ ახლა“.

როგორც იქნა, მიწყნარდა ხმაური და
მე განვაგრძე.

— როგორც მოგახსენეთ, ამხანაგებო,
შარშან დავამთავრე საშუალო...

— ეგ გევიგეთ, შენ ახალი თქვი... —
ისევ მესროლა რეპლიკა ვილაცამ.

ახლა კი უარესად იყვირა თავმჯდო-
მარემ და ფეხზე წაშოიჭრა.

— ანზორ ქათამაძე, თუ არ ჩეიგდე
ენა, რო მოგკიდებ ხელს, ძირში ამო-
გაგლეჯ მაგ ენას. კრებზე თუ არ შე-
გიძლია თავის დაქვერა გაეთრიე გარეთ.
თუ არა და დაეგდე მად და დაუგდე
ყური.

— ვის დაუგდო ყური? კაცი ველარ
იშოვეთ, რომ განოგვეშვათ სალაპარა-
კოთ?

— ბიჭო, ჯერ რომ არ გავიგონია რას ამბობს, წინასწარ რაზე იხევი შეუაზე? შენზე ჰქვიანმა ხალხმა მოუსმინა და მოუწონა და შენ როდელი გულთმისანი მყავხარ წინასწარ...

— შეთანხმებულია? ჰო, აბა ბოდიში.

დარბაზში ისევ იფეთქა სიცილმა. ისევ ახმაურდა და კარგახანი გავიდა სანამ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. უკვე გუნებაში გადაწყვეტილი მქონდა, მიმეტოვებოდა სცენა და სულ ნაკუწნაკუწათ მექცია ჩემი რვეული, რომელშიაც სიტყვა მქონდა დაწერილი და შიგ კი განგებ არ ვიხედებოდი. ზეპირად ლაპარაკი უკეთესი იყო, ვიცოდი, მაგრამ ასეთ აუდიტორიას ჩემს სიციცხლეში პირველად ვხედებოდი და თუ ასე იყო შესაძლებელი ორატორის განადგურება წარმოდგენა არ მქონდა. განსაკუთრებით ის მამწარებდა, რომ დარბაზში ჩემი ნაცნობი გოგოები იხსდნენ და მათ შორის, ვიცოდი, ცისანაც იქნებოდა.

— განაგრძე, — მითხრა თავმჯდომარემ, როდესაც დარბაზი როგორც იქნა მიწყნარდა.

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით... — დავიწყე მე.

— ვინ თქვენ? — ისროლა ისევ რეპლიკა ვილკამ.

აშკარა იყო ბიჭები შეთქმულიყვენ და ჩემი გაბითურება უნდოდათ, თავმჯდომარე კვლავ ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ სანამ დარბაზი ახმაურდებოდა ან თავმჯდომარე რამეს იტყოდა, მე სწრაფად გავეცი პასუხი:

— ვინ და ამხანაგები პიერ ქვაშავიძე და სინო ლაბაძე. პიერას, პიერკვადრატა დავარქვით, იმიტომ რომ ვირივით ღონიერი, ამ სიტყვისთვის ბოდიში, ხუთ კაცს შეერავს, რომ მოინდომოს...

დარბაზში ოდნავმა სიცილმა გადაიშრაილა, მაგრამ ყურადღებით დაძინეყეს სმენა, მგონია მოვაჯდე ზურგზე ამ ოჩან ბედაურს.

— სინოს კიდევ სინუსას ვეძახობდი. ამას გარდა ჩემთან ერთად სწავლობდნენ ჩემი ბრიგადის წევრები ამხანაგები

ტაბატაძე, კოტრიკაძე, ელმაგვალის მემანქანე კენჭოშვილი, რუღლეტიყვი არიან, დანარჩენები, ზოგან ბილიყვიანნი ვიყავი, ზოგი სოფელში დარჩა. ჩვენ წავივოდით წარმოებაში. პიერკვადრატა პირველად თბილისში გაემგზავრა, უმაღლესში ვერ მოეწყო და ისიც აქ დაბრუნდა, მაგრამ ჩვენთან მალაროში არ ისურვა ზუშაობა, თუმცა მაგის ღონის პატრონი პირველი უნდა ყოფილიყო ჩვენს ბრიგადაში, მაგრამ მაგას საკუთარი ფილოსოფია აქვს გამოუმუშავებული. კაცმაო, გვეტყოდა ხოლმე, ცხოვრებაში ცოტა უნდა იმუშაო და ბევრი ჭამო, თორემ ბევრი თუ იმუშავე და ცოტა ჭამე, ეს რა ცხოვრებააო.

— იფ, კაციც ზაგ ყოფილა და ჭკუაც მაგას ჰქონია, — წამოიძახა ისევ ვილკამ და ეს წამოძახილი აუდიტორიამ ტაშის გრილით დააგვირგვინა.

— ჰო, მაგრამ ეგ ხომ ღორის ფილოსოფიაა, — განეავრძე მე, როდესაც დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, — ღორი ცხოვრებაში არაფერს არ აკეთებს ჭამის მეტს, დააღებს პირს და ქეფშავს საკმელს, ფუტკარი კი დილიდან საღამომდე მუშაობს და რასაც აგროვებს, იმის მეთაფრსაც არ ჭამს თითონ, ადამიანები უჭამენ, მაგრამ ზითხარით, რომელი ბედნიერება ჯობია, ღორის თუ ფუტკრის. კაცს რომ უთხრა ღორი ხარო, ჯოხს დაგარტყამს თავში, ფუტკარი ხარო, ქებათ ნიიჩნევს.

დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ იტყვიან ბუზის გაფრენას გაიგონებო, მოვთოკე მგონი ჩემი ბედაური და ვატყობდი, დაუზოგავათ ნასროლი ისრებით, მწარე რეპლიკებით უკვე აგრე ადვილად ვეღარ წაძაქტყევდნენ.

— წამოვედით ჭიათურაში. ჩვენ გვირაბში დავიწყეთ მუშაობა, ეგ კიდევ შოფრობის შესწავლას შეუდგა. ჩვენ სულ საცინად გვიგდებდა, რას იკლავთ თავს და იწყებდავთ წელს, თქვე უბედურებო. თქვენ რომ ერთ წელიწადში ხელფასს აიღებთ, იმას მე ერთი რეისით გავაკეთებ, ტყემალს რო წავიღებ დონ-

ბასში მანქანითო. ეე, ამხანაგებო აქ იმის თქმა კი არ მინდა, თითქო შოფრობა სათაქილო ხელობა იყოს, ან რაც ამ ქვეყანაზე შოფრები დადიან, ყველანი სინდისისაგან გარეცხილები და უპატროსნობები იყვნენ, მაგრამ შოფრობას სახელს უსინდისო ადაზიანები უტეხენ, ისინი, რომელნიც არ ემყოფილდებიან შრომით მიღებული ხელფასით და...

— თუ არ ყოფნის ჯამაგირი, რა ქნას აბა ადაზიანება?! — დაიძახა ერთმა დარბაზიდან.

ამ რეპლიკას აქა-იქ კანტიკუნტი ტაშიც კი მიაშველეს ვილაც-ვილაცებებმა.

— როდესაც ვინმეს რამე არ ყოფნის, ყველამ სააფერისტოდ, საჯიბგოროთ, საქურდლათ და სამამაძაღლოთ უნდა იაროს?

— არ მოგშივნია, ბიძია, ჯერ და... — არ მეშვება იგივე ხმა.

— შენ რომ მოგშივდა, მაშინვე საქურდლათ გაიქეცი? მერე და ამას მოშვდა და იმიტომ დაიწყო ხალტურა და კარტის თამაში?

კოტა ხანს შეედექი. ვუცდი პასუხს.

— ყველა აგრე აკეთებს და ეგ რა წითელი კოჭია? — ამოიღო ოპონენტმა ხმა.

— ვინ ყველა? კიათურის მალარობებში ათასობით მუშა მუშაობს. ვინ აკეთებს? აგრე, პატივცემული ხალხი ხართ უმეტესობა, მალაროს მუშები, შენც მალაროს მუშა ხარ, ალბათ, აგრე აკეთებ?

— ამას ყურს ნუ უგდებ, ეგ რაიკავშირის საწყობის გამგეა, — მომესმა ბეორე კუთხიდან ვილაცას ხმა, — სწორეთ მაგას არ უხამებს.

ამის თქმა და დარბაზში წარმოუდგენელი ყიყინა ატყდა. ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ, რომ დაენახათ საწყობის გამგე. თვალი გავაყოლე და იგი მეც დავინახე. სუფთად წვერგაპარსული, ლოყებდაკიდებული გრძელუღვაშებია და თვალეზადმოქაჩული მამაკაცი. კისერგაშეშებული უაზროთ იცქირებო-

და პარტერის წინა რიგებისაკენ და სულელურად ილიმებოდა.

კარგახანი გავიდა, სახამაშო და დაწყნარდებოდა.

— რატომ ჩამოვაგდე ამაზე ლაპარაკი, ამხანაგებო — განვაგრძე ბოლოს მე, — არავეინ იფიჭროს, რომ პიერაკადრატას უჭირდა. მაგისი მშობლები პატროსანი წმრომელი ხალხია. მამა მალაროში მუშაობს, დედა და დები კოლმეურნეობაში, კარგადაც ცხოვრობენ. შვილს არაფერს არ აკლებდნენ. აი, მაგ სამუშალო დამთავრების შემდეგ, მაგის ჯანდონის პატრონი, რომ აზოდგომოდა მშობლებს მხარში, წელიწადში ექვსას შრომადღეს მარტო მაგ გამოიზუშაგებდა, მაგრამ არა, სოფელში ვერ ვიმუშავებო, ვერც ზალაროში ვიმუშავებო, ჩვენ საცინად აგვიგდო, ვაი თქვენს პატრონს, არსა დაგვიკარგოთ ეს თქვენი მალარო. მე მიყურეთ, აქეთიქით მანქანას დავაჭროლებ. თქვენ ხომ მაგ თქვენი წელისწყვეტით ათასორას მანეთს აკეთებთ თვეში, მე ხომ მესამე კატეგორიის შოფერი ვარ და ოთხას ორმოცდაათი მაქვს, მოდიოთ და ნახეთ, ვის მეტი ფული აქვსო. რითი, ბიჭო, მეთქი ვეკითხები... არ მეუბნება! ერთი ორი უმაგისოთაც ვიცი, რითი, სახაზინო მანქანით ქვიშა და ხრეში უზიდა ერთ კაცს, სახლს იშენებდა. გააკეთა ფული, ცხადია. ეს დანაშაულია, რა უფლება გაქვს, სახელმწიფო მანქანა ამუშავო და შენ ჯიბეში იღვა ფული, მაგრამ დაფუშვით იმ ამხანაგის თეორიის მიხედვით, წელან რომ წამომძახა, არ ეყო ჯამაგირი და წაიხალტურა, კარტის თამაშიც იმიტომ დაიწყო, რომ უჭირდა? თავისი სკოლის ამხანაგი სინუსა, აი, ახლა, ეგერ. გვერდს რომ უშვებნებს, მოიჯინა და სიმწრით ნაგროვები ორი ათასი მანეთი მოუგო, ისიც ჩაწყობილი კარტით. თქვენ ამბობთ, პატარა ხელფასი აქვს და არ ეყო. ჩვენს, სოციალისტურ სახელმწიფოში, ამხანაგო, ხელფასები სამუშაოს შესრულების სიძნელის მიხედვით წესდება. იოლ სამუშაოზე ნაკლები

ხელფასი, მძიმეზე — მეტი. ამიტომ აქვს, მაგალითად, ნოქარს ექვსასი მანეთი თვეში და მალაროელს ორჯერ მეტი, დახლში მუშაობა და გვირბაში ერთი როდია. ახლა ის ნოქარი თუ უკანონობას ჩადის, ფასებს არღვევს და აზგვარი მამაძაღლობით თვეში ათჯერ მეტს აყეთებს მალაროელზე, ეს დანაშაულია და ასეთები პასუხისგებაში უნდა მივეცეთ...

— ვინ აძლევს მერე პასუხისგებაში დაიძახა ვიღაცამ დარბაზიდან.

— ამაში ჩვენს მიგვიძღვის ბრალი, — ვუპასუხე მე და დარბაზში აკლავ ატყდა ხმაური. ახლა უკვე ჩემს სასარგებლოდ. „სწორს ამბობს, — იძახდა ერთი — ჩვენი ბრალია ყველაფერი“ „რა არი ჩვენი ბრალი, — იყვირა მეორემ, მთავრობა რას უყურებს“, „შენ ხნას არ იღებ და მთავრობამ რა ქნას, გულთმისანია თუ?“ „მე დავიჭირო?“ „გუშინ რომ ყარამანის ბიჭმა ცხრააბაზიანი ჩითი ცხრა-ცხრა მანეთად გაყიდა, რატომ არ ამოიღე ხმა“. „შენ რატომ არ აზოილე“, „რომ აზოვილო, რას მიშველიდა, ის ქრთამით დაიხსნიდა თავს...“ „პოდა ზე რაღას მერჩი“, „რას და ყველამ უნდა ავიმადლოთ ხმა“.

თავმჯდომარემ, როგორც იქნა დაამყარა წესრიგი და მე განვაგრძე ჩემი სიტყვა! ბრძოლა უკვე მოგებული მქონდა და სიმშვიდე და მხნეობა თანდათანობით შემატებოდა.

— ეს აზნანაგები და მათ შორის პიერკვადრატაც, ალბათ, ფიჭრობენ, რომ ჩვენ მათ პირადათ ვებრძვით. პიერკვადრატა კიდევაც დამემუქრა, ალბათ, მას მტრად მივაჩნიავარ, დანემუქრა გაგისწორდებო. მე და მაგან პირველბ კლასიდან მეთერთმეტე კლასამდე ერთად გავატარეთ ბავშვობა სკოლაში, მაგისი მშობლები ჩემი მშობლების მეზობლები და ზეგობრები არიან. მამამაგისი მალაროს ძველი მუშაა და სოფელშიაც, კოლმეურნეობაშიაც მუშაობს. რატომ წაუყიდა ხელიდან ეს ბიჭი და ვერ გაზარდა თავის ჭკუაზე, ჩემთვის პირ-

დაპირ გაუგებარია. არ უგონებს, ახლოს არ ეკარება, თავის ჭკუაზე დადის და მის ზამობრივ დარიგებაზე ყურსაც არ იბარტყუნებს. გუშინ სამუშაოდან გამოვიდა დაღლილი კაცი და მითხრა, გავიგე ჩემ ბიჭს ასამართლებთ, არ დაზოგოთ, რაც ყველაზე მეტი ეკუთვნის მიუსაჯეთ, მაშკლა, გამათავა მაგის უჯიათობამო. შემეცოდა ეს ხანშიშესული კაცი. მერე რავარი მშრომელი თქვენ არ იფიქროთ, რომ პიერკვადრატა უნიჭო იყოს. სკოლაში ალგებრატრიგონომეტრიაში კაცი ვერ ჯობნიდა, ერთს გადაავლებდა თვალს წიგნს და გაკვეთილი ზეპირად იცოდა. ჩვენ სულ მუდამ ვმეგობრობდით ერთმანეთს. რა მაქვს მე მაგასთან საბრძოლველი, თუმცა მაგას ჰგონია, რომ მე მაგისი მტერი ვარ, მე მაგისი ცუდკაცობის მტერი ვარ, მე ზინდა, რომ იგი სწორ გზაზე დადგეს, იყოს ადამიანური ღირსების იმ სიმაღლეზე, რომელზედაც მაგის მშობლები დგანან.

დაახლოვებით ასე დავამთავრე ჩემი გამოსვლა და ამის შემდეგ გამახსენდა დაწერილი სიტყვა, რვეულში რომ მქონდა პოლიტიკური ციტატებით გაკედლილი და თეორიულად წვეთი რომ არ გაუვიდოდა, ისევ წაუკითხავი დამჩნა. ზერე გამოვიდენ მუშები, ჩემზე უფროსები, ჭადარა ხალხი, ოცი-ოცდახუთი წელიწადი მალაროში რომ უმუშავინათ, ისეთი დღე დააყარეს შენს პიერკვადრატას და მის ამფსონებს, ჩემი სიტყვა მაჭრათ მოეჩვენათ, ალბათ.

ბოლო სიტყვა ბრალდებულებს მისცეს. ყოველმა მათგანმა გულახდილად აღიარა, რომ მართალია სისულელეს ჩავდიოდით და ცუდ საქმეს მოგვიდეთ ხელი, ახლა გვაპატიეთ და ვეცდებით, ჩვენი შრომითი აღზევლობით, — სწორეთ ასე თქვეს, გაზეთებიდან გაზეპირებული სიტყვებით, — გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომაო. მართო პიერკვადრატა არ იღებდა ხმას და ჩუმათ იყო.

— რას იტყვი, ქვაშავიძე, შენ? — ჰკითხა თავმჯდომარემ — დებ თუ არა

პირობას მთელი ამ კრების წინაშე, რომ გამოსწორდები.

პიერკვადრატა ზღაზღვით წამოდგა ფეხზე და მიძინეთ შეხედა თავმჯდომარეს.

— კი ბატონო, — თქვა მან მცირე დუმისის შემდეგ, — პირობას ვდებ. მხოლოდ... მე და ნოდარს სხვა ანგარიშები გვაქვს და ამაზე ნურას უკაცრავათ. ჩვენ თვითონ გავსწორდებით ერთმანეთში.

ერთ თვეს ეყოთ სალაპარაკოთ ეს პროცესი ბიჭებს. განსაკუთრებით ჩემზე ჰქონდათ გამახვილებული ყური და სუყველა ელოდა, ალბათ, როდის გამისწორდებოდა პიერკვადრატა და თუ არ მომკლავდა, ყოველშემთხვევაში ერთი ზაგრათ დამზუბნიდა. მაგრამ იმედი არ გაუშართლდათ. ჩემი ეს დაუძინებელი „მეტერი“ სადღაც გადაიკარგა და იმისი ლანდიც არ დაგვინახავს ჩვენს მიდამოებში. ამბობდნენ „ატეკადან“ გააგდეს და ახლა რომელიღაც კოლმეურნეობის საბარგო მანქანაზე მუშაობს.

ბიჭები მაინც მახელებდნენ და რამდენჯერაც თვალს მომკრავდნენ, ერთ-მანეთს ხმამაღლა ეკითხებოდნენ.

— ეს ცოცხალია კიდევ?

— ჭეშავიძეს უთქვამს, ჩემი ნება არ არის, ჩემს განაჩენს როცა მინდა, მაშინ მოვიყვან სისრულეშიო.

— ო, რას დაბეჯავს!

— ეყოფა საცენესად.

— მაგის ადგილზე რომ ვიყო, აქ რაეღა გავჩერდები.

— სად წავიდეს?

— წავიდოდი რუსეთში. ან სადმე სხვაგან. აბა, იმ მხეცს თავს მოვაკვლევივ?

— შენ ის თქვი, რათი ძინავს მაგ უბედურს ლამე!

დაახლოებით ანაირ რამეებს მასმენინებდნენ, განსაკუთრებით ჭიტლაყაძეები. არსენა დამინახავდა თუ არა.

მაშინვე წამოიძახებდა, ვითომ ჩემს მრავალ კენესა-წამებას მცინებდეს:

— ვაი გვერდებო, ვაი მათგან, ვაი ცხვირო, რა ბიჭი დამსრისეს და დამლეწეს...

პირველად ძალიან განვიცდიდი ამ ამბებს და პირდაპირ გულზე ვსაღებოდი, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. ხუმრობა მაინც ხუმრობაა და ასეთი წამოძახილებისთვის ჩხუბს ვერ დავიწყებდი. არც საკუთარი ძალღონის იმედი მქონდა. მერე ნელნელა შევეჩვიე და ყურადღებას აღარ ვაქციედი. ჩვეულებრივად განვაგრძობდი მალაროში მუშაობას და მეცადინეობას. ხანდახან ცისანასთანაც დავედიოდი და საგნებს ერთად ვამზადებდით. პირველად, ჩემი ორატორული ნიჭის გამომწვლავნების შემდეგ, მან სიცილით მითხრა:

— შენ იურიდიულზე უნდა შესულიყავი. ამისთანა ლაპარაკი თუ იცოდა, წარმოდგენა არ მქონდა.

— ზოგეწონა? — ვკითხე ამ შექებით მოხიბლულმა.

— ძალიან, მერე არც ციტატები არც ეს ტრაფარეტული სანახეთო სიტყვები. პირდაპირ გული მერევა, მაგისთანებს რომ ვისმენ. პიერა, ეტყობა, ძალიან გულმოსულია შენზე, მაგრამ მე შეგარიგებთ. ის უბედური გლაზა ბიჭი კი არ არის, მაგრამ მშობლებმა გაასულელეს და ჰგონია, რაკი ღონე მაქვს, ყველაფერი ჩემს ჭკუაზე უნდა კეთდებოდეს და ყველა მე უნდა მემორჩილებოდესო. სკოლის ამხანაგებში რომ გადიოდა მბრძანებლობა, ეგონა ყველაგან ასე გამივო. მერე აღარ გინახავს?

— არა.

— სინუსა არ გაგებუტა?

— არა. ერთი კი შემომიჯაჯლანა, რა მიქენი, წანაგების ამოგება მინდოდა, რას მომჭერი თავი, რად დამლუპეო, მაგრამ მაგ გაგებული ბიჭია და მიხვდა, მაგის სიკეთისათვის რომ ეზრუნავდი. ახლა ზისალები გამოცდებისათვის უნდა მოვემზადო.

ამის შემდეგ ამ საკითხს აღარ შევხე-

ბივართ და განვაგრძობდით გულმოდგინეთ მეცადინეობას.

ერთ საღამოს სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ჩვეულებრივად, დავაპირე ცისანასთან წასვლა, ავკრიფე სახელმძღვანელოები, ნახაზები და ის იყო უნდა გავდგომოდი გზას, რომ კარებზე მორიდებული კაკუნი გაისმა. გავაღე, ეხედავ ცისანას!

— შეიძლება? — იკითხა მან.

— ზობრძანდით, მობრძანდით. — მიაძახეს აქეთ-იქედან ჩემმა ამხანაგებმა და ფეხზე წამოიჭრენ. ღულ ნეფარიძე ლოგინის სწორებას შეუდგა, ედიშერი ცოცხს ეცა, პარმენი ზაგიდის დასუფთავებას, რა არ ეყარა ზედ.

— მობრძანდით, ჩვენს ოთახებში კაცი კი არ შემოისვლება, — უთხრა პარმენმა ცისანას, — სულ ვეჩხუბები ბიჭებს დაალაგეთ თქვენი ლოგინები, ასე ღორებივით ნუ ხართთქვა, მაგრამ...

— ვე შენთან მოვდიოდი, ცისანა! — ვუთხარი მე.

— ჰოო, მე კიდე ვადავწყვიტე თქვენთან მოვსულიყავი სამეცადინოთ. აგერ ტარიკოც და კალენიკეც ამზადებენ საგნებს და ერთად მეცადინეობა არ ჯობია?

— მოდი, მოდი შენ გენაცვალე, — უთხრა პარმენმა, — იქნება შენი ხათრით პატარა მიხედონ თავის თავსაც და ოთახსაც, თორემ ამათ მე ვერაფერი შევაგნებო. ოთახს რომ მილაგება უნდა, დავა, იატაკზე რომ არ შეიძლება პაპიროსის ნაშწის დაგდება, რომ არ შეიძლება ტალახიანი ფეხით...

— კაი ახლა, ნუ მოგვდექი, ჩვენი გაჭირვება გვეყოფა, — წაიდუღუნა ედიშერმა და ოთახში ცოცხით მტერის ბული დააყენა.

— რას გიკეთებთ დამლაგებელი, თუ ოთახს ვერ ზოუვლის! — გაუკვირდა ცისანას.

— დღეში ორჯერ გვილაგებს. იატაკს რეცხავს, მაგრამ ამ მხეცებს რა გაუძლებს — უთხრა ღიმილით პარმენმა.

ზაგიდა გავასუფთავეთ, მოვუსხედით

და რვეულები გავშალეთ. ცისანას მოსვლა გამეხარდა, მაგრამ მე ვნაშკობინებდი მასთან სიარულს, ვინახვდით ქართკა, ვუხსნიდი საგანს და თავს განსაკუთრებით მშვიდად ვგრძნობდი. ახლა კი ვატყობ რალაც არეულივითაა, ცოტა თითქო უხასიათოდაც. რალაც, სხვაზე ფიქრობს და ჩვენს კითხვებზე პასუხი უჭირს.

შუა მეცადინეობაში უცბათ წამოიჭრა ფეხზე, მომკიდა ხელი და მითხრა:

— ნოდარ, გაზოდი ცოტა ხანს გარეთ, შენთან საქმე მაქვს.

გულზე რალაცა ეკალივით დამესო. ვივარძენი, რომ რალაც მოხდა, ჩემთვის უსიამო ამბავი.

აივანზე გავედით...

— ნოდარ... — დაიწყო ცისანამ და შედგა. ეტყობოდა უჭირდა თქმა.

— რა მოხდა, მითხარი?

— ნოდარ, შენ ნულა მოხვალ ხოლმე ჩემთან. კარგი? მე ვივლი ხოლმე სამეცადინოთ.

— რატომ, დავაშავე რამე?

— არა, შენ რა უნდა დაგეშავებია, რა სისულელეა, მაგრამ ასე ჯობია.

— არაფერი არ მესმის.

— ახლა მაგაზე ზეტს ნუ ვილაპარაკებთ და შერე გიამბობ ყველაფერს.

ამაზე მთლად გადავირიე. რა უნდა იყოს ისეთი, რისი გამხელაც ჩემთვის ახლა შეუძლებელია. საგონებელში ჩავვარდი, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევს ჩავაცივდე, რაკი არ მეუბნება, ალბათ ასე ჯობია.

— კარგი, ბატონო, შენი ნებაა.

— ასე ხომ? — გავხარდა ცისანას — შენ ჰკვირანი რომ ხარ, ეს მე კარგახანია ვიცი.

— ნეტავი შენ, ჩემი ჰკუის თუ გჯერა, — გამეცინა მე.

— ნუ სულელობ. შენი თავის ფასი უნდა იცოდე კაცმა. ნურც აქედან გამაცილებ. კარგი? საკრთოდ, ამ თქვენი საერთო საცხოვრებლის გარდა, სადაც არ უნდა შეგხვდეთ ერთმანეთს. არ

მომეკარო, ვითომ არც ვიცნობთ ერთ-მანეთს.

ახლა უკვე ვხვდები რაღაცას და გულმოსული ვკუბნები.

— იმ ახალმოდის ტარიელ მკლავადე ხომ არ დავაშინა?

— არა, რას ლაპარაკობ, — მეუბნება შემერთალი ცისანა — არა ღმერთმანი.

— დაიფიცე!

— კარგი ახლა, რა!

— ჰო, გასაგებია ჩემთვის ყველადერი; წამოდი მეცადინეობა განვაგრძობთ, სირცხვილია, რას იფიქრებენ, რა აქვთ აზღენი საჩურჩულოო.

შევედით, დავსხედით, მეცადინეობა განვაგრძობთ. ვხედავთ ცოტანის შემდეგ სინუსაც მოვიდა. გამოივირდა, ის ახლა კინოში უნდა ყოფილიყო დოდოსთან ერთად. ნაწევარაც იქ იყო თავისი გრძელი საცოლეთი.

— ოჰ, ცისანა გამარჯობა, მიესალმა იგი სკოლის ამხანაგს, — რა გამეხარდა შენი ნახვა. როგორ ხარ, გოგო.

— შენ, კინოში არ წადი? ვეკითხები მე, — რატომ დაბრუნდი?

— არაფერი, ისე, — დაბნეულად წაიდუღუნა მან და ისევ ცისანას მიუბრუნდა, — რას აკლავ თავს ამ ფორმულებს, უმაგისოთაც გასაღდები, ნუ გეშინია.

ლოგინზე ჩამომჯდარი პარმენი „კომუნისტ“ კითხულობდა. მან გაზეთის ზემოდან გადმოხედა სინუსას.

— გაჩუმდი მად, ხელს ნუ უშლი მეცადინეობას. შენ თუ არ გინდა სწავლა. სხვას მაინც დააყალბე.

— ზარმენ, მოდი შენთან საქმე მაქვს პატარა, — თვალთ კარზე ანიშნა სინუსამ.

— არ მომკლა ამდენმა საიდუმლოთ გაძახებ-გამოძახებამ! — გაიცინა პარმენმა და ორივე გარეთ გავიდა.

გულში ვგრძნობ რომ საქმე მე შემეხება. ეტყობა, რაღაც მოხდა ისეთი, რასაც არც ცისანა მიმხელს, არც სინუსა. ტანგესა და კოტანგესაც გრძნობენ, რომ სინუსა ტყუილუბრალოთ არ უნდა

დაბრუნებულყო კინოდან. ყველანი გაჩუმდით და კარებს მივაცქერდით. არცერთს არ შეგვიძლია მეცადინეობა. ცისანა დაძნაშავესავით იცქირება რვეულში. ვითომ ცდილობს რაღაცა ამოიკითხოს, მაგრამ ვატყობ, ის სულ სხვაზე ფიქრობს.

ვხედავ ვერ ნეფარიძე გაგორდა გარეთ, იმას ედიშერი მიჰყვა, ბოლოს ტანგესა და კოტანგესაც გაცივდნენ და დავრჩით მარტო მე და ცისანა. ჩემთვის ახლა უხერხულია ქალიშვილის მარტო მიტოვება, თუმცა სული მძვრება, ისე მაინტერესებს რაზე ლაპარაკობენ ისინი. ვატყობ საქმე მე უნდა შევჩებოდეს და ნელნელა შემომენთო ცეცხლი. აქ უკვე რაღა ბევრი ფიქრია საჭირო. აშკარაა, პიერკვადრატა გაჩნდა, ალბათ, ამ მიდამოებში და მე დამეძებს.

— ცისანა, ახლა მაინც მითხარი, მარტო ვართ, პიერკვადრატა ხომ არ ყოფილა შენთან?

— არა, არა, რას ლაპარაკობ. — ისე უარობს ცისანა, რომ ოდნავადაც ვერ ფარავს ტყუილს...

— იყო? როდის იყო? თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, მითხარი.

ცისანა უცბათ დაემხო მაგიდაზე თავი ნკლავებში ჩამალა და აქვითინდა.

ახლა ეი შეუძლებელი იყო ჩემი ადგილზე დაბმა. ფეხზე წამოვიჭერი და კარებისკენ გავემართე, მაგრამ ცისანა დამეწია, კისერზე ჩამომეპორწიალა და შემევედრა.

— ნოდარ, შენი ჰირიმე, ნოდარ, შენ გენაცვალე, არ გახვიდე გარეთ. გვედრები, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ნოდარ...

— დაიცა, გოგო, რა მოგივიდა, ნუ გეშინია — შევეცადე დამეშვიდებო იგი, მაგრამ ცისანა არ ცხრებოდა.

— ნოდარ, ეს თხოვნა შემისრულე და რაც გინდა, მთხოვე, ნოდარ...

— კარგი დამაცა, აივანზე გაველ...

— ნოდარ...

რაც უფრო მევედრებოდა ცისანა,

მით უფრო შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს და ახლა მერჩია მისი ცრემლიანი თვალების ნაცვლად სიკვდილის აჩრდილისათვის ჩამეხედა თვალებში. ცისანას ხელები ფრთხილად, მაგრამ ძალით მოვიშორე და აივანზე გავედი.

— რა მოხდა, რა იყო? — კითხე ამხანაგებს.

— არაფერი, რა გინდა, შედი სახლში! — მითხრა სინუსამ.

ამის თქმა იყო და ბექობიდან მომესმა პიერკვადრატას ხმა:

— ეგაა, სახლში არ არიო? როდემდის უნდა მალოთ. თუ ბიჭი ხარ, მოდი აქ, უნდა მოგელაპარაკო.

— თქვენ არ გაბედოთ ფეხის ვადმოდგმა. მე მოველაპარაკებო მაგას, — ვუთხარი ბიჭებს და ბექობისკენ სწრაფად გავემართე. პიერკვადრატა დოინჯ-

შემოყრილი მიცდიდა. გულდაგულ მივდიოდი, უშიშრად და უნდა გულახდილათ ვთქვა, ძალას ის მმართველთა შურსკუკან ბიჭები მეგულეზოდნენ, რომელნიც, ალბათ, გაქირვევის დროს მომეშველეზოდნენ.

მაგრამ პიერკვადრატა ჩენზე ეშმაკი აღმოჩნდა. ავედი თუ არა აღმართზე, დავინახე იქვე მისი დანჯღრეული საბარგო იდგა. მაშინვე საჭესთან დაჯდა, მეორე კარი გაშილო და მითხრა:

— დაჯექი!

მე უყოყმანოდ შევეასრულე მისი ბრძანება. ერთი კი მოვიხედე და დავინახე ბიჭები ეზოში გამოსულიყვნენ. ცისანა კი აივანზე იდგა და მიცქერდა. პიერკვადრატამ დააპირა ფეხი დროსელს და ზანქანა აღგილიდან მოწყვიტა.

(გაგრძელება იქნება)

კობაე ნაღიჩაძე



თქვენ ხართ ისეთი კარგი და ნაზი, —
თავათ არ ვიცი რას შეგადაროთ!
როგორც ნექტარით ავსილი თასი
შინდა სათუთად ხელით გატაროთ, —
თქვენ ისეთი ხართ კარგი და ნაზი!
თქვენი ქართული უნაზეს ხმაზე,
ღიმილი მორცხვი, რაღაც ბავშვური —
თქვენი გულის და სულის ნაყური.

წმინდა ქართულით სინაზით სავსე.
და მინდა მუდამ გესმოდეთ ასე:
თქვენ ხართ ისეთი კარგი და ნაზი...
თქვენ ხართ ნექტარით ავსილი თასი,
ტურფა ბაღნარში გაზრდილი ვაზი,
ნუკრის თვალება და ნუკრის მსგავსი,
ისეთი კარგი, ისეთი ნაზი...

ცოტნე დადიანი და მუცი სცეოლა

ვერ დავეიწყებ, რაც სიზმრად ვნახე,
და რაც ყოველთვის მემახსოვრება.
წარმომიდგება, თვალებს რომ ვახელ,
ორი საყვარელ ვაჟკაცის სახე,
მათი გმირობა, მათი ცხოვრება.
ერთი მათგანი — გმირი ქართველი
რომაელ ვაჟკაცს ხელებს უწვდიდა,
მას რაღაც ჰქონდა მისთვის სათქმელი,
და მის მეგობრულ სიტყვას უცდიდა.
უნდოდა ეთქვა: „ო, მხოლოდ ასე
პირისპირ დგომა სიკვდილთან უნდა,
და, თუ სულა სიმტკიცით სავსე
დაუძლეველი დარჩები მუდამ“.
შემდეგ დაღალულს და მზით გათანგულს
აღარ შეეძლო მეტის თქმა მისთვის
და უცხოეთში შორს გადაკარგულს

გული გაეღო რომაელ მშისთვის.
და ამ სიტყვების დასტურად თითქოს
რომაელს სახე გაუბრწყინდებია,
ეტყვის: „რაინდო, სიკვდილის სიტკბოს
თან უკვდავების ახლავს დიდება!
ვშობილვართ მისთვის — კუბოს კარამდე
რომ ჩვენი ქვეყნის ცეცხლით ვიწოდეთ
და რომ კურთხევა მისი გვფარავდეს —
მისთვის დაღუპვაც უნდა ვიცოდეთ!“
ვეუსმენ მათ ჩურჩულს ლოცვებათ
რხეულს
და ვკოცნი კრძალვით, მუხლებმობრილი
მათ, ვინც სიკვდილის მარცხი გვაჩვენა:
ცოტნეს წამებულ, დაკბენილ სხეულს
და მისკენ გაწვდილ, ნახშირად ქცეულს,
მუცი სცეოლას დამწვარ მარჯვენას...



პირველი სვეტი

დიდმოვლობისას

გარეთ თოვს...

— ფანჯრიდან ვხედავ, როგორ თოვს გარეთ და თეთრად როგორ იბარდნება სახურავები, ხეები, ქუჩა და ხალხი. ახლახანს დაიწყო ბარდნა. დაიწყო უცებ, მოულოდნელად. ქუჩას თითქოს პაერი აღარ ჰყოფნის. პაერში პეპლის ფრთის ოდენა ფთილები დაუსრულებლად ირევა და ეფინება ყველაფერს, რაც კი გარეთაა.

— თოვს, — მესმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა, — გაიხედე.

ცოლს ხმაზე ვატყობ, თოვლის მოსვლა უხარია და ვეუბნები:

— ვხედავ.

— სეთი თოვლი დიდი ხანია არ მინახავს.

არც მე მინახავს დიდი ხანია...

ბუსუსიანი, დიდ-დიდი ფიფქები ღანჯრის მინას ეკრობა და მაშინვე დნება. მინა გარედან სველია და გამდნარი თოვლის წვეთებით დასერილი.

ფილაქანზე მოკიდებულ თოვლს გამვლელიები თანდათან ტყეპნიან. მე არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ, როგორ ხრატუნობს გამვლელთა ფეხქვეშ ახალი თოვლი.

ეზოდან თბილად შეფუთვით, ლოყებდაწითლებული ბავშვები გამოჩნდნენ, თან ციგები გამოაქვთ და თოვლის ცვენასა და ბარდნაში უჩინარდებიან.

— დაინახე ბავშვები? — მეკითხება ცოლი.

— დაინახე, — ვეუბნები მე.

ოთახში თბილა. ფანჯარასთან ვზივარ, საწერ მაგიდას ნიდაყვით ვყარდნობი. ღუმელი ყრუდ, დაგუბული ხმით ბუბუნებს და სითბოს აფრქვევს.

კარგია, ოთახში რომ თბილა, ხოლო გარეთ თოვლი მოდის: მგონია, სითბოს ახლა უფრო მეტი ფასი აქვს-მეთქი.

თოვს...

ქუჩა თანდათან ნახატს ემსგავსება და ფიფქების კორიანტელი იღუმალებით მოსავს... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება.

მხარზე ვერ ხელის შეხებას ვგრძნობ, მერე — თბილი სხეულისას.

— ჩვენი ბავშვებიც ასევე ირბენენ თოვლში, — შეუბნება ცოლი.

— რა თქმა უნდა, — ვეუბნები მე. — რა თქმა უნდა, ასევე ირბენენ.

ჩემს თმაში იხლართება ცოლის თითები. ვგრძნობ, რალაც უნდა მითხრას. ვიცი, იღიმება და ნახევრად მოხუჭული თვალებით ჩასცქერის დათოვლილ ქუჩას.

— უცნაურია, — ვეუბნება ცოლი, — ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა. ასე არ თოვდა, მაგრამ კარგი ზამთარი იყო შარშან... კარგი ზამთარი... — იმეორებს განსაკუთრებული კილოთი. — ბესიკის ქუჩით მოვდიოდი თავქვე. ფეხი მისრიალდებოდა და მეშინოდა, არ დავცემულიყავი. ქვევით ბიჭები შეენიშნენ — ქუჩის კუთხეში გროვად იდგნენ და გოგოებს გუნდებს ესროდნენ, სწორედ ისე, როგორც ესენი.

მართლაც, ჩვენი ქუჩის კუთხეში თოვლში ამოგანგლული ონაერები ტრიალებდნენ და ქრიაშულით იკლებდნენ იჭაურობას, სწრაფად აკეთებდნენ გუნდებს და ქუჩის გადმოღმა ისროდნენ. მე ვერ ვხედავდი, ვის ესროდნენ, მაგრამ ხანდახან წამოკვივლება მესმოდა

და ვიცი, ჩემი ფანჯრის ქვემოთ შე-
შინებული და, ამავე დროს, მაინც კმა-
ყოფილი ქალიშვილები სხეულის სხარტი
მოძრაობით იცილებდნენ გუნდებს და
კვილით გარბოდნენ.

— მე იმდენად გუნდის მოხვედრის
არ მეშინოდა, რამდენადაც დავარდნი-
სა. — მეუბნება ცოლი, — მეშინოდა,
გუნდების სროლისას არ გამსრიალე-
ბოდა ფეხი და არ წავეკეულოყავი... ამ
დროს შენ ჩამოიარე და გთხოვე, ჩაგე-
ცილებინე. სირცხვილი დავძლიე და
სრულიად უცნობ ადამიანს ჩემი შიში
გავიშხილე... შენ ისეთი თავაზიანი
იყავი... ისეთი კეთილი...

მე ვუსმენ ცოლს და ქუჩაში ვიხედე-
ბი. გარეთ ისევ ბარდნის კრამიტის და-
ბალი სახურავი სულ მთლად დაითოვლა.
შეჭვარტლულ საკვამურიდან ბოლქვე-
ბად ამოდის რუხი ბოლი, ზევით მიირბე-
ვა, იშლება, ფერმკრთალდება და ფიფ-
ქებში ჭრება.

— მერზე შენ ჩამაცილე რუსთველის
პროსპექტამდე. — იხსენებს ცოლი, — და
იქ თავაზიანად დავშორდით ერთმან-
ნეთს... რას ვიფიქრებდი, ანდა როგორ
უნდა მეფიქრა თუ...

რატომღაც ბაკურიანი მაგონდება...
კარგად არ მახსოვს, როდის იყო, ორი
თუ სამი წლის წინათ. შესაძლოა, ოთხი
წელიც გავიდა მას შემდეგ...

ბაკურიანის პარკში, გორაკზე ნაცნობი
ბიჭები და გოგონები შემხვდნენ, ჩემსა-
ვით სტუდენტები იყვნენ. ყველას სალ-
მით ვიცნობდი. თხილამურებით ლიბან-
ში წასვლა გადაეწყვიტათ. მეც შევეუერ-
თდი და გორაკიდან დავეშვიტ. ვჩქარობ-
დით. ლიბანში როგორმე მატარებლის-
თვის უნდა მიგვესწრო, რომ იმავე საღა-
მოს უკან დაგბრუნებულიყავით. არცერ-
თმა არ ვიცი, თხილამურით თხილა-
მურზე დგომა, მაგრამ დავადექით უკვე
გაკვალულ სათხილამურო ბილიკს, რო-
მელიც ლიანდაგივით მიჰყვებოდა ზე-
ლუხლებულ თოვლს. ბილიკი თავისთა-
ვად მიგვასრიალებდა, დიდი სიმარჯვე
და ოსტატობა არ გიქირდებოდა.

ერთ რიგად გაბაწრულები მივსრია-

ლებდით თოვლით დაბურულ ფიჭვის
ტყეში. ცა მოწმენდილი იყო და მზე
გვაცხუნებდა. ქათქათა ბნოვლი მშვე-
ბრწყინავდა და თვალებს გეტკენდა.
ჩვენცენ გამორბოდნენ თოვლით დან-
მებული ფიჭვები და სადღაც უკან რჩე-
ბოდნენ.

ხანდახან ვჩერდებოდით და ტყის დუ-
მილს მივაყურებდით. შორი-ახლოს კო-
დალა უკაყუნებდა ხეს და ამ თოვლიან
დიდმყუდროებას ბზარავდა. თოვლით
ვისრესდით და ვიგრილებდით გახურე-
ბულ სახეს, მერმე თვალებს ვხუჭავდით
და მზისკენ ვაბრუნებდით პირს გასათ-
ბობად. მერმე ისევ მივსრიალებდით
ხეებსა და დაღვლარქნილ ტოტებს შო-
რის.

ტყის იქით მზე ჩადიოდა. თოვლზე
იისფერი ჩრდილები მოსრიალებდა,
ჩრდილები თანდათან იზრდებოდა, უსაშ-
ველოდ გრძელდებოდა და ერთმანეთს
ეხლართებოდა.

უცებ მატარებლის კვილი მოგვესმა.
მატარებელმა სულ ახლოს იკვილა. უნე-
ბურად ყველანი შეთანხმებულუბივით
შეჩერდით, ერთმანეთს გადავხედეთ და
სმენად დავიძაბეთ. ახლა კვილი უფრო
ახლოდან ისმოდა. ზოგმა ისიც კი თქვა:
ბორბლების ხმაური გავიგონეო. მე
ბორბლების ხმაური არ გამიგონია და
ამიტომ გაჩუმებული ვიდექი. პირველად
მოვდიოდი ასეთ შორ მანძილზე თხილა-
მურებით და უეცარმა შიშმა შემიპყრო.
მატარებელს რომ გაესწრო, ღმერთმა
იცის, სად მოგვიწვედა ღამის გათევა.

ლიბანში წასვლაზე ფიქრიც კი ზედ-
მეტად ჩავთვალეთ. საკოპიეისკენ გავუხ-
ვიეთ. იქნებ იქ მაინც მიგვესწრო მატა-
რებლისთვის.

სულ ექვსნი ვიყავით. მე მესუთე მი-
სრიალებდი, ფეხდაფეხ მივდევდი ჩემს
წინარეთ. მატარებლის ყოველი წაო-
კვლება გულს მიხეთქავდა. კვილი ხან
შორიდან ისმოდა, ხან — ახლოდან,
ხან — ბაკურიანის მხრიდან, — ხან —
ლიბანისა. შემკრთალი და დაბნეული
მიქროდი.

მწუხრის ბინდი მოგვდევდა უკან და

თანდათან გვეწეოდა. ისიც ჩვენსავით მოსრიალებდა ტყეში. ხეებს შორის სივრცეს იპყრობდა საღამოს გამჟღავნებელი ბინდი, რომელიც ჩვენსკენ შეუბრალებლად მოდიოდა, მოდიოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენ მივქროდით.

უკნიდან ძახილი გავიგონე. მივიხედვე და შევჩერდი, მეექვსე წაქცეულიყო და ხელს მიქნედა. მე აღარ მახსოვდა ვინ იყო მეექვსე, ბინდ-ბუნდში ვხედავდი, შავ, მოძრავ ლაქას, რომელიც წამოდგომას ლაშობდა. ხმაზე მივხვდი, ერთ-ერთი ქალიშვილთაგანი იყო, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. ვალდებულები ვიყავი მივშველებოდი.

როგორც იყო მივტრიალდი, თხილამურები აჩხა-ბაჩხად გამექცა. კინალამ წაიქეცი. მერმე კვალში ჩავდექი და სწრაფად მივსრიალდი. წაქცეული ლელა აღმოჩნდა, უნივერსიტეტელი ქალიშვილი, რომელსაც შორიდან ვიცნობდი. იგი მუდამ კეთილად მესალმებოდა და მე სულ ვცდილობდი, მასთან დაახლოვებას, თუმცა ვერ მივმხდარიყავი, მაინც რით მხიბლავდა ეს შავგვრემანი, კაფანდარა ქალიშვილი.

— მე ზეგონა, წინ იყავი, აქ როგორ გახნდი? — გავოცდი.

ლელა უხერხულად ეგდო თოვლზე. თხილამურისანი ფეხები ერთმანეთში გადახლართოდა. ცდილობდა ხელით დაეხრდნობოდა თოვლს და წამოდგარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა — ხელი ილღიამდებოდა თოვლში.

ლელა იღიებოდა, თუმცა შევატყვე დიმილი სიმწრისა იყო. გაჭირვებით წამოვყენე. სათხილამურო კოსტუმს ხელთათმანის ცემით მოვაშორე მიკრული თოვლი. ქალიშვილი ბილიკზე დაეცენე და ჩემ წინ გავუშვი. დაიძრა თუ არა, მაშინვე ჩაიმუხლა, კოჭზე იტაცა ხელი და სახე ტკივილისაგან დაემანჯა.

ფეხსაცმელი, თხილამურისთვის არ მომიშორებია, ისე გავხადე. წინდაც გავაძრე. ფეხი ჯერ გავუხიდე, მერმე დავუხილე. საწყალი გოგო ტკივილისაგან ყვიროდა, ფეხის წართმევას ცდილობდა. ისეე ჩავაცვი წინდა, ჩავადგმეინე ფეხი

ფეხსაცმელში და თასმები შევეუკარი...

ერთხილად დავეშვიფე ქვევლამ. ასე ერთხანს ვიარეთ უხმოლდ-გჭრა შეგონა წინ წასულებს დავეწეოდით, მაგრამ როდესაც მივედით გზაჯვარედინზე, სადაც თხილამურების მრავალი კვალი ერთმანეთს სერავდა და ერთმანეთში ირეოდა, დავიბენი და შეშფოთებით შევაჩერდი ლელას. არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ლელა მშვიდად იდგა და ცნობისმოყვარედ ათვლიერებდა იქაურობას. ჩემზე იყო მონდობილი. ალბათ, ეგონა, ეს გზები თბილისის ქუჩებივით ვიცოდი...

— მერმე ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით ქუჩებში, — მაწყევტინებს ფიქრს ცოლი, — შემთხვევით ვხვდებოდით და ვესალმებოდით.

შემდეგ მიაბობს, თუ როგორ გავაჩერე ერთხელ ქუჩაში და როგორ გამოველაპარაკე. მე მესმის ცოლის რბილი, ოდნავ ნაღვლიანი ხმა. თავად სულაც არ არის ნაღვლიანი, მაგრამ ხმა აქვს ასეთი და მე ძალიან მიყვარს მისი საუბრის მოსმენა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამეს იხსენებს... მაგრამ ახლა გარეთ თოვს და მე ფანჯრიდან გავცქერი დიდთოვლობას. ისეე ბაკურიანი მაგონდება, ის გზაჯვარედინი, სადაც მე და ლელა ვიდევით. ახლა ვერ ვიხსენებ, საით დავეშვი, ის კი მახსოვს, მალე მატარებლის ვიწრო ლიანდაგთან აღმოვჩნდი. ლელა იქაც დაეცა და მითხრა, — ფეხი ძალიან მტკივა და სიარული გამიჭირდება. მე მივიხედ-მოვიხედე, ჩვენი ამხანაგები აღარსად ჩანდნენ, როგორც ეტყობოდა, ისინი სხვა გზით წასულიყვნენ.

ორთქლმავლის კივილი ქვევლადან მოგვესმა.

— მგონი, მივასწროთ, — ვუთხარი ლელას. — სადგური ახლოს უნდა იყოს.

მოვიხსენი თხილამურები და ლელასაც მოვხსენი. ორი წყვილი თხილამური მხარზე გავიდე და ლიანდაგს ქვევით გავყევი. ლელა კოჭლობით მომდევდა. უკვე ბნელოდა და ლელასაც ვაჩქარებ-

დი, მინდოდა მატარებლისთვის მიმესწრო სადგურში.

ლელა მებვეწებოდა, — ნელა იარეო. მე, იმის შიშით, რომ ღამე გარეთ არ დავრჩენილიყავით, თითქმის გავრბოდი. მხარზე გადადებული თხილამურების ლითონის სამაგრები ხანდახან სახეზე მომედებოდა და ისე ამიწვავდა, თითქოს ცხელი შანთით მდალავენო.

— მოიცადე, — შექახდა უკან დარჩენილი ლელა, — აღარ შემოძლია.

ჩემი აზრით, მოცდა აღარ შეიძლებოდა, გაბრაზებული ვუყვიროდი და ისიც მორჩილად მომყვებოდა კოჭლობით.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მესმოდა:

— შევისვენოთ, სული მოვითქვათ.

— სულ ცოტაა დაგვრჩა. არ გესმის მატარებლის ქშენა?

— რანაირი ყოფილხარ!

— ხომ ზედაც, როგორიცა ვარ, გამოადგი ფეხი!

— შენ წადი, თუ გინდა, მე აღარ მოვდივარ.

— აქ აპირებ დარჩენას?

— ჰო, აქ ვაპირებ.

— გამოადგი ფეხი!

— არ წამოვალ, არ წამოვალ!... აქ დავჯდები ლიანდაგზე და არ წამოვალ!.. გაიგე არ შემოძლია!

ლელა მაინც მომყვებოდა. ეცემოდა, დგებოდა, ისევ მომდევნა, მე წინ მივიწვედი ღამეში. ლიანდაგები ელავდნენ და ამ ცივ ელვას მივყვებოდით ბრმად. ხანდახან ვყოვნებდით და უკან დარჩენილ ლელას ველოდებოდით, ხან ვუყვიროდი, ხან ვამხნევებდი. მე ჩემი თავი ნებისყოფიან კაცად მიმაჩნდა და მინდოდა, ამ იარაღით შემოქმედა უკან კოჭლობით მომავალ, მოწუწუნე ადამიანზე.

ლელა ატირდა, ამიჯანყდა. მის ტირილზე გული მომივიდა. ნერვები დამეწეწა. ისევ ვუყვირე, კი არ ვუყვირე, ვუბრძანე, — ტირილი შეეწყვიტა. ლელა გაჩუმდა, ტირილი შეწყვიტა...

მოდით, ეცემოდა, დგებოდა და ისევ მოდიოდა...

ცოლი რაღაცას მეუბნება. ვერ გავი-

გე, ვთხოვ, გამიმეოროს და ისიც მიმეორებს:

— ასე მგონია, სხვისთვის თოვს...
გაოცებული ავხედავ ცოლს.

— უცნაურია, არა? — მეუბნება.

ვიღიმები და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ:

— ჰო... რამე დასალევი მომიტანე...

ცოლი ღვინოს მისხამს ჭიქაში და მოაქვს.

— შენ არ გინდა?

— არა.

— სულ ცოტა, ერთი ყლუპი... —

— არა, არ შეიძლება.

— მართლა, შენთვის არ შეიძლება.

მე ნელნელა ვწრუპავ ქარვისფერ, სურნელოვან სითხეს და სიგარეტს ვაბოლებ.

...ბოლოს გაძინდა სადგური და მე შევებით ამოვისუნთქე, სიხარულის ყიყინა აღმომხდა:

— აგერ, სადგური!

მატარებელი ბაქანს მისდგომოდა, ორთქლმავალი ქშინავდა და მილიდან ბოლთან ერთად ნაპერწკლებს ისროდა.

უხმოდ შევარდი სადგურის შესაბაში. იქ თბილოდა, ღუმელი ყრუდ ბუბუნებდა. გახურებული და გაოფლილი ვიყავი, მაგრამ ის სითბო მაინც მეამა და სიამოვნებისაგან შევიშმუშნე. ბაკურია-ნამდე ორი ბილეთი ვიყიდე და ერთ წამში გაეჩნდი ვაგონის კიბესთან, სადაც დალილი და გაწამებული ლელა მელოდებოდა.

ერთერთ ვაგონში ჩვეს ამხანაგებს მივავენით და იქვე კუპეში მოვთავსდით. მე ვუსაყვედურე ბიჭებს შუა გზაზე ჩვენი მიტოვება, მათ გაიღიმეს და არაფერი მიპასუხეს. მაშინ ვერ მივხვდი, რატომ იღიმებოდნენ საეჭვოდ და აღმაცერად რატომ უმზერდნენ თოვლით გაგანგულულ ლელას. მეორე ქალიშვილი, რომლის სახელი ახლა აღარ მაგონდება, გაბუტულივით იჯდა განზე და ლელასკენ არც იხედებოდა. მე ვახარებული ვიყავი, რომ მოვასწარით მატარებელში ჩასხდომა და ყველაფერი რომ მშვიდობიანად დამთავრდა.

პატარა ვაგონი მოთხილამურეებით იყო გაქვდილი. გაუთავებელი ლაპარაკი ისმოდა. ყველა ცდილობდა სხვისთვის დაესწრო შთაბეჭდილების გაზიარება. ვაგონის ბოლოში ვიღაც ბიჭები მღეროდნენ.

მატარებელმა ერთი შეკვივლა და ბაკურიანისკენ ქშენითა და ქოთქოთით შეუდგა აღმართს, მე ლელასკენ გადავიხარე და ზნადაბლა თითქმის ნიშნისგებით ვუთხარი:

— ასე არა სჯობდა?!

ლელა სდუმდა და ფანჯარაში იხედებოდა. უკან რჩებოდა მკრთალად ვანათებული, თოვლით გადაგლესილი ბაქანი, სადგურის პატარა შენობა, რომლის საკვამური ბოლავდა ვარსკვლავებით მოქვდილ ცის ფონზე.

ლელას შალის შავ სეიტრსა და შარვალზე თოვლი შეადნა და გარკვევით ემჩნეოდა სველი ლაქები. ეტყობა შესცივდა. კუთხეში მიიყუთა და თვალები დახუჭა. წამწამების ჩრდილი დაღლილსა და გაფითრებულ სახეზე ეცემოდა. სინათლე აწეწილ თმაში ალაგ-ალაგ გამდნარ თოვლის წინწყლებს აციმციმებდა.

მატარებელი კვილით მიჰყვებოდა აღმართს, ზნადაგზა სვლა უქირდა, იმდენად უქირდა, ჩერდებოდა კიდევ, თითქოს სულს იბრუნებდა. მერმე ისევ მოიკრებდა ღონეს, თოვლიან ტყეებს შეპკივლებდა, ერთს ლაზათიანად შეგვანჯღრევდა და ბორბლების გრუხუნით დაიძრებოდა.

„ასე არა სჯობდა?!“ ვიმეორებდი დაუფიქრებლად. თითქოს ჩემთვის ვლიინებდი ნაცნობ სიმღერას, მაგრამ უცებ გავიფიქრე: „რატომ სჯობდა ასე?“ რა მოხდებოდა, არ ავჩქარებულები და მატარებელს ჩვენთვის გავსწრო? არ ავჩქარებულები, მხარში შევდგომოდი ლელას და ფრთხილად წამომეყვინა, რომ ნაღრძობი ფეხი არ ვაღიზიანებოდა.

ასე მოვიდოდით სადგურში... ბოლოსდაბოლოს სადგურში ვაგათყვედით ლამეს, იქ ზომ ღუმელი ერთი დასთბილად...
ვგრძნობდი, ლელას ფეხი სტკოდა და ითმენდა. იმასაც ვგრძნობდი, თვლები რომ გაეხილა, ცრემლებს ველარ შეიკავებდა და ატირდებოდა. ამიტომ მოიმძინარა თავი. ძილი ნიღაბივით ააფარა მწვავე ტკივილებს.

ვაგონში ველარ ვაქვდი და ბაქანზე ვავედი. ბაქანზე უინავდა და ვინანე რომ გამოვედი. უკან შებრუნება მინდოდა, მაგრამ ლელასი მრცხვენოდა... მაინც რატომ მეშინოდა, მატარებელს არ გავსწრო... რა ლაჩრულად ვაგურბოდი ლამეს.

მატარებელი მიპკიოდა ბაკურიანის დათოვლილ ტყეებს, ბაქანზე ვიდექი და გავცქეროდი ლამის სიბნელეს. უცებ მომეჩვენა, მატარებელს ვიღაც აედევნა. მე თითქოს მოძრავ ლანდს ვხედავდი და ლანდი კოკლობით მობრბოდა. შემეშინდა, ვაგონში შევბრუნდი.

ვაგონში ისევ მღეროდნენ ბიჭები. სიმღერა ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა. რადგან მოთხილამურეებს უკვე დაეცხროთ ლაპარაკის ეინი და დაღლილები თვლემად მილაგებულებიყვნენ.

— შენ თავაზიანიც იყავი და უშიშარიც... შენ არ შეგეშინდა იმ ბიჭების, გუნდებს რომ ისროდნენ... — ნესმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა.

ოჯახში თბილა, ღუმელში ცეცხლი ანთია. სარკმელს მიმდგარი გარეთ ისე ვიხედები, როგორც თევზი აჭვარიუმინდან. გავცქერი დიდთოვლობას და ჩემთვის ვამბობ: აჰა, მოვიდა დიდი ზამთარი!

ჩემი ცოლი ოჯახში ტრიალებს და ძალიან უხარია თოვლის მოსვლა, რადგან თოვლი ჩემთან შეხვედრებს აგონებს... ცოლს ზედმიწევნით ახსოვს ყველაფერი...

გარეთ თოვს...



თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ქალაქი ღია ზღვაზე

ზღვაზე გასულა მარტი ომითა,
პირქვე დაგადებს, ზღვის ღელვა თუ
გძულს,
გემით გავედით არტიომიდან
და ჩაუვარეთ სიცოცხლის კუნძულს. —

დიდ ზღვაში გდია მიწის ნაგლეჯი,
ბუნების უკედავ ხელით მოჭრილი,
გაუმართია ლაღად მხარ-ბეჭი
ჭაბურღილებით წამოქოჩრილი.

გემი წამოშლილ ტალღებს მიარღვევს,
შორს გაკრთა შუქი მანათობელი,
— ვუახლოვდებით ნავთობიან
ქვეებს! —
წამოიშალნენ მენავთობენი.

უცებ გაეხსნა ზეცას ცხრა კარი,
ტალღებმა ერთად შემოჰკრეს ტაში,
თვალწინ გაცოცხლდა მართლაც
ზღაპარი,
წამოიშართა ქალაქი ზღვაში.

ხმელეთის დიდი სახლები ვიცან,
ზღვას რომ უღგანან ერთგულ
ღარაჯად,
...ფოლადის ფეხი აიდგა მიწამ
და შუა ზღვაში შემოალაჯა.

მძლავრად უელავს ელექტრო თვალნი,
ნისლიან ოდნავ დაბურვილები;
ზღვას შესევია ურიცხვი ჯარი
მუხლწაუხრელი ჭაბურღილების.

გაეხსნა შენი გული მდიდარი,
ზღვაო, კაცს როგორ მიეცი ნება?...
აქედან შავი ოქროს მდინარე
ხმელეთისაკენ მიედინება.

ჩემს ფეხქვეშ ბორგავს ტალღა
ტრიალით,
ზღვასავით მიპყრობს ღელვა უჩვევი,
ზღვის შუაგულში დაეხეტიალობ,
ალარ თავდება გზები, ქუჩები.

მოდი და აბა ნუ გაჰკვირდები,
ჯერ არ მივლია მგონი ამდენი,
ვარდებს ასკდებათ ტანზე კვირტები,
და თვალს მიკრავენ ოლეანდრები.

იქნებ ესხურათ შხეფი არაგვის,
ავი გრიგალის შიში რომ არ აქვთ;
და ხიმიწვებზე მდგარი ქალაქი
ეხმატებილება ხმელეთის ქალაქთ.

...იმ დამეს ტალღა მედო ბალიშად,
საბნად მეხურა ქათქათა ქათვი,
ფრთა დაეკეცნა მარტის ქარიშხალს,
ალარ ვუხმობდი ხმელეთის ნაპირს.

სიზმრად ვხედავდი ხან ოქროს
ვერძებს,
და ხან მედეას თვალებს დაქანცულს,
ეხეტიალობდი კასპიის ფსკერზე.
და დავეტებდი ახალ საგანძურს.



საჩემო წიგნი

გომია მემარტო

ეს ამბავი ამ ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა.

ვისაც მაშინდელ ქუთაისში უცხოვრობდა, არ შეიძლება არ ახსოვდეს ორპირის ქუჩის ბოლოში ქოცოია ჯღამაძის დუქანი.

დუქანი ზედ ხონის გადასახვევთან იდგა და მუშტარიც ბლომად ეტანებოდა ქოცოიას.

ესეც არ იყო, მდუქნეს ერთი ვეება ბომბორა ნაგაზი ჰყვალა, დიდსა და პატარას ყველას აოცებდა, ისე იყო დაგეშლილი.

გაიგონებდა დილიჯანის ექვნიების ქლარუნს თუ არა, ნაგაზი ეზოდან გამოვარდებოდა, გზის პირას ჩაცუცქდებოდა და დილიჯანის გამოჩენას უცდიდა, — თუ გაჩერდებოდა ხომ კარგი, არადა, ნაგაზი დილიჯანს წინიდან შემოურბენდა, ცხენებს შეუყვებდა, მკერდზე მიახტებოდა, სანამ მდელიქენე ცხენებს არ შეაყენებდა.

ათ-თორმეტ მგზავრში სამი-ოთხი კაცი ყოველთვის აღმოჩნდებოდა, რომლებმაც ქოცოია ჯღამაძის დუქნის პირის გემო იცოდნენ.

მოუსხდებოდნენ მაგიდას, ჭაში ჩაიცებულ ღვინოს და კეცებშუა შემწვარ ვარიებს შეეჭკეოდნენ.

არა მარტო ნაგაზმა, ქოცოიას დუქანს გოგია-მემარტომაც გაუთქვა სახელი. მკვდარს გააცოცხლებდა მისი დაკრული დილის საარი, სულიცო, შავთვალა გოგონა და საცეკვაო.

გოგია მემარტომეშვილი ერთი ღარიბი საყულებელი გლეხკაცის შვილი იყო. მამამისი ქოცოიას ენათესაებოდა. ამიტომ როგორც კი გოგიას ხუთმეტი წე-

ლი შეუსრულდა, მამამ სოფლიდან ჩამოიყვანა და მდუქნეს ჩააბარა.

— შენ იცოდე და შენმა კაცობამ ამ ბიჭს ნუ დამიჩაგრავ და მე თუ არა, ღმერთი გადაგიხდისო.

არც ქოცოია იყო ფუფუნებაში გაზრდილი. ოდესღაც ისიც ასე მიუყვანეს ქუთაისში ცნობილ მიკიტანს ილიკო გიორგაძეს და ვინ იცის როგორი იქნებოდა ქოცოიას ბედი, რომ მოღერებულ ყმაწვილს მზითვებიანი ქალი არ შეხვედროდა.

სწორედ ამ მზითვებმა გაუმართა ქოცოს პატარა დუქანი ორპირის ქუჩაზე. თვითონაც მოქვიფე კაცი იყო ქოცოია, თავის დუქანში მოგებულს სხვის დუქნებში სჭამდა.

ღვინის სმას მეტადრე მაშინ მიჰყო ხელი, როცა ერთადერთი ვაჟი კაზაკებმა მოუკლეს გეგუთის ქუჩაზე.

ეს იყო ცხრაას ხუთში, როდესაც რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები ქუთაისის საგუბერნიო ციხეს მიადგნენ პოლიტიკური პატიმრების გასათავისუფლებლად.

შვილის სიკვდილმა ერთბაშად მოსტეხა ქოცოია. ყველაფრის ხალისი დაუკარგა, მაგრამ თუ დუქანში ახალთაობის კაცი შემოვიდოდა, არაფერს დაზოგავდა, ოღონდაც მისთვის ესია მოვებინა. არაერთარ შემთხვევაში ფულს არ გამოართმევდა.

ახალთაობის კაცები ქოცოიას სანდო კაცად სთვლიდნენ და ხანდახან მის დუქანში არალეგალურ ლიტერატურას ინახავდნენ.

სწორედ ეს ნდობა ახარებდა ქოცო-

იას. ამ ნდობით იგი თითქოს შვილის სი-
ცოცხლეს აგრძელებდა.

გოგია შექმარიაშვილსაც მამაშვილუ-
რად ეპყრობოდა, აცმევდა, ახურავდა.
ბოლო დროს ჯამაგირიც მოუმატა.

შაურს შაურზე აწებებდა გოგია და
მამას უგზავნიდა საყულიაში.

გოგია დუქანში მზარეულიც იყო,
ხელზე მიმტანიც და მეარღნეც. ხანდა-
ხან მღეროდა კიდევც.

ქოციოას დუქანს

ცივი ქარი ურტყამს,

გამოსულა ქოციოა

ვევდრება უფალს:

ღმერთო, დუქანს ნუ დამინგრევ,

ცხვარს დაგიკლავ მუქანს.

ასე მიდიოდნენ დღეები, რომ ერთ
საღამოს დუქანში ორი კაცი შემოვიდა.

ერთი ახალგაზრდა იყო, რკინიგზელის
ფორმა ეცვა, ხელში სანიშნო ფანარი
ეჭირა და ლაპარაკის დროს ცოტა მეგ-
რულად უქცევდა.

მეორეს მხრებზე ნაბადი მოვდო,
წაბლისფერ ბოხოხში ჭალარა საფეთ-
ქელი მოუჩანდა. შავი ბრიალა თვალე-
ბი ჰქონდა, მარცხენა ლოყაზე ნახმლე-
ვი აჩნდა.

სწორედ ამ ნახმლევიტ იცნო იგი გო-
გია მეარღნემ.

ამას წინათ ახალთაობის კაცებმა დუ-
ქანში რაღაც ყუთები მოიტანეს შესა-
ნახად. იმ კაცებს ეს ნაბდიანი ახლდა,
დუქანში არ შემოსულა. სანამ ყუთს
სარდაფში ჩაიტანდნენ, გზის პირას იდ-
გა და შავ თვალებს აბრიალებდა...

მოსულებმა შედუქნე განზე გაიხმეს.

— გამარჯობა, ქოციო! შენთან სიტყ-
ვა გვაქვს, უთხრა ნაბდიანმა და დუქან-
ში მიიხედ-მოიხედა. კუთხეში ვიღაც
მთვრალი იჯდა და ნელი ხმით ლიღი-
ნებდა:

ქოციოას დუქანს

ცივი ქარი ურტყამს...

— მაღლა ამობრძანდით! — მიუგო
ქოციომ და სტუმრებს ეზოში შეუძღვა,
სადაც მისი საცხოვრებელი სახლი იდგა.

— შვიერი იქნებით!

— არა, ქოციო, პურის საჭმელად არ

გვცალია, ახლავე უნდა წავიდეთ, შენი
სარდაფი უნდა მოგვაქირავო, არას იტ-
ყვი?

— თქვენი ქირა რად მინდა, შე კა-
ციო! — იწყინა ქოციომ. — ღვინის კას-
რები მიწყვიდა, დღესვე გამოვიტან და
მობრძანდით, როგორც გინდათ, ისე მო-
იხმარეთ!

— არა, ქოციო, კასრებს ხელი არ ახ-
ლო, ყველაფერი ისე დასტოვე, რო-
გორც არის... იმ სარდაფში ეს ამხანაგი
იციხვრებს, თვალყური გეჭიროს არა-
ფერი გაუჭირდეს. — უთხრა ნაბდიან-
მა. მერე მასპინძელს დაემშვიდობნენ
და ლამის სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ორი კვირის შემდეგ ქოციოას დუქან-
თან ურემი გაჩერდა. ზედ ღვინის კას-
რები ეწყო.

— ღვინო ხომ არ გინდა, ბატონო? —
ჰკითხა მეურმემ დუქნიდან გამოსულ
ქოციოს. მეურმეს მარცხენა ლოყაზე
ნახმლევი აჩნდა...

— ღვინოს გააჩნია! — ხმამალა,
მუშტრების გასაგონად მიუგო ქოციომ
და მეურმესთან მივიდა.

— აბა ერთი ჭაშნიკი ვნახოთ!

მეურმემ ყველაზე პატარა კასრიდან
ჭიქაში ღვინო გადმოასხა და შედუქნეს
გაუწოდა.

დიდხანს იგაჭრეს, იდავეს და რო-
გორც იქნა მორიგდნენ... კასრები სარ-
დაფში ჩაიტანეს და ერთმანეთს დაემ-
შვიდობნენ.

ერთი თვის შემდეგ ქოციომ კიდევ
იყიდა ერთი კასრი ღვინო, მხოლოდ ახ-
ლა ურემს უცნობი „გლეხი“ ახლდა.

ასე ჩაიტანეს და გამართეს ჯღამაძის
დუქნის სარდაფში პატარა საბეჭდი
მანქანა — „ამერიკანკა“.

„ამერიკანკის“ ხმაური დუქანში ამო-
დიოდა, ამიტომ ახალგაზრდა რკინიგ-
ზელი ვალიყო ლეჟავა პროკლამაციების
ბეჭედას ნაშუალამევეს იწყებდა, მაგრამ
ერთხელ გათენებისას დუქანში სწრა-
ვად შემოვიდა ნაბდიანი, ქოციოა
გვერდზე გაიხმო და კარგა ხანს ეჩურ-
ჩულა, მერე გოგიას თვალი ჩაუკრა და
სარდაფს მიაშურა.

— მოხდა რამე? — ჰკითხა ვალიკომ ნაბდიანს.

— წუხელ ტყიბულში კომიტეტის წევრი მოგვიკლეს, ეს პროკლამაცია სასწრაფოდ უნდა ავაწყოთ და დაგვბეჭდოთ, ამ საღამოს ზღაროში უნდა გავაერცელო.

— ხომ არ დაგავიწყდა, არსენ, რომ საცაა დუქანი გაიღება და მუშტარიც გაჩნდება, მანქანის ხმაურს რა მოეუხერხო?

— ყველაფერი რიგზე იქნება! — დაამშვიდა ლევა და არსენამ, ნაბდი მოიძრო და პროკლამაციების აწყობას შეუდგა.

შალა კი დუქანში ქოცო ასე არიგებდა გოგია მექმარიაშვილს:

— გესმის, ბიჭო! მიუჯექი არღანს და სანამ მე არ განიშნო, დაკვრა არ შეწყვიტო, არც დაგუბო! გესმის?

— მესმის, ბატონო!

— თოფით რომ დაგადგენ! არა და არა!

— მესმის!

— აბა შენ იცი!

გოგიამ თაროზე შეგდებული კორბა ჩამოიღო და არღანს გაუკეთა.

სამხრობა იქნებოდა, როცა სარდაფიდან არსენა ამოვიდა. კუთხეში მაგდას მიუჯდა, საუზმე და ერთი ჩარქვა ღვინო მოითხოვა.

ეს იყო ნიშანი, რომ სარდაფში ბეჭდვა იწყებოდა.

გოგიამ მაშინვე კორბას ხელი დააელო და არღანის ღრიალმა მთელი დუქანი გააყრუა.

გავიდა ერთი საათი. არღანი ისევ უკრავდა და დუქანშიც ჩვეულებრივ მუშტარი ირეოდა. ცოტაც კიდევ და ეს საქმე ფონს გავიდოდა, რომ ანაზღად დუქანში უბნის ზედამხედველი არ შემოსულიყო.

პოლიციელის დანახვაზე ქოცოიას ფერი ეცვალა. „შემთხვევით შემოვიდა თუ ვინმეს კვალს მოჰყავა?“ — გაიფიქრა მან და ზედამხედველს თავაზიანად შეეგება, დახლთან მიიპატიჟა.

— არაყი თუ ღვინო? — ჰკითხა ქოცომ და დახლს წინსაფარი გადაუსვა.

— არაყი! დღეს ცოტა ცივი! — მიუგო პოლიციელმა.

არაყს შოთი პური და მჭამველნი კოქის ნაჭრები მოაყოლა მედუქნემ.

ტიქები მოიტანეს და გადაკერეს. მეხუთე ტიქაზე პოლიციელი შეარღნეს მოუბრუნდა და შეუღრინა.

— ყური წაიღო მაგის ღრიალმა, გააჩერე!

გოგიას ვითომ არც გაუგონია, კორბას გულმოდგინედ ატრიალებდა.

პოლიციელმა ერთი ტიქა კიდევ გადაკრა, მერე შეარღნეს თავზე დაადგა და დაუღრიალა:

— გააჩერე მეთქი!

არა, არც ეს გაუგონია გოგიას, თავიც არ აუწყვია.

გაცოფებულმა პოლიციელმა სახეში შემოჰკრა შეარღნეს. საწყალ ბიჭს ცხვირიდან სისხლი წასკდა, არღანის დაკვრა მაინც არ შესწყვიტა.

— ორად გაგაპობ, შე ძაღლიშვილო! — ხმაზე ხელი გაიკრა ზედამხედველმა და სანამ დუქანში მყოფნი გონს მოვიდოდნენ, პაერში ფოლაღმა გაიელვა და გოგია შეარღნეს მარცხენა ყური ჩამოათალა.

— ახლა დაუკარი რამდენიც გინდა! — ჩაიხრიალა პოლიციელმა, ხმალი ქარქაშში ჩააგო და ბარბაცით გავიდა.

•••

ის დუქანი ახლა აღარა დგას ზონის გადასახვევთან. არც იმ ქუჩას ჰქვია ორბირის ქუჩა. იმ ადგილას ახლა სამსართულიანი სკოლის შენობა აღმართულა.

სკოლის წინ, ჭადრის ძირში, ხშირად დაინახავთ ერთ დაღეულ მოხუცს. იგი სკოლის დარაჯია. პატარა სკამზე ზის და ყალიონს ათიხთიხებს, ვინ იცის, რა ფიქრები აწუხებს თუ ახარებს მის მოღლილ გულს. როდესაც მოხუცს ეინმე მიესალმება, იგი მაშინვე ფაფანაკს მოიხდის და თავაზიანად დაადვენებს:

— გამარჯობა ნუ მოგიშალოს ლმერთმა!

ქუდას რომ მოიხდის, მხოლოდ მაშინ შეამჩნევს კაცი, რომ მოხუცს მარცხენა ყური არა აქვს.

მთარ ჭილაძე

მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ,
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.
ქუჩებში ქარი დგას და არიგებს
უჩინარ ევენებს, ზარებს და ბუკებს.

აქ იყო თოვლი და როგორც ვალი
ჩემს მხრებზე იწვა მთელი სიმძიმით
და შეუმჩნეველად მიღლიდა თვალებს.
თეთრი სანთლების ცივი ციმციმი.

ყოველდღე თოვდა და თოვლი ქუჩებს
იმედებივით ართმევდა ფერებს
და ყველაფერი გადაწყდა უცებ
სულ უმნიშვნელო ყოყმანის მერე.

ის თოვლი გავდა დაქანცულ ლტოლვილს
და სიბერეზე გადაკრულ სიტყვას.
ძალიან დიდხანს გაგრძელდა თოვლი,
ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს.

სილაზე იწვა ქალი და კვალი,
ცოცხალი კვალი ქალიდან ზღვამდე.
ყველაფრის ნებას აძლევდნენ თვალებს
მეზღვაურები, რომლებიც სვამდნენ.

მზე ჩადიოდა მრგვალი და სრული
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.

მეზღვაურები ისხდნენ და სვამდნენ
და მაგიდაზე აწყობდნენ მუშტებს
და სველი კვალი ქალიდან ზღვამდე
გავდა ოცნებებს, სიზმრებს და ბუშტებს.

მარინა! მაგრამ შორს იყავ მაშინ
და დილით, როცა ფანჯრებს ვალებდი,
მოჩანდა, როგორ მოქონდათ ბავშვებს
თოვლის ბრჭყვილა ბაირალები.

ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი
ბაირალები მოქონდათ ბავშვებს,
მე კიდევ მთელიდნენ ოჯახის წევრად
მე კი ქუჩებში ვეძებდი საშველს.

და თოვლს მიყავდა ყინვის ალვირით
ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები
მარინა! შენი ძეგნით დაღლილი
ვწვებოდი თოვლში და გიხსენებდი.

მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.
ქუჩებში ქარი დგას და არიგებს
უჩინარ ევენებს, ზარებს და ბუკებს.

რომლებიც ნელა იწევდნენ მაღლა
და საბოლოოდ ქრებოდნენ ცაში,
ქრებოდნენ სხვა დროს და არა ახლა
ახლა არავის არ სურდა ცაში.

ის იწვა, როგორც სინათლის ზოლი
და ერთდროულად ყველა ჩემობდა
და მიმავალი გემების ბოლი
უბრუნდებოდა ქალაქს ზემოდან.

მზე ჩადიოდა მრგვალი და სრული
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.



ქალაქის თავში, ქალაქის ბოლოს,
მაღალი წვიმა დგას და შრიალებს.
ისიც იმიტომ მოვიდა მხოლოდ,
რომ მოგვეხმაროს ადამიანებს.

ოხ, ღმერთო! თუმცა არ არის ღმერთი,
არ არის ანდა არ იყო მაშინ,
როცა პირველი კოცონი ენთო,
ამ დიდ თვალეზში, თმებში და ხმაში.

სახურავეებზე გადარბის ქარი
და თან გადააქვს ქარხნების ბოლი.
ჩვენ ალტაცებულ ბავშვების დარად
ერთმანეთს ვერც კი ვამჩნევდით მგონი.

და მხოლოდ ვგრძნობდით, რომ შიგნით
სულში

თრთოდა სრულიად ახალი სიმი
და ჩვენც ვფანტავდით ცრემლსა და
ღიმვლს
უბრალოდ, როგორც ყვაოდა ნუში.

მერე ის სადღაც ქრებოდა უცებ
და ჩაღებოდა ირგვლივ კოცონი.
და ბიჭებივით წამომხტარ ქუჩებს
ზედიზედ ნთქავდა მკაცრი კოცონი.

და ფერშეცვლილი ფერთლით და
ბოლით,
გაწამებული და გარუჯული
ვით უნებურად შემცდარი ცოლი
ის პატიებას მთხოვდა ჩურჩულით...

ქალაქის თავში, ქალაქის ბოლოს
მაღალი წვიმა დგას და შრიალებს
ისიც იმიტომ მოვიდა მხოლოდ,
რომ მოგვეხმაროს ადამიანებს.

და ალბათ, დიდხანს იქნება გარეთ
ფერმკრთალი კვალი და მხდალი ჭორი...
სახურავეებზე გადარბის ქარი
და თან გადააქვს ქარხნების ბოლი.

ჯანსუღ ჩაკვიანი

ლეჩხუმის გახსენება

მე ახლა, როცა ლეჩხუმს ვიგონებ,
მე ახლა, როცა ვიგონებ ცაგერს,
ლაჯანურივით ვამტვრევ სტრიქონებს
და ორბელივით ავდივარ ცამდე.

და თბილისიდან მინდა გაპარვა,
ვიცი, იქ ახლა მარანი ღვივის,
მინდა შემომხედეს ჩემი ალპანა
და სუნი ჰქონდეს ახალი ღვინის.

ჩემი სურმეში მომნატრებია —
ჩემი ბავშვობის შეყვარებული,
ჩემი სურმეში რუხი მტრედია,
ლულუნით მთებში შეფარებული.

მე იგი მხარე მომნატრებია,
სადაც სიმღერით იზადრებიან,
სადაც არასდროს არა კვდებიან
და სადაც მხოლოდ იზადებიან.

მომნატრებია ბრჭყალა, თაბორი,
მათი კალთების სხივით ავსება,
ჩემი ჭილეშის ქალა, მთა-გორი
და ხელიშურის გაკაპასება.

მომნატრებია ჩემი ვენახი
და ლექსით უნდა გადავიტანო,
ჩემსკენ რომ მორბის ფეხშიშველა ტყე
და მამა-პაპის საკარმიდამო.

მე ახლა, როცა ლეჩხუმს ვიგონებ,
მე ახლა, როცა ვიგონებ ცაგერს,
ლაჯანურივით ვამტვრევ სტრიქონებს
და ორბელივით ავდივარ ცამდე.

შენ გენაცვალე, ჩემო მამულო,
რამაც იხარა, აღარ გახმება,
ჩემო მამულო და სიყვარულო,
ჩემი ძარღვების აკალმახება!

რა შეუძლიათ პატარა ქარებს,
რა შეუძლიათ პატარა ქარებს?
აღმოსავლეთით მიაქვთ ღრუბლები,
აღმოსავლეთით მიაქვთ წვიმები,

ვეება ლოდებს და მიწის ქანებს,
საშვილიშვილო დრონი რომ განვლეს,
ემინიათ და დგანან უბრები
და უსველდებათ წყალში წვივები.

პარდისფერ კართან

შენი თვალებით მოტანილ დილას,
შენი სხეულით მოტანილ სითბოს,
წყნარად ვაშორებ ღრუბელთა ფთილას
და ვიკარგები ღრუბლებში თვითონ.
და გტოვებ მარტო — სიმწვანედ მიწის,
და გტოვებ მარტო — ფერებად დილის,

აღმოსავლეთით მზის სხივი იწვის
შენი მკერდივით ნაზი და ფრთხილი.
და გტოვებ მარტო — სიმწვანედ ქვეყნის
და ჩემი გულის პატარა დარდად,
და ვიცი, შემდეგ ბუნება შეგვეყრის
ცის დასავალის ვარდისფერ კართან.

პახანს ჯახანძი

• •

ულამაზესი ქალწულის მსგავსად —
მე შემაყვარა ქალაქმა თავი,
და, როგორც ქარში ანთებულ ასანთს,
მე ვუფრთხილდები აივნის ყვავილს.
როგორც არ უნდა გამიწყრეს ღმერთი,
ღია სარკმელთან დავდგები უცებ...
ქარში ანთებულ ასანთზე მეტად
მე ვეფერები ნაწვიმარ ქუჩებს.
ქუჩები აღარ მიდიან არსად
და გულიც აღარ იწევს აღარსად.
ულამაზესი ჭაბუკის მსგავსად —
მსურს შევაყვარო თავი ქალაქსა.

• •

სადაც არ უნდა გატეხონ ლუკმა,
აღფრთოვანებით და ალტაცებით,
ქალებს — რომლებსაც ისინი უყვართ —
გაიხსენებენ მამაკაცები.
მერე ერთმანეთს ეკარგებიან,
ჩამოვარდება დუმილი წუთით, —
რომელიც ქალის ცრემლზე მეტია
და უმიზეზო სინანულს უდრის.
ჩუმად იღვიძებს ტკივილი ტკბილი,
ვეთილ ოცნებებს ხარჯავენ უხვად...
და ეკარგებათ იმ ღამის ძილი
ქალებს — რომლებსაც ისინი უყვართ.



რ. ლომთაძე

ჩვენი ღრის გმირები

თითქმის ყოველ დღით, ოქტომბრის ქვჩაზე ღრმადღისკენ მიმავალ ტრაქტორს ელოდება სამუალო ტანის, სასიამოვნო გარეგნობისა და სადა მოხდენილობით ჩაცმული ახალგაზრდა.

პაპირისის გამკიდველს უკვირს — ვერასოდეს დაასწრო ახალგაზრდას ამ კუთხეში მოსვლა და ფერად-ფერადი კოლორებით საესე თავის ყუთის გამოხსნა, იძულებულია თვითონ პირველი მიესალმოს, მშვიდობის დილა უსურვოს, თუმცა არც სახელთო იცნობს მას და არც საქმით. ოსტატია, მუშა, თუ იწყინერი, ძნელი მისახვედრია. ღერჯი საშუაო კატეგორიის ველისეზებში კრწანთისკუთხის მოღვენი ბოლოები უჩანს, მაჯაზე საათი აქვს, ხოლო ხელზე შრომის დაღი გარკვეულად ატყვია...

ეს ახალგაზრდა კაცი თბილისის სახეზე ჩარხების ქარხნის მოწინავე ადამიანია, უშანგი გურგენიძე — ამწყობ-ზეინჯალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, გამომჩინილი ჩარხმშენებელი.

ლითონდასამუშავებელი ჩარხები მრავალნაირია. ამ ჩარხებს იყენებენ ყველა საწარმოში, სადაც ლითონის დამუშავებასთან აქვთ საქმე — მანქანათმშენებლობაში, თვითონ ჩარხმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში და ა. შ. ზოგა ხელსაწყო, აპარატი და მანქანა საჭიროებს ასეთი ზედმიწევნით სიზუსტით დამუშავებულ ნაწილებს, დეტალებს, რომ თვალდათვალ, ხელოთ და ისიც ზომების უღარესი სიზუსტის დაცვით ამ დეტალების დამუშავება დიდად შრომატევადია და ძნელი. ამისათვის იყენებენ სპეციალურ ჩარხს, რომელიც დეტალს ზედმიწევნით სიზუსტით დაამუშავებს. ასეთ ჩარხს ტექნიკოსების ენაზე პრეციზიულ უწოდებენ. რომელიმე რთული ხელსაწყო ან აპარატის ყველაზე შეტად პასუხისმგებელი დეტალების დამუშავება მითითებული ზომების ზუსტი შესაბამისობით ხდება ასეთ პრეციზიულ ჩარხზე.

საქართველოს ჩარხმშენებლებმა პრეციზიული ჩარხების წარმოება აიღეს 1957 წლიდან. თბილისის ერთ-ერთი საწარმო, ყოფილი ქარხანა „დავა“, რომელიც წინათ ლითონდასამუშავებელი ჩარხების შეკეთებას აწარმოებდა გადაეთებულ იქნა ლითონსახეხი პრეციზიული ჩარხების ქარხანად. ამჟამად ამ ქარხნის

კოლექტივი სერიულად უშვებს უნივერსალურ მრგვალად სახებ პრეციზიულ ჩარხს შიფრით — „3110-3“, რომლითაც შეიძლება 2 მიკრონის სიზუსტით დამუშავებული დეტალის გამოშვება. მიკრონი ზომის ერთეულია, მილიმეტრის ერთი მეათასედი ნაწილი. მიკრონის შესახებ ზოგადი წარმოდგენისათვის შეიძლება ითქვას, რომ ზოგა ადამიანის თმის დერი 5-7 მიკრონის ზომისაა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მაღალი კვალიფიკაციის, სპეციალურად დაოსტატებული, ხელმარჯვე უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ასეთ ჩარხს, ასეთ რთულ დანადგარს — პრეციზიულ ჩარხს აკეთებს, აწყობს და ასამუშავებლად გამაზადებს.

საქართველოს ჩარხმშენებლებს მრავალ პუავთ ასეთი მაღალი კლასის ოსტატები, უნარჩინი, ხელმარჯვე ამწყობი-ზეინჯელები. მათ შორის ერთი მოწინავეთაგანია თბილისის სახეზე ჩარხების ქარხნის ახალგაზრდა ამწყობი-ზეინჯალი უშანგი გურგენიძე.

კონსტანტინე აღანია — ჩარხმშენებლობაში დღი გამოცდილების მქონე ინჟინერი პატრიოტული სიამაყის გრძნობით მოგვიტობრობდა საქართველოში პრეციზიული ჩარხმშენებლობის განვითარების პერსპექტივებისა და უშანგი გურგენიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის შესანიშნავი მუშაობის შესახებ:

— წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება ჩვენი გეომოშა, იზრდება ხალხის კულტურულ-ტექნიკური განვითარების დონე და იზრდებიან უახლეს ტექნიკას დაედებული ადამიანები...

— ეს აღარ მაკვირვებს, — ამბობდა იგი, — უცნაურიც იქნებოდა, რომ ამან ვაკვირვოს საბჭოთა ინდუსტრიაში მრავალი წლის განმავლობაში ნამუშევარი ინჟინერი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ამ 40 წლისათვის. მაკვირვებს ჩვენი ახალგაზრდა კადრების, აი, ისეთების, როგორც უშანგი გურგენიძე და მისი ბრიგადის წევრები არიან, ზრდა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მათი ჩვეულებრივობის შესანიშნავი უნარი და ხელის სიამარჯვე, პატრიოტული სედისკვეთება, მაღალი შეგნებულობა და კულტურა...

...ტექნიკური პროგრესი ძველამოსილად ეითარდება. მანქანები, დანადგარები, ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც გვშინ ტექნიკის უახლეს მიღწევად იყო მიჩნეული, დღეს მოძველებულად ითვლებიან, ვითარდება ჩარხშენებლობა და შენელებლად ითარდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მაღალი კლასის ჩარხებზე, რომელთა წარმოების ათვისება ჯერჯერობით ყველა ქვეყანაში ვერ შეძლეს. ჩვენ ეს შევძელით და ახლა საქართველოდან ასეთი მაღალი კლასის ჩარხები მოაქვთ ვეროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში. ეს შევძელით დიდი წარმატებით, იმის შედეგად, რომ კომუნისტური პარტიის მხრუნველობით ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიალურმა განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, ჩვენი მუშების, ინჟინერთექნიკოსების უნარიანობამ, კვალიფიკაციის ამაღლებამ, ინდუსტრიულმა ისწიფემ იმის საშუალება მოგვცა.

პრეციზულ ლითონდასამუშავებელ ჩარხებზე მოთხოვნილება დიდია. ამის გამოა, რომ თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივს შეიღწეღის ამოცანად დაუსახავს 1965 წლისათვის 1958 წლის დონესთან შედარებით პრეციზიული ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვება საგრძობლად გააღიღოს. ეს დიდი, პასუხსაგები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა და ამ ამოცანის გადაწყვეტაში უშანგი გურგენიძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ წამყვანი როლის შესრულება იკისრა.

ეს ბრიგადა პრეციზიული ჩარხის „3110-მ“-ის ყველაზე რთული, საკრიკო კვანძის — პიდრავლიკური სქემის აწყობაზე მუშაობს. ბრიგადის წევრებისათვის საჭირო და საკადემბულა არა მარტო ამ პიდრავლიკური სქემის უოველი შემადგენელი დეტალის დანიშნულების ცოდნა, არა მარტო მაღალი ისტატობის გამოჩენის უნარის გამოვლინება, არამედ ამასთან უადრესი სიფაქიზით მუშაობის ჩვევაც. ბრიგადის წევრებს საწმე აქვთ ჩარხის „გულთან“. ისევე, როგორც ცოცხალი არსების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს გულს, ვინაიდან მისი საშუალებით ხორციელდება ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩარხის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ამ პიდრავლიკური სქემის რუმლის საშუალებითაც, გარკვეული წნევის ზეგავლენით ხორციელდება ზეთის მიმოქცევა ჩარხის „ორგანიზმში“. ზეთი ჩარხის „სხეულში“ ასტრულებს დაახლოებით იმავე ფუნქციას, რასაც სისხლს ცოცხალი არსების სხეულში, ზეთი ჩარხის „სისხლია“ და უამისოდ ვერაფერი აამოძრავებს საჩარხ კვანძებს, ჩარხი უვარგისი გახდება.

მიყვებით ანალოგიას, როგორც ცოცხალი არსების გულში სისხლის მიმოქცევა ხორციელდება სისხლ-ძარღვთა ქსელის საშუალებით, ისე

ლითონდასამუშავებელი ჩარხის „სტოკსლუტ“ ხორციელდება წერილი, ორე მიღამეტრას დიამეტრიანი მიღაყვანილობის მქონე, საშუალებით. საკვირველია: როგორც ცოცხალი არსების გულს, სიბერის ეამს დასაჩემდება ხოლმე სხედასხვა დაავადებანი, სკლეროზული მოვლენები და მხოლოდ ცნობილი მეტრნალებისათვის გასაგები „უქმარისობანი“, ისევე ჩარხის პიდრავლიკური სქემის მუშაობაშიც თავს იჩენს ხოლმე, ხარატებისათვის ცნობილი „უქმარისობანი“.

სკემარისა საღმე ერთი პატარა მილაკი ოდნავ გაიღუსოს, ან შეიყვლიტოს, რომ ზეთი თავისუფლად ველარ გაიღუსის, ჩარხი დადგება „მოკედება“. ამიტომ მოეთხოვებათ პიდრავლიკური სქემის აწყობ-ზეინკლებს განსაკუთრებული სიფაქიზე, ალო, აუნქარზეული, დიკვირებელი მუშაობა. ამიტომ არის, რომ ასეთი პასუხსაგები კვანძების აწყობებად ჩვეულებრივად ყველაზე სტაქიან, მაღალკვილიფიკურ, დამსახურებულ ზეინკლებს გამოყოფენ ხოლმე.

უშანგი გურგენიძე როდია ყველაზე სტაქიანი, ზეინკლობაში წლების გამოცდილებით დამამემბული ისტატი. იგი სულ 25 წლის ახალგაზრდაა. ასაკით მისივე ტოლები აიანი მისი ბრიგადის წევრები — რუმან ოქრეაშვილი, ოთარ ცანავა, ელდამერ სარაკინი, გურამ გურიგლამე და რუმან ზუქნაიშვილი, მაგრამ ისტატობით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით, სიღინჯით და სიფაქიზით არც ერთი არ ჩამოუვარდება დიდსტაქიან ზეინკალს.

უთუოდ ამ ბრიგდის ახალგაზრდა წევრებსაც გულისმობდა ინჟინერი აღნია, როცა აღნიაშნავდა ქარხნის ახალგაზრდა კადრების სწრაფ ზრდას, სიმარჯვეს, სიბეჯითოს შრომაში და კეთილმოზილურ სულისკვეთებას.

უშანგი გურგენიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის მუშაობის დასახასიათებლად, ამ ბრიგადის შრომითი შემოქმედების სურათზე ზოგადი წარმოდგენისათვის მივითვლს ვთავაზობთ მხოლოდ ერთ ფაქტს:

შეიღწეღის მეორე, 1960 წლის დასაწყისში თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად და შეიღწეღის ვალამდე შესრულების უზრუნველსაყოფად იკისრა გადიდებული საწარმოო ვალდებულების შესრულება: 1960 წლის საწარმოო გეგმის 25 დეკემბრისათვის განაღდება, ხოლო 40 წლისთავის სიღბილოდ დღეებისათვის გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 10 პრეციზიული ჩარხის გამოშვება. აყო სხვა ვალდებულებებაც საწავისა და ელექტროენერჯის მომჭირნეობაში თავის გამოჩენის, დამსხარე რისალების ეკონომიის მიღწევის, სხვა საწარმო წარმატებათა მოპოვების თაობაზე, მაგრამ



ძირითადი და მოვარი მიიწე ეს იყო — წლიური საწარმოო გეგმის ვალდებულებები, გეგმის გადასრულებით საშობოლოსათვის 10 პრეტენზიული ჩარხის საიუმბოლო სასტუქრად მიძღვნა.

ამ ვალდებულებათა შესრულებაში პირველობისათვის ბრძოლის დროსა ყველაზე ადრე გურგენიძის ბრიგადაში აღმართეს და აქისრეს კონკრეტული ვალდებულებები:

— ზეგვეგვითი ჩარხებისათვის გაეშადადებოდა პლანდარტული კენძების, შევსისწავლით და, როცა საჭირო იქნება, ვიმუშავეთ ჩარხის გენერალურ აწყობაზე, უზრუნველყოფთ კოლექტივის მატარ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად განაღდებას..

ამის შემდგომ განვიღო თვეებში ქარხანაში დღე ეტლივლებში მოხდა: განხორციელდა შედისათთან სამუშაო დღეზე გადასვლა, შეიქცა ვალდებულების ბრიგადის შემადგენლობა, მამასადაც, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ბრიგადის 8 საათის სამუშაო დღისა და გამოშვების უკვე შეზღუდული და ათვისებულად ვალდებულები ვითარებაში თამაშად ნაკისრი ვალდებულები საწარმოო ვალდებულებები უნდა შესრულებინა 7 საათის სამუშაო დღისა და გამოშვების ახალი ნორმების პირობებში, ისიც ბრიგადაში ძველი, ნაკისრი წერების ნაკადად ახალი დამატების საშუალებით. წავიდნენ ბრიგადიდან თავისი საქმის ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორც იყვნენ ბიძინა ვარაყანიძე, თედორე ლენჯინი, ვლამ ძველაია, მათს შესაყვლად მოვიდნენ — გულდამირ სოროკინი, გურამ გურგენიძე, რომან ხუბუნიანი. ბრიგადი გურგენიძე ჩასაფრებულეით დხიზობდა, რომ მხედველობიდან არ გამოჩნენოდა საწარმოში მისული ახალგაზრდების, საშუალო სწავლადამთავრებულების უნარიანობის გამოვლენების ფაქტები, იმთავითვე შეერჩია მის ბრიგადაში გადასყვანი კანდიდატები. გურგენიძის ბრიგადაში გადასვლაზე კი, რასაკვირველია, არც ერთი ახალგაზრდა მუშა არ იტყოდა უარს.

მაგრამ ამასობაში ბრიგადის არ უნდა შეეწინებინა აღებული ტემპი, პირიქით, შეიღისათთან სამუშაო დღის პირობებში საჭირო იყო ტემპის საგრძობად გაძლიერება. გურგენიძის ბრიგადისთან ერთად ქარხანაში მომუშავე სხვა ბრიგადებსაც ჰქონდათ ნაკისრი ანალოგიური ვალდებულებები, სხვა ბრიგადებსაც ასეთსავე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, სიმწიფეების გადასვლა და უკვე გაისმოდა სიტყვები იმის შესახებ, რომ შეცვლილი ვითარებაში მიზანშეწონილია ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა გადათვლიერებაო. მაგრამ ამის შესახებ ერთი სიტყვაც არაფერი სმენია გურგენიძის ბრიგადის პირობიდან.

რისი იმედი აქვთ ამ ბიჭებს, რატომ არაფერს ამბობენო, უყვარდა ზოგს, მაგრამ გურგენიძე და მისი თანაბრიგადელები ამ დროს სულ სხვა

ფაქტებით იყვნენ გატაცებულნი.

— როგორ აღმოვფხვრათ ბრიგადის ზოგი წევრის გადღეობა?

საქმე ის იყო, რომ ზოგჯერ მიღსაძლიერებ კენძის აწყობებს ვერ ამარაგებდნენ დატეხილით მუშაობისათვის საჭირო დეტალების სრული კომპლექტებით. ბრიგადაში კი, თავიდანვე წესად იყო შემოღებული, რომ ყოველი წევრი რომელიმე ერთი გარკვეული საწარმოო ოპერაციის შესრულებაში უნდა ყოველიყო დასპეციალებული. ასეთი სპეციალიზაცია უზრუნველყოფდა კენძის მაღალხარისხიანად აწყობას, მამასადაც, მთელი ჩარხის მაღალ ხარისხსაც, მაგრამ ამასთან ზოგი უარყოფითი მხარეც ახასიათებდა. წარსლის ხარისხი საუკეთესო იყო, ხოლო ამავე დროს ბრიგადაც ვერაფრით ვერ მოახერხა გადღენებისათვის თავის დაღწევა. გადღენების აღმოსაფხვრელად ბრიგადის გამართული მუშაობისათვის საჭირო იყო უნივერსალიზმი, ე. ი. საჭირო იყო ბრიგადის ყოველ წევრს თავის სპეციალიზაციასთან ერთად საუკმედიანად სცოდნოდა მის გვერდით მომუშავე თანაბრიგადელის სპეციალიზაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფობისა ან რაიმე საბაბით მიზეზის გამო სამუშაოზე გამოცხადდებოდათ, თავის საქმესთან ერთად ამხანაგის საქმეც გაეყოფინა.

მომიჯნავეთა სპეციალიზაციის შესწავლით ბრიგადაში გადღენებს აღარ ექნებოდა ადგილი. როდესაც ბრიგადის ყველა დეტალთა სრული კომპლექტებით ვერ მოამარაგებდნენ, ბრიგადის ყველა წევრი იმუშაებდა არსებული დეტალების აწყობაზე. ახლა კი, თუ მილაკების კომპლექტი სრულად ჰქონდათ, მილაკების დამუშავებლები მუშაობდნენ, ხოლო ჰანჯიკების მომრგებნი ცდებოდნენ. პრაქტიკამ, ცხოვრებამ ბრიგადის წინაშე სასწრაფოდ გადასაჭრელ საკითხად დააყენა მომიჯნავე სპეციალიზაცია შესწავლის საქმე.

ეს ამოცანა ბრიგადის წევრებმა წარმატებით გადაჭრეს. ყველამ შეისწავლა ერთიგორის სპეციალიზაცია, საქმე წინ დაიძრა და, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43 წლისთავის დღესასწაულისათვის შეაჯამეს 1960 წლის განვლილი 10 თვის შედეგები აღმოჩნდა, რომ მიუხედავად გამოიმუშავების ნორმების ერთგვარი ზრდისა, მიუხედავად სამუშაო დღის ხანგრძლივობის ერთი საათით შემცირებისა, უწინავე გურგენიძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ საწარმოო გეგმა 241 პროცენტით შესრულა, წარმატებით გააწინაღო ამ თარიღისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

გურგენიძის ბრიგადის გამოცდილებისამებრ ვარდაქმნეს მუშაობა სხვა ბრიგადებშიც, ხოლო ამის შედეგი არის ის, რომ საწარმოს კოლექტივში გააუმჯობესა საწარმოო მიხედვებები, გაიადვილა პროგრესული ტექნიკისა და ტექნიკ-

ლოვის დაწვრთვა, ამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამკირა პროდუქციის თვითღირებულება. ბევრი სახელ შესძინეს ამ ქარხნის რაციონალიზატორებმა ჩარხმშენებლობის ტექნიკას. მარტო ის რად ღირს, რომ მათ შეძლეს ალუმინის დეტალების შეცვლა კაპრონის საზარხე დეტალებით და ამით სამშობლოს 2.780 კილოგრამი ალუმინის ეკონომია მოსციეს...

ქარხნის საფინიშო უზანძვე ყოველი ჩარხის გამოსატანად, როგორც წესი, საჭიროა ამწყობ-ზეინკალთა კომპენსტერი შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის უშანგი გურგენიძის ეიზა. არც ერთი ჩარხი არ გამოვა საფინიშო უზანძვე, არც ერთ ჩარხს ხუროები არ შემოაჭედვადენ ტრანსპორტირებისათვის საჭირო ყუთის ფიცარებს, თუ ჩარხის აწყობასა და სამუშაოდ გამართვაში ამ ბრიგადის ოსტატობის წვლილიც არ არის შეტანილი.

როგორ მოახერხეს, როგორ მოასწრეს გურგენიძემ და მისი ბრიგადის წევრებმა, ამ ისევ კაბუქმა ჩარხმშენებლებმა უფრო მეტი სტაქვისა და გამოცდილების მქონე ზეინკლებში ავტორიტეტის მოპოვება, საყოველთაო პატივისცემის დამსახურება? როგორ მოხდა, რომ ეს კაბუქები იჩენენ ისეთ სიღრძეცს, ისეთ დაყვირებულობასა და ოსტატობის შესანიშნავ აილოს, რომელსაც აღამიანს აძლენ ცხოვრებითა და შრომით აღრიცხულ წელთა სიმარაღე?

განა იფიქრებდა ეიზემ, თუნდაც უშანგის დედა — ეერა ახალმოსულიშვილი-გურგენიძისა, რომ მისი უფროსი შვილი, ცელქი და მოსტყენარი უშანგი, რომელსაც ეს სახელი მაშინ განსაკუთრებით პოპულარული, დიდი ქართული მსახობის, ყვარყვარესა და ურთელ აკოსტას როლის უბაღლო შემსრულებლის უშანგი ჩხვიძის პატივისცემის ნიშნად დაარქვეს, ჩარხმშენებლობის „უშანგი ჩხვიძე“ გახდებოდა? მაგრამ მთავრო ახალგაზრდას თვისი სიღრისა და გულის შესაფერის, თავის მოწოდების პროფესიას, გატაცების წყაროს, საყვარელ საქმეს და თავი ისახელა ამ საქმეში.

მთავრო ახალგაზრდა ბრიგადირმა კიდევ ერთ ძვირფას ვანძს — თავის ტოლსა და ენთუზიატ ახალგაზრდა ზეინკლებს, რომელთაც ეს პროფესია უყვარდა, როგორც თავის მოწოდების საქმე და მუშაობენ არა იმისათვის, რომ უნდა იმე-შონ, რადგან „ეინცი არ შრომობს, ის არც სკამს“, არა მარტოდენ იმისათვის, რომ ჩარხების ამწყობ ზეინკებს შრომას კარგად უნა-ზღაურებენ, არამედ იმისათვის, რომ თავიანთ პროფესიას საფუძვლიანად დაეუფლონ, ისწავ-ლონ უსულო საგნისაგან — ლითონისაგან საოცარი მანქანების შექმნის ოსტატობა, ამ მანქანებისათვის „სულის ჩადგმის“ საიდუმლოება.

— სანამ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების სომოვეტისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებმებოდი, — მოვეთხობოდა გურგენიძე, — გადაეწყვიტე ბრიგადა დამეკომ-

პლეტებინა ახალი, ნამდვილად მოწინავე ადამიანებით. ვაკვირდებოდი ყველა ახალგაზრდა ზეინკლის მუშაობას, თვითყურებულს, ესწავლობდი ადამიანებს, სხვებში მჩაგმისთვის გამიხსენია, თუ რა მიზნით ვაკეთებდი ამას. ვეძებდი ბეჯითებს, ვარც სამეგობრო, სწავლაში დაინტერესებულ თანატოლებს, რადგან ჩემი ბრიგადა უნდა ყოფილიყო ახალგაზრდული. პირველად შევინძრე რომან ოქრუაშვილი, დაუთახლოვდი, დაუშეგობრდი, გავეცანი მის სულიერ სამყაროს, მის ავან-ჩავენს და გავანდე ჩემი განზრახვა, რომ ვეძებდი ღირსეულ ახალგაზრდა ზეინკებს ჩემს ბრიგადაში ვადმოსა-ყვანად, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის საზრდოველად...

ოქრუაშვილმა თურმე მოუწონა გურგენიძის განზრახვა, ბრიგადაში ვადსკელაზე თანსმობა ვანუცხადა და თავის მხრივ ურჩია ბიძინა ვარაყანიძის და ოთარ ცანავას მოლაპარაკებოდნენ. ქარხნის ხელმძღვანელნი დაეხმარნენ ენთუზიასტებს ბრიგადის დაკომპლექტებაში და ამრიგად ჩამოყალიბდა ერთი ახალი, ერთი სულის-კეთებით შედგებაბებული ახალგაზრდული ბრიგადა.

ბრიგადის შემდგომი წინსვლა, წარმატებები, ეს უკვე დროის საქმე იყო. ახალგაზრდები დაე-წაფნენ კომუნისტური შრომის ჩვევების გამო-მუშავებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლას, მაღე გაუგეს ერთმანეთს გულისნაღები, მაღე მიიქციეს საერთო ყურადღება ზისიათვის შეწყობლობით, ბეჯითი მუშაობით, დაკისრებულ სამუშაოთა მაღალხარისხიანი შესრულებით, სწავლაში წარმატებებით და ემწიკლო ყოფაქცეით.

ბრიგადის სული და გული, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, სწავლაში მავალთის მიმეკვი თავიდანე იყო ბრიგადირი და, როდეს დასკინდა დიდი დრო იმას, რომ ამ ბრიგადის სახელი გათქვა მოთეს ქარხანაში, ხოლო თვითონ ბრიგადირს უნარაანი ორგანიზატორის, სანიმეშო ახალგაზრდის, ნიჭიერი ზეინკალ-ამწყობის სახელი დაემახურებინა.

ამაყობს თბილისის სახები ჩარხების ქარხნის კოლექტბი უშანგი გურგენიძის ზეინკალ-ამწყობთა კომუნისტური შრომის ბრიგადის საქმეებით, ამ ბრიგადის ხელმძღვანელის შესანიშნავი ოსტატობით, საქმისადმი ერთგულებით, ხელისსიმარჯვით, ამაყობს უშანგი გურგენიძის დედაც, ცელქი შვილი არ გამიზრდიაო.

ჩატომაც არა, ყველა დედა იამაყებდა ქვეყნისათვის ასეთი საჭირო კაცის აღზრდით, მაგრამ საფუძველი არ აქვს მამამისს, რომ იამაყოს საქართველოს ჩარხმშენებლებს დიდი ოჯახისათვის ისეთი მაღალკვალიფიციური ოსტატის შემადგებთ, როგორც მისი უფროსი ვეი უშანგი. იღობთ, ახლა მამამისიც მსხვედა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეთარებაში, კომუნისტური პარტიის მზრუნველობის პირობებში არ

იღუპებიან უგულო მამებისაგან მიტოვებული თუნდაც ოთხი წლის ბავშვები, ისინი შრატუნვით აღზრდილნი თამამად გამოდიან ცხოვრების დიდ გზაზე, შესაფერის საპატრიო ადგილს იკავებენ შემოქმედებითი პათოსით აღსავსე საბჭოთა საზოგადოებაში.

უშანგი გურგენიძემ მოიპოვა მოწინავე ადამიანის სახელი და, შესაძლოა, ამაში მას ზედიზედ შეუწყო პატარაობისას განვლილი ცხოვრების სიციწროვემაც. ნებიერობას მოკლებულმა ბავშვობამ.

ახლა რა უკირს ვერა ახალმოსულიშვილის ქალს! შვილები დაეზარდნენ, ქალიშვილმა საკუთარი, მუყდრო ოჯახი შექმნა. ბიჭი გამოჩენილი ჩარხმშენებელია, სწავლობს, საყოველთაო პატივისცემით, ავტორიტეტით სარგებლობს, გადაწყვეტილი აქვს სწავლით მოიპოვოს ინჟინრის დიპლომი. მაშინ უკეთესად გაუძლევი ბრიგადას, მაშინ სცადონ სხვა ბრიგადებში ჩემს ბრიგადასთან შეჯიბრებაო, ამბობს.

ერთი რამ აწუხებს მხოლოდ გამორჩენილ ზეინკალ-ამწუობის დედას: სადღაც უგულუშვილი უნდა შეეძინოს, ძმისკენ გასთრავდეს მამაც წამოეზარდნენ შვილები, ვიწროდ არიან: პატარა არსება კი სულ ააფორიაქებს აქაურობას. არ იცის დედამისმა, რომ მის ვაჟს — უშანგის უკვე აღუთქვეს ბინის მიცემა. შიზაროს ეს დედასა და მეუღლეს? არა, თავის შეკავება სჯობს. სიღინჯე, აქაქარებლობა არც ამ შემთხვევაშია ზედმეტი. დაბეჯითებით კი ავრთობინეს ამწუობ-ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ზელმძღვანელს ნუ შეაფიქრებს, ნუ დაადარდიანებს კეთილშობილი ბიძის მიერ დათმობილი პატარა კუთხის სიციწროვე, დეე გამრავლდეს გურგენიძისათვის გვარი, ბინა გექნება ახალ სახლშიო... ოღონდაც მეტი და მეტი ჩარხები გამოვიდეს ამწუობი საამქროდან ქარხნის საფინიშო უბანზე! დღეს 17 ცალი ჩარხი იგზავნება უნგრეთში, ხეალ ჩინეთში უნდა გავზავნონ, ზეგ... და ასე უოველ დღე...

პილის დასისი

შეხვედრა

მოთხრობა

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ-სა და საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს იან ალუპს ევროპის გარშემო მოგზაურობის ტურისტული საგზური მარტო იმით კი არ ხიბლავდა, რომ ნაოსნობის შესაძლებლობა ექნებოდა და საზღვარგარეთის ქალაქებსა და ნავსადგურებს დაათვალიერებდა. მას აღეძრა სურვილი ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ მოენახლებინა ის ადგილები, სადაც ჰაბუკობისას ყოფილა. ოდესღაც ალუპი დატურავდა ძველი საეპრო ხომალდით, ჯერ ცეცხლფარეშის დამხმარე იყო, შემდეგ კი — ცეცხლფარეში. შიშვე, სასტიკი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ იმ დღეების მოგონება რალაც ძნელად ასახსნელ სიამეს გვრიდა, ისე როგორც ჩვეულებრივ ყველაფერი, რაც ახალგაზრდობის წლებთანაა დაკავშირებული.

ახლა იგი ბევრ რამეს შეხედავდა უფრო გამოცდილი კაცის თვლით, როგორც იტყვიან, განსჭვრეტდა ცხოვრების გამოცდილებითა და დღევანდელი მსოფლშეგრძნებით. რასაკვირველია, ცხრამეტი წლის ჰაბუკის თვალი მოვლენებსა და საგნებს ისე არ აღიქვამს, როგორც თვალი იმ ადამიანისა, რომელსაც საფეთქლები ჰქადარითა აქვს შემოსილი.

უჩვეულო შეიქმნა თვითონ მოგზაურობაც — ლამაზი, კეთილმოწყობილი თბომავლით: იან ალუპი პირველად მიემგზავრებოდა, როგორც თავისუფალი ადამიანი — მგზავრი, არც საზარუნავი, არც პასუხისმგებლობა — დილიდან საღამომდე შენს თავს ეკუთ-

ვნი და შეგიძლია, დრო, როგორც გსურს, ისე გამოიყენო: დაიძინო, გემბანზე ისეირნო, დაჯდე კნებტზე და საათობით უცქირო ზღვის ფრინველებს, უყურო მედუზის მომწვანო ნაფლეთებსა და წყალმცენარეებს, რომლებსაც ტალღები არწვევენ. ხანდახან გვერდით ჩაივლიდნენ შემხვედრი ხომალდები. კილის არხში და ელბის შესართავის მეორე მხარეს, — საიდანაც იწყებოდა შორეული საზღვაო გზები ჩრდილოეთსა და დასავლეთისაკენ, ისინი თითქმის უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ. როგორის ალტაცებითა და შურით გაჰყურებდა იანი ამ უზარმაზარ ქარავანს იმ შორეულ დღეებში, როდესაც მტერიანი და გაოფილი იღვა, იგი ნახშირშიზიდის ჟანგოკიდებულ გემბანზე! რა გაბედულ ოცნებებსა და რა მომაჯადოებელ მოჩვენებებს იწვევდნენ ისინი: შორეული ქვეყნები, უზარმაზარი ქალაქები, ეგზოტიკური კუნძულები და მთიანი მწვერვალები... მერე და როგორი ცხოვრება — ნათელი, მომხიბვლელი — ასეთი უნდა ყოფილიყო იქ, ოკეანის ვადალმა! მას მოუთმენლად უნდოდა იქ მოხედრა. ბედნიერების მაძიებელთა ალტქმულ ქვეყანაში... მაგრამ ქვეყანა მისთვის შეზღუდული იყო ჰუმუყიანი ხომალდით, რომელსაც ჰქონდა შავი ბუნკერები, უზარმაზარი საცეცხლური და ვიწრო კუბრიკი, სადაც ძლივს თავსდებოდა რვა მეზღვაური. კედელთა ფოლადის ფირფიტები, რომელზედაც ფიცრები არ იყო აკრული, ზამთარში ჰიბრლით იფარებოდა. იმ დროს მიღებული რევატიზმი აქამდე შეახსენებდა თავს სახსრების ტკივილით.

ახლა კი ალუბს საკუთარი კაიუტა ჰქონდა ყოველგვარი სათავსოებით. შორეული ქვეყნები უკვე აღარ ხიბლავდა არც პალმის ატოლებით, არც ბედნიერების მოჩვენებით. იან ალუბმა იპოვა თავისი ბედნიერება, მტკიცე და მყარი, ამ მეორე მხარეში.

...შელდის შესართავს მიაღწიეს ბინდისას, როდესაც ზღვის მოქცევამ წყლის სიმალლე ასწია და გაიხსნა გზა ანტვერპენის ნავსადგურისაკენ, გემი ნელა მიდიოდა ზემო დინების საწინააღმდეგოდ, დაზრეცი ნაპირის, ურიცხვი შეჭურბებისა და ტივტივებს შორის, რომლებიც წითელ და მწვანე სინათლეს აელვებებდნენ. შორს კი, სწრაფად ჩამოწოლილ ღამის შავ უფსკრულში, დგებოდა უზარმაზარი ნავსადგურის განთიადი. თითქოს წოსულებს ესალმებო, გაჰყვიროდნენ სირენები, ისმოდა ჯაზის მუსიკა და ქალის დაბალი ხმა მწუხარედ უმღეროდა მამაკაცს, რომელსაც სახელად ჯონი ერქვა. ალუბი მიჩერებოდა ნაპირს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და არჩევდა მხოლოდ თითქმის მივიწყებულ ცალკეულ სილუეტებს: ესტაკადს სანაპიროს თავზე, განათებული საათიან მალალ კოშკზე მკაფიოდ გამოირჩეოდა სარეკლამო პლაკატი — ურჩევდნენ, წყურვილი მოეკლათ სტელა არტუას ლუდით.

დილით ტურისტების ნაწილი ბრიუსელს გაემგზავრა, ზოგნი — გენტსა და ბრუჯში, დანარჩენებმა კი ანტვერპენის დათვალიერება მოისურვეს. ალუბი უანასკნელთ შეუერთდა და ზოგიერთი თანამემამულესთან ერთად მთელი დღე ვაატარა ძველ ფლამანდიური ქალაქის ქუჩებში. დღის მეორე ნახევარში იგი აშხანავებს გამოეყო და დოკებისკენ გასწია, სადაც თითქმის მთელი მსოფლიოს გემები იდგა. საპორტო შეუქებში ხეტიალის დროს, ალუბმა გაოცებით შენიშნა, თუ რაოდენ ცოტა რამ იყო შეცვლილი აშდენი წლების მანძილზე. ისევე, როგორც იმ დროს, გასასვლელ-

ში შიშვანდღერთა¹ დუქნეს, ცენტრებში გამოფენილი იყო საღებავებშიაქტივები, ბლიკები და გვარლი. ზოგიერთ ლუდხანასა და კაფეს ძველი სახელწოდებაც კი შემორჩენოდა. დოკერები და მეზღვაურები, რომლებსაც ალუბა შეხვდა, ისეთივე მოლურჯო დუნგრებს² ატარებდნენ, როგორც წინაო. ხანდახან, თითქოს საკმარისი იყო, რომელიმე ხილათ საეაქროში ანდა ნახმარი ტანსაცმელების მაღაზიაში შეგვხვდა, რომ დახლთან ვინმე ძველი ნაცნობი ჩვეულებრივი სიტყვებით მოგმართავდა:

— ჰელო, მეგობარო, შენ იაეე ჩვენს მხარეში ხარ! რა მოგართვა ამჯერად — ეშმაკის ტყავის ხალათი, კოვოური ხალათი თუ წამოსასხამი.

ნუთუ აქ სიცოცხლე შეჩერებული იყო? არა, ალბათ, რაღაც ახალიც აღმოცენდა, მაგრამ იგი ისე უმნიშვნელო იყო, რომ მისი შეჩვენვა არც ისე ადვილად ხერხდებოდა ამდენი ხნის გასვლის შემდეგ.

ბევრი სიარულისაგან დაღლილი ალუბი თავის თბომავალს დაუბრუნდა. მისადგომის ახლოს მან დაინახა ზნიერი კაცი, რომელიც წაქცეულ ბოძზე იჯდა და დაყინებით შესცქეროდა ღამაზ გემს. მას ზარცხენა ხელზე საკის გამოსახლება ჰქონდა დატატუირებული, საკმაოდ გამოხუნებული დუნგრი ეცვა, ჩითის მომწვანო ხალათით, ჰრელი ყელსახვევით და განსაკუთრებით უან დაწეული ქუდით იგი ჰგავდა იმ ბებერ ზღვის მგელს, რომელიც სიბერისას იძულებულია ნაპირზე უსაქმოდ იყოს და დაკმაყოფილდეს შემთხვევითი სამუშაოთი და მოქალაქეთა მოწყალებით. ქუდიდან ჰალარა თმები მოუჩანდა, უბრწყინავდა მზისგან გარუჯული კისე-

¹ შიშვანდღერები — ნავსადგურის ვაჭრები, რომლებიც გემზე ყიდიან სურსათსა და მეზღვაურთათვის საჭირო საქონელს.

² დუნგრი — მეზღვაურთა სამუშაო ტანსაცმელი.

რი და იდუმალი მწუხარებით მიჩერებოდა თუარ გემს. როგორც კი შეამჩნია, ალუბი მითვალთვალესო, მოხუცი აწრიალდა, ბოძიდან ჩამოხტა და წასვლა დააპირა. მაგრამ, როგორც კი ალუბმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მოხუცს სახე გაუბრწყინდა და გაუბედავად დაუქნია თავი.

ალუბი ნივიდა მასთან, მეგობრულად გაუღიმა და ინგლისურად გამოელაპარაკა.

— როგორ მიდის საქმეები? ხომ არ გავაბოლოთ!

— ო, კეი, ბატონო, ერთი ნათესაი არ გვაწყენს, — გამოეპასუხა მოხუცი, აკანკალებული თითებით ამოიღო კოლოფიდან სიგარეტი. სანთებელა აანთო და ალუბს მიაწოდა, — თქვენ იმ ლაინერიდან ხართ?

იგი ინგლისურს ასე თუ ისე ფლობდა, მაგრამ ძლიერად უქცევდა და ეარგონზე ლაპარაკობდა.

— დიახ, — ზიუგო ალუბმა. — ჩამოვედით, რომ ვნახოთ, თუ როგორ ცხოვრობთ.

— ეცხოვრობთ, როგორც შეგვიძლია, — ჩაიბურტყუნა მეზღვაურმა. იგი ხარბად ქაჩავდა სიგარეტს და თვალს არიდებდა შემთხვევით მოსაუბრეს. — რასაკვირველია, ცხოვრება ის არაა, რაც წინათ იყო... როდესაც ზღავეში ძალა მქონდა. დროც შეიცვალა — ხალხიც სხვაგვარი გახდა, სხვა წესებია...

— დიდი ხანია, უსაქმოდ ხართ? — დაინტერესდა ალუბი.

— მალე ექვსი წელი იქნება, რაც საბოლოო ანგარიში გამისწორეს და ჩემი მოგზაურობაც დასთავრდა. იქაც რა ეყარა... — მოხუცმა თავი გაიქნია. — ვიცხოვრე და ყველაფერი საკმაოდ ვნახე, აჟრის დამშვების დროც მოვიდა. მხოლოდ ესაა ცუდი, ადამიანს არ შეუძლია თავის დროზე მოკვდეს. მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ ეპოტივნება სიცოცხლეს.

მოხუცს რამდენიმე კბილია შერჩენოდა, იგი ისე ჩიფჩიფებდა, ზოგი-

ერთი სიტყვების ახრი თვითონ უნდა გამოგეცნო. როცა დარწმუნდა, თანამოსაუბრე წასვლას არსიქნაობდა, მგზელური კვლავ ჩამოჯდა ბოძზე და ალუბიც მიიპატიჟა:

— დაბრძანდით, ადგილი ორივეს გვეყოფა...

მოხუცი ხალისიანად ალაპარაკდა, როგორც ეს იცის ხოლმე ადამიანმა, რომელიც უმთავრესად მოგონებებით ცხოვრობს. ნახევარი საათის განმავლობაში ალუბმა გაიგო თითქმის ზთელი მისი ცხოვრების ამბავი, ჩვეულებრივი და უბრალო, ყოველგვარი წვრილმანი რომ ჰგავს სხვა ზისებრი მოხუცის ბედს, რომელმაც შემოატარა თავიდან ბოლომდე ზთელი ქვეყნიერების ზღვები და ახლა მწარე სიბერეს ატარებდნენ სანაპიროებზე უიმედო ხეტიალში. ყოფაცხოვრების დახელოვნებულმა მეველევარმა რომ ჩაიწეროს ეს ამბები, დარწმუნდებოდა, რომ ყველა ისინი თითქმის ერთნაირად იწყება და მთავრდება, მათი საშუალებით ძნელი არაა თანამედროვე ებოსის შექმნა ძველი მეზღვაურის შესახებ.

— სახლიდან ადრე წავედი, ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი... — ყვებოდა მოხუცი, — მინდოდა ქვეყანა მენახა, ხეირიანად მეცხოვრა და მეპოვნა ბედნიერება, რომელიც შინ არ მეგულეზოდა. დიდი არაფერი გამოსულა აქედან. წელში გაუმართავად ვმუშაობდი, მაგრამ ამას არ ვჩივი, ძალ-ღონე ბევრი მქონდა. ვიყავი მეზღვაური, ცეცხლფარეში, რამდენიმე წელს მექანიკოსის თანაშემწეც. ამაზე ზემოთ, სიმართლე გითხრა, არ ავსულვარ, განათლება არ მყოფნიდა. რა გემით არ მიცურავს დიდითაც და პატარითაც. ჭუჭყიანი ეპოტიყურით და შესანიშნავი ლაინერით, ნახშირშიდიითა და ტანკერით. ერთხელ, იალქნიანითაც კი ვიცურე ავსტრალიამდე, ორმოცდახუთი წლის განმავლობაში მთელი დედამიწა ზოვინახულე. რა ჩამომათვლევინებს მხიარულ დროსტარებას სხვადასხვა ნავსადგურსა



და პოლიციელების ხელკეტებს ექვტორის ორივე მხარეს? სხვათაშორის ხელკეტი ერთნაირად ხელემა გინდ ჩრდილოეთით, გინდა სამხრეთით, ხოლო თუ შენ უმუშევარი ხარ და არაფერი გაქვს საკმელი, სულერთია, დედამიწის რომელ კუთხეში დაგიწყებს გვრემას მუცელი. ასეც ხდებოდა, ჯიბეში ცოტაოდენი გროშები მეგდო, მე თავა უფლებას ვაძლევდი კარგი სადილითა და ჭიქა ლუდით გაემსაპინძლებოდი საბრალო უმუშევარ მესღვაურებს. მაგრამ ხშირად კუჭი ცარიელი მქონდა. — რეტიალე სანაპიროზე და მხოლოდ შენი მუცლის ბუბუყი ისმინე... პირველ წლებში იშვიათად მაინც ვბრუნდებოდი მშობლიურ მხარეში, რამდენიმე თვეს ვცხოვრობდი ჩენიანებთან, მაგრამ მეტად მძიმე იყო, შიმშილი და არაფერთარი იმედი. ისევ გავემგზავრე. შინ მხოლოდ წერილებს ვგზავნიდი. მაგრამ მშობლები მარტო ჩემს წერილებს დიდად არ საჭიროებდნენ. ფული — აი, რა უნდოდათ მათ. ეს კი საიდან უნდა მეშოვნა?

დროთა განმავლობაში სახლთან კავშირიც გაწყვიტე. მე ასე ვმსჯელობდი: რისთვის ვაბარო ანგარიში სად, რამდენ ნაბიჯს გადავდგამ, რატომ ვუგზავნო დაპირებები? ხომ სჯობს ჩუმად ვიყო, სანამ ვერაფრისთვის მიზიდწევია და მერე კი გამოვცხადდე სამშობლოში საესე ჯიბეებით, რომ შემეძლოს საჩუქრების ბნევა მარჯვნივ და მარცხნივ. ჩამოვიდა მდიდარი ზღვისიქითური ბიძია! იპოვა, რასაც ეძებდა, ტყუილად არ დაუხარჯავს ახალგაზრდობა და სიმწიფის წლები! მე ვოცნებობდი, ცხოვრება კი მიდიოდა. რითი განვსხვავდებოდი სხვებისაგან, რომლებიც ბედნიერებას სხვისი მიწა-წყალზე ეძიებდნენ? კარგი, ასეთი ათასებიდან, ვთქვათ, ერთს გაუღიმა ბედმა და ბოლოსდაბოლოს გაიხარა და გაახარა მშობლები. მთელი საუკუნის განმავლობაში შრომა, ვაოფლილი სახე და დედამიწაზე ცხვირჩამოშვებული ხეტიალი, აი, სხვათა

ხვედრი და მე ერთ-ერთი ამ სხვათაგანი ვიყავი.

ოცდაათიან წლებში ვიქლინდი ურის ზისის დროს, მივხვდი: იმედით ცხოვრება უკვე აღარ შეიძლებოდა. არჩევანიც აღარ მქონდა დიდი. ან უნდა დავბრუნებულიყავი, შინ, დავბრუნებოდი ღარიბულ ცხოვრებას, ანდა დავრჩენილიყავი უცხოეთში, სამუდამოდ ჩამოშორებული ახლობლებს.

ვერ გავუზარტლე მოლოდინი და ნაკლებად სასიხარულო იქნებოდა მათთან შეხვედრა. ამიტომ მეორე ავირჩიე... შემდეგი ამბები კი ნაკლებად საინტერესოა. ოცი წელი კიდევ ვხეტიალობდი, სანამ ყველა კბილი არ დაეკარგე და რევმატიზმმაც წელში სამად არ გააღუნა. ახლა მას ვერაფერთარი ძალა ვერ გამართავს. ვის რად ვჭირდები ასეთი დანჯღრეული? საცეცხლეში ნახშირს ველარ შეყრი, წიდის დამსხვრევა აღარ შეგიძლია, აიღე შენი ხალთა და გაუდექი გზას... ასე გამომიცხადეს ექვსი წლის წინათ, ასევე ეუბნებიან ბევრს, ასეთია მოხუცთა ბედი, მერედა ღირს კი ბუზღუნი? ხომ მართალს ვამბობ, ბატონო?

მესღვაურმა ნაღვლიანად გაიღიმა და ალუპს შეხედა. ალუპი ისევ სიგარეტით გაუქმასპინძლდა და სთხოვა:

— ნუ მომმართავთ ბატონოთი. მე ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც მსგავსი მიმართვა სირცხვილად იწინიათ.

— გავითვალისწინებ... ბატონო. მაპატიეთ. მთელი ჩემი სიცოცხლე მიჩვეული ვიყავი ქედის მოხრას, ასე ადვილი როდია გადაჩვევა...

— როგორ ცხოვრობდით შემდეგ? — დაინტერესდა ალუპი.

— დავებტებოდი სანაპიროზე, როგორც ყველა უმუშევარი მესღვაური. დადიხარ გემზე, სანდახან ცოტ: ჩამის წამულშავება გიხდება. ბიჭებს შარვლებს გაუუთოფებ, ფეხსაცმელებს გავუწმენდ, ჭურჭელს გავურეცხავ, ანდა ნაპირზე გავეგზავნები სიგარეტისათვის...

და ამით ვშოულობ ერთ მათლათა წვენს, რაიმე გამონაცვალს, ორიოდ გროშს...

— დიდი ხანია ანტევრებში ხართ?

— უკანასკნელი სამი წელი. წინათ საფრანგეთისა და პოლანდიის ნავსადგურებში დავეხეტებოდი. მაგრამ ლუკმა-პური ყველგან ძნელი მოსაპოვებელია. აქ ხშირად ნაცნობებს მაინც შევხვდები, ეს კი ცოტა რამეს როდი ნიშნავს.

— მომავალზე რას ფიქრობთ?

— ეჰ, მოხუცებული არსად და არავის აღარ სჭირდება — მათი ხვედრია გაჭირვება, სიცარიელე და უიმედობა. ერთ მშვენიერ დღეს წამიღებენ სასაფლაოზე და დამმარხავენ ჩემსავე მსგავს უიღბლოს გვერდით, არ იფიქროთ, რომ ჩემს საფლავს ვინმე ზოუელის ანდა საერთოდ შეინახავენ: ერთი წლის შემდეგ, ამობურცულ მიწას ვაასწორებენ და ზემოდან სხვას დამარხავენ, — ასეთი წესი აქეთ აქ. ანდა სულ ერთი არაა? რადგან უცხოეთში გადაიკარგე, სულ უნდა გაქრე — კვალაც რომ არ დარჩეს. მათ, ვისაც უშვებენ ზღვის ფსკერზე, ფეხზე ქვაგამობმულებს, არც მათ უდგამენ ძეგლს და ჯვარს. მე რით ვჯობივარ იმათ?

ზოხუცი ლაპარაკობდა, ალუბი კი დრო და დრო სახეში შეაქცევრდებოდა. თითქოს მას ოდესღაც უნახავს ეს აღამიანი. ეცნობოდა პროფილი, მაღალი შუბლი და მსხვილი სწორი ცხვირი, მარცხენა ხელზე საკე, თვითონ სახის გამომეტყველება, ხმა, თითქოს ნაცნობი იყო, — ყველაფერი, ყველაფერი ძველ შეხვედრებს აგონებდა. მაგრამ სად, როდის შეხვედრია? ვერაფრით ვერ გაიხსენა.

— სადაური ხართ? — შეეკითხა ბოლოს ალუბი.

მოსაუბრეს სახეზე ოდნავ ნადველი და დამცინავი ღიმილი გაუქრთა.

— იმ მხარიდან, საიდანაც თქვენ... — მოულოდნელად უპასუხა მან ლატვიურ ენაზე. — რიგელი ვარ, დავიბადე და გავიზარდე იმიერღვინში.

— საიდან გაიგეთ, რომ ლატვიელი ვარ? — გაიოცა ალუბმა.

— დილით, როდესაც თქვენი გემის მგზავრები გაზოდიოდით ნაპირზე, გავიგონე ლატვიურად რომ ლაპარაკობდით. ასე რომ არ ყოფილიყო, მე არ დაგიწყებდით ამდენ ყბედობას. ძალიან მინდოდა ჩემი ნიწა-წყლის კაცთან გასაუბრება, ასეთი ბედნიერება იშვიათად მხვდება.

— ნება მიბოძეთ, თქვენი სახელი გავიგო? თუ, რასაკვირველია, ეს საიდუმლო არაა...

— აბა, რა საიდუმლო, — ნელა ჩაეცინა მოხუცს — დანაშაული არ ჩაიღვინია, სასამართლოს არ ვემალები. მედნისი ვარ — არნოლდ მედნისი იმიერღვინელი.

— არნოლდ მედნისი? — ალუბი წამოდგა, — არნის... „ალუქსნეს“ ცეცხლფარეში.

მოხუცი შეკრთა.

— მართალია მე დავცურავდი ამ გემზე, — უხერხულად ჩაიბურტყუნა მან. — მაგრამ თქვენ საიდან იცით?

— ახლავე გაიგებ, მეგობარო, — თქვა ალუბმა, თან მედნისს მხარზე დაჰკრა ხელი. — ზოლოდ აქ უხერხულია საუბრის გაგრძელება. შენი არ ვიცი და მე კი მომშვიდა. შეხვედრის აღსანიშნავად ჰქია ლუდი ზედმეტი არ იქნება, შეიძლება უფრო მაგარი სასმელიც. რა აზრისა ხარ ამავზე არნი?

— ცხადია, არ გვაწყენს, — ჩაიბურტყუნა მედნისმა, თან უნდობლად შეპყურებდა ალუბს. — მაინც ვიცოდე, ვისთანა მაქვს პატივი საუბრისა.

— წავიდეთ, არნი, მაგიდასთან გამოვარკვევთ ყველაფერს, — აჩქარებდა ალუბი. მაჩვენე გზა ყველაზე ხელსაყრელ ადგილისაკენ.

— საუკეთესო დაწესებულებების ძებნას აზრი არა აქვს! თვითონ ხედავთ — როგორი ტანსაცმელი ნაცვია.

— თავად უკეთ იცი.

— კარგი, თუ წასვლაა, წასვლა იყოს.

მალე ისინი ნავსადგურის უბრალო ლუდხანაში ისხდნენ. ალუპმა ორი სულისათვის შეუკვეთა სადილი, თითო ჰიქა კონიაკი და ლუდი. როდესაც მოხუცი მედნისი ცოტათი დანაყრდა, საუბარი ისევ გაგრძელდა.

— არნი, გახსოვს გაცვეთილი, ძველი ხუთიათას ტონიანი „ალუქსენი“, რომელიც რიგელ გემის მფლობელს ჰქონდა ნაყიდი ინგლისში? შაეი, დაეანგული, ნახევრად დანჯღრეული გემი? ძლიერი ტალღის დროს მოქლონები ისე ჰრიალებდა, ძველი მეზღვაურებიც კი პირჯვარს იწერდნენ ხოლმე. კუთხეებში ბუზივით ირეოდნენ თავგები — ღამე საწოლებზე ამოცოცდებოდნენ და არ გვაძინებდნენ. შენ ვააკეთე მოძრავ სახურავიანი კასრი და ერთ ღამეში ორმოცზე მეტი თავგი დაიჭირე...

— ო, ეს მხოლოდ პირველად, — თქვა მედნისმა და წუთით საკმელს მიაწვინა თავი, — ერთი კვირის განმავლობაში ზღვაში გადავყარეთ არა ნაკლებ ორასი მხეცუნა.

— და შენ კაპიტანმა დაგაჯილდოვა — ერთი ბოთლი ჯინი მოგართვა. შენ კი ჯინი ყველას თანაბრად გაუნაწილე და თვითონ ერთი ყლუპითაც კმაყოფილი იყავი...

— საძაგელი იყო ის ჯინი, — თქვა მედნისმა. — ზღვაზე კიდეც არაფერი, მაგრამ ნაპირზე...

— მანჩესტერის არხში, „ალუქსენი“ ბუნკერები ნახშირით აავსო, — განაგრძო ალუპმა, — ხომ არ დაგაგიწყდა. რა საშინელი ნახშირი იყო? შორიგე ცეცხლფარეშს მოუხდა ექვსივე ქვაბის გაწმენდა, ტრიუმის ზემოთ აწევა და ზღვაში მთელი გროვა წიდის ჩაყრა. ბიჭებს ქანცი ელეოდათ. მხოლოდ შენ ერთს ცეცხლფარეშთა შორის შეგეძლო სრული სელით ცურვა. შემდეგ გზა კარდიფიდან ბორდოში. გახსოვს, არნი? ბისკაიში ცხრა დღე ნჯღრევა, გახელე-ბული ზღვა... შტორმი ისე ათამაშებდა

გემს, როგორც კატა თავს... ყველაზე მაგარმა ვაქაეებმაც ვერ გაუძლეს? მხოლოდ ისღა შეეძლოთ უფროსები წყველა-კრულვით მოეხსენებიათ. მხოლოდ შენ იყავი მაგრად და კაპიტანმა ისევ შენ გამოგიგზავნა ერთი ბოთლი ჯინი.

— მე დავუბრუნე უკან და ვუთხარი, შენ თვითონ ხეთქე-მეთქი.

— მართალია, მეგობარო. ჰოდა იმას ვამბობდი, იმ გემზე იყო ზეტრიუმე — ცხრამეტი წლის ბიჭუნა, იგი პირველად მოხვდა გაშლილ ზღვაზე ასეთ ჯოჯოხეთურ ლელვაში. მის გვერდით რომ არ აღმოჩენილიყო, კეთილი, მაღლიანი ადამიანი, ვინ იცის, რა მოუვიდოდა, მაგრამ ის კაცი მიეშველა მას: ყოველთვის ჰქონდა ქურაში ცეცხლი, ბუნკერში აღიოდა ნახშირისათვის და ზემოთ აჰქონდა წიდა. მხოლოდ ამის გამო, მთელი შემადგენლობის გასაოცებლად, ბიჭუნამ გაუძლო ყოველივეს. ის მეტრიუმე ვიყავი მე — იანკა ალუპი.

— თქვენ? — მედნისი თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, ისე ზისჩერებოდა ალუპს, — ნუთუ ასეთი რამე შეიძლებოდა მომხდარიყო? როგორ ვერ გიცანით?

— მეც ხომ მაშინვე ვერ გიცანი. მართლა, ნუ მომმართავ „თქვენობით“, დამიძახე ძველებურად იანკა.

— როგორ შემიძლია, თქვენ, ასეთ გამოჩენილ ბატონს, შენობით მოგმართოთ? არა, არა, — უხერხულად ჩაიბურტყუნა მედნისმა.

— ჩვენ შიშვე დღეებში ვიყავით მეგობრები და ეს გვაძლევს განსაკუთრებულ უფლებას. შეეთანხმდით?

— ვცადოთ, მაგრამ რა განოვა...

ალუპმა მედნისს ლუდის ჰიქა მოუჯახუნა, ლაზათიანად მოსვა და საუბარი თავისუფლად წავიდა.

ალუპმა ოფიციალტი ზოიხმო.

— ორი ჰიქა ლუდი. არნი, კიდეც ხომ არ შეჭამ რამეს?

— არა, — იუარა მედნისმა. — ზედ-

მეტი მაწყინარია — ადამიანი ცხოველი ხომ არაა.

ისევ მოგონებებს მისცეს თავი.

— შენ, არნი ისეთი თვისება გქონდა, რისთვისაც მაშინვე მოგვეკედლე: არავის აძლევდი სუსტი ადამიანის დაჩავერის უფლებას. როგორ დაალურჯე აულაყუდა ბუკი იზისათვის, რომ მას უმცროსი მებღვაურის ცემა სურდა. გენუაში კი, როდესაც ნავსადგურში გაფიცვები იყო?.. კაპიტანს უნდოდა ჩვენ თვითონ დაგვეტვირთა გემი, გვიპირდებოდა დამატებით თანხას და, ღმერთმა უწყის, კიდევ რას. ზოგიერთები კინალამ გაბრიყვდნენ, მაგრამ შენ თქვე „არა, ასე არ შეიძლება მოქცევა, ეს გამოვა იტალიელი მუშების გამცემლობა“ — და „ალუქსნენს“ ეკიბაქის სახელი შეუბღალავი დაჩა.

— რიგაში პირველ დღესვე მგლის ბილეთი მივიღე და ნაპირზე აღმოვჩნდი, — წყნარად დაუმატა მედნისმა. — იმ კომპანიის გემებზე სამუდამოდ მომეკრა გზა. შენ ხომ იცი, საყვარელო იანკა უფროსებს ასეთი რამეები არ ავიწყდებათ. ეპ, ღმერთი იყოს იმათი შემწე. უმჯობესია შენ თავზე მიამბე.

— ყველაფერი ხდებოდა არნი. — თქვა ალუპმა, — არც ჩემი გზა იყო მაინცდაზაინც ადვილი... „ალუქსნედან“ წასვლის შემდეგ ზაფხულზე ნავსადგურში ვმუშაობდი, ზამთარში კი ვსწავლობდი. დავამთავრე საზღვაოსნო სასწავლებელი, რამდენიმე წელს ვცურავდი სავაჭრო გეზზე მექანიკოსად, შემდეგ შევედი უნივერსიტეტში მექანიკურ ფაკულტეტზე. გაპირებებს განვიციდი — მოგონებაც კი საშინელია. მაგრამ ინჟინრის დიპლომითაც ვერ მოვინახე შესაფერი სამუშაო. მომიხდა ისევ დაზვასთან დგომა. ყველაფერი შესცვალა ორმოცმა წელმა. დავიწყე მუშაობა ინჟინრად დიდ ქარხანაში. რამდენიმე წლის შემდეგ კი ასპირანტურაში შევედი.

— ასპირანტურა? — გაურკვეველად

შეეკითხა მედნისი — ეს რაღაა, ფაბრიკაა თუ ფირმა?

— არა, არნი, ასპირანტურაში სწავლობს აზნადებენ.

— რაო, უნივერსიტეტი არ გეყო? ისევ სწავლობდი?

— უამისოდ შეუძლებელია, თუ კი გინდა სწავლული გამოხვიდე, — განუმარტა ალუპმა. — მაგრამ ასპირანტურაში მაშინ არაფერი არ გამომივიდა. დაიწყო ომი, ახლა იარაღის ხელში აღება მომიხდა. ჩვენ ლატვიელებს, ხომ ჩვენი დივიზია გვყავდა. ზორხად ურტყამდნენ ჰიტლერელებს მოსკოვთან, სტარაია რუსასთან, ბოლოს კი თვითონ ლატვიაში! ორჯერ დამპრეს, მაგრამ ისევ დავუბრუნდი ნაწილს. ასპირანტურა ომის შემდეგ დავამთავრე. ახლა მე საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ვარ. ახალ მანქანებს ვაკეთებთ. რასაკვირველია, ცოლიც შევირთე, ჩემი ცოლი ექიმია — ქალაქის საავადმყოფოში მუშაობს. ორი ვაჟი ზეყვს — მოსწავლეები არიან. აი, მთელი ჩემი ამბავი, არნი.

ალუპი მედნისისაკენ ზობრუნდა. მოხუცს თვალეებში ცრემლები ჩადგომოდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მედნისმა მოიწმინდა ლოყებზე წამოგორებული მლაშე წვეთები და წყნარად წარმოსთქვა:

— შენ, იანკა, ბეგრს მიაღწიე. შენ არაფრის არ უნდა გრცხვენოდეს... მე კი...

ჩაფიქრებულმა თავი ხელეებში ჩარგო, კარგახანს სდუმდა. მერე და როგორი ხელეები ჰქონდა, — მსხვილი, ხაოიანი, დაკორძილი თითებით და დაბერილი ვენებით, დაძველებული კოჭრებით. ამ ხელეებზე, ისე, როგორც წიგნში, შეიძლებოდა ამოგვეკითხათ ამ მშრომელი ადამიანის მთელი მძიმე ცხოვრება.

— სულ ტყუილად ვიცხოვრე... — ბოლოს ამოიღუღლულა მედნისმა. — ფუქია ყველაფერი, ქარისგან წალებული. ეპ...

— არნი, მეგობარო, ზინდა შეგეკითხო, — უთხრა ალუპმა და მედნისისაკენ

მიწია. — შეგიძლია მიპასუხო, შეგიძლია არა, თუ ჩემი შეკითხვა არ მოგეწონება, — მხოლოდ გახსოვდეს, რომ შენ მეგობარი გელაპარაკება.

— შემეკითხე.

— რატომ შენ არ მიდიხარ? რა გაკავებს აქ, სადაც არავის არ უნდიხარ?

მედნისმა პასუხის გაცემა დააყოვნა. წარსულის გაცოცხლებულმა მოგონებებმა, თუ ლუღმა მოხუცი მგრძნობიარე გახადა — შან აღელვებით ამოისუნთქა და თვალები კვლავ აუბრწყინდა.

— სირცხვილი, იანკა... სირცხვილმა დამიხშო გზა შინისაკენ. ტყუილ-უბრალოდ გატარებულმა წლების სირცხვილმა... მე მივატოვებ ამ ქვეყანას და ჩემს შემდეგ დარჩება მხოლოდ სიცარიელე, ისე, როგორც პირის ღრუში, რომელშიაც ამოვარდა ძველი, ჭიანი კბილი. უიღბლოებს როდი იბრალებენ, მათ არაფერს აპატიებენ. დავგანახე, რითი დაბრუნდი სახლში, შენეკითხებოდნენ ძველი მეგობრები და ნაცნობები. როგორ შეგეხედა მათთვის თვალეში? დიახ, ესაა სირცხვილი, იანკა.. მე არაფერი აღარ დამრჩენია, უნდა დავიშრიტო აქ, უცხო მიწაზე. ამას აქვს კარგი მხარეც: უცხოები ანგარიშს არ მოგთხოვენ.

— შენ აზვიადებ, არნი. მაინც რისა გრცხვენია?... შენ დამნაშავე ხომ არა ხარ? დამნაშავენი ისინი არიან, ვინც შენ ძალღონე წაგართვა და სამაგიეროდ არაფერი მოგცა. მოიშორე მწარე ფიქრები, მოიშორე! გინდა, ხვალ წავალ ბრიუსელში და მოველაპარაკებო საბჭოთა კონსულს? რიგისკენ მიმავალი პირველივე გემი წაგიყენს.

— იქ კი... სახლში... რა გავაკეთო იქ? ნუთუ შენ გგონია, რომ სახლში კიდევ მაქვს სადმე სახლში...

— რასაკვირველია. სამშობლო. მოგეხსენებებიან, და შენც იპოვი შენს ადგილს ცხოვრებაში. ახლა ჩვენში სულ სხვა დროა.

— გამიგონია. მაგრამ მე რა შუაში ვარ? თქვენ, იქ რომ საქმეს აკეთებდით, მე დავეხეტებოდი ერთი ადგილიდან მეორეში და მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. არა, არა, არ ღირს ამაზე მეტი ლაპარაკი...

...განშორებისას ალუპმა მედნისს ცოტა ფული მისცა, სახსოვრად თავისი წამოსახსანი დაუტოვა და თბომავლისაკენ გასწია. მედნისი შორიდან უთვალთვალებდა, სანამ გემბანზე არ ავიდა. შემდეგ მოხუცი ნელა გაუყვა სანაპიროს — სხვა დოკებისა და სხვა გემებისაკენ, სადაც, შესაძლოა, ღამის გასათევი მოეძებნა, რადგან უკვე ღამე წვებოდა დედამიწაზე.

...როდესაც საბჭოთა თბომავალი ტოვებდა ანტვერპენის ნავსადგურს, სანაპიროზე გამცილებელთა ჯგუფი შეგროვდა. მაგრამ ალუპი ამაოდ ეძებდა მედნისს. ძველი მეზღვაური ან ვინმეს ზურგს იყო ამოფარებული, რათა შორიდან შეეხედა თავისი სამშობლოს წარმოგზავნილთათვის, ანდა ალუპის დატოვებულ ფულს ხარჯავდა სადმე... მაგრამ, აღბათ, სწორეთ იმ სირცხვილმა — დიდმა და მოულოდნელმა — არ მისცა საშუალება მოსულიყო აქ და უკანასკნელად დაექნია ხელი მისი ძველი მეგობრისათვის.



მ. შაბაგაძე

ქმელი მოაზი

მოთხრობა

სოფლის შუაგულში, მოედანზე, სადაც თემი თავს იყრის და თავის აკარგზე სჯა-ბაასი აქვთ, მხედარმა ცხენი შემოაფრინა, ერთბაშად მოლაგმა. მათრახი მარცხენა ხელში დაიჭირა, — ასე უჭირავთ მათრახი უბედურების მაცნეთ, — სწრაფად დაქვეითდა, იქვე შედგა და თავი დახარა. ყორანივით შავი ვაჟა მძიმედ სუნთქავდა, ჩქარი რბენით გაფიცებულს, პატარა, ლამაზი ნესტოები განივრად ებერებოდა და ორთქლს ბოლქვებად აბნევედა გაყინულ ჰაერში. ცხენი მწუხარე თვალებით შეყურებდა შეშფოთებულ ხალხს. ქალი და კაცი გულამომჯდარი შემორბოდა მოედანზე, თანდათან მატულობდა დიდი და პატარა, მაგრამ მხედარს არაფერს ეკითხებოდნენ, არც ახლო მისულა ვინმე. თავჩაქინდრული ჰაბუკი კი ისევ ისე მდუმარედ იდგა ხალხისაგან მოშორებით.

მაგრამ აი, წინ წარსდგა მაღალი, ბრგე მოხუცი. მძივივით მსხვილი, თბილი ცრემლი ზეწაბმით ჩამორბოდა მის გაფითრებულ, გაუპარსავ ლოყებზე და სველ კვალს ტოვებდა. ქარდაკრული, სიცივისაგან ვალურჯებული ტუჩები ოდნავ შესამჩნევად შეერხა. მხედარმა თავი ასწია, მის წინ მამამისი — აუზბი იდგა. ჰაბუკს წინათ არასოდეს არ უნახავს მამის ჰკვიან და კეთილ თვალეში ესოდენ დიდი სევდა და მწუხარება. აუზბის მძიმე შრომით გატლანქებული, კოჟრიანი ხელები თრთოდნენ და კანკალებდნენ და რათა დაეფარა თრთოლვა, მოხუცი სულ უფრო მაგრა უჭერდა თიბებს ყავარჯენს. აუზბი შერყეული,

გაუბედავი ნაბიჯით მიეახლა შვილს.

— რა მეხი დაგვატყდა თავს, შვილო?

— მიიცვალა... აღარ გვყავს ის, ვისი მოსკლისთვის, ასეთი სიყვარულით ზრდიდი იმ მოზვერს, მამაჩემო, რომ სანაქებო ღვინი მოგეწყო, — შვილმა გრძელბეწვიანი ფაფახი მოიხადა და დადუმდა.

ყველამ თავი მოიშიშვლა, ყრუ-მტანჯველი სიწყნარე გამეფდა მოედანზე. მხოლოდ მთებში ქარი ღმუოდა შლეგვანი ნადირივით და თოვლის ფიფქი მძიმედ ეშვებოდა მწუხარებით გარინდულ ხალხის თავზე.

— კეთილო ხალხო! — კვლავ წინ წასდგა ნაბიჯი აუზბიმ, სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ თითქოს მკერდში რაღაც ჩაწყდა, სული შეუგუბდა, ბურუსი გადაეკრა თვალეზე, — შავი დღე დაგვიდგა...

აუზბი მთელი ძალით ეყრდნობოდა ყავარჯენს. შვილი შეეშველა, მხარში შეუდგა.

— რად იჩქაროდი, ბათირბექა, რად მოისწრაფოდი ჩვენთან?.. განსვენებული მიატოვე, შვილო?.. ვაითუ ჩვენთაგანი არავინ არის მასთან!.. ეხ, როგორ მოხდა ეს, რომ ვლადიკავკავამდე მოაღწია იმ ნათელმა კაცმა და იქ...

— არა, მამაჩემო... ის მოსკოვში მიიცვალა, — უთხრა ბათირბექმა. ზველა აუტყდა, კისერზე ყაბალახი შემოისვია.

შუახნის, მუქნაცრისფერ ჩოხაში გამოწყობილი გლეხი მივიდა. მათთან, ადამ-ჩვევის რიგზე ერთ ხანს მდუმარედ იდგა და მერე ყრულ დაილაპარაკა.

გაისმა სევდითა და ვარამით საესე მისი ხმა.

— ამიერიდან მხოლოდ კარგის მაუწყებელი იყავ, ბათირბექ! მის სახელს საუკუნო ხსენება და დიდება, მიწა მსუბუქ ექმნეს... — ხელი ჩამოართვა ბათირბექს და ჰკითხა: — როდის ასაფლავებენ?

— პარასკევს. გუშინ გარდაიცვალა — ორშაბათს, — მიუგო ბათირბექმა.

მწუხრი ჩამოწვა სოფელში, მაგრამ ხალხი ადგილიდან არ იძროდა, დიდი და პატარა სოფლის კანცელარიის თავზე ამართულ სამგლოვიარო აღამს შესცქეროდა. გაშმაგებული ქარბუქი ისეთი სიძლიერით არხევდა ურვის ძაძას, თითქოს მოგლეჯა და გატაცება სწადიაო, რათა არ ეფიქრა ხალხს თავს დატეხილ უბედურებაზე. ბებერი აუზი სევდით შეყურებდა შავ დროშას და ეჩვენებოდა, თითქოს თვით ხალხის სული ბორგავდა და შფოთავდა ამ მძიმე ვარამში.

სოფელ ფაზიკაუში მისი არსებობის მანძილზე არ უნახავთ ასეთი მაგარი ყინვები, როგორც იმ ზამთარს დაიჭირა. ღამ-ღამობით გარკვევით ისმოდა, როგორ სკდებოდნენ ყინვისაგან კლდეები და გამაყრუებელი ტყაცანი გაქჟონდათ ხეებს. გაირინდა ფიჭვნარი, რომლის კალთას ფაზიკაუ ისე მიკვროდა, თითქოს ეშინია, ციცაბოს არ მოწყდესო. ყინულის სქელმა ქერქმა დაფარა გზები. ორღობებში თავაწყვეტილ ფაშატივით დაქპროდა გამყინავი ქარი, თოვლის ფიფქს ხვეტავდა მიწიდან და ცაში ტაცებდა.

ფაზიკაუ მინდორზე გაშლილ სოფელზე იტყვიან. ვის დაებადა აზრად ამ სოფლისთვის ასეთი სახელის დაქმნევა? აღბათ, დაცინვით თუ შეარქვეს! მთელ ფაზიკაუში ერთ გოჯ სწორ მიწას ვერ ნახავთ, გარდა ერთი პიტალო მოედნისა. სახლები ერთიმეორეზეა მიჯოგარლი. ორღობებში ისეთი ვიწროა, ურემი ურემს ვერ ჩაუვლის. ზაფხულში იელით მოფენილი სახნავ-სამოვარი მიწის გრძელ ზოლებს მთის თხემი ფარავს. იქნებ იმიტომ შეარქვეს სოფელს ფა-

ზიკაუ, რომ სამი გზის გადასაპყრელზეა შექმნილი ეს პაწაწინა სწორი მოედანი. ან იქნებ იმიტომაც, რომ ფაზიკაუ სხვა სოფლებთან შედარებით უფრო ახლოა მთის მდინარესთან!

გაშმაგებით, გაავეებით ღმუის და შფოთავს ქარბუქი. ვაბმით კრიალებს კარი აუზბის ქოხში. ნერვიულად ხტის მკრთალი ალი ღამის შუშაში და ქოხის ქვის კედლებზე ერთიმეორეს უსწრებენ შავი ჩრდილები. უნიათოდ ბეუტავს ცეცხლი კერაზე. არ სძინავს აუზბის. ესესაა ბოსლიდან დაბრუნდა, იქ მოხვედრის ქათო მიუტანა, შედგა თუ არა ფეხი ბოსლის ზღურბლზე, ქშენითა და ფრუტუნით მიეჭრა პირუტყვი და ხორკლიანი ენით ხელების ლოკვა დაუწყო. გული აუჩუყდა მოხუცს, მისცა ქათო, უმალ უკან გამობრუნდა და ახლა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი წინ და უკან მიმოდის ქოხში. ბათირბექი ჯერაც არ დაბრუნებულა, სად არის აქამდე? ღელავს, წუხს მოხუცი. რას თათბირობენ მთელი საღამო? რა გადაწყვიტეს? ეპ, რამდენიც არ უნდა ილაყბონ, იმაზე უმჯობესს ვერაფერს მოისაზრებენ, რაც აუზბიმი გადაწყვიტა. ნეტა სად არის აქამდე ბათირბექი? არა, მას უთოოდ მოეწონება მოხუცის აზრი, რჩევა.

ქარბუქმა მთლად აიწყვიტა თავი. ასე გადაირია, გაცოფდა იგი იმ წყეულ ღამესაც, აუზბის მამა რომ მიიცივალა. შეიდი წლისა იყო მაშინ აუზბი, მაგრამ ახლაც ნათლად ახსოვს ის ღამე. მეზობლის ქალები უთევდნენ ღამეს მიცვალეზულს, — ოდითვე ასე დამკვიდრებულა: — სოფელი ასეთ ეამს არ ტოვებს მგლოვიარე ოჯახს თავის ვარამისა და მწუხარების ამარა. მთელი ღამე არ შემწყდარა ტირილი და გოდება ვასტიროდნენ მიცვალეზულს, მაგრამ უბედურ ქერიგ-ობლებზე უფრო შესტკიოდათ გული. კედლებს არყევდა ქალების ზოთქმა. არ ქვითინებდა აუზბის დედა. მწუხარებით გარინდული თვალმოუშორებლად დასცქეროდა ქმრის ფერწასულ, გაქვავებულ სახეს, თითქოს მკვდარს ელაპარაკებოდა, ოდნავ ერხეო-

დნენ ტუჩები, მაგრამ ხმა არავის ესმოდა. აუზში დედას მუხლებზე მოეხვია და იგრძნო, თბილი ცრემლი დაეცა ქოჩორა, პატარა თავზე. დედამ ხელი მოხვია შვილს და აუზშიმ გაიგონა, როგორ აფართვალდა რაღაც დედის მკერდში. ეს დედის გული იყო, გამოუვალ მწუხარებაში რომ ფეთქავდა და კენესოდა, საყვედურობდა მეუღლეს:

— ვისი იმედით დამტოვე მე უბედურო! რა დაგიშვე ასეთი, შე უგულოვ, რას მერჩოდო!..

მწარე მოგონება რომ გაეფანტა, შუაგულ ქოხში უცებ შედგა აუზში, ჯიბეებიდან ხელები ამოიღო, შუბლი მოისრისა. მაგრამ არც ისე იოლი იყო შავი ფიჭვიდან თავის დაღწევა. წარსულის მძიმე და ბნელი სურათები თვალნათლივ დგებოდნენ, ცოცხლდებოდნენ აუზბის გონებაში. ობლობის, გაჭირვების, მარტოობის წლები... ვისთან არ იყო მოჯამაგირედ, მოახლედ, ტიტველშიშველი, მშვიერ-მწყურვალი, განა აუზბიზე არ წერდა კოსტა:

საყვედური, ცემა-ტყუპა,
ო, რამდენი ვადავდა!..

მოხუცდა აუზბი, ველარ დაიბრუნებს სიკაბუჯის წლებს. ამას დიდი ხანია შეურთავდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ მოუწილებია: ეპ, რატომ უფრო ადრე არ მოვიდა ეს ახალი ცხოვრება! თუმცა არა, ყველაფერი კარგია, რასაც კარგი ბოლო აქვს. „აი, რა კაცი დადგა ჩემი ბიჭი! რაიონში მუშაობს. ურიგო ადგილი არ უჭირავს, ქვეყნის საქმეს განაგებს!“ არც აუზბის დაუყრია ჯერ ფარ-ხმალი. დადგება გაზაფხული და ისევ ყანაში გავა, გაითბობს ზამთარში გათოწილ ძვლებს. არა, ვინა თქვა აუზბი დაბერდაო! რა დროს სიბერეა! ცხოვრება ახლა იწყება!

ღმუის ქარბუჭი, ჭრიანებს კარი. შუალამე გადავიდა. ბათირბეკი კი არადა არ ჩანს. სადღაც ხრინწიანი ხმით დაიყვლა ტუტუცმა მამალმა. რა დროა? ფიჭვებს თავს ვერ უყრის აუზბი. რო-

გორც აღიდებული მდინარის ტალღები, ისე ასკლებიან ისინი ერთმანეთს. უფრო შავებდითხ, უფრო მანეთზე უფრო შავებდითხ, უფრო სევდით მოცული ფიჭვები. ფეხიც ატიკვდა ბერიკაცს. კერას მიაშურა, იქნებ სითბომ შეუწილოს ტიკილი. შეუკეთა ცეცხლს. იჯდა და მიჩერებით შეყურებდა, როგორ წრეტდა ცეცხლი მუგუზლიდან მაცოცხლებელ, გაზაფხულის სურნელებით გაქვნილ წვეს. რატომ გაახსენა ამ მუგუზლებმა იმ შორეული შემოდგომის, მისი მწარე ცხოვრების ერთი შავი დღე?..

თითქოს ცხადად ხედავს აუზბი: მეგობრებთან ერთად მოედანზე დგას ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ჯანით სავსე. უცებ ენაჩღექია მაირამ გუბაევმა შემოაგელვა ცხენი მოედანზე. ისეთი მდიდური იერი ჰქონდა, თითქოს მას ერთს, მარტოდმარტოს აელოს ყარსის ციხე-სიმაგრე. გადაკრულში იყო. დაქვეითდა და გაბლინძულად შესძახა:

— გამალჯობათ, ფახიკაუს კუჭკამხმალო ბიჭებო! აი, დავბლუნდი... თქვენ კი ლა! დიდი ლხინის ნამჩნებებს უჩლით? მაშ, ჩემთან წამოდი, თქვე მშვილებო! გამხმალ კუჭს გამოგიძლობთ. ჩასა და მიწას გეფიჩებით, გუბეს შვილი ყველას დაგაპულებთ... ოლი ჩხვალი გეყოფათ! ქვეილი ჩხვალი ჩემს ფალაში იგივეა, ლაც ქვეთი ზღვაჩი.. გუბეს შვილს ოთხაში მშვილფეხი ყავს ჯოგში, მაშა!

— გიჯობს შენი გზა ნახო, უფათერაკოდ და უხიფათოდ! — ვერ მოითბინა აუზბი. — თორემ ისეთ დღეს დაგაყრი, მამაშენიც დაგავიწყდეს და შენი ქეცია-ნი ცხვრებიცა!

— ოო, თულმე თვით ბატონი აუზბიჩ აქ ბლძანებულა თავისი ტუტუცი თავით! მეც ალა ვთქვი, ლატომა დგას-მეთქი შმოლის სუნი! ალ მეგონა ჩემი მოჯამაგილე ასეთი ლეგვენი თუ იყო, ლომ ბატონს ამდენს გაუბედავდა! მამაძალო, ყულუმსალო! — აფეთქდა მაირამი და რევოლვერზე გაიკრა ხელი. — დიდი ხანია ყელზე მადგიხალ შე უნიფხვოვ!

გავარდა რევოლუციური და კვანლის თეთრი ქულა წამით დაეკიდა პაერში. აუზბის ეგონა მარცხენა ფეხში მიჩქმეტესო. თვალები სისხლით ავესო, გაცოფებული ნადირივით ეცა მაირამს, პაერში აიტაცა, ერთ ხანს ორივე ხელით თავს ზევით ეჭირა, მერე მთელი ძალით მოიქნია და ქვაზე დაანარცხა. მაირამი თავწაპირილი ქათამივით აფართხალდა, გაიჭიმა, გაიძაგრა და იყვირა:

— მიშველეთ!.. მომკლეს!.. — პირიდან სისხლი წასკდა, თვალები გადაკარკლა.

— გაიქციე, თავს უშველე, აუზბი! — შემოეხვივნენ აუზბის მეგობრები. — აქ აღარ დაგედგომება! გუბებს და მის კაცებს ვერ გადაურჩები!

— არ გავიქციევი, — მტკიცედ მიუგო მათ აუზბიმ, — ჯერ ისე არ წაემხდარვარ, რომ გუბებს შევეუშინდე! — უცებ შექანდა, მარცხენა ფეხში წაივლო ხელი.

ერთადერთი შვილის დაღუპვამ კუთა დააკარგინა გუბებს, ცოფს ყროდა, ხორცს იგლეჯდა. ვადაწყვიტა იმ დღესვე გასწორებოდა მოსისხლეს, მაგრამ აუზბიმ დედის თხოვნით ტყეს მისცა თავი. წასვლისას ასე დაუბარა მეგობრებს:

— გადაეციტ გუბებს: მე მოძალადე არა ვარ და არც ვიქნები, მაგრამ ჩემი შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ, მანამდემრთსაც კი. გადაეციტ გუბებს, ჩემს მოკეთებებს თმის ერთი ბეწვიც რომ დააკლდეთ, დედაბუდიანად ამოვბუგავ არა მარტო მას, მთელ მის გვარს! არ იფიქროს, შიშმა გამაქცია ტყეში. უთხარით, მზადა ვარ პირისპირ შევხვდე ყოველ თამს, სადაც მოისურვებს!

ამ სიტყვებმა ცოფი შეუწუნლა გუბებს, ამღვრეული სისხლი დაუგრილა. აუზბის აბრაგად გავარდნის ამბავი რომ გაიგო, მთლად წახდა ყაზახი. შიშით პირში სული არ ედგა.

— ამაზე უარესი დღე რაღა დამადგება, ხალხო! — წუწუნებდა თავის მეგობარ მოხუცებში გუბე. — ცისა და მიწის ამარა დავრჩი. ბებერი ძვლების დამმარხავიკ აღარა მყავს. ამქვეყნად ვილას ვუნდივარ წყალწაღებული! ვინაა

ჩემი გამკითხავი! მართალია, ჩემი შველი ტყუოდა, მან აუტეხა თურმე! მხოლოდმა ჩხუბი იმ ჩემი ცოდვიტ! სახსენს! სახსენს. მაგრამ რა ვქნა, ვის შევეურიგდე, სად არის აუზბი? რისი ეშინია, მე არაფერს ვერჩი! რად მემალება?

სოფელში კარგად იცოდნენ გუბებს ოინები და გაიძვერობა. არავის სჯეროდა მისი მოქარგული ენის და ტკბილი სიტყვების. ესეც რომ არ ყოფილიყო, ვის შეეძლო გავგო, სად იმალებოდა აუზბი! ვინ იპოვის აბრაგად გაჭრილ კაცს კავკასიის მთების ზეფუტებში!

აუზბი ცხოვრობდა ალაგის ხეობაში, სადაც მისი დედულეთი იყო, იქ აფარებდა თავს, იქ გაეცნო ადამიანს, რომელმაც ოსური ერთი სიტყვაც არ იცოდა, მაგრამ მალე მისი ყველაზე ახლო მეგობარი გახდა. ამ კაცს თედორე ერქვა. ოსი თარჯიმანის დახმარებით თედორემ წერილად გამოჰკითხა აუზბის მისი ცხოვრების ამბავი, თვითონაც ხელისგულივით გადაუშალა თავისი ცხოვრება და მალე ერთმანეთისათვის ძმებზე უფრო ახლობლები გახდნენ. თედორესაგან პირველად გაიგონა აუზბიმ სიტყვები, რომელმაც ცხოვრების მძიმე ქვანის შეუმუსხუტქა, მომავლის იმედი დაუსახა. მალე მოვა ახალი ცხოვრებაო, ეუბნებოდა თედორე, მდიდრებს გარეკავენ და მათ მიწებს ღარიბებს დაურიგებენო. მისგან გაიგო აუზბიმ იმ ადამიანის სახელი, რომლის სიკვდილმაც თავზარი დასცა ახლა მთელ სოფელს.

ღმუის, მძვინეარებს ქარბუქი. შორს, შორს წაიყვანეს ფიქრებმა ბებერი აუზბი, არ ესმის კარის ქრიალი, ვერ აჩინებს, რომ დიდი ხანია კერაზე მუგუზლები ჩანავლდა. მაგრამ აი, ყინვის ბული შემოიჭრა ქოხში. მოხუცმა თავი ასწია. ზღურბლზე ბათირბეკი იდგა, თოვლით შეპენტილი, ყინვისაგან სახე შექირხლული.

— დაბრუნდი, შვილო? რა გადაწყვიტეთ? — ჰკითხა მამამ.

— პარასკევს, გზების შესაყართან, სამგლოვიარო მიტინგი გვექნება, მამი. ახლომანლო სოფლებიდანაც ჩამოვლენ.

სკოლას მისი სახელი გვინდა ვუწოდოთ...

— სკოლას მისი სახელი! — ღიმილით გაიმეორა აუზბიმ. — ეს კარგად გიფიქრიათ. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ის აღამიანი მარტო ჩვენ კი არ დაჯერგეთ, მარტო ჩვენი გული როდი წუხს და კენესის დღეს!.. მე და შენც უნდა დაეფიქრდეთ, შვილო. ჩვენ ყველაზე დიდი მოვალენი ვართ იმ სულცხონებულის... ახლა წადი, მოისვენე. ალიონზე გაგაღვიძებ.

— ვერა, მამაჩემო, მოსვენების დრო არა მაქვს. აქ რაიონამ გამომგზავნა.

— შენს მეტი არავინაა სოფელში! სხვებს დავალე ეგ საქმე. მე და შენ ახლა ურფო დიდი საზრუნავი გვაქვს. წადი, მოისვენე! მართალია, ერთმანეთთან არ გვისაუბრია, არ მიკითხავს, როგორა ცხოვრობ ქალაქში! რა გიჭირს, რა გიღიზნის, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. მოვესწრებით. წადი, დაიძინე! დალილი სახე გაქვს, ჩემო ბიჭო! ახველებ, შეუძლოდ ხომ არა ხარ? არ ცამიშალო! — არ დაუცადა პასუხს, წამოდგა, ტყაუტყი მოისხა და კარისკენ გაემართა: — წავალ, მოხვედრს დაეხედავ, მგონი არ დამიბამს.

ბათირბეკი მიხვდა, მამას მარტო დარჩენა სწადდა. და მართლაც აუზბი მოხვედრის დასაბმელად კი არ წავიდა, ეზოში გავიდა, იქვე გალავანს მიეყრდნო, სახე გამყინავ ქარს მიუშვირა და დიდხანს გაპყურებდა სიბნელეში ამართულ თოვლიან მთებს.

ქარბუჭი არ ცხრებოდა, დასდევდა ღრუბლებს. ფანტავდა, საღაც მოუსაველეთში მიერეკებოდა. ცა თანდათან გაისარკა და მის კაბადონზე ცივად აციმციმდნენ ვარსკვლავები. მთვარე მთებს იქით გადავიდა, მაგრამ მისი მკრთალი შუქი კიდევ დიდხანს ანათებდა ცისკიდურს და ცორაევის მყინვარწვევს. ისევ ისე ფრიალებდა სამგლოვიარო ალაში კანცელარიის თავზე. აუზბის ეჩვენებოდა, საცაა მოგლეჯს მას ქარი, გაიტაცებს, გადააქროლებს მთებზე, მყინვარებზე, ხეობებზე, სოფლების თავზე,

რომ მთელ ქვეყანას აუწყოს ხალხის დიდი ვარამი.

„იტყვი, იღმუფლე ხანგრძლივ ქართლ იქვითქვითეთ, მთებო და კლდეებო! არასდროს გსმენიათ თქვენ ესოდენ შემზარავი ამბავი!“

* * *

გათენებული არ იყო, მამა და შვილი რომ ხეობას აყენენ. ბათირბეკს ჩაქლჩი, ცული და ლომი მიჰქონდა. წმინდა, ხასხასა თოვლი თვალს სჭრიდათ. ქარი დაცხრა, მაგრამ გააღმასებული ყინვა უფრო გააფთრდა, გაძალდა. გაყინულ მდინარის ნაპირს მიჰყვებოდნენ. ლიაცისფერი ყინულის სარკე ბრწყინავდა და ლაპლაპებდა მზეზე. აუზბი დუმდა. ბათირბეკი უკან მიჰყვებოდა მამას, შეპყურებდა მის ვანიერ, სიბერით ოღნავ მოხრილ მხრებს და ისიც დუმდა. ან კი რა ჰქონდათ სალაპარაკო? ჯერ კიდევ სანამ გზას დაადგებოდნენ, ყველაფერი უთხრა შვილს აუზბიმ. ჯიხვთა ხეობიდან ქვა უნდა ჩამოეტანათ და პარასკევისთვის დაემზადებიათ ძეგლი.

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, აუზბი გზაბნეულ ცხვარს რომ ეძებდა, ამ ხეობაში უცნაურ ქვას წააწყდა. თეთრს, ვერცხლივით მოელვარეს. პოდა გუშინ, როცა ბათირბეკმა სოფელში თავზარდამცემი ამბავი მოიტანა, აუზბიმ გადაწყვიტა, უსათუოდ ამ ქვისაგან გამოეთალათ ძეგლი.

დინჯად მიიკვლევდა გზას ღრმა თოვლში აუზბი. შედგებოდა, შეისვენებდა, შებლიდან ოფლს მოიწმენდდა და ისევ შეუდგებოდა აღმართს.

— ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს! — ხშირ-ხშირად მოუბრუნდებოდა შვილს, — ჩემ კვალს მოჰყევი!

— ჯავრი ნუ გაქვს, მამი, — ამშვიდებდა ბათირბეკი.

პირველად არ მიდიოდა ბათირბეკი ამ გზით. წინათაც ბევრჯერ ასულა ჯიხვთა ხეობაში, მაგრამ იმ თეთრი ქვისათვის არსად მოუკრავს თვალი. ალბათ, საღმე მივარდნილ ადგილზეაო, ფიქ-



რობდა იგი და ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა,

— მთიელს შრომა ამშვენებს, — ბავშვობიდანვე ჩასჩინებდა მამა. — თუ ფეხის ადგმის დღიდან არ შეეჩვიე ჯაფას, ყანაში წელს ვერ გამართავ. ვისაც შრომა არ უყვარს, ის ხალხის ტვირთია, მუქთამუქამელია.

ძვალსა და რბილში გაჯდომოდა მამის ეს სიტყვები ბათირბექს და ახლამის კვალზე მიმავალს ღიმილით აგონდებოდა, უთენია რომ წამოაყენებდა მამა და ყანაში წაიყვანდა. ბათირბექს სიკვდილივით ეზარებოდა ადგომა, დიდხანს იფშენებდა თვალებს, აზმორებდა, მძინარე სახეს მამისკენ მოაბრუნებდა და უხმოდ ვეფერებოდა: კიდევ ერთ წუთს მოგხუტავ თვალს, მამიო. აუზბის შეებრალებოდა ხოლმე შვილი, საბანს წაახურავდა და მარტო გასწევდა სამუშაოთ. ახლაც ახსოვს ბათირბექს, როგორ მოიწყენდა იმ დღეს, ადგილს ვერ ჰპოვებოდა, სანამ მამა დაბრუნდებოდა. ხელცარიელი არასოდეს მოსულა აუზბი. ხან ტყის თაფლი მოჰქონდა, ხან ყოლო, ხან რა და ხან რა.

— გახსოვს, ბათირბექ, ძირის მწვერვალი? — ჰკითხა უცებ აუზბიმ, თითქოს შვილს ფიქრს მიუხვდაო.

— როგორ არ მახსოვს! — მიუგო ბათირბექმა.

ძირის მწვერვალი... დიდი ხნის წინათ მოხდა ეს ამბავი. ასევე, როგორც ახლა, მამის კვალს მიჰყვებოდა ამ აღმართზე ბათირბექი. მამინ ზაფხული იყო, მზე მადლა იდგა ცაში, ათასგვარად ბრწყინავდნენ ჰყეტელა ყვავილებით მოქარგული ფერდობები, ბზუოდნენ ფუტკარები, დაფარფატებდნენ კრელი პეპლები და ბათირბექი კისრისმტვრევით დასდევდა მათ. თავბრუდამხვევი სილამაზე მეფობდა ირგვლივ. ჰაერი ბროლივით გამჟვირვალე და წმინდა იყო. ბათირბექის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რა მადლობელი იყო მამის, რომ წამოიყვანა... აბრუშუმივით სლიკინა მდელივით წარამარა უსხლტებოდა ახალი წულები. რა სიამოვნებით გაიხ-

დიდა ფეხზე, მამის შიში რომ არ ჰქონოდა.

— აბა, ბილიკზე გამორბე! — ემხსნა აუზბი. — რომ გადაიჩნხო, უფსკრულამდე სული არ ჩაგყვება!

ბათირბექი მაშინვე გამოვიდოდა ბილიკზე, მაგრამ მამის დარიგება იმ წამსვე ავიწყდებოდა, ისევე აედევნებოდა კრელ პეპლებს და მოხდა ის, რისიც ეშინოდა აუზბის. ბათირბექმა თავი ვერ შეიკავა, ფეხი დაუცურდა და ხრამში გადაიჩნხა. როცა გამოერკვა, მამის ხელზე ესვენა.

— არაფერია, ჩემო ბიჭო, — მოფერებით ეუბნებოდა აუზბი, — შიში ნუ გაქვს, გადარჩი, უფალმა ღმერთმა დაგიფარა!

ბათირბექმა შეხედა გაფითრებულ აუზბის და მიხვდა, რომ მამა არა მარტო მას ამშვიდებდა, თავის თავსაც იმედდებდა. გაფხაპნილი, გადაღლეტილი ლოყები ეწოდა, მარჯვენა ხელს ვერ ამოძრავებდა, თავი სტკიოდა.

აუზბიმ პერანგის სახელო მოიხია, თავზე ბალახი შემოაყრა შვილს და მაგრა შეუხვია, ბალახი დაადო გადაღლეტილი ლოყებზე და დაშვეებულ მკლავზე, სახლამდე ხელში აყვანილი მიიყვანა.

რა დაევიწყებდა ბათირბექს ძირის მწვერვალს.

„ახლაც ბავშვი ვგონივარ მამას და ამიტომ მოაგონდა ეს ამბავი“, — ფიქრობდა ბათირბექი.

უცებ ორწოხებიდან თეთრი ღრუბელი გამოიზლანა. აუზბიმ შუბლი შეიკრა.

— აედრის მათეწყებელი ღრუბელია, უნდა ვიჩქაროთ! — უთხრა შვილს, თოვლში ღრმად ჩარტო ყავარჯენი, ისკუპა და გადაახტა კლდის პატარა ქიმს, რომელიც გზას უღობავდათ.

თეთრი ღრუბელი მალე გაუჩინარდა. და თითქოს მისი შენაცვლება ესწრაფებო, ახლა შავი, მძიმე და ზანტი ღრუბლები გამოძვრნენ და ერთბაშად მოფენინენ ცას.

აუზბი ჯიქურ მიიწევდა წინ. ორი საათის სიარულის შემდეგ შედგა.

— მოვედით, — უთხრა შეილს, ხელით ცხვირმონგრეულ პიტალო კლდესზე ანიშნა და სწრაფად ჩაპყვა ამომშრალი მდინარის კალაპოტს.

ბათირბეკმა იარაღი მთის ძირში მიიწყო, გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა, ჩახედა კლდეს, რომელიც მამამ უჩვენა, მაგრამ რამდენი არ უტყვირა, განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა. ქარის მობერვაზე კლდიდან რაღაც მონაცრისფერო მტერის მსგავსი ცვიოდა.

— ჩაქუჩი მოიტანე! — ასძახა აუზბიმ ბათირბეკს. ექომ მრავალხმიანად გაიმეორა მისი სიტყვები.

ბათირბეკი სწრაფად დაეშვა მდინარის კალაპოტში, აუზბი გრძელი ქვის ზოლთან იდგა, ტყაპუქის კალთით ქვას თოვლს აცლიდა.

— ხედავ იმ კლდოვან მწვერვალს! — უთხრა შეილს. — ეგ ზოდი იქიდანაა ჩამოტანილი. წვიმა რომ გარეცხავს, მაშინ უნდა ნახო, რა საოცრებაა, როგორ ბზინავს და ბრწყინავს! — მოხუცი აღტაცებით დასცქეროდა ქვას, არწივივით უვლიდა გარშემო. თოვლი რომ შემოაფერთხა, შორიახლო ჩამოვდა. — ახლა შენი რიგია, ბათირბეკ, აიღე ჩაქუჩი და კუთხეები ჩამოათალე, მერე გადავაბრუნოთ და დავაგოროთ. სოფელში ისე ჩაგორდება, გზაზე ვერაფერი შეაკავეებს.

ბათირბეკმა მთელი ძალით ჩამოკრა ჩაქუჩი ქვას, ნატეხი ძირს დაეცა. პრავალფრად ელაგდა და ბრწყინავდა ქვა.

— მართლაც საოცარი ქვა ყოფილა! — აღტაცებით წამოიძახა განცვიფრებულმა ბათირბეკმა. — რატომ აქამდე არ მითხარი ამ ქვის ამბავი, მამო!

— ასეთი ხვითო ბევრია ჩვენს მთებში, შეილო, — კმაყოფილებით უპასუხა აუზბიმ. — ამის ნიმუშები მოსკოვში გავგზავნე... — ახლა კი ვიჩქაროთ, რომ დაღამებამდე დავბრუნდეთ სოფელში.

ქვას გელა შეუტურეს, გადააბრუნეს, მერე ერთდროულად უბიძგეს და დააგორეს. გამაყრუებელი ზრიალით დაქანდა ქვა, წახვეტა, რაც წინ დაუხვდა. მიყვნიენ აუზბი და ბათირბეკი. ქარი შეუწყნარებლად სერავდა მათ გავარჯარებულ,

ოფლიან სახეს, თოვლის მსხვილი, ფაფუკი ქულები აჯდებოდათ კლდეებზე, შუბლზე და ზედვე აღნებობდათ.

დაიქანცა აუზბი, მუხლი არ ემორჩილებოდა, მაგრამ არ შედრკა, შეუბოვრად ეშვებოდა ქვევით. ძნელი იყო გაყინულ, ფრიალო ფერღობზე სვლა. ერთ ჩამოსახვევზე კინაღამ მოწყდა მიწას, მაგრამ ბათირბეკი დროზე შეეშველა. დაგორებული ქვის კვალი წარამარა ეკარგებოდათ, ექებდნენ, წელამდე ეფლობდნენ თოვლში... როცა ქვა სოფლამდე ჩამოგორდა, აუზბი დამშვიდდა, ჯირკვზე ჩამოვდა, მძიმედ სუნთქავდა, ადამიანის ფერი არ ედო.

— ფეხი ამტკიცდა, ბათირბეკ. — უთხრა შეილს.

ბათირბეკმა მამას შეხედა, თავზარი დაეცა, სწრაფად ჩაიმუხლა მის წინ, პაქიცი წააძრო. ძველი ნაიარევი გასიებოდა და გალურჯებოდა.

• •

მეორე დღით ლოგინიდან ველარ ადგა აუზბი. ნაჭრილობევი მოსვენებას არ აძლევდა. ვერაფერმა უშველა, ვერც ცხელმა აგურმა, ბათირბეკი მთელი ღამე რომ ადებდა ფეხზე, ვერც სამკურნალო ბალახებმა და მალამომ. თერთად გაათენა. განთიადისას წათელიმა ოდნავ თითქოს მაგლაჯუნა ამას უცდიდაო, მაშინვე დააწვა სულზე და ახრჩობდა. სიზმარში სატევარამოწვდილი ღაირამი უახლოვდებოდა, მოშორებით, ღობის გადაღმა გუბე იდგა და აქეზებდა. აუზბი შერიგებდას თავაზობდა, მაგრამ მიიჩნის გაგონებაც არ სურდა. აუზბის სხვა გზა აღარ ჰქონდა, მტერს მტრულად უნდა დახვედროდა, ერთი შემოკვრით გაეკრა მიწას, მერე მაჯაში სწედა, სატევარი ააძრო და გულში გაუყარა...

აუზბიმ გაიღვიძა, სული ეხუთებოდა, მაგრამ დამშვიდებულმა იმით, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო, ოდნავ გაიღვიძა. სიზმარმა შარშანდელი შემოდგომა მოაგონა: გუბეს უნდოდა კანცელარია ცეცხლისთვის მიეცა. დროზე მიუსწრეს,

შეიპყრეს, ხელები გაუკრეს და მთელ სოფელზე გაატარეს ბინძური, გაუბარსავი, ბოროტებით სახემოქცეული, თვალღმასისხლიანებული.

— დამადადე, შეეშმაკის ნასხლეტო! — ემუქრებოდა აუზბის. — კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს. არაფერს შეგარჩენ, ძმრად ამოგადენს არც იმას, რომ ცხვარი წამართვით, არც იმას, რომ მიწა ჩამომართვით, არც შვილის სისხლს. კანცელარიას იმიტომ წაუუკიდე, რომ იქ შენი ნაშიერი ზის! როგორ მინდოდა ცეცხლში ამომეწვა ის გველის წიწილი.. დღეს თქვენი დღეა, აუზბი! როგორც თქვენ ამბობთ, „ნათელი დღე“. მაგრამ მალე დაგიბნელებთ მაგ „ნათელ დღეს“! ისევ შეგადგამთ უღელს!

— მართალი ხარ, გუბე, — მიუგო მამინ აუზბიმ. — დღეს ჩვენი ნათელი დღეა და ხვალ იგი კიდევ უფრო ნათელი იქნება, შენთვის კი სამარესავით ბნელი.

აუზბი ლოგინიდან წამოდგა. ეზოდან რკინის ღრქიალი და ჩაქუჩის დარტყმის ყრუ ხმა ესმოდა. ფეხი ცხვრის ტყავით თბილად შეიხვია, ყავარჯენს დაეყრდნო და ნული ნაბიჯით გავიდა აივანზე. ბათირბეკი და მისი ამხანაგები დიდი სიფრთხილით თლიდნენ ქვას, ძეგლი თითქმის მზად იყო.

— კარგად გიმუშავენიათ, შვილებო, — მოუწონა აუზბიმ ახალგაზრდებს ნახელავი და უცებ შიშით იკითხა: — მანდ რისი ამოკვეთა გინდათ?!

- წარწერა გვინდა გავუქეთოთ.
- რა წარწერა?
- მისი სახელი და ვინ დაუდგა ძეგლი.
- ვინ დაუდგა?
- ჩვენმა სოფელმა, — მიუგო მამას ბათირბეკმა.

აუზბი წამით დაფიქრდა, მერე ახლო მივიდა ახალგაზრდებთან.

— არა, შვილებო, ეს კარგად ვერ გიფიქრიათ. რას იტყვიან ხვალ ისინი, ვინც ახლომახლო სოფლებიდან ჩამოვლენ?.. მოდიოთ. ასე დავაწეროთ: მთიელებისაგან.

— კარგი იქნება, აუზბი! — კვერა დაუკრა ყველამ.

აუზბიმ რალაც ანიშნა შვილებს. ბათირბეკმა საჭრეთელი დაადგო, მამასთან მივიდა.

— მოხვევრს რა ვუყოთ? — ჰკითხა ხმადაბლა აუზბიმ. — მინდოდა გაზაფხულზე დამეკლა, თუ ჩამოსვლას ვერ მოასწრებდა ის ნათელი კაცი, მისი სადღეგრძელო მაინც შეგვესვა... — აუზბიმ სახე მიბრუნა, თვალი შორეთს მიაკყო. — ახლა სხვა რამ უნდა ვილონოთ, შვილო, იქნებ ხვალ დავეკლო!

— არა, მამაჩემო, გაზაფხულაღდე დავიცადოთ, ისე მოვიქცეთ, როგორც ნათქვამი გვექონდა. გაზაფხულზე მისი დაბადების დღეა და ის დიდი დღე ვიზეიმოთ..

პარასკევ დილას ყინვამ კიდევ უფრო იძალა. ქარმა ნაძვრის გორები დაახვავა ირგვლივ. აედარს არაეინ აქცევდა ყურადღებას. ხალხი თანდათან მატულობდა. მოედანი აღრევე გაწმინდეს თოვლისაგან. მოასწორეს, მოასუფთავეს.

მოედნის მარჯვნივ წყარო ჩქეფდა, იქ ბათირბეკის ნაბადში გახვეული ძეგლი იდგა. ერთი შეხედვით გეგონებოდათ, დაღლილ მგზავრს შეუსვენია წყაროსთანო. კმაყოფილი იყო აუზბი. უკეთესი ადგილი არ ეგულებოდა. წყარო ზამთარში არ იყინება და ზაფხულში არ შრება. ახლომახლო სოფლებში აქედან მოიქვთ წყალი, აქ ისვენებენ დაღლილი მგზავრები..

შესტკეპროდა მოხუცი ძეგლს და ეჩვენებოდა, ეს-ესაა ნაბადი ძირს დაეარდება და მის წინ აღიმართება სანუკვარი სტუმარი, გაუწოდებს ხელს და ეტყვის:

— გამარჯობა, აუზბი! აი, ჩამოვედი თქვენთან!

როგორ ელოდა ამ დღეს აუზბი. სწამდა, სჯეროდა მის ბებერ გულს, რომ დადგებოდა ეს ბედნიერი ეამი და შეხედებოდა იმ ადამიანს, ვინც პირველი დაელაპარაკა ხალხს, როგორც სწორი სწორს. რასაკვირველია, აუზბიმ არ იცო-

და როდის მოხდებოდა შეხვედრა, მაგრამ მუდამ მზად იყო ამ ნანატრი დღისათვის. ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და ასჯერ აწონილ-დაწონილი: რანაირი სიტყვა ეთქვა ლხინში, ვინ მოეწვიათ, რა მოეტანათ სუფრაზე, რა ესვათ და ეკამათ. მოხვედრის ხომ ამ დღისთვის ასუქებდა!

ერთხელ ბათირბეკმა ასე უთხრა აუზბის:

— მამაჩემო, არ მინდა გაწყენინო, მაგრამ ხომ იცი, მწარე სინამდვილე სჯობია ტყუილ ტყუილს. ვინ არ ოცნებობს მის ნახვას! დაფიქრდი, რამდენია დედამიწაზე ისეთი ადამიანი, როგორც შენ.

— ჰო, — ამოიოხრა აუზბიმ, — მართალი ხარ, შეილო... მაგრამ არავისთვის იმდენი სიკეთე არ გაუკეთებია მას, რამდენიც ჩვენთვის, მთიელებისთვის. ნეტავ ჩამოსულიყო, დაესვენა ჩვენთან, ესუნთქა მთის ანკარა ჰაერით... თუ არ ჩამოვა, ჩვენი ადათის მიხედვით, მისი დაბადების დღეს თავის წილს გაეუგზავნით — მოხვედრის ბარკალსა და ოსურ ლულს.

არ შესრულდა აუზბის ოცნება.

შუადღისათვის მოედანზე ხალხის ტევა არ იყო. მოდიოდა და მოდიოდა ქალი და კაცი, მოჰქონდათ სამგლოვიარო აღმები, მოდიოდნენ შორეულ სოფლებიდანაც.

ბათირბეკი ძეგლთან მივიდა. ყველა მას შეჰყურებდა. ხელის ერთი დაქნევით ჩამოხსნა ნაბადი.

აღტაცებით ამოიგმინა ხალხმა.

ქვა ათასფრად ბრწყინავდა და ბზინავდა.

— ფიცსა ვდებთ შენს წინაშე! — მიმართა ბათირბეკმა ძეგლს. — ძვირფასო

ილინ, რომ მთიელები არასოდეს არ გადაეუხვევთ შენს მიერ დასჯილ-გზიდან!

ბ. ცაგარაძე

უცებ გაყინულ ჰაერში აიშართა მკვეთრი, ვაკეკუროი, ყრუანტელის მომგვრელი ნელი სიმღერა. თანდათან გაძლიერდა, ძალა შეიმატა, თითქოს მთები, ხეობები, ცა და მიწა ამღერდაო...

აუზბის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, გაშტერებული იდგა თავშიშველი, გაფითრებული მოხუცი, არასოდეს არ სმენია, რომ დასაფლავებაზე ხალხს ემღეროს. გაოგნებულმა ხელი მოჰკიდა მის გვერდით მდგარ ჰაბუქს, შემფოთებით სთხოვა, ახლავე შეეწყვიტათ სიმღერა, მაგრამ ჰაბუქმა თავი გაიქნია.

— ეს სიმღერა ლენინს უყვარდა, — მიუგო ჩურჩულით ჰაბუქმა. ეს სიმღერა მშრომელ ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისკენ მოუწოდებს.

ამ დროს აუზბის მიეახლა მოხუცი, რომელიც შორეულ სოფლიდან იყო ჩამოსული.

— მადლობელი ვარ, აუზბი! შენ ყველა ჩვენგანის წადილი შეასრულე!

აუზბიმ უცებ ვერ გაიგო, რისთვის უხდიდა მოხუცი მადლობას, და როცა მიხვდა, მიუბრუნდა სტუმრებს, მიესალმა და უთხრა:

— დაე, ეს ჩვენი უკანასკნელი ვარამი იყოს! ამიერიდან მხოლოდ კარგი და სასიხარულო ამბავი გვეთქვას ერთმანეთისთვის!

ღრუბლებიდან წუთით გამოიქყიტა მზის ცეცხლოვანმა თვალმა და მის ოქროსფერ სხივზე მრავალფერი ლოვლივით და ბრწყინვალეობით აბრწყვილდა, ათამაშდა საოცარი ქვა.

ღმუღა და კენესოდა ქარი, ხალხთან ერთად დასტიროდა დიად ადამიანს...



გაგანა გუბერნიითი

გმირი და თანამედროვეობა

თანამედროვეობის სამსახური ყოველი ეპოქის ჭეშმარიტი ლიტერატურის დამაჩასიათებელი ნიშანია. ორგანული, სისხლხორცეული კავშირი, თანამედროვე ცხოვრების, მისი მოვლენების არა მხოლოდ ასახვა, არამედ მხატვრული გააზრება და განცდა, ერთ-ერთი არსებითი, განმსაზღვრელი მხარეთაგანია მწერლობისა, ურომლისოდაც მისი არსებობა წარმოუდგენელია. ყოველი დროის დიდი ლიტერატურა ყოველთვის თავს დასტრიალებდა ეპოქის საჭირობოტო პრობლემების გადაწყვეტის საქმეს. მწერლობის მხოლოდ ის ნიმუშები ანათებენ ძვირფასი თვლებივით გარდასული ეპოქებიდან, რომლებშიც მთელი მხატვრული სიძლიერით აისახა თანამედროვეობის სული. და პირიქით, ყოველგვარი ცდა ლიტერატურის ამ ძირითადი დანიშნულების იგნორირებისა მხოლოდ მარცხით დამთავრებულა და, უკეთეს შემთხვევაში, ისტორიას მკედარ ფურცლად შემოუნახავს მომდევნო თაობებისათვის, როგორც მწარე გამოცდილების ნიმუში და ნიშანდობლივი გაკვეთილი.

რადგან ლიტერატურისათვის ადამიანია ის ფოკუსი, რომელშიც თავს იყრის და ირეკლება ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ამიტომაც, ლიტერატურის ყურადღების ცენტრში არ შეიძლება არ იდგეს თანამედროვე ადამიანი მთელი თავის განცდებით, აზრებით, გრძნობებით, მისწრაფებებით, მიზანდასახულებით, მთელი თავისი რთული და მრავალმხრივი დამოკიდებუ-

ლებით ცხოვრებასთან, გარესამყაროსთან. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს რეალისტურ ლიტერატურაში, თუმცადა მხოლოდ ამ უკანასკნელის სპეციფიკას როდი წარმოადგენს. გავიხსენოთ ქართული, და არა მარტო ქართული, საერთოდ, მსოფლიო რომანტიკული პოეზიის შედევრი, ბარათაშვილის „მერანი“. განა ამ ზღაპრულ მერანს მინდობილი მხედარი, რომელიც თავგანწირვით გაურბის შავებდით ყორანს, სტოვებს მამა-პაპათა საფლავებს, მოყვრებს, სატრფოს, ერთადერთი დაულოკებელი სურვილით—გაკაფოს მომაგლის გზა, არ არის განსახიერება იმ ეპოქის თვალახელილი ადამიანის რეალური, ჯანსაღი, კეთილშობილური მისწრაფებისა? ეს ლექსი, უდავოდ, იმ დროის ცხოვრებისეული მარწუხებისაგან თავის დაღწევის სურვილით აღგზნებული ადამიანის გულისფეთქვაა და იმ სინამდვილის უშუალო განცდის ბრწყინვალე პოეტური ხორცშესხმაა. სწორედ ამ კერძოდან მალღდება იგი ზოგადსაკაცობრიო იდეალამდე, ბრძოლისა და მოქმედების აპოლოგიაამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ დიდ რეზონანსსაც დაკარგავდა და ვერც თანამემამულეთა გულის სიმებს შეარხევდა.

რეალისტურ ლიტერატურაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ხელშესახები გახდა თანამედროვე ადამიანიც, მისი სულიერი სამყაროც და დამოკიდებულებაც ცხოვრებასთან. აქ იგი წარმოგვიდგა ჩვენ იმ სახით, როგორიც ის

რის სინამდვილეში, თავისი რეალური ჩვევებით, ხასიათით, მოქმედებით, განცდებით, ძლიერი თუ სუსტი მხარეებით.

კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო იმ საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ, რომლითაც ხასიათდებოდა გასული საუკუნე და, ამდენად, კონფლიქტში იყო მის თანამედროვე ცხოვრებასთან. ამით განისაზღვრება მისი, როგორც საერთო, ასევე კერძოდ, ხასიათებისა და გმირობის თავისებურებებიც. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, არც კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში შენელებულა ბრძოლა ადამიანის სიმშვენიერისათვის, ეს საპატიო და მარადიული მისია მხატვრული სიტყვისა განვითარების არც ამ ეტაპზე მიჩქმალულა. ამას ხაზი უნდა გაესვას, რადგან ზოგს რატომღაც უძნელდება ამ ლიტერატურის პოზიტიური მხარის დანახვა. პირიქით, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში, სინამდვილისადმი დაპირისპირების გზით, თუ ჯანსაღი ტენდენციების გამოხატვის საშუალებით, თანამედროვეთა დადებითი სახეების შექმნით, კიდევ უფრო კონკრეტულად, ხელშესახებად და ძლიერად გამოიხატა ეს მისწრაფება ადამიანის სიმშვენიერისათვის ბრძოლისა.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელშიც რეალიზმმა თავისი განვითარების ახალ, უმაღლეს ეტაპს მიაღწია, ახლებურად სვამს როგორც თანამედროვეობის, ასევე დადებითი გმირების საკითხსაც. ყველაფერი ეს შეპირობებულა იმ პირველსაწყისი მასალით, რომლითაც სინამდვილე ჰყვება ჩვენს ლიტერატურას.

თუ კრიტიკული რეალიზმის დადებითი გმირები უპირისპირდებოდნენ ოფიციალურ საზოგადოებრივ აზრს, ცხოვრების იმ მახინჯ ტენდენციებს, რომლის კულტივირებაც ასეთი დაბეჯითებით ხდებოდა და, ამდენად, თავისი მოქმედებითა და გრძნობებით ოპოზიციაში ედგნენ იმდროინდელ სინამდვილეს, საბჭოთა ლიტერატურა

თანამედროვეთა სახეებით გეტყვით მასების მალაღმეგნებულებას, მხატვრული სიტყვის დამაჯერებლობის ძლიერ ამტკიცებს იმ ცხოვრებისეულ ჯანსაღ ტენდენციებს, რომელიც საბჭოთა საზოგადოებას ახასიათებს მთლიანად.

ამდენად, საბჭოთა ლიტერატურა არა თუ არ უპირისპირდება თანამედროვე ცხოვრებას, არამედ პირიქით, მისი მგზნებარე პროპაგანდისტია. თუ ძველი ლიტერატურა თავისი იდეალით კონფლიქტში იყო საზოგადოებრივი ცხოვრების დაკანონებულ ფორმებთან, საბჭოთა ლიტერატურას ასეთი კონფლიქტის საფუძველი არ გააჩნია და არც საჭიროებს მას. ჩვენი საზოგადოებრივი და ესთეტიკური იდეალი არ არიან ურთიერთწინააღმდეგნი.

საბჭოთა ლიტერატურა მთლიანად იზიარებს, პარმონიულ ერთიანობაშია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნორმებთან და ტენდენციებთან. ამას ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რადგან ზოგს მიაჩნია, რომ პარმონულობა მომავლიდნებელია ლიტერატურისათვის, რომლის ძირითადი პათოსი ცხოვრებასთან კონფლიქტია, ან ყოველ შემთხვევაში ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინცაა. ასეთი მოსაზრებების არსენალი რევიზიონისტების ბანაკში დგას და ჩვენ არ გვმართებს მისგან დასესხება.

უკონფლიქტობის თეორიის უარყოფა, რაც უთუოდ სწორი და სამართლიანი იყო, როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხელოვნურად შეექმნათ კონფლიქტი საბჭოთა ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურამ არ უნდა აუაროს გვერდი იმ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს, რასაც ჩვენში აქვს ადგილი, პირიქით, უნდა ასახოს ისინი და ამით თავისი დადებითი როლი ითამაშოს ამ კონფლიქტების დროულად დაძლევის საქმეში.

ეს სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც ცხოვრებამ წაუყენა საბჭოთა ლიტერატურას, სულაც არ გულისხმობს იმას,



თითქოს უკონფლიქტობის თეორიის უარყოფა ნიშნავდეს იმ ერთსულოვნების დარღვევას, რომელიც საბჭოთა ლიტერატურასა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის არსებობს. ამასთანავე ის უბრალო ჰესტორიკულად არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ კონფლიქტი ყველა ერთი ხასიათის როდია. თუ ჩვენი საზოგადოების განვითარება თავისთავად გულისხმობს ახლის დაპირისპირებას ძველთან და ამ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტებს, იმასაც კარგად უნდა ვხედავდეთ, რომ ეს დაპირისპირება არასოდეს ატარებს ანტიგონისტურ ხასიათს და, ზაშასადამე, არც ლიტერატურას აქვს უფლება იგი ასეთად წარმოგვიდგინოს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების არა მარტო აღრეულ ეტაპებზე, არამედ დღესაც, როცა დაისვა საკითხი ახალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირების შესახებ, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ჩვენ უკვე აღარ გვჭონდეს საზრუნავად ადამიანის მთელი რიგი, არა მარტო უარყოფითი, არამედ უბრალოდ მახინჯი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა. ეგოიზმი, მესაკუთრული ბუნება, ზნეობრივი გაბრწილება და ბევრი სხვა წარსულისაგან „ნაანდერძევი“ თუ თანამედროვე ბურჟუაზიული სამყაროდან „კონტრაბანდით შემოპარული“ თვისება ჯერ კიდევ მეტნაკლებად დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის. რაღა თქმა უნდა, ჩვენმა ლიტერატურამ თავისი მხატვრული ზემოქმედებითი ძალით დიდი და კეთილსასურველი როლი უნდა ითამაშოს ამ „ნაძალადევი მემკვიდრეობის“ თავიდან მოცილების საქმეში, არც უნდა მოერიდოს ასეთი ხასიათების ჩვენებასა და გამოშხიურებას.

მაგრამ ძირითადი მოწოდება საბჭოთა ლიტერატურისა მაინც იმაში მდგომარეობს, რომ მთელი სისრულითა და მხატვრული სიძლიერით წარმოგვიდგინოს ჩვენი თანამედროვე კომუნისტური მშენებელი ადამიანი თავისი მდიდარი სულიერი სამყაროთი, გვიჩვენოს მისი

აზრი და მოქმედება, სწრაფვა და მიზანი, გრძნობა და განცდა. ^{მარკსიზმში} ^{განუყოფილებული} ^{დადებითი} ^{გმირები} ^{მკვეთრად} ^{გამოირჩეოდნენ} ^{სხვა} ^{პერსონაჟებისაგან,} ^{განსაკუთრებული} ^{ობის} ^{იერს} ^{ატარებდნენ} ^{და} ^{თავისი} ^{კონტრასტულობით} ^{არსებულ} ^{სინამდვილესთან} ^{ნათელს} ^{ხდიდნენ} ^{მწერლის} ^{იდეალს,} ^{მეტწილად} ^{ასეთ} ^{დაპირისპირების} ^{გზით} ^{ემსახურებოდნენ} ^{ადამიანის} ^{შეგნებისა} ^{და} ^{ზნეობრივი} ^{ზრდის} ^{საქმეს,} — საბჭოთა ლიტერატურა ამავე მიზნისათვის სულ სხვა მეთოდს იმარჯულებს. საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურმა ფორმამ, რომელშიც მშრომელ მასებს მისცა ყველა საშუალება თავისი შემოქმედებითი პოტენციის გამოსავლენად, რომელმაც შეგნებული შრომა საყოველთაო საქმედ აქცია და ადამიანთა სოციალისტური ცხოვრებისა და თანამშრომლობის პრინციპები დააყენონა, მთლიანად გარდაქმნა ადამიანი, ხოლო ყოველივე ამან თავის მხრივ განაპირობა თანამედროვე ლიტერატურის გმირის სიახლე და თავისებურება.

იმ დროს, როცა სოციალისტური შეგნებისა და ზნის ადამიანები მწერლის იდეალში კი არ არსებობენ მხოლოდ, ან ერთეულებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელ მასას, ხალხს შეადგენენ, ადამიანის სიმშვენიერისათვის ბრძოლა უკვე მეტწილად დადებითი გმირის, მასების ფსიქოლოგიის გამოშხატველი გმირის საშუალებით ხდება, განსხვავებით კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურისაგან.

სწორედ ასეთი თანამედროვეთა მხატვრული სახეების შექმნა არის დღეს საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი მოწოდება, რომლებშიც განსახიერებელი იქნება საბჭოთა ხალხის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც შესაფერი მხატვრული სიძლიერით გადაგვიხსნიან საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროსა და სილაშავეს.

ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საბჭოთა ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქცია ჩვე-

ნი საზოგადოების მხოლოდ იმ უმცირესობაზე ვრცელდება, რომელთა აზრი, მოქმედება ან ფსიქოლოგია ჯერ კიდევ დალდასმულია წარსულის გადმონაშთებით, რომლებიც ჯერ არ ამალღებულან საერთო-სახალხო შეგნებისა და მორალის დონემდე.

ჯერ ერთი, თვით სოციალისტური შეგნების მატარებელი ადამიანები როდი არიან ერთნაირი მოდელით შექმნილი მანკეების მსგავსნი, რომელთა განსხვავება ან ცხოვრებაში ან ლიტერატურაში მწელი იყოს. ამ საერთო ფარგლებშიც ადამიანების ცხოვრება უამრავ თავისებურებებსა და გრადაციებს გვაძლევს, რომლებიც იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მათ სოციალისტური საზოგადოება სხვადასხვა პირობებს უჭმნის, არამედ იმით, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრება განუმეორებელ სახეს იღებს, რაც დამოკიდებულია თვით კონკრეტული ადამიანის აქტივობის, ენერჯის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის, ხასიათის და ბევრის სხვა მხარის თავისებურებაზე, აგრეთვე იმ უამრავ შემთხვევითობებზეც კი, რომელთა გარეშე არ შეიძლება წარმართოს ადამიანის ცხოვრება, ხასიათისა და ნებისყოფის სისუსტე, ინერტულობა, უინიციატივობა, „ბედისადმი“ მორჩილების გრძნობა, კიდევ უფრო მეტიც, თვით ისეთი გრძნობების ერთგვარი გარეგნულად კი, როგორცაა შური, ეგოიზმი, კარიერისმი და სხვ., შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში გამოამყლავნოს საერთოდ სოციალისტური შეგნებისა და ფსიქოლოგიის ადამიანმაც. ასე რომ, საბჭოთა ლიტერატურის დადებითი მაგალითის ძალა არ არის მიმართული საზოგადოების ერთი ჩამორჩენილი ნაწილის მიმართ, იგი მთლიანად ხალხის ერთ-ერთი მარჯვანისებელი და აღმზრდელი საშუალებაა.

იქმნება და ყალიბდება კომუნისტური შეგნების მქონე ადამიანი. კომუნისტური ხასიათის და ჩვევების მთელი რიგი მხარეები უკვე შედგენილია ჩვენი დღევანდელი ცალკეული მოწინავე ადამი-

ანების მოქმედებაში და ქცევაში. საბჭოთა ლიტერატურამ პირველმა უნდა შენიშნოს ეს დიდი სიასლე ჩვენი ცხოვრებისა, დაინახოს ახალი კომუნისტური ხასიათის ადამიანის ფორმირების პროცესი, და ასახოს ყველაფერი ეს შესაფერი მხატვრული სიძლიერითა და დამაჯერებლობით. საბჭოთა ლიტერატურის ამ პოზიციებიდან გამომდინარეობს ლიტერატურული კრიტიკის ამოცანები, ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას იგი იმ კრიტერიუმს მისდევს, თუ რამდენად სწორედ და სრულად არის გახსნილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცხოვრების ძირითადი ტენდენცია, რამდენად დამაჯერებლადაა გადმოცემული თანამედროვე ცხოვრების სურათები, რამდენად ღრმადაა გახსნილი ჩვენი თანამედროვის, საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო.

ლიტერატურული გმირისა და თანამედროვეობის პრობლემა, გარდა იმისა, ან უფრო სწორად იმიტომ, რომ საბჭოთა ლიტერატურის და სალიტერატურო კრიტიკის ცენტრალური პრობლემაა, თავისთავად მრავალ საკითხს აღძრავს ჩვენს წინაშე. ამ პრობლემასთან, როგორც ამოსავალ საფუძველთან, როგორც მის აღფასა და ომეგასთან, დაკავშირებულია ყველა სხვა საკითხი მხატვრული შემოქმედებისა, იქნება ეს მსოფლმხედველობრივი, შინაარსობრივი, თუ მხატვრული ფორმის, სტილისა და გამომსახველობითი მეთოდებისა და ხერხების საკითხები. ჩვენს სტატიას ასეთი ფართო მიზანი და ამ პრობლემის ყველა თუნდაც ძირითადი საკითხის ანალიზის პრეტენზია არა აქვს. აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ ძირითად საკითხზე, ესაა საბჭოთა ლიტერატურის თანამედროვე ანუ, როგორც მას უწოდებენ, დადებითი გმირის საკითხი და მისი ინტერპრეტაცია დღევანდელ ეტაპზე.

თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ლიტერატურის გმირი, ამის შესახებ კამათი ამ ლიტერატურის არსებობის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო და დღემდე

გრძელდება. დადებითი გმირის პრობლემა საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკის მთავარი ყურადღების საგანი იყო მოყოლებული ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან, როცა ლიტერატურისაგან მოითხოვდნენ „ცოცხალი ადამიანის“ ჩვენებას, და დღესაც იგი აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგნად რჩება. ამაში გასაკვირი არაფერია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახის შექმნა, დადებითი გმირის ჩვენება საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა. არამედ იმიტომაც, რომ ამ ხნის მანძილზე იცვლებოდა და ვითარდებოდა ცხოვრება, მასთან ერთად ადამიანიც და ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ამ პრობლემას ახალი ინტერპრეტაცია ეძლეოდა.

უბრალოდ რომ გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ეს ძირითადი ეტაპები, მისი ადამიანები და ამ უკანასკნელთა მხატვრული სახეები, თვალნათლივი გახდება სხვაობა მათ შორის. ა. ფადეევის „განადგურების“ გმირები ლევისონის მეთაურობით, ან ფურმანოვის ჩაპაევი და მისი თანამებრძოლები, რომლებიც სამოქალაქო ომის გმირების ფსიქოლოგიას გვიხსნიან, მ. შოლოხოვისა და კ. ლორთქიფანიძის გმირები დავიდოვი და ტარასი ხაზარაძე თუ მიოდანიკოვი და მარგველაძე, რომლებიც კოლექტივიზაციის ეპოქის ადამიანებს გვისახიერებენ, თ. გლადკოვის „ცემენტის“ გმირების გლეზ და დაშა ჩუმალოვები თუ პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულების“ გმირი გიორგი გვიგური, რომლებიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიის მშენებელთა ხასიათს გვაცნობენ, ან სამამულო ომის თემაზე დაწერილი რომანების გმირების მთელი გალერეა, ომის შემდგომი პერიოდის ლიტერატურის გმირები, ყველა ისინი ენათესავებიან ერთმანეთს თავისი უსაზღვრო ერთგულებითა და თავგანწირვით სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ ამასთანავე ერთად მკვეთრად განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისაგან, რადგან სხვადასხვა

ისტორიულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მათი შეგნება, ხასიათის განსაზღვრება არ შეიძლება უკანასკნელთა გვარი.

თუ ოცდაათიანი წლების ლიტერატურის წინაშე მთელი სიმწვავეით იდგა ამოცანა, აესახა ადამიანთა იმ ახალი ურთიერთობის ფორმები, რომლებიც სოფლად კოლექტივიზაციას მოჰქონდა თან და, ამასთანავე ერთად ეჩვენებინა, როგორ იწრთობოდნენ ახალი ტიპის, დავიდოვისა და ხაზარაძის ტიპის ადამიანები კლასობრივი მტრის უკანასკნელ გააფთრებულ შემოტევასთან ბრძოლაში, ან კიდევ მხატვრულად განესახიერებინა გლეხკაცში საუკუნეებით გამჯდარი კერძომესაკუთრული ბუნების თანდათანობითი შეცვლა ახალი კოლექტივიზმის ფსიქოლოგიით, რაც ბევრისათვის მეტად მტკივნეული პროცესი იყო (ამაში ჩვენ დამაჯერებლად გვარწმუნებდნენ მიოდანიკოვის, მარგველაძის თუ სხვა მხატვრული სახეები), და, ბოლოს, ეჩვენებინა ახალი, კოლექტიური ცხოვრების მთელი სიდიადე და ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც არა მარტო ამოქმედა მეჭვი ვაშაკიძის ტიპის ადამიანები, არამედ ცუდლუტი გვადის მორჯულებაცა და გარდაქმნაც კი შესძლო. — სამამულო ომმა და ომის შემდგომმა ეპოქამ სულ სხვა ამოცანები დაუსახეს ლიტერატურას. აქ უკვე აღარ შეიძლებოდა მოგვეთხოვა ლიტერატურისათვის ასეთი ხასიათებისა და გმირების ჩვენება, რადგან ისინი გარკვეული ეპოქის შვილები იყვნენ, ხოლო ორმოციანმა და ორმოცდაათიანმა წლებმა საბჭოთა ადამიანის ახალი ტიპი შექმნეს, განსხვავებული ფსიქოლოგიითა და მიზანსწრაფვით, ახალი ცხოვრებითა და მოქმედებით.

თუკი საკითხის ახლო ისტორიას გადავხედავთ, ენახავთ, რომ პიროვნების კულტის დანერგვის პერიოდში მართლაც მომძლავრდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ცხოვრებისეული მოვლენები მეტისმეტად შეფერადებულად იყო დახატული. ასეთი ნა-

წარმოებების გმირები ხშირად უფრო იეტორების წინასწარ აკვიტებულ სქემებს წარმოადგენდნენ. მათთვის არავითარი სიძნელე არ არსებობდა ერთი ხელის დაკვრით აკეთებდნენ ყველაფერს, ამასთანავე, ყოველი მათი სიტყვა, შოქმედება, ექსტიცი კი ოდნეადაც არ არღვევდა ეთიკის ნორმებს. ასეთ გმირებს იდეალური გმირები ეწოდებოდათ და მათ თავიანთი მაგალითის ძალით უნდა აღზარდათ სხვები. ასეთი ნაწარმოებები და მათი გმირები, რასაკვირველია, ღრმა გავლენას ვერ მოახდენდნენ ზეთხველზე, რადგან მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება ყველაზე ნაკლებ იტანს სიყალბეს. საკმარისია მკითხველმა ეპიკი შეიტანოს თუნდაც დეტალის სიყალბეში და ამდენად მწერლის გულწრფელობაში, რომ იგი გაცივდება ნაწარმოებში მიმართ.

მაღე პიროვნების კულტმაც და მისმა შედეგებმაც სწორი შეფასება ჰპოვეს პარტიისა და ხალხის მიერ. კრიტიკის ამ ტალღას ვერც ის ლიტერატურული ტენდენცია გადაურჩა, რომელიც ცხოვრების რეალური მოვლენების ღრმა ასახვის ნაცვლად სინამდვილის ზერელე და შეფერადებულ ჩვენებას ირჩევდა. ასეთი გამწვავებული პერიოდი დაემთხვა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისათვის მზადებას და წინასაყრილობა დისკუსიაში მკვეთრად იჩინა თავი ამ დაპირისპირებაში. ამ დისკუსიის დროს მოკამათენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ინერციით მისდევდნენ საბჭოთა ლიტერატურაში ყალბი პათეტიკურობის ტენდენციას და ლიტერატურისაგან მოითხოვდნენ იდეალური გმირების შექმნას. მათ არსებითად დისკუსია საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის შესახებ დაჰყავდათ იდეალური გმირის სახის შექმნის აუცილებლობაზე.

მოკამათეთა მეორე ჯგუფმა წამოაყენა სულ სხვა პოლუსის გმირი. ესენი მოითხოვდნენ, რომ მხატვრული ნაწარმოებების გმირები უსათუოდ ყოფილიყვნენ რაიმე ნაკლოვანებით ნაჩვენები, რადგან, მათი აზრით, არ არსებობს

უნაკლო ადამიანი და მისი მხატვრული სახეც წინააღმდეგობრივი უნდა იყოს.

ეს დისკუსია არ შეიფერებოდა მხატვრული ყოფილიყო, რადგან ბევრი მისი მონაწილე, ივიწყებდა ლიტერატურის სპეციფიკას და ერთი რომელიმე გარკვეული სქემის დაკანონებას მოითხოვდა. ლიტერატურა კი ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მზა სქემებსა და დოზირებულ რეცეპტებს. განა შეიძლება დადგენა ერთი გარკვეული კანონისა, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა ლიტერატურული გმირები? მაშინ ხომ რაღაც უხეირო სტანდარტს მივიღებთ. აღნიშნული დისკუსიის მონაწილენი ხშირად ანგარიშს არ უწყევდნენ იმ გარემოებას, რომ თვითონ ლიტერატურის განვითარებამ უკვე უარყო იმათი სქემები.

ძნელად თუ მოიძებნება საბჭოთა ლიტერატურაში ისეთი მხატვრული სიძლიერისა და უდიდესი ზემოქმედებითი ძალის მქონე გმირი, როგორიც დავიდოვია შოლოხოვის „გატეხილი ყამირიდან“. ეს საოცრად ადამიანური, ურყევი ნებისყოფისა და ჩვილი გულის ბოლშევიკი, დაუნდობელი მტრის მიმართ და უკიდურესად გულთბილი მშრომელების, თანასოფლელების მიმართ, განსახიერებაა საბჭოთა ადამიანის, მასების ორგანიზატორის საუკეთესო თვისებებისა და ხასიათისა. დავიდოვი მარტო ლიტერატურული კრიტიკის მიერ კი არა, არამედ ხალხის მიერ იქნა აღიარებული ისეთ გმირად, რომელიც ბადებს სურვილს წაბაძო მას, იცხოვრო ისე გამიზნულად, როგორც ის ცხოვრობდა, იყო ისეთივე შეუღრკეელი, როგორიც ის იყო, ისე ძლიერად და მთელის გულით გიყვარდეს ხალხი, როგორც მას უყვარდა. მაგრამ შემოქმედებული სქემის მიხედვით იგი ვერ მოხვდებოდა ძლიერი გმირების კატეგორიაში, მას, სხვა შეცდომებს რომ თავი დაგანებოთ, მარტო ლუშკა ნაგულნოვასადმი დამოკიდებულება დალუპავდა.

ან გავიხსენოთ ტარასი ხაზარაძე კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარიდან“. ამ გმირის მიმართ, რომე-

ლიც ერთ-ერთი ძლიერი და დასამახსოვრებელი სახეა კომუნისტისა ქართულ პროზაში, რამდენჯერ გავვიგონია საყვედური იმ „საბედისწერო“ შეცდომის გამო, რომელიც მან სოფელელთა კრების მოწვევის საკითხში დაუშვა. თითქოს შეუთავსებელი იყოს კომუნისტის სახესთან რაიმე კერძო შეცდომის დაშვება. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, რომლებიც იოლად დაგვარწმუნებენ იმაში, თუ როგორ სცდებოდნენ დისკუსიის ის მონაწილენი, რომლებიც უნაკლო და უშეცდომო გმირების სახეებს მოითხოვდნენ საბჭოთა ლიტერატურისაგან და იმას კი აღარ ეკვირდებოდნენ, თუ რამდენად ძლიერად, სრულად, დამაჯერებლად გვიხსნის ესა თუ ის გმირი საბჭოთა ადამიანის თვისებებს მოუხედავად იმისა უშვებს ის შეცდომებს თუ არა. იმ დროს, როცა დავიდოვსა და ზაზარაძეს, გმირებს, რომლებიც შეიყვარა ზალხმა და რომლებიც ცოცხლობენ ჩვენს ზეხსიერებაში, გაუჭირდებოდათ ამ შეზღუდული და არასწორი თვალსაზრისით ძლიერი გმირების რიგებში მოხვედრა. იმავე სქემით ასეთად უნდა მიგვეჩინა ფუნდაც ტარიელ ბარველაძე ან რუსუდან ლომიძე ს. თავაძის და თ. დონიაშვილის რომანებიდან, რომლებიც დღეს ბევრს შეიძლება სულაც აღარ ახსოვდეს, და ასე უნდა მოვქცეულიყავით მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ცხოვრებასა და მოქმედებაში ვერ ვიპოვით შეცდომას. ეს სქემა იმას კი აღარ დაგიდევთ, თუ რამდენად მართლად არის წარმოსახული ამ გმირებში რეალური ადამიანების ცხოვრება.

საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკა არც დისკუსიის მეორე ჯგუფის სასარგებლოდ ლაბარაკობს, რადგან არც ის მოთხოვნაა გამართლებული, რომელიც გმირის წინააღმდეგობრობაში ჩვენებას ვულისხმობს, ან უკიდურეს შემთხვევაში მისთვის რაიმე ნაკლოვანი მხარის მიკერებას მაინც. ქართულ პროზაში ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“ სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს

მხარის ერთ-ერთ საუკეთესოდ რჩენს დღემდე, ბათუ ქარღუა კი ქართულ საბჭოთა პროზის მაღალმატარებელი და დებითი გმირების ვალერეას მიეკუთვნება. ბათუს მხატვრული დამაჯერებლობა, ეფიქრობთ, ოდნავადაც არ კლებულობს იმის გამო, რომ იგი არ აკმაყოფილებს ამ მეორე სქემის მოთხოვნილებას — გმირს აუცილებლად მოეძებნოს „მისი გაცოცხლების მიზნით“ რაიმე ნაკლოვანი მხარე. ბათუ ქარღუა, ეს გამოცდილი მეჯოგე, ქართული სოფლის გულმართალი შვილი, გვიბილავს თავისი კეთილშობილური ბუნებით, მამულში შვილობის ღრმა შეგნებით, თავისი მარტივი, თუმცა შრომითი გმირობით სავსე ცხოვრებით. იგი ყოველგვარი მაღალფარდოვანი ფრაზეზისა და ტირადების გარეშე სწირავს თავს სამამულო ომში. ისევე უბრალოდ და გმირულად, როგორი უბრალო და გმირულიც იყო მთელი მისი ცხოვრება. ჩვენ ღრმად გვაღელვებს, მაგრამ ოდნავადაც არ გვაკვირვებს ბათუს თავგანწირვა, რადგან ეს გმირის ხასიათიდან გამომდინარეობს, რომელიც ასე დამაჯერებლად გადაგვიხსნა მწერალმა.

ზემოთ მოხსენებულ „ხინჯიანი გმირის“ სქემაში არც დემნა შენგელიას რომანის „წითელი ყაყაჩოს“ გმირები თავსდებიან, რომანისა, რომელიც ასევე ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ ლიტერატურაში ომის თემაზე. დემნა შენგელიას ამ ლირიზმით გამთზარ პროზაულ ნაწარმოებში, ჩვენ ვხედავთ დიდ მხატვრული სიმართლის მატარებელ სახეებს, რომლებშიც გახსნილია საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი ხასიათი. მათი უდიდესი ჰუმანიზმი. მოთხოვნილების თუნდაც იმ ნაწილში, რომელშიც ჰოსპიტალის ცხოვრებაა აღწერილი. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გავხიზნოთ საბჭოთა ადამიანების ისეთ ტიპურ სახეებს, როგორებიცაა სავგანოვი, დობროხოტოვი, მაშენკა და სხვები, მათ შორის თავისი კოლორიტულობით, ცოცხალი შტრიხებით გამოირჩევა ასტამურ მატახერიას სახე.

ასტამურ ზატახერია ყურადღებას იქცევს თავისი გულუბრყვილობით, გრძობათა სიწმინდით, მოყვარისადმი საოცრად თბილი და ნაზი სიყვარულით, ხოლო მტრისადმი ვაჟაკური სიძულვილით. და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის „გაცოცხლებული“ ხასიათის რაიმე ნაკლოვანებით, იგი ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი მხატვრული სახეა თანამედროვე საბჭოთა ადამიანისა. მისი დამაჯერებლობის ძალა მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გვიხსნის საბჭოთა ადამიანების ხასიათს, გრძობებს, განწყობას, მათ დამოკიდებულებას სამამულო ომისადმი და არა იმაში, რომ იგი ხასიათის ერთი რომელიმე მხარით მაინც არის სუსტი.

რომ უფრო თვალსაჩინო იყოს იმ მოსაზრების მცდარი ხასიათი, რომელიც ლიტერატურული გმირის რაიმე ნაკლით „გაცოცხლებას“ მოითხოვდა, აქვე გვინდა დავუპირისპიროთ ამ პოზიციიდან დაწერილი ერთ-ერთი რომანი და მისი გმირი ლეო ქიაჩელისა და დემნა შენგელაის რომანებსა და გმირებს. ესაა აკაკი ბელიაშვილის „უღელტეხილი“.

აკაკი ბელიაშვილი ქართული საბჭოთა პრეტორის ოსტატია, რომლის არა მარტო ისტორიული რომანები, არამედ თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიც ამჟღავნებენ მწერლის უნარს ჩასწვდეს მოვლენების არსს, წარმოგვიხსნოს ტიპური სახეები, ააღელვოს და გაიტაცოს მკითხველი. მკითხველის მეხსიერებაში ცოცხლად აღიბეჭდა აკაკი ბელიაშვილის თუნდაც უკანასკნელი წლების მოთხრობები ახალგაზრდობის თემაზე, სადაც მხატვრული აქცენტი დასმული ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების პრობლემა, რომელიც არა მარტო დიდი მნიშვნელობის მქონეა, არამედ ამასთანავე რთულიცაა. მაგრამ ყველაფერი ეს როდი გამოირჩეხავს იმის შესაძლებლობას, რომ მწერალმა რაიმე შეცდომა დაუშვას. ჩვენის აზრით, აკაკი ბელიაშვილმა ასეთი შეცდომა დაუშვა თავის რომანში „უღელტეხილი“, ხოლო ამ შეცდომის მიზეზი

სწორედ ის პოზიცია გახდა, რომელიც მან დაიკავა მწერლების მცირეკატეგორიის წინაპრობის მდებარეობის დისკუსიაში.

ამ დისკუსიაში აკაკი ბელიაშვილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო. იგი აღძრულ საკითხს, საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის პრობლემას, გამოეხმაურა სტატიით, სადაც მხარი დაუჭირა მოკამათეთა იმ ჯგუფს, რომელიც უსიცოცხლო იდეალური სახეების წინააღმდეგ ბრძოლაში ფაქტიურად უარყოფითად ეკიდებოდა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის ძლიერი, დიდბუნებოვანი ხასიათის მატარებელ გმირებს და აუცილებელ პირობად სახავდა გმირის წინააღმდეგობით აღბეჭდილი ხასიათის ჩვენებას, ან, ყოველ შემთხვევაში, მისთვის რაიმე ნაკლოვანი და ხასიათის სუსტი მხარის მიყვრებას. მწერლის ამ სტატიას მოჰყვა მისივე რომანი „უღელტეხილი“, სადაც ბელიაშვილი უკვე მხატვრულ ნაწარმოებში ანსახიერებდა თავის ლიტერატურულ და თეორიულ პოზიციას.

პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რომან „უღელტეხილი“ ძალზე ნაკლებად ვხვდებით დადებითი გმირის სახეებს. ამ ნაწარმოებში, რომელიც სამამულო ომის ეპოქას ეძღვნება, როდესაც მთელი სილიადით გამოძღვინდა ადამიანის მტკიცე და ურყევი ნებისყოფა, მისი პატრიოტული გრძობის მთელი სიღამაზე და სილიადე, მწერალი ერთნაირი დაინტერესებით ასახავს ცხოვრების ნაძირალებსაც, ქურდებს, დეზერტირებს, ამორალურ ადამიანებს და გამარჯვების გამოსაქედად დარაზმულ ადამიანებსაც. შეიძლება ვინმე შემოგვეკამათოს, ასეთი ნაძირალებიც ხომ მართლა იყვნენ ცხოვრებაში და მწერალს ჰქონდა უფლება მათი მხატვრული სახეები მოეცია. მართალია, მაგრამ არა ასეთ ნაწარმოებში, რომელიც უღელტეხილის ეპოპეის გახსნას უნდა ემსახურებოდეს, როგორც ამაზე მისი სათაური მიუთითებს, ამასთანავე შესაძინე უნდა იყოს ის ძირითადი ცხოვრებისეული ტენდენცია.



რომელიც ომით იყო შეპირობებული და საქმე ისე არ უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ველარ გავარჩიოთ ომის მთავარი დამსახურება რა იყო — ის, რომ მან საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სიძლიერე და მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი გვიჩვენა მთელი სიცხადითა და სიძლიერით, თუ რომ მან თვალნათლივი ვახადა ნაძირალების არსებობა ჩვენს საზოგადოებაში და მათ აღვირახსნილი ცხოვრების საშუალება მისცა. ასეთი გადაჭარბებული ყურადღება მწერლისა ცხოვრების მახინჯი მხარეებისადმი, ნაძირალებისა, მეშჩანებისა და ქურდბაცაცებისადმი, ცხოვრების მიერ კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ მწერლის წინასწარ განწყობილი გულცივობით დადებითი გმირისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არა იმდენად საერთოდ რომანის სიუჟეტური განვითარება და მის მოქმედებაში ჩაბმული გმირების ხასიათი გვინტერესებს, რამდენადაც ის პოზიცია, რომლითაც მიუღმა მწერალი თანამედროვე ადამიანის სახის შექმნას, იმ ეპოქის დადებითი გმირის პრობლემის გადაწყვეტას.

მწერლის პოზიცია ნათლად ჩანს უშუალოდ დადებითი გმირის განსახიერებაშიც. რომანის ცენტრალური გმირია დავით ბექაია, რომელმაც უბრალოდ კი არ უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანის მთელი სიძლიერე, არამედ იგი კიდევ უნდა დაუბრისპირდეს რომანში მომქმედ უარყოფითი გმირების მთელ ჯგუფს. თუ მწერალს მოჭარბებული აქვს მამხილებელი პათოსი უარყოფითი გმირების ხატვის დროს, სამაგიეროდ აშკარად იგრძნობა, რომ მას ეშინია იმ ჯანსაღი, დამამკვიდრებელი პათოსისა, რომლითაც მას უნდა გაეხსნა თავისი დადებითი გმირის ხასიათი. იგი განზრახვით ცდილობს იყოს გულგრილი თავისი დადებითი გმირისადმი. ამის განცხადების უფლებას გვაძლევს ბელიაშვილის მთელი შემოქმედება. რადგან მწერალი თავის სხვა ნაწარმოებებში, დაწერილი არიან ისინი „უღელტეხილამდე“ — თუ მის შერე, ასეთ განწყობილებას აღარ

ამქდაგნებს თანამედროვე სახეებისადმი, რაც კიდევ უფრო გვიტყვივნებს მწერლის რწმენას, რომ ხელოვნურმა გულგრილობისა და გმირის გაუბრალოების ეს პოზიცია მწერლისათვის ორგანული არ არის.

დავით ბექაიას ხასიათისა და შეგნების ძლიერი მხარეების თავშეკავებულ ჩვენებასთან ერთად, რაც გამოიხატება მის მალალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობის გრძნობაში, სამშობლოსადმი თავგანწირვაში, სიმამაცესა და გულადობაში, მწერალი თავის გმირს მიაწერს აშკარა უარყოფით მხარეებსაც. იგი მას გვიხატავს ერთგვარ გულცივ ადამიანად, განსაკუთრებით რომანის პირველ ნაწილში, სადაც მეშახტეთა ცხოვრებაა ნაჩვენები, მწერალს თითქოს ეშინიან მისი გმირი რაიმეთი არ გამოირჩეს სხვებში და არ მიიქციოს ჩვენი ყურადღება, თითქოს ეს გაანელებდეს მისდამი მკითხველის ინტერესს.

კიდევ უფრო თვალნათლივ შედგინდება ბექაიას ხასიათის უარყოფითი მხარე ნადიასთან ურთიერთობაში. იგი შინაგანად არ იზიარებს ნადიას წრფელ, სპეტაკ სიყვარულს. ეს კიდევ არაფერი, რადგან შეიძლება არ შეგიყვარდეს თუნდაც კეთილშობილი ადამიანი, ეს გრძნობის ამბავია, მით უმეტეს ისეთი დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ, რომელიც ბექაიამ გამოსცადა. მაგრამ, როდესაც დავითი თვალთმაქცობს ნადიას წინაშე, მის ამ საქციელს კი აღარ მოეძებნება გამართლება და ეს მართლაც ანელებს მკითხველის სიმპათიასა და ინტერესს გმირისადმი.

აქ არ შეიძლება არ გავახსენდეს ასტამურ მატახერიას ვაეკაცური, ჩუმი და გამოუთქმელი, ღრმად ადამიანური გრძნობა მაშენკასადმი. რაც კიდევ უფრო ფართოდ გვიშლის გმირის სულიერ სიღამაზეს. თავისი ამ გრძნობის გამო ასტამურ მატახერია კიდევ უფრო გვიხიბლავს ჩვენ, იმ დროს, როდესაც დავით ბექაია ერთგვარად გვადიზიანებს კიდევ, არა მარტო თავისი გულგრილობით, გულცივობით, არამედ თვალთმაქ-

ცობითა და ირონიულობით. ბეკიას ხასიათის ეს მხარე ერთგვარი ხელოვნურობის იერს ატარებს და თუ ჩვენ ამასთანავე მწერლის პოზიციასაც გავიხსენებთ წინასაყრილობო დის „უსიაში“ აშკარა ვახდებთ, რომ ეს გმირი მწერლის წინასწარმემუშავებული სქემის მიხედვით არის დახატული და არა ცხოვრების უშუალო კარნახით.

ასტამურ მატახერია, რომელიც არ ემორჩილება ამ სქემას, არ ამქლავნებს რაიმე უარყოფით თვისებას ან მხარეს, სპეტაკი და სუფთა თავისი შეგნებითაც და გრძნობითაც, უფრო ცოცხალი და დამაჯერებელი სახეა, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ უფრო საინტერესო და სრულყოფილიცაა ამავე დროს მხატვრულად რადგან მისი ხასიათი ცხოვრებისეული სიმართლითაა სავსე, ვიდრე დავით ბეკია, რომელიც მიუხედავად მწერლის მიერ მიღებული ზომებისა, მაინც ვერ „გაცოცხლდა“ და ვერ დაფარა თავისი წარმოშობის ხელოვნური პირობები.

ჩვენ, მართალია, ამ სამი რომანიდან („მთის კაცი“, „წითელი ყაყაჩო“ და „უღელტეხილი“) ერთგვარად უბრატესობა მივიანიკეთ პირველ ორს, რომლებშიც საბჭოთა ადამიანის სახე მხოლოდ მისი კეთილშობილური ხასიათისა და მაღალი შეგნების კუთხიდანაა დანახული და გახსნილი, სადაც ძირითად ამოცანას ჩვენი თანამედროვის სულიერი სილამაზისა და სისპეტაკის ჩვენება წარმოადგენს, რომლის გმირები მთელი თავიანთი მოქმედებით, გრძნობათა ყოველი გამოვლინებით, აზრებით, მისწრაფებებით, თავიანთი ცხოვრების ყოფითი დეტალებითაც კი მკითხველის მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებენ, რომლებშიც ჩვენი ცხოვრება მისი ძირითადი და ჯანსაღი ტენდენციითაა წარმოდგენილი მხოლოდ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ პრინციპულად ვიყოთ წინააღმდეგნი თანამედროვეთა ისეთი სახეების შექმნისა, იმ დადებითი გმირებისა, რომლებიც არა მარტო ცალკეული ნაკლოვანი თუ სუს-

ტი მხარეების მატარებელი იქნებიან, არამედ თუნდაც დიდსულოვანი კრიტიკის გზით მონახავენ მსოფლიო კვანძს ცხოვრებაში.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენი განვითარების დღევანდელ ეტაპზეც ადამიანები ზოგ შემთხვევაში არ არიან თავისუფალი შინაგანი ბრძოლისა და ხასიათის წინააღმდეგობრიობისაგან, და ლიტერატურასაც ამით არა მარტო უფლება ეძლევა, არამედ ვეალება კიდევ ჩვენი თანამედროვეების ამ კუთხიდანაც ჩვენება. მაგრამ იმისათვის, რომ მკითხველზე ქეშმარიტი იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედება იქონიოს, ყველაფერი ეს უნდა იყოს დიდი ცხოვრებისეული სიმართლით აღბეჭდილი და არა გმირის „გაცოცხლების“ ხელოვნური ნიშნებით დაღდასმული.

ამ თვალსაზრისით ქართულ პროზაში საკმაოდ საინტერესო მოვლენაა თინა დონეაშვილის რომანი „ალაზანზე“. რომანში მთელი გულწრფელობითა და პირდაპირობითაა ნაჩვენები არა უბრალოდ ნაკლოვანი თუ ჩრდილოვანი, არამედ მტკივნეული მხარეები ჩვენი ცხოვრების იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი, რომელსაც იგი ეხება. მაგრამ მწერალი ამ რთული და მძიმე მოვლენების გახსნის დროს არ კარგავს ცხოვრების ფართო პორიზონტს, კი არ ეშვება ამ მოვლენებამდე ან ექცევა მათი ზეგავლენის ქვეშ, არამედ მას ჩვენი ცხოვრების დიდი სიმაღლიდან დასცქერის და ამიტომაც არ მახინჯდება რომანში ისტორიული სიმართლე.

თ. დონეაშვილი არ ერიდება მთელი იმ მახინჯი ტენდენციის მხატვრულ მხილებას, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს ცხოვრებაში ომისშემდგომ წლებში და რომლის გამომწვევი მიზეზები ახლა უკვე ყველასათვის ცხადი გახდა. მწერალი ახერხებს გვიჩვენოს, თუ ამ ტენდენციამ რა გავლენა იქონია ადამიანებზე, რა დიდი დაანია მათ ცხოვრებას, რა დიდი სულიერი ტკივილები მიაყენა მათ. როგორ შეიწირა კიდევ მსხვერპლად ზოგი ბუნებით პატიოსანი ადამიანი. მაგ-



რამ, რაც მთავარია, მწერალმა ისიც კარგად დაინახა და ჩვენც დაგვანახვა, თუ რა რიგ ეწინააღმდეგებოდა ეს ტენდენცია ჩვენი საზოგადოების ცხოვრების არსს, მისი განვითარების ძირითად გეზს.

ბევრი საინტერესო მხატვრული სახე შექმნა მწერალმა ამ რომანში. გედეონ ვარამაძე, ერთერთი ცენტრალური გმირი ნაწარმოებისა, თავისი ცხოვრების ტრაგიზმით იმის განსახიერებაა, თუ როგორ გადაგვარდება ბუნებით პატიოსანი ადამიანიც კი, როდესაც იგი დაკარგავს ცხოვრების ჯანსაღი ტენდენციის დანახვისა თუ შეგრძნების უნარს და თავისი მოქმედებითა და ინტერესებით დაუპირისპირდება ხალხს. თუ გედეონ ვარამაძე, როგორც ამაში მისი ცხოვრების ისტორია, ხასიათი, ადამიანური ბუნება გვარწმუნებს, მსხვერპლია ამ მაჩინჯი ტენდენციისა, ფერაძეები და დემურიშვილები ისეთი ავი სულის ადამიანები არიან, რომლებიც თავს კარგად მხოლოდ ცხოვრების ამღვრეულ მდინარებაში გრძნობენ და რომლებსაც, როგორც ხორცმეტებს, მხოლოდ მოკვეთა სჭირდებათ ჯანსაღი სხეულიდან.

მწერლის ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ რომანში მოცემულია მთელი გალერეა თანამედროვე ადამიანების დადებითი სახეებისა, რომლებიც უპირისპირდებიან ცხოვრებისეულ ბოროტებას და ჩვენი საზოგადოების განვითარების, მისი ძლიერების საფუძველს გვიხსნიან. იქნება ეს ტარიელ ჩოფიკაშვილი, მეტსახელად ტახო, ფირუზა ჩანგიშვილი, ლევან მაცაშვილი, — კოლმეურნე აქტივისტები, თუ ნიკო ხელაშვილი, ცხოვრების გამოცდილებით გამოზრდილი ვაჟაკი, რომელიც უბრალოდ კარგი თავმჯდომარე კი არ არის, არამედ თანასოფლელების სინდისი და იმედიცაა, ან ბაადურ ბეჭაური, ვისთვისაც პატიოსნება, მეგობრობა, პარტიულობის მაღალი შეგნება ადამიანის სუსტი მხარისადმი შეურიგებლობაში იხატება, ან სიცოცხლითა და ახალგაზრდული გატაცებით სავსე კომკავშირელი მანანა, ანკია — დინ-

ჯი, გამრჯე ადამიანი, რომელსაც კემ-მარტიად შესწევს უნარი ღრმად ადამიანური სიყვარულისა და სიყვარულის ჩამოთვლაც კი გაძნელება, დიდი მხატვრული სიმართლით წარმოგვისახავენ თანამედროვე ადამიანების ცხოვრების სურათებს, მათ ალალ გრძნობებს, უანგარო სამსახურს საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაქრო სიყმაშვილის სახე. არა მარტო იმიტომ, რომ ზაქრო რომანის ცენტრალური გმირია და ამდენად დგას იგი მწერლისა და მკითხველის ყურადღების ცენტრში, არამედ იმიტომაც, რომ მისი ბედი ჩვენს ცხოველ ინტერესს იწვევს და გვაღელვებს ის ამბავი, თუ საით გადასწონის ამ გულმართალი ადამიანის ცხოვრება. ზაქრო ვალმოხდილი ბრუნდება სამამულო ომიდან. არავისში არ იწვევს ეპეს, რომ მისი ვაჟაკური ბუნება, ენერჯია, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა მხოლოდ კარგი საწინდარია და ამიტომაც ზაქროს დიდი იმედით ირჩევენ სოფლელები კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მაგრამ ყოველთვის როდი მართლდება იმედი. ზაქროს სულ სხვა საქმისაკენ მიუწევდა გული, მისი გატაცების საგანი მხოლოდ მანქანები და მექანიზაციაა. ამიტომაც თავიდანვე არასწორი იყო მისი თავმჯდომარედ არჩევა. სწორედ იმაში, რომ ზაქრომ სიამაყის გრძნობით მიიღო გედეონ ვარამაძის წინადადება ეხელმძღვანელა კოლმეურნეობისათვის, პირველად იჩინა თავი მისმა პატივმოყვარეობამ, თუმცა ეს ჯერ კიდევ ფარული და ძნელად ამოსაცნობი იყო თვით ზაქროსათვისაც. თავდაპირველად იგი ხალისით მოეკიდა საქმეს, მაგრამ გული მაინც ვერ დაუდო, ხშირად სარემონტო მანქანების ჭკვეშ ეძებდნენ თავიანთ თავმჯდომარეს კოლმეურნეები. ყველა ხედავდა ზაქროს სისუსტეს, გარდა გედეონ ვარამაძისა. კოლმეურნეები ალალად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ზაქროსათვის და რომ მას ყურადღებოთ თანასოფლელების მეგობრული — თუ მამა-შვილური რჩევა, ის არც დადგებო-

და განსაცდელის წინაშე. ზაქროში კი პატივმოყვარეობამ სძლია, რომელსაც ასე აღვივებდა მასში გედეონ ვარამაძე. თანასოფლელების მწარე, მაგრამ მართალ და გულწრფელ სიტყვებს მან ისევ დატყბილული სიყალბე არჩია. თუმცა მისი პატიოსანი ბუნება ბოლომდე არ შეირყვნა, ხალხის სიყვარული მან გულიდან ვერ ამოიღო, მაგრამ რჩევას მაინც ვარამაძეს ეკითხებოდა, თავისი შესაძლებლობისა და უნარის შეფასებაში მაინც ვარამაძისა სჯეროდა. ამიტომაც განიცადა ასე მტკივნეულად, როცა გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მიუხედავად რაიკომის მდივნის ვარამაძის დიდ ცდისა, ხალხმა მაინც ნიკო ხელაშვილი აირჩია. ზაქროს მთელი გულისწყრომა და დარდი უფრო თავისი დანაშაულის შეგრძნებითა და შეგნებითაა გამოწვეული. რაშიც მას თავის თავსაც კი არ უნდა გამოუტყდეს. იგი თუმცა გაურბის ხალხს, ავადაც იხსენიებს სოფლელებს მისი საუკროდ გაწილებისათვის, მაგრამ შინაგანად გრძნობს მათ დიდ სიმართლეს. ამიტომაც უარყო ზაქრო სიყმაშვილმა ამ დიდი სულიერი მღელვარების დროს გედეონ ვარამაძის მეგობრობა და თანაგრძნობა და ხალხის მიერ დასახმარებლად გამოწვეულ ხელს მიენდო.

ზაქრო სიყმაშვილის სახე მეტად რთულია და წინააღმდეგობრივი, იგი ღრმა გართულებების გზით ვითარდება. ჩვენ მოწმენი ვხდებით გმირის განსაცდელით სავსე ცხოვრებისა, როდესაც მას ემუქრება ყველაზე საბედისწერო საფრთხე — ხალხისაგან, კოლექტივისაგან მოწყვეტა, მისდამი დაპირისპირება. მკითხველს შეუყვარდება რომანის ეს გმირი, მისი ვეჟაკური ბუნების, ალალი და მოსიყვარულე გულის გაცო, კიდევაც დაძაბული ვადევნებთ თვალს მოქმედების განვითარებას, რადგან სიყმაშვილის ბედი ჩვენთვის აღარ არის სასხვათაშორისო ან უცხო, გულწრფელად განვიცდით მისი პატიოსანი ბუნების შერყვნას პატივმო-

ყვარეობის გრძნობით, ვწუხვართ, რომ იგი ეპყვეა გედეონ ვარამაძის გავლენის ქვეშ, რომელიც თვითონაც მსხვერპლია ცხოვრების არაჯანსაღი ტენდენციისა, გული შეგეტყვია ანიკაზე, რომლის წინაშე ასე რიგად სტყუის ზაქრო, მაგრამ არასოდეს მოგივით აზრად ვუსაყვედურთ მწერალს გმირის ხასიათის ასეთი გართულება. ეს იმიტომ, რომ ზაქრო სიყმაშვილის ხასიათის სუსტი მხარე, მისი შეცდომები ცხოვრების სიმართლითაა ნაკარნახევი და სავსებით თავისუფალია რაიმე ხელოვნურობისაგან. ზაქრო ჩვენი თანამედროვეა და არ გვიჭირს დავინახოთ მასში ტიპიური სახე, რომელიც რომანის სხვა გმირებთან ერთად გვიხსნის რეალური ადამიანების ცხოვრებას, მათი გრძნობებისა და ხასიათის თავისებურებას, ჩვენი საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

რომანი „ალაზანზე“ არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი, აქ ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს, რადგან ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ცალკეული რომანების დეტალურ ანალიზს, მაინც უნდა აღინიშნოს ორიოდ სიტყვით. რომ ამ ნაწარმოებს ზოგჯერ გულუბრყვილობის ბეჭედი ატყვია, ცალკეულ შემთხვევაში მოვლენისა თუ ხასიათის გაუბრალოებასთანაც გვაქვს საქმე, ხშირად მოქმედების განვითარება ირღვევა და ავტორისეული აზრი საკმაოდ შიშვლად, მხატვრული შეფარვის გარეშე არის გადმოცემული, არც მთელი რიგი სხვა ნაქოვანებებისაგან არის იგი დაზღვეული. ერთი სიტყვით, ეს რომანი თავისი მხატვრული ღირსებებით არ დგას ქართული საბჭოთა ლიტერატურის მწვერვალზე, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა ძლიერია სწორედ თავისი ცხოვრებისეული სიმართლით, ასახული მოვლენების დიდმნიშვნელოვანებით, იმ გულახდილობითა და პირდაპირობით, რომლითაც მწერალი გვიხსნის ჩვენი თანამედროვეობის მოვლენებს.

როგორც ვხედავთ, ქართული პროზა, რომ აღარაფერი ვთქვით მთელ მრავალ-



ეროვან საბჭოთა ლიტერატურაზე, საკმაოდ დამაჯერებლად გვიხატავს სხვიდასხვა ხასიათისა და ფსიქიკის, მოქალაქეობრივი შეგნებისა და მოქმედების გმირების სახეებს. ამასთანავე, აღარც ის არის საეჭვო, რომ მხოლოდ ის გმირები აღელვებენ მკითხველს, იქნებიან ისინი დადებითი თუ უარყოფითი, მტკიცე ნებისყოფისა და მაღალი შეგნების თუ სულიერ წონასწორობაზე მოკლებულნი, რომელთა სახეები ცხოვრების დიდი სიმართლით არიან აღბეჭდილნი. ყოველგვარი ხელოვნურობა მხატვრული სახისა, იქნება ეს გმირის გაკეთილშობილებისა თუ მისი „გაცოცხლების“ მიზნით მოშველიებული მწერლის მიერ, უკარგავს მას ზემოქმედების ძალას და, ამდენად, აცლის კიდევ ძირითად ფუნქციას.

ეს უბრალო ჭეშმარიტება არ შეიძლება მისცემოდა დავიწყებას, ამიტომაც იყო, რომ ზემოხსენებული დისკუსიის ერთგვარი უნაყოფო, სქოლასტიკური ხასიათი თავიდანვე ცხადი გახდა. თუმცა ცალკეულ მწერლებზე მან მიიწვია მოახერხა ზეგავლენის მოხდენა. ამ მხრივ უფრო „მაკედონებელი“ გამოდგა ის მოსაზრება, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ ეჭვი შეჰქონდა საბჭოთა ადამიანების ძლიერსა და დიდბუნოვან ხასიათში, რომელიც ცხოვრებისეული სიმართლის ლოზუნგით მოითხოვდა ლიტერატურაში გაორებული, ან ყოველშემთხვევაში ხასიათის გარკვეული მხარეებით მიიწვია სუსტი გმირების ჩვენებას. ჩვენი თანამედროვეებისადმი ასეთმა უნდობლობამ და ამ უნდობლობის გასამართლებლად ადამიანების, თუ მთლიანად საზოგადოების სუსტი მხარეების მიკერძოებულმა ძიებამ მიიყვანა ზოგიერთი მწერალი იმ შემოქმედებით მარცხამდე, როცა მათ ნაწარმოებებში, როგორც მრუდე სარკეში, ისე აისახა ჩვენი ცხოვრება. ამაზე ჩვენ აქ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რადგან მსგავსი ნაწარმოებები მთელ საბჭოთა ლიტერატურაში მხოლოდ ერთეულები მოიძებნება.

და ამდენად ისინი არ წარმოადგენენ ჩვენი მწერლობისათვის დამატებით ბელ მოვლენას.

ბიზნოროთქა

მწერალთა მეორე ყრილობაზე სწორი შეფასება მისცეს წინასაყრილობო დისკუსიას. აღინიშნა, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოსაზრებათა ცალმხრივობა და შეზღუდულობა. ყრილობის შემდგომ პერიოდში ერთგვარ ლოზუნგად იქცა მწერლობაში უბრალო ადამიანების ცხოვრებით დაინტერესება, მათი მხატვრული სახეების შექმნა. ერთი შეხედვით, ტერმინის „უბრალო ადამიანები“ სისწორე არ უნდა იწვევდეს დაეკვებას. ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ რა შინაარსს ჩადებ მასში. როცა უბრალო ადამიანებად მიიჩნევ საბჭოთა ადამიანების იმ მრავალმილიონიან არმიას, რომელიც თავისი ყოველდღიური შრომითა და შენობებში ენთუზიაზმით აშენებს ახალ საზოგადოებას, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი სასეზებით გამართლებულია. თუ მწერალი ახერხებს სწორედ ასეთი ადამიანების ერთი შეხედვით უბრალო ცხოვრებაში დაინახოს მთელი სილამაზე ჩვენი თანამედროვეობისა, ყოფით დეტალებში გავიხსნას რიგითი ადამიანების, შრომელების სულიერი სამყარო, მაშასადამე, მას სწორედ ესმის ის მოთხოვნა, რომელსაც ცხოვრება უყენებს ლიტერატურას.

რახან უბრალოებაზე მიდგა საქმე, ჩვენ ამ შემთხვევაში გვინდა დავიმოწმოთ ასევე უბრალო ნაწარმოებები ქართული პროზისა, რომელთაც განსაკუთრებულის პრეტენზია არა აქვთ. თუნდაც ავიღოთ ედიშერ ყიფიანის პატარა მოთხრობები, გავიხსენოთ მოთხრობა „მისი ხელები“.

მელანო, აბრეშუმის ფაბრიკის ახალგაზრდა მქსოველი, თავისი საქმის ვირტუოზია: მისი თითები ისევე მომხიზლავად, ცოცხლად, ელვის უსწრაფესად დაცეკვავენ დაზგაზე გაბმულ აბრეშუმის ძაფებზე, როგორც დახლოვნებული პიანისტია კლავიშებზე. ფაბრიკის კინოოპერატორები ეწვევიან. ისინი ჯერ

ახლებდა ნაკლებად დახელოვნებულ მქსოველს გადაიღებენ, რადგან იგი ლამაზი გოგონაა. შეუხედავი მელანოს გულს მღელვარებისაგან დაზგასავით გააქვს ბაგა-ბუფი. მაგრამ აი, ოპერატორებმა ახლა მას დაუშინეს კინოკამერა და მელანოს შერცხება თავისი ეჭვისა და განცდისა. იგი არც მეზობლის სიტყვებით გაიტეხს გულს, როცა მართლაც აღმოჩნდება, რომ ეკრანზე ლამაზი გოგონას სახე დიდხანს უღიმის მაყურობელს, ხოლო მელანო მხოლოდ ერთხელ გაიღვლებს და შერე კი მისი მკვირცხლი თითები დაფარავენ ეკრანს და ფართო პლანით ჩანს თუ როგორი სისწრაფით ასწორებენ ისინი გაწყვეტილ ძაფს. მელანო მხიარული და ბედნიერი ბრუნდება შინ, იგი კმაყოფილია თავისი ცხოვრებისა მთლიანად. ისევე კმაყოფილებით დაყურებს თავის მოკლე, თითქმის თანაბარი სიგრძის თითებს, ხოლო როდესაც წარმოიდგენს, მისი გაუხველელი გრძნობის ოცნება ოსტატი ვასო თუ როგორ უკოცინის ამ კოტიტა თითებს, სიცელ-კისკისით შეაღებს სარკეებთან ოთახის კარს, სადაც თეთრხალათიანი ქალი ფრჩხილებს ვარდისფერი ლაქით აღამაზებს.

უჩვეულო და განსაკუთრებული, როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში არაფერია. და თუ ჩვენ ასეთი ინტერესითა და სიამოვნების გრძნობით ვკითხულობთ ამ პატარა ნაწარმოებს, ეს იმიტომ, რომ ავტორი დიდი სიბოძით და მსუბუქი იუმორით გვიხსნის ამ უბრალო, შეუხედავი მელანოს ლამაზსა და კეთილშობილურ სულს, მისი ყოველდღიური შრომითი ყოფის მთელ უბრალოებასა და სიღიადეს.

ასევე საინტერესოა „უბრალო ადამიანი“ თვალსაზრისით ედიშერ ყიფიანის მეორე მოთხრობა „ჰობოი“. მწერალი აქაც დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით გვიხატავს შეუმჩნეველი რიგითი ადამიანის, ჰობოიზე დამკვირვებელი დიტირის სახეს, იმ ღრმა რწმენით, რომ ყოველ ხელობასა და პროფესიას აქვს თავისი სილამაზე და დანიშნულება, რომ

ყოველი ადამიანის საქმიანობა, ერთი შეხედვით რაღაც უმნიშვნელოცაა უნ. და იყოს იგი, ფაქიზი დამოკიდებულებისა და დაფასების ღირსია.

დიმიტრი ათეული წლების მანძილზე იმით ინტეგრირებდა თავს, რომ ყოველ ხელობას აქვს თავისი მომავლებელი ერთფეროვნებაო. მისი ცხოვრება საკმაოდ მარტივი იყო, ყოველ საღამოს ჰობოის ქნევით შეაღებდა ოპერის კარს და თავის ადგილს მიაშურებდა ორკესტრში. მაგრამ ერთ დღეს მას დაუბრუნდა ყმაწვილური გატაცება და თავისი ცხოვრებაც სულ სხვა შექმთ განათებული წარმოდგა. დიმიტრი აჩქარებული მიყვებოდა ქუჩის კიდეც ასფალტზე, როდესაც სულ ახლოს ჩაუჭროს ტროლეიბუსმა. შეშინებულმა გამვლელებმა აქა-იქ შეიკივლეს კიდეც. ქუჩის მთელ ამ ხმაურში დიმიტრიმ ყური მოკრა, უკან ვიღაც ვაემა თანამგზავრს რომ კითხა: „იცი ვინ არის ეგ კაცი?“ განაჩენივით ელოდა პასუხს. ვაემა თვითონვე განმარტა უბრალოდ: „უმაგისოდ ოპერაში „დაისს“ ვერ დაიწყებენ“. დიმიტრიმ ვერცკი მოახერხა გამოეცნო თუ ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები. მართლაც იგი იწყებდა თავისი ჰობოით „დაისს“ უვერტიურას. სიხარული და მღელვარება დიდხანს გაეცა დიმიტრის. მეტად ადამიანური და ფსიქოლოგიურად გამართლებულია მოთხრობის ბოლო ფრაზა: „ღირიეორის გარდა არავის შეუმჩნევია, რომ იმ საღამოს ჰობოი ყალბად უკრავდა“.

ასეთი მოთხრობები კიდევ უფრო გვაყვარებს ჩვენ უბრალო ადამიანებს, გვიღვიძებს სურვილს რაღაც კეთილი მოვიმოქმედოთ, გავამხნევოთ, წავახალისოთ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები, თბილი სიტყვითა და ყურადღებით ცხოვრების სიხალისე, საკუთარი ღირსების გრძნობა შევმატოთ მათ.

ყველამ ასე როდი გაიგო მოწოდება „უბრალო ადამიანების“ მხატვრული სახეების შექმნისა, ზოგმა ამის საპასუხოდ იწყო გმირის გაუბრალოება. საბჭოთა ლიტერატურაში. კერძოდ ქარ-

თულ პროზაშიც მომძლავრდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი თანამედროვეების ცხოვრება დაკლილია ყოველივე საინტერესო და ამადლელებელისაგან. განსაკუთრებით მომრავლდნენ ინერტული, ცხოვრების სიხალისეს მოკლებული გმირები, რომელთა უფერული ყოფა ასევე უფერულადა და უინტერესოდ არის აღწერილი მწერლის მიერ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავაკლებთ ქართული ლიტერატურული ეურნალებისა და გავხეთის ფურცლებზე დაბეჭდილ მოთხრობებს, რომელთა მეტი წილი ახალგაზრდა ავტორებს ეკუთვნის. ბევრი მათგანი გულის ერთ სიმსაც არ შეუტოკებს მკითხველს, არ ჩააფიქრებს, არ ააღლეებს, ხშირად იმასაც კი ვერ მიხვდებით, თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს, რა პოზიციასზე დგას იგი, ისეა დაკლილი ნაწარმოები მხატვრული აზრისაგან, გრძობისაგან.

კიდევ უფრო დასაფიქრებელია ის ამბავი, რომ ტენდენცია თანამედროვე ადამიანის გაუბრალოებისა, მისი აქტიური ბუნების უგულვებელყოფისა ზოგჯერ თავს იჩენს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომელთა შემოქმედების ძალა დიდია. ამიტომ ჩვენც სწორედ ერთერთ ასეთ ნაწარმოებზე შევაჩერებთ ყურადღებას. ესაა არჩილ სულაკაურის მოთხრობა „წყალდიდობა“

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა მკითხველმა დიდი ყურადღებით მიიღო ა. სულაკაურის მოთხრობები, რომლის ავტორი ადრე მისთვის მხოლოდ პოეტად იყო ცნობილი. ჩვენ საქმე გვაქვს ნიჟიერ პროზაიკოსთან, რომლის ნაწარმოებები თავისი მხატვრული აზრის სიმძაფრითა და თხრობის ოსტატობით მკითხველის გულისყურს იპყრობენ.

მოთხრობის სათაური სიმბოლურია და პირველ რიგში იმ ახალი ცხოვრების წყალდიდობას გულისხმობს, რომელმაც წალეკა ძველი ცხოვრება თავისი ქობიანებითა და წყლის წისქვილებით, რაც მთავარია წალეკა ადამიანთა ძველი ურ-

თიერთობა, მათი ცხოვრების წესი და ამის ნაცვლად ახალი ცხოვრების შექმნა იწყო. მოთხრობა მნიშვნელოვნაა სწორედ ამ ახალის ძლევა-მოსილებისა და სილამაზის შეგრძნებით. მკითხველი ავტორთან ერთად, რომელსაც თავისი ბავშვობა მტკვრის ნაპირას გაუტარებია, იხსენებს წარსულის სურათებს, პატარა წისქვილებს, დუქნებს, მეთევზეთა ნევებს, ზორნებს, პატარა ფიცრულებსა და ფარალალა ჭიხებს, რომელთა ადგილზე ახლა სანაპირო გაშენებულია და მტკვარი არტახებში მოუქცევია.

აქვე ვეცნობით ჩვენ ავტორის ბავშვობისა და სიჭაბუქის დროის თანამოსახლეთა ყოფას, რომლის ღერძიც მეთევზე ლადოს ცხოვრების თავგადასავალია. ლადო ახლა იმ შემორჩენილ ძველ შენობას ანგრეებს, სადაც ერთ დროს მისი ცხოვრება დაინგრა. ავტორი საინტერესოდ გვიყვება ამ ისტორიას, კიდევ გვაღლეებს ლადოს მწარე ბედით, მისი ოჯახური ტრაგედიით, ჩვენ თავდაპირველად გულწრფელად განვიცდით ამ კეთილი და ჯანინი მეთევზის სულიერ ტკივილს. მაგრამ ავტორი არა თუ არ გვიხსნის ამ ტრაგედიის მიზეზს, არამედ არც სვამს ამ საკითხს, იგი მხოლოდ ამბავს გვიყვება და თითქოს ცდილობს კიდევ აარიდოს მკითხველი ამ კითხვას. მაგრამ თუ ჩვენ მაინც ჩავეუქვირდებით ამ საკითხს, ვფიქრობთ, ცხადი ვახდებამ, რომ ლადოს ცხოვრების უკუღმართობაში თვითონ ლადო პირველ რიგში დამნაშავე და არა სხვა ვინმე.

ლადო, მართალია სიკეთითაა სავსე, ამიტომაც ასე უყვართ მეზობლებს, განსაკუთრებით ბავშვებს, მაგრამ განა ადამიანისათვის მარტო ეს არის საკმარისი? ლადო სრულიად დაკლილია ენეგვისაგან, მას ცხოვრების ინტერესიც დაუკარგავს. ყველაზე ახლობელი მისთვის მაწანწალა ძალღი გამხდარა, რომელთან ერთადაც კლავს დროს. ლადო კი არ ცხოვრობს, არამედ მხოლოდ დროს კლავს და აბა ვის უნდა გაეწია მისთვის ანგარიში, ვის უნდა ეცა პატივი? ლადოს იმდენი ვაქცაყური თავმო-

ყვარობაც კი არ შერჩენოდა, რომ თავისი თავი სხვების დასაცინად და აბუჩად ასაგდებად არ გაეხადა. ლადოს ამ გამუდმებული წანწალის დროს, მის ლამაზ, სიცოცხლით სავსე იულიას მეწისქვილე სტეფანე შეეჩვია. ლადო ვერც ამას დაინახავდა და გაიგებდა, რომ იულია სინდისის ქენჯნას არ შეეწუხებია და თვით არ გაემხილა ეს მწარე საიდუმლოება. ლადო ამის შემდეგ ჩვეული დუმილით იცვამს სველ პალტოს და მიდის სახლიდან, მიდის მხოლოდ იმისათვის, რომ კვლავ განაგრძოს უგზო-უკვლო, უმიზნო ხეტიალი. იგი ვერც ამ ტრაგედიის შემდეგ გამოფხიზლდა, ისევე პასიური და უინტერესო დარჩა. უხმოდ იტანდა ყვირილსა და შემოტევას, დაღლილი უხმოდ მიეგდებოდა მიყრუებულ და მიტოვებულ ქოხში, როცა მტკვარზე წყალდიდობა დაიწყო და წისქვილები წალეკა, მან ერთ დღეს თავისი უკანასკნელი სარჩო-საბადებელი ნაეიც გაყიდა, ფული კი ანტონა შედუქნეს მოუტანა ვალის გასასტუმრებლად.

არ შეიძლება ერთ რამეში არ დავეთანხმოთ იულიას; ჩვენ კარგად გვესმის მისი გულწრფელობა, როცა ლადოსათვის ყველაზე მძიმე ამბის გამხელის შემდეგ იგი თავის ქმარს ეუბნება: „მე ახლა უფრო მეცოდები, ვიდრე მიყვარხარ“. მართლაც, მხოლოდ საცოდავია ლადო, საცოდავია, რადგან ცხოვრებას გაუბრუნებია თავისი ინერტულობისა და უინტერესობის წყალობით. მამ რატომ ცდილობს ავტორი შეგვაყვაროს ჩვენ ისეთი ადამიანი, რომლის მიმართ თვით მოსიყვარულე ადამიანიც კი გაცივდა? თუ ჩვენ ამ საკითხს ჩავუყვირდებით და არა მხოლოდ ავტორის სევდანარევე თბობას მივყვებით, ვფიქრობთ აშკარა ვახდებ, რომ ავტორი შეცდა, როდესაც თავისი თანაგრძნობა გამოუცხადა ლადოს და ჩვენც აქეთკენვე მოგვიწოდა. ეს არ არის ქმედითი ჰუმანიზმი. როცა კლასიკური ლიტერატურაში ხშირად დაბეჩავებული გმირები ჩვენ გულწრფელ თანაგრძნობას იწვევენ, ეს მართლაც დიდი ჰუმანიზმის მანიშნებელია, რადგან ჩვენ

განვიცდით სოციალური უკუღმართობის მიერ გათელილი ადამიანის ბედს; მაგრამ აქ გმირის სტენოკარდია მხოლოდ მისი პასიური ბუნებიდან მოდის და ამდენად, ვფიქრობთ, არც არის საფუძველი თანაგრძნობის გამოცხადებისა.

თანამედროვეთა მხატვრული სახეების ასეთ ასპექტში გადაწყვეტა, უბრალო ადამიანების ცხოვრების დაცლა და დაშრეტა მაღალი აზრებისა და გრძნობებისაგან, აქტიური მოქმედებისაგან, რაც თავისთავად გმირის გაუბრალოებას ნიშნავს მხოლოდ, სულ უფრო და უფრო შესამჩნევი გახდა მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებში. მწერალთა ერთი ნაწილი უბრალო ადამიანების ძებნაში თავისი ნაწარმოებების გმირებად ირჩევდა ისეთებს, რომელთა ცხოვრებაში ნაკლებად იგრძნობა ჩვენი თანამედროვე ადამიანის ხასიათი, ფსიქიკა, შეგნება, ხოლო მეორენი ან ვეღარ ამჩნევდნენ ამალღებულსა და კეთილშობილურს, უბრალო ადამიანების ყოფაში გამოხატულს, ან განზრახ ჩქმალავდნენ მას, იმის შიშით, ვაი თუ გმირები უბრალოთა კატეგორიიდან ამოვარდნენ ამ მიზეზით. შედეგად მივიღეთ მთელი გაღერება მხატვრული სახეებისა, რომელთაც არ შეიძლება ჰქონდეთ საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი დიდი ყოფის განსახიერების პრეტენზია. ასეთი ნაწარმოებების შემდეგ, სავსებით ბუნებრივია ის კითხვა, რომელიც კრიტიკოს სკორინოს დაებადა: „განა ასე უბრალოა „უბრალო ადამიანი“?.. სწორედ ასეთი სათაურით დაიბეჭდა მისი წერილი მიმდინარე წელს ჟურნალ „ეპაროსი ლიტერატურის“ში“, რითაც დაიწყო ახალი დისკუსია საბჭოთა ლიტერატურის გმირის ირგვლივ და ეს დისკუსია დღემდე გრძელდება ამ ჟურნალის ფურცლებზე.

სკორინო სავსებით სწორად სვამს საკითხს. მართლაც არ შეიძლება მექანიკური დაყოფა ამალღებულისა და ყოფითისა, გმირულისა და ყოველდღიუ-

რისა. მწერალს, რომელსაც სურს იყოს ჩვენი ყოფის მხატვრული მემკვიდრე, უნდა შესწავლდეს იმის უნარი, რომ დაინახოს მთელი სილამაზე ამ ყოფისა, უბრალო ადამიანების ჩვეულებრივი, მაგრამ ამასთანავე სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრება. ყოფითი ცხოვრების მხატვრული სურათების შექმნის ასეთი ოსტატები არიან, მაგალითად, რუსულ ლიტერატურაში, ვერა პანოვა და ვიქტორ ნეკრასოვი. მათი რომანების გმირები სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთა ცხოვრებაში ერთი შეხედვით ვერაფერს დაინახავთ განსაკუთრებულს, მაგრამ ამასთანავე, ეს გმირები მთელი დამაჯერებლობითა და სიღრმით გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, მათ დიდებულებებს.

ქართველი მწერლებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, რომლის შესახებ ზემოთ ვგვქონდა საუბარი. საინტერესოა, რომ სამამულო ომის გმირების მთელი სიდიადე ამ რომანში მეტწილად პოსპიტლის ყოფით სურათებშია გახსნილი და ამ დიდი ამოცანის მხატვრულ გადაწყვეტაში „წითელ ყაყაჩოს“ ბევრი ისეთი რომანი ვერ შეედრება, რომლებშიც გმირები ფრონტის წინა ხაზზე იბრძვიან და თავსაც კი სწირავენ. ასე რომ, მთავარი მაინც ის არის, თუ რა პოზიციიდან უყურებს მწერალი სინამდვილეს, სულერთია, ყოფითია იგი თუ განსაკუთრებული, რამდენად შესწევს მას უნარი შენიშნოს და სხვასაც დაინახოს თავისი „ბრალიანი“ თუ „უბრალო“ გმირების სულიერი სილამაზე.

მაგრამ სკორინო ყოველთვის როდი პასუხობს სწორად თავისსავე სამართლიანად დასმულ კითხვას. იგი ვერ ხედავს მკვეთრ მიჯნას ყოფითსა და გმირულს შორის, ასეთი მიჯნის გავლება მართლაც არ შეიძლება და ამისი ძიება მხოლოდ გულუბრყვილობა თუ იქნება. ამიტომაც კრიტიკოსი საერთოდ უარყოფს გმირულს და მას ღიიჩნევს ყველა ადამიანისათვის მეტ-ნაკლებად დამახა-

სიათებელ თვისებად. მართალია, მოწყვეტა ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი საქმიანობის ხალხის მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობისაგან არ არის სწორი და ასეთი შეცდომის შედეგია „გამეზიანება რიგითი ადამიანის სახისა“ რაც ზოგიერთ ნაწარმოებში შეიმჩნევა, მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ როგორი წილიც არ უნდა ქონდეს ყოველ ცალკეულ ადამიანს საერთო სახალხო გმირობაში, ეს უკანასკნელი თითქოს ყველას თანაბარ დამსახურებას წარმოადგენდეს. ამ თავისი მოსაზრებით, რაც გამოწვეულია უბრალო ადამიანების დამსახურების აშკარად გამოკვეთის სურვილით, სკორინო უნებლიედ ამცირებს გმირობის ფაქტორის მნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში. თუმცა გმირობა ჩვენი უბრალო ადამიანების წიაღში იბადება, მაგრამ თავისთავად იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, რადგან მასებს მოქმედებისა და განვითარების სტიმულს აძლევს, აღანთებს მათ.

ასე რომ, ჩვენი ყოფითი სინამდვილის მთელი სიდიადის აღიარება, მისი შემოქმედებითი ხასიათის დანახვა, სულაც არ საჭიროებს განსაკუთრებულისა და გმირულის უარყოფას, რომელიც გამოხატავს თუმცა რეალურს, მაგრამ ჯერ კიდევ იშვიათ მოვლენებს ჩვენი სინამდვილისა. მწერლობას ერთის ასახვის უფლება აქვს და მეორისაც, ამ მხრივ მისი შეზღუდვა ყოველად გაუმართლებელი იქნება. მაგრამ ერთი რამ კი ყოველი მწერლისათვის არის საერთოდ აუცილებელი. კერძოდ ის, რომ რასაც არ უნდა ასახავდეს იგი, გმირულსა თუ ყოფით სურათებს, არ უნდა მოწყდეს სინამდვილეს. ლიტერატურაში გმირულიცა და განსაკუთრებულიც მწერლის შიშველი ფანტაზიის ნაყოფს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ ჩვენი რეალური ცხოვრებიდან უნდა იღებდეს საწყისს, ისევე, როგორც ჩვენი ყოველდღიური მხატვრული სურათების შექმნისას მწერალი ყოფითს ცხოვრებას უნდა ხედავდეს

ისტორიული განვითარების პრიზმაში.

ქართულ საბჭოთა პროზას ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე ახალი ნაწარმოები შეემატა, რომლებშიც ჩვენი თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაა წარმოსახული. ჩვენ გვინდა გამოვყოთ აკაკი ბელიაშვილის ახალი რომანი „ვეფხია ხალიბაური“, რადგან, ვფიქრობთ, ამ რომანის მთავარი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვეთა მხატვრული სახეები საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესის გათვალისწინებითაა გახსნილი.

აკაკი ბელიაშვილის რომანი თავდაპირველად „რუსთავეის“ სახელწოდებით იბეჭდებოდა, მაგრამ ჩვენი აზრით, სწორად მოიქცა მწერალი, როდესაც მას სახელი შეუცვალა და „ვეფხია ხალიბაური“ უწოდა. ვგონებ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ რომანს არა აქვს პრეტენზია იყოს რუსთავეის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობის მხატვრული მატიაწე. აქ უფრო მეტალურგთა ნაციონალური კადრების მომზადების შესახებაა თხრობა და ამდენად მწერლის ყურადღების ცენტრში საბჭოთა ახალგაზრდები მოქცნენ. ვეფხია ხალიბაური, ზიზო, ლამარა, გიგა და სხვა ახალგაზრდები, რომელნიც ურალის ერთ-ერთ ქარხანაში ეუფლებიან ახალ პროფესიას, დამაჯერებლად წარმოგვისახავენ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის უბრალო, მაგრამ სიხალისითა და დიდი პერსპექტივებით სავსე ცხოვრებას. რომანში თანამედროვე ადამიანების ხასიათს გვიხსნის ისეთი კოლორიტული სახე გმირისა, როგორიცაა ვასილ ბულატოვი. ბულატოვი გამოცდილი მდნობელია ფოლადისა, რომელიც უბრალო, მაგრამ დიდი შინაგანი სიყვარულით ასწავლის თავის ახალბედა შეგირდებს ამ რთულ პროფესიას.

რომანის მთავარ გმირებს ვეფხია ხალიბაური და არჩილ სანებლიძე წარმოადგენენ. თუ ვეფხიას ცხოვრება, მართალია საინტერესოდ, მაგრამ მინც

დაძაბულობის გარეშე ვითარდება, სამაგიეროდ, არჩილ სანებლიძეს უფრო რთული და ჩახლართული ცხოვრება ხვდა წილად. არჩილმა ომის ქარცეცხლი გამოიარა, სადაც მძიმე ჭრილობა მიიღო. სახლში კი სულიერი ტკივილი ელოდებოდა. თალიკო გაბაური, რომელთან შეხვედრაც ასე მოუხაროდა, ქმარგანაშევი და ორი შვილის დედა დახვდა. მაგრამ არჩილ სანებლიძეს არ აშინებს ცხოვრების სირთულე, იგი ერთი დიდი მიზნითაა გამსჭვალული — ომგადახდილი ვაჟაკის მარჯვენას შრომა სწყურია და ამიტომაც ასე შედარებით მშვიდად იტანს არჩილი საყვარელი ადამიანის ღალატს. მას იმდენი კეთილშობილება ახასიათებს, რომ დახმარების ხელსაც კი გაუწუდის ყველა საგან მიტოვებულ და სასოწარკვეთილებაში მყოფ თალიკოს.

ვეფხია ხალიბაური განსახიერება ბუნებით ხალასი მშრომელი ახალგაზრდისა. იგი უთუოდ ხიზლავს მკითხველს თავისი ალალი ბუნებით, უზომო ცნობისმოყვარეობით, მიაშიტობით, შრომისა და წარჩინების წადილით, ვაჟაკური მეგობრობით, და ბოლოს, ნამდვილი და გამოუცდელი სიყვარულით, რომლითაც განიმსჭვალება ლამარას მიმართ. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ახალგაზრდა მეფოლადე ხდება, ეს მისი სიბეჯითისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგია მხოლოდ. მოქმედების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდება ჩვენი სიმბათია ამ მთებში ლაღად გაზრდილი ახალგაზრდისადმი, რომელიც არც ბარში ირცხვეს სახელს და სოფლის მჭედლის პაპა აპარეკას შეგირდი რუსთავეის მეტალურგიული გიგანტის ერთ-ერთი პირველი მეფოლადე ხდება.

რომან „ვეფხია ხალიბაურს“, ჩვენი აზრით, მთელი რიგი სუსტი მხარეებიც ახასიათებს. ზოგჯერ მას ერთგვარი ზერელობის იერი დაკრავს, განსაკუთრებით თალიკოსა და არჩილის



რთული ურთიერთობის გარკვევისა და მხატვრული დამაჯერებლობით გადაწყვეტის საკითხში. არც თვითონ ყველაზე საინტერესო გმირის — ვეფხია ხალიბაურის სახის გახსნაში ერიდება მწერალი ერთგვარად მოჭარბებულ ეგზოტიკურობას. მაგრამ ამჟამად ეს არ არის ჩვენთვის მთავარი. რაც მთავარია, მწერალმა შეძლო ამ ნაწარმოებში, რომელშიც ყოფითი სინამდვილეა ასახული, გაეხსნა უბრალო ადამიანების ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თუმცა ამასთანავე შრომითა და სიხარულით, განცდებითა და ოცნებით სავსე ცხოვრება. მართალია, რომანში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც ჩვენი დღევანდელი წერილმანი, უმნიშვნელო ამბებია გადმოცემული, ან თუნდაც მახინჯი და ჩრდილოვანი მხარეებია გახსნილი, მაგრამ მწერალი კარგად გრძნობს ისტორიული განვითარების პროცესს, თანამედროვეობის მაჯისცემას და არ

ეშვება ამ სიმაღლიდან ობივატელობამდე. ამიტომაცაა, რომ ექვსეუ მკვლელები ჩვენი თანამედროვე ადამიანების უბრალო, მაგრამ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ.

დღეს მკითხველი, ებოქა მთელი სიღრმით მოითხოვენ ლიტერატურისაგან ხალხის ცხოვრებასთან კიდევ უფრო მკიდრო ორგანულ კავშირს. ესაა უპირველესი პირობა იმისა, რომ ლიტერატურაში მართლად აისახოს ჩვენი ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით, რომ შეიქმნას ჭეშმარიტად მხატვრული სახეები თანამედროვეებისა, რომლებშიც განსახიერდება ჩვენი ადამიანების საუკეთესო მხარეები. მხოლოდ იქ, ცხოვრების დუღილში იპოვნის მწერალი ნამდვილ გმირებს თავისი ნაწარმოებებისათვის, რომელნიც არა ხელოვნურობისა და შტამპების, არამედ ცხოვრების სიმართლით იქნებიან აღბეჭდილი.



მ. ჩიჩუა

რევოლუცია და გვირის ხასიათის ჩამოყალიბება

მერვე კლასის მოწიფე, გიმნაზიელი კორნელი მზეიძე თავისი პატარა ქუჩიდან გამზირზე გამოვიდა. ხალხი თანდათან გამოეფინა ქუჩაზე. ყველანი ნაპალადეში დანიშნულ მიტინგზე იჭარბოდნენ. კორნელიც გაჰყვა ხალხის ნაყადს. ჯერ კიდევ დათოვლილი იყო მახათას შთა, გაზაფხულის პირველ სიოს ღრუბლები გაეფანტა, ქალაქის ცაზე მტრედები ფრენდნენ, ხალხის თავზე წითელი დროშები ფრიალებდნენ. რატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. გაისმოდა მათი მქუხარე ხმა: «რევოლუცია, თავისუფლება».

ასე იწყება რომანი „პირისპირა“, ასე შემოდის რომანში მისი მთავარი გმირი კორნელი მზეიძე, რომელმაც დიდი გზა უნდა გაეწიოს, სანამ ღრმად ჩაწვდებოდეს თავისი ხალხის ცხოვრებას, მის აზრს, მიმართულებას, სანამ ამ ჰუმბელის ხასიათი ჩამოყალიბდებოდა და გამოიწვევებოდა.

ა. ქუთათელის რომანის დროის ლოკალი 1917—21 წლებია — მენშევიკების პატრონობის ხანა, საქართველოს ძნელბედობის დრო. «მენშევიკურმა მთავრობამ კატასტროფამდე მიიყვანა საქართველო ეკონომიურად და პოლიტიკურად. გაპარტახებული სოფლის მეურნეობა, უცხოელ ოკუპანტთა განუთხოვარი თარეში — ქართველ ხალხს ეროვნულ კატასტროფას უქადდა»¹.

აღ. ქუთათელი რომანში გვიხატავს იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მართალ სურათებს. მწერალი ზედმიწევნით იცნობს და სწორად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას.

მწერლობა ასახავს სინამდვილეს! ეს საერთოდ სწორი ფრანზა ჩვენ გაეზიარებოდა და იმდენად ხშირად ემყოფებოდა, რომ ახლა იგი გვეჩვენება უბრალო და მარტივ ქვეშაირებულად. ოღონდ რა იტარება ამ ფრანზის შინაარსში, რა ღრმა და რთული პროცესია მასში გამოხატული, როგორ ასახავს მწერლობა სინამდვილეს, ამას ხშირად აღარ ვუკვირდებით და ცხოვრების ასახვა ხშირად დაგვყავს დებალში.

ბის ან ფაქტების ემპირიულად სწორად გადმოცემამდე. მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას მთავარ ყურადღებას ვუთმობთ კითხვას: შეიძლება თუ არა ეს ასე მომხდარიყო ცხოვრებაში? ცხადია, მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელია დეტალების სწორად გადმოცემა, ოღონდ მთავარი ცხოვრების დიდი სიმართლის გახსნა, რაც ყოველ ქვეშაირებად მხატვრულ ნაწარმოებში ხდება თავისებურად. მხატვრული მასალის თავისებური ორგანიზაციის საშუალებით.

ცხოვრების მრავალფეროვნება, მოვლენების სიმრავლე და სიჭრელე, ადამიანთა ხასიათების განსხვავებული თავისებურებანი არ შეიძლება ერთნაირად ინტერესებდეს მწერალს, ერთნაირი სიღრმით განიცდიდეს მათ. ალ. ტოლსტოის რომანში — „ტანჯვის ვლებზე“ — რუსეთის საზოგადოებრივი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდია მოქცეული. ამ პერიოდში უდიდესი მოვლენები ხდებოდა და ადამიანთა უამრავი ხასიათი ვლინდებოდა. მაგრამ ალ. ტოლსტოის ინტერესს შეადგენს ახვეწის რევოლუციისაგან შორს მდგარი ან მის წინააღმდეგ განწყობილი ინტელიგენციის მოსვლა რევოლუციისათან. ტელევიზის, რომინის და სხვათა სახეები განაპირობა რუსეთის ცხოვრების გარკვეულმა პერიოდმა, გარკვეულმა ეპოქამ და ისინი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განმარტოებულად. დასახლებული გმირები, მართალია, წინა პლანზე არიან, მაგრამ ეს არ არღვევს ცხოვრების დიდ სიმართლეს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ტელევიზი და რომინი, არამედ სხვა საზოგადოებრივი ძალები, სხვა ტიპური ხასიათებიც. შეიძლება ალ. ტოლსტოის სხვა ნაწარმოებში სხვაგვარად იყოს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც ამ რომანშია მოქცეული. მაგრამ აქ წინაპლანზე გამოდიან ტელევიზი და რომინი და ცხოვრებისეული მასალის მხატვრული ორგანიზაცია ხდება ამ თავისებური ჩანაფერის მიხედვით. სრულიად განსაზღვრულია ნაწარმოების კომპოზიცია, მისი სიუჟეტი და მთელი მხატვრული ქსოვილის გაერთიანება.

ასევე განაპირობა კომპოზიცია და მთელი

¹ საქართველოს ისტორია, „ცოდნა“, თბილისი, 1958 წ., გვ. 350.

აღსავალია რომანისა „პირისპირში“ იმ ფაქტმა, რომ ა. ჭეთათელმა თავისი დაკვირვების საგნად აირჩია კორნელი მჭვიძის ცხოვრება, მისი ხასიათის განვითარება და ჩამოყალიბება, კორნელი არ იყო რევოლუციონერი, რომელმაც ასე ეთქვათ, თავის მხრებზე ვადაიბანა მთელი სიმამი იმ წლებსა, რომლებიც „პირისპირშია“ ასახული. კორნელი თავადაზნაურული წარმოშობის ინტელიგენცია, იგი რთული ცხოვრებისეული გზის გავლის შემდეგ მიდის რევოლუციასთან.

ინტერესსმოკლებული არ არის კითხვა: რამდენად მართებულია, რამდენად სწორია შერლის ასეთი აზრეანი, ის, რომ იმ დროს საზოგადოებრივ დაპაბულობაში, როცა მისი რომანის მთავარი გმირი შეიძლება გამხდარიყო ვანო მახათაძე, სერგო ჰავერაძე და სხვები, მწერალი მთავარ გმირად ირჩევს თავდაზნაურობის წრიდან გამოსულ „ნეიტრალურ“ ინტელიგენტს, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს გათვითცნობიერებას.

ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელება უფრო ხშირად ერთ რომელიც გმირზე როდია დამოკიდებული, რა როლიც არ უნდა ჰქონდეს მას მინიჭებული, ნაწარმოებს იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს გმირი მხოლოდ სხვა გმირებთან ურთიერთობაში განხორციელებს. ესაა, ეს არ უარყოფს ცალკეული მხატვრული სახის მნიშვნელობას. ა. ჭეთათელის რომანში კორნელი მჭვიძე სწორად ასეთი მნიშვნელობის მხატვრული ერთეულია.

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში მისი ორიგინალური მხატვრული კონცეფცია გველანება თავისებურ ბერეკტად, მთავარ რგოლად, რომელიც ამორჩავეს მთელ ნაწარმოებს. „პირისპირში“ ასეთ მთავარ რგოლს წარმოადგენს კორნელი მჭვიძის ხასიათის განვითარება. ყველა საზოგადოებრივი ძალა, ყველა ტაბუ-რის სახე, რომლებიც ვახსნილია ამ რომანში, ორგანიზებულია კომპოზიციურად და სიუჟეტურად კორნელი მჭვიძის ცხოვრების ირგვლივ. კორნელი მჭვიძე იმერეთ თავადთა მეცხედრის — ექიმ გიორგი მჭვიძის უმცროსი ვაჟი იყო. გიორგი მჭვიძეს, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი კაცი იყო და თავისი ღაბრის კარგი სპეციალისტი, ცლავ შემორჩენილი თავადაზნაურული ჩვეულებანი, იგი მთელს იმერეთში განთქმული მონადირე და მოქვილე იყო: ოჯახზე ნაკლებ ზრუნავდა. ოჯახის მთელი საქმიანობა კისერზე აწვა გამარჯვ და ჰკვიან ქალს — ტერეზას. გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტერეზას მოუხდა არც თუ ისე დიდი შეტრენობის გაძლოდა, რათა სახსარი არ მოესპო სწავლის გზაზე დაყენებული შეიღებისათვის. უფროსები ეგვიანი და სტეფანე — მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ,

ხოლო უმცროსი — კორნელი, თბილისს გამანაზი ჩამოყვანილია სასწავლებელად და თავის დასთან — ელენესთან დატოვებულია. მჭვიძის — დათა მიქელაძე, მასწავლებელი იყო. დათას ბაქოში გადაყვანის შემდეგ, კორნელი ვეჭილ ესტარტ მყავშილის ოჯახში დარჩა, როგორც მღვდელი. კორნელის ჰყავდა კარგი ამხანაგები, ვინაზიელები — სანდრო ხოტივატი, ვრიგოლ ცაგერშიელი, პეტრე ცხოველიძე, ეტერო ზარანდა და მიტო ჩიკვაძე.

ამ წითლ შეშორფარგლებოდა კორნელის გარემო იმ პერიოდისათვის, როცა ჩვენ მას ვეცნობით. რა მისცა კორნელის ამ წრემ? ადრე ტერეზას ხასიათში შეიშენოდა თავადაზნაურული მუდიდურობა. ოლონდ, როცა მთელი ოჯახი მისი საზრუნავი გახდა, მან უფრო მშრომელის, მოშვირე და მეოჯახე ქალის თვისებები გამოავლინა. ამიტომ შრომა, გულმოდგინება, ოჯახისათვის თავდადება — კორნელისათვის მაგალითი უნდა ყოფილიყო. უარესად მოსიყვარულე დედა კორნელის ღრმა და გულწრფელ სიყვარულს იწყევდა. ოჯახიდანვე ჰქონდა კორნელის მიღებული მუდიდურობა და თავმომწონობა, რაც ღვივდებოდა ამხანაგების წრეში.

ამას ემატებოდა აგრეთვე მისი ახალგაზრდობა, როგორც ცნობილია, ახალგაზრდა უფრო ვაბედულად და შემართებით უყურებს ცხოვრებას, ხანდახან მუდიდურად და ქედმალდურდაც.

კორნელის სიამაყე, ცხადია, პირადი ღირსების შეგნებლად არ მომდინარეობდა, არამედ, შეიძლება ითქვას, „მემკვიდრეობით“ ჰქონდა მიღებული და, ამდენად, სოციალური წარმოშობისა იყო. კორნელის ხასიათისათვის განსაკუთრებული და განმსაზღვრელი ნიშანი გულწრფელობა. იგი მისთვის დამახასიათებელია მკითხველთან პირველი დანერობიდან რომანის უკანასკნელ სტრიქონებამდე. რასაც არ უნდა აკეთებდეს კორნელი, როგორცაეც არ უნდა აკეთებდეს ამას, ესთანაც არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, როგორც არ უნდა იყოს მისი მოქმედების იმპულსი, ყოველთვის იყო, რომ ის გულწრფელია. იგი ყოველთვის მართალია თავისი შეგნების შესაბამისად. თუცა ეს როდია საკმარისი, რომ აღაზიანი დადებითი იყოს და რამდენადმე უსწორდებოდეს იდეალს. ოლონდ, უნდა ითქვას, რომ ასეთი თვისება თვითდასვე სამაათით განაწყობს მკითხველს მის მიმართ. იგი საწინდარია მისი სულიერი გაძლიერებისა, მის მიერ სწორი გზის გაკვლევისა, ცხოვრების გაკეთილების სწორად შეთვისებისა. მკითხველი შეუენლებელი ინტერესით ადევნებს ამიტომ თვალს გმირის ცხოვრებას, მის ზრდას.

კორნელი და მისი ამხანაგები მოწყალების წლებშივე ცდილობდნენ გარკვეულიყვენ თუ

რას წარმოადგენს სამყარო, ადამიანი, რა არის არსებობის აზრი და როგორ უნდა იცხოვროს მათ.

მათი ფიქრი ამ დროს ერთობ წმინდა და უანგარო იყო: „ფიქრობდნენ რა გზას დასდგომოდნენ, რომ სწავლითა და ცოდნით აღჭურვილთ მრავალტანჯული თავისი ხალხისათვის სარგებლობა მოეტანათ და როგორც უბაბუთ სწევითა ხოლმე, პოლიტიკურ და მსოფლიო საკითხებზეც აქ... ყორესთან და სახლის სახურავებზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ“.

იმ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში, როცა საქართველოში მრავალი პარტია არსებობდა და თვითული შესაბამისი საზოგადოებრივი ძალის გამოხატულებას წარმოადგენდა, სრულებით არ იყო ვასავირო, რომ ახალგაზრდებს გზის ვაგვნება გაძნელებოდათ.

ასეთ ვითარებაში წარსლვა კორნელი მჭვიძე ცხოვრების პირისპირ.

როცა ოქტომბრის რევოლუციის ტალღებმა თბილისს მოაღწია და საქართველო აატორტმანა, როცა ქალაქის ქუჩებში მუშათა დემონსტრაციების ზღვა გადმოიღვარა, კორნელიმ ცნობისმყოფეარებით მიაშურა მას. „დიდი ისტორიული ამბების მოწამე ვარ,—უბნებდა ის ამხანაგს, — ვწუხვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამდენიანს მოწყვეტილი რომ ვიყავ. ცხოვრებამ ამ ერთ თვეში იმდენი რამ დამანახა და განმადღეინა, რომ მთელ ჩემს წარსულ გამოცდილებას გადასწონის“. მოუხედავად ამისა, უბაბუტს, ცხადია, არ ესმოდა მომხდარი ამბების ნამდვილი არსი.

კორნელი ამ ამბებში მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ პრობლემას გამოჰყოფდა. სოციალური საკითხები, კლასობრივი პრობლემები მისთვის არ არსებობდა, კლასობრივი ბრძოლა მისთვის გაუგებარი იყო.

პირველად დემონსტრაციაზე მოხვედრილი ყმაწვილი ვაოგნებული შესცქერის „ნაშრომნაჯაფი ხალხის ხის ქერქივით ხეშეშ უამრავ კისერს“. გაკვირვებულია, რომ მას ამრგზით უჭურებენ და უხეშად მიმართავენ. მშრომელი ხალხი ბუნებრივად უნდოდ ეყოფება სათავადანაურთა გიმნაზიის მოწაფეს, ინსტანტურად გამოართყვის მას თავისი წრიდან და კორნელი მარტოობას იგრძნობს: „ასე მოეჩვენა, თათქოს ეს ხალხი მეფის ტახტის დამხობის გამო გამოწყვეულ სიხარულს უარძალავდა. „რათა, — ფიქრობდა კორნელი, — ვანა მეც იმ ტახტის დამხობის მოსურნე არ ვიყავი, ვანა მეც იმ ერის შვილი არა ვარ, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობა სტანჯავდა? მამ, ეს ხალხი რად მიბლერის?“

ასეთი იყო კორნელის აზრი მომხდარი ამბების შესახებ და, როცა თურქეთის შემოტევა რეალურ საფრთხედ გადაიქცა, იგი მოხალისედ მიდის არმიასში. უბაბუტს მზად არის თავგან-

წირულად იბრძოლოს თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. მართალია, მან არ იცის რა მისწრაფებებით, მიზნებითა და რეალობით არის აღჭურვილი მამიდელი მთავრობა, მისთვის მოწოდების შედეგადაც ის მოხალისეთა რაზმში ეწერება, არ იცნობს მის სოციალურ სახეს, მაგრამ ხედავს მტერს, მის სამშობლოს დამონებით რომ ემუქრება.

არმიასში, რომელიც თურქეთის შემოტევისაგან თავდასაცავად ყალიბდება, დიდი პოლიტიკური და სოციალური სიჭრელია. აქ ჰყვანება ვხედავთ ყოფილ მეფის არმიის ოფიცრებს — თავად-აზნაურთა წრიდან, მოსწავლე ახალგაზრდობას, მუშებსა და გლეხებს. აქვე არიან რაყდენ ტურიაშვილი და გალაქტიონ გელაშვილი, რომლებიც შემდგომში კანონმდებლის გლეხთა აჯანყების სურის ჩამდგმელებად გვევლინებიან. რაყდენ ტურიაშვილი გულმოდგინედ კითხულობს პოლიტიკურ ლიტერატურას, ეწაფება წიგნს, რომელშიაც წერია: „სახეპოეია ამენებენ მუშურ-გლეხურ ქვეყანას. ფაბრიკა-ქარხნის — მუშებს, მიწა, — გლეხებს“.

„— რაო, რა წერია მაგ წიგნში? — კითხა კორნელმა, რომელიც შემთხვევით თავს წაადგა მას. შემერთალი რაყდენი პასუხობს: „წერია რაღაც რაღაცეებო“.

„...რას მიმაღა, ჯამუში ხომ არ გგონივარ? — არა შე კაცო. ჰყვან ერთ კუთხის მჯვიდრნი ვართ, მართალია, შენ მდიდრის და მე ღარიბი კაცის შვილი ვარ, მაგრამ ახლა ორივე ჯარისკაცი შვიკენით და ჯარმა გაგვასწორა, თუმცა, გასწორებას აქაც ბევრი რამ უცლია. ჩვენს შორის კიდევ დიდი განსხვავებაა.

— როგორ?

— ძალიან კი ეკვიმებით იმ რუს ხელმწიფის ოფიცრებს და, რა ვიცი, — მიუგო რაყდენმა და შტაბის წინ გაჭირებულ ოფიცრებზე მიუთითა.

— თარხნაშვილსა და ციციშვილზე იძახი?

— კნიაზ ციციანოვზე მოგახსენებ.

— ეგრე რად ეძახი?

— ციციშვილი რომ დაეცაძე, რიგს გარეშე ხეთი დღე მომარტყა...“

კორნელიმ შენიშნა:

— საშხედრო სამსახური დესციბლინას მოითხოვს.

— არა ისეთს, როგორც რუს ხელმწიფის დროს იყო. მამ ამაოდ მომხდარა რევოლუცია?

— მიუგო ბურღულმა, რომელიც საუბარში ჩაერია და განაგრძო: — „რუს ხელმწიფის დროს ეს ვაებატონებო: ციციანოვ-ანდრონიკოვებად ასაღუნდნენ თავს, რევოლუციის მერტკი, თავის ვეარს ისეე „შელო“ მიუმატეს, გული კი ძველი დარჩათ. დაკარგონ აქედან, მავათი არც ქართველობა და არც კაცობა არა მწამს, — დაპირილა თავლები ბურღულმა.

— ჰყვან ციციანოვის და ანდრონიკოვის დარ-



დი არა გვაქვს, წევნ ანდრონიკოსს კი არა, სამშობლოს ვემსახურებოთ. — შეინიშნა კორნელიძე.

ეს პრინციპული, კლასობრივი სხვაობა მათ შორის ზოგჯერ უღატესად მწუხარე ხასიათს იღებს და ცხარე ბრძოლაში გადადის. აქ, ჯერში გადაიტანა კორნელიძე ცხოვრების პირველი სიძნელეები, რაც მისთვის, როგორც ახალგაზრდა კაცისთვის, სერიოზული გამოცდა გამოდგა, ფრონტზე ბრძოლაში უშუალო მონაწილეობამდე. ამის შემდეგ ფიქრებიც ცხოვრების, ადამიანის რაობის შესახებ შორეული ვარსკვლავებიდან მიწაზე დაეშვა და უფრო საფუძვლიანი გახდა. სამყაროს წყობაზე ნაკლებ რთული როდი ყოფილა ადამიანთა საზოგადოებრივი წყობა. პირველი სერიოზული გაკვეთილი იყო კორნელიძისათვის შამქორის ამბები, რომლებმაც მის შეგნებაში ცვლილება შეიტანა და მის ხასიათსაც გარკვეული კვალი დაინიშნა.

კორნელი, როგორც ჯარისკაცი, ვალდებული იყო თავის თავს, სადაც სარღობა უბრძანებდნენ, იქ წაეიდეს. ამის გამო, მას მოკლე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი განმარტებები მიმართავს ბოლშევიკი ვანო მახათაძე: „თქვენ შეფის რუსეთის უსწავლელი, მანქანად ჰქცეული ჯარისკაცები კი არა ხართ, თქვენ შეგნებული მოქალაქეები, სტუდენტები ხართ და უნდა იცოდეთ და გესმოდეთ, ვის და რას ემსახურებთ, სად და რად იბრძვით, უნდა იბრძოლოთ თუ არა... შამქორი და იქ მომხდარი ტრაგედია მუდამ დარჩებათ ამიერკავკასიის ახლანდელ მესვეურებს და მათ დაქირავებულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორეულ რეგიონებში შავ ლაქად და რევოლუციის ღალატად“.

ვანოს და მის პარტიულ ამხანაგებს — სერგო ჭავჭავაძეს, კოტე გერგენიძეს, ფარნაოზ ხალაბაძეს და სხვებს, კარგად ესმოდათ, რომ იარაღი ამიერკავკასიის კომისარიატს სჭირდებოდა არა მარტო ოსმალეთის ჯარების შესაჩერებლად, არამედ რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად, ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლოდ. ამასთან შენსვეიცისაკენ კარგად ესმოდათ, რომ ფრონტთან დაბრუნებულ ჯარისკაცებს სოფლად ბოლშევიკური იდეები შეპტონდათ. მიწის საკითხის გადაჭრა კი შენსვეიცის არ სურდათ. მრევლეებისა და მემშვიდრებისათვის მათ ხელი არ უძლიათ. ყოველივე ამის გამო იზრდებოდა შემთავს კლასის უმთავრესი და სახალხო მოძრაობა. ამ მოძრაობას შენსვეიცის ანარქიას უწოდებდნენ, დეზერტირების საქმედ ნათლავდნენ და ყოველ დონეს ხშიარბდნენ მის ჩასახშობად; ისინი ფაქტიურად კონტრარევოლუციონერების რიგში გამოდიოდნენ.

ამ რთულ სიტუაციაში კორნელი ვერ ვერკვეოდა, მაგრამ შამქორის გადაბეჭვლაში გააბეჭვ

შომ, დაბოცილთა გვაგებმა მასზე შამქორეულეულე შთაბეჭდილება დატოვა. აქვე არ შეიძლება მწედლელობაში არ შევიღრობო შენს მახათაძის საავტოაციო სიტყვებში უნიჭიერესი გაარკვეული მნიშვნელობა ქონდათ კორნელის შეგნების ახალღებისათვის. განსაკუთრებული გავლენა იქონია კორნელიზე შამქორში პეტო ნატოშვილის დაღებამ. მავაშვილების ეზოში შესვლისას, როცა ის ხედავდა მოხუც მრავლავ ქალს—მარიანს, რომლის ერთადღერთი წევში მისი შამქორეული პეტო იყო, კორნელი ყოველთვის უღიდეს სიმძიმესა და გულის ტკივილს განიცდიდა.

ესე თანდათანობით უშუალო გამოცდილებით, პრაქტიკით უახლოვდება კორნელი ფართო სოციალურ ბრობლეშებს, ჭარბველი ხალხის ცხოვრების, რევოლუციამ, სამშედრო სამსახურშია და შამქორში კორნელის შეგნებაში თანდათან დაკავრვინა ძალა გიმნაზიასა და უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ თეზისს: „ისტორია გმირთა და იშვიით პიროვნებათა ბიოგრაფია არისო“. ახლა კორნელი თანდათან იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ ხალხი გაცილებულ უფრო დიდი ძალა, ვიდრე იშვიათ პიროვნება, გმირი და ბუმბერაზი ადამიანი, მაგრამ ის ჯერ კიდევ შორს იყო კლასთა ბრძოლის ხასიათისა და რაობის გავგებისაკენ. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი ისტორიული ამბები, მართალია, შეგნებამ უღიარებდნენ კორნელის, მაგრამ ხანდახან შენსაკ იწვევდნენ მასში, გურჯაველობას, გუგებრობას, ყოყმანს.

დიდი მნიშვნელობა ქონდა კორნელისათვის საავადმყოფოში ვანო მახათაძის ნახვის და მასთან საუბარს. ბევრი რამ უფრო ნათელი გახდა მისთვის. ვანო მახათაძე დაიბრა აღექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მტინგის დარბევის დროს.

მთელი ყურადღება თურქეთის შემოტევისაკენ თავდაცვაზე გადაქონდა მენსვეიკურ მთავრობას და ცდილობდა საერთო ენა გამოეცხახა მასებთან, ახალგაზრდობის პარტიოტული სულისკვეთება ამის საფუძველს იძლეოდა. მაგრამ რაოდენ შურბაცხუფელი დარჩა კორნელი, როცა ის ბორჯომიდან, სადაც მისი ნაწილი იდგა იმ დროს, თბილისში ჩამოვიდა ორი დღით. „...რღესაც თბილისში ჩავიდა, საღვურსა და ქუჩებში ვაიარა, მისი ღლაცება უმაღლე ვაქტრა.. ჯარის და ბორჯომში ნაგრძნობი მოვალეობა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა საღახანა ხალხის დახანგამ შეუბღალა... ბრძოლის წყურვილი, ერთის და ორის შეგნება, უბრინციობა ხალხის და ვიგინდარების სიმრავლით იზრდილებოდა. ყოველივე ეს კორნელიმ ახლა უფრო გარკვევით დაინახა“.

ამ არვე-დარევესა და დომალში ბრალი ვეღბოღათ, ცხადია, მენსვეიკების, დაშნაკებისა და

მუსავატელების მთავრობებს, რომელთაც არ სურდათ საერთო ენა გამოეყენებინათ და გლეხებთან, მშრომელ ხალხთან და საჭირო წესრიგი ვერ დაემყარებინათ.

გულგანზარდა და შეწუხებული ბრუნდება კორნელი ჯარში. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ უწყობანობს იმის თაობაზე, მიიღოს თუ არა მინაწილეობა თავდაცვით ბრძოლაში, თავის თავზე გამოცდის ბრძოლის სიძულელებს, საუკეთესო მეგობრის დაკარგვას. ფეხით შეპირების ბორჯომის ხეობას, ჯავახეთს და ნახავს გ-ლ-ატყებულ, ჩამორჩენილ და გაუნათლებელ მოსახლეობას, ომის საზარელ სურათებს. ყველაფერი ეს კორნელსა და მისი თანამებრძოლ ჯარისკაცების შეგნებაში კიდევ ახალი ძალით წამოჭრის იმ საკითხებს, რომლებიც მან მოწაფეობისა და სტუდენტობის წლებში აწუხებდა.

ცხოვრების მთელი წინააღმდეგობანი, მათ შორის, ყველაზე ძნელი და გარდუვალი—სიყვდილი, რომელიც ახლა საუკეთესო მეგობრის გარდაცვალების შემდეგ მოველინა ახალგაზრდებს, აწინებთ და სიკვდიელს განწყობილებებს ბადებს მათში. მაგრამ ისინი იშველიებენ მეცნიერების მიღწევებს, მატერიალსა და „სტუდს“, სიყვდილ-სიცოცხლის ბრძოლებს გადაწყვეტაში და აღსატრელებენ სიცოცხლის განგრძობის აუცილებლობას, „მაგრამ როგორ? აი მთავარი კითხვა. ვიცხოვროთ იდეალური საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც აღმართის ბედნიერად ეცხოვრება, საკაცობრიო იდეალების გარეშე, ვერაფერი ვერ დააძლევინებს აღმართის სიყვდილის შიშს, პესიმიზმს და ნიმილიზმს; გოეთს ფაუსტიც ხალხის სამსახურში ამთავრებს შეცდომებით სავსე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზას“.

მაგრამ კორნელი როდია ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებული მებრძოლი, რომ უწყობანოდ მიიღოს ვიგა ნახუტაიშვილის ეს დებულებები, პირიქით, მისი აზრით, ვერაფერი იდეალური საზოგადოების დაყარება ვერ უშველის პიროვნების ტრაგედიას და ვერ იხსნის აკოს სიყვდილის შიშისაგან.

კორნელი ჯარიდან წასვლის შემდეგ განსაკუთრებული სიმტკიცით ეწაფება ცოდნის წყაროს, დღედაღამ კითხულობს წიგნებს, ეფულება უცხო ენას, სწავლობს უნივერსიტეტში. დიდი მნიშვნელობა აქვს კორნელის ხასიათის განვითარებაში მის შინაგან რწმუნას. კორნელი იცის, რომ დეკადენტი მწერლები და მენშევიცი ორატორები მასზე უფრო ნაწილად არიან, იციან უცხო ენები, მაგრამ იმედს აქვს, რომ ეს განსხვავება მალე აღარ იქნება. „სულ მალე დაეწევი და გაეღწევი მათ ცოდნაში... განა მართა ცოდნაში? რა გაეწყობა, — ამოიხარა კორნელი, — ნამდვილი ჩემი ძალა და საზე

ჯერ არაინ იცის. მაგრამ დღედაღამ ეწევი, რომლისთვისაც დღედაღამ ვეძნადები, და მამინ ყველა დაინახავს ჩემს ცოცხანს და მსახურს, გრძობისა და ნებისყოფის მადლობას“.

შემდეგი დიდი ეტაპი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კორნელის ცხოვრებაში იყო კარის-მერეთის აჯანყება და მის მამობრძალულ საზოგადოებრივ ძალებთან გაერთიანება. კორნელი, წიგნების გარდა, სწავლობდა სისხლით დაწერილ ცხოვრების მეცნიერებას. პეტო ნატო-შვილი, აკო ბაჭრაძე — „კანარიკა“, ჯევებ მიქელაძე, გრიგოლ ცაგერაშვილი და ბოლოს... გოჯასპირი!

— „შენ თებერვალისტი ხარ თუ მენშენიკი“ — მთულოდნელად ჰკითხა კორნელის დურგალმა ივლომ, რომელიც ტერგზას სამზარეულო სახლს უვარს აქედნება.
„— მე არც ერთი ვარ და არც მეორე — მიუგო კორნელი.
— ამა რა პარტიის ხარ?
— ქართველი ხალხის“

ხალხის სამსახური ამ დროისათვის კორნელის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და მის იდეალსაც ეს წარმოადგენდა. მაგრამ ამაჯერად ახალი კითხვა იდგა მის წინაშე: როგორ უნდა ემსახუროს ხალხს? ვინ ემსახურება მართლა ხალხს, რომელი ხარტია?

მენშევიციების ხალხსადმი სამსახური კორნელისათვის უკვე საუკუო გამხდარიყო, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ეს პარტია ხალხის მოწინააღმდეგე და საპირისპირო ძალად გარდაიქმნებოდა, თუ უკვე გარდაქმნილიყო. ამას იგი კარისმერეთის აჯანყების დროს დაიწმენდა, თუ მისთვის მიაჩნდებოდა იდეალი არ იყო ბრძოლის პერიოდებში გარკვევა, ერთმა მომენტმა მთლიანად ნათელი მოპოვდა მენშევიციების პოზიციას, გამოაშკარავა ისინი, როგორც ანტიხალხური, გადაგვირებული დაჯგუფება. კორნელი ამ თავისი თვალით იხილა მუსხევი ნამოცილებული გოჯასპირი!

„ოთხმოცი წლის გოჯასპირს მწერდზე სცემდა თეთრი წვერი, გაფანტულ წარბებში განიჭიკოდა ომის სამი ღერი, ყველაზე გრძელი და წამაწამებამდე გადაშფენილი. გოჯასპირს არყის ხის ქერქისფერი ჯერ კიდევ ბასრი თვალები ჰქონდა, აყალო მიწასავით წითელი, სისხლით მასე და მუხის ქერქითი დახეული კისერი. ძარღვები ფეხებივით შემობლართოდა ხელზე. კორნელის მოეჩვენა თითქოს გოჯასპირს ეღალ მოხას დედამარის, მაჭრის, ღვინისა და კაკის სუნი ანდისო, ზოლო ტანისა და მაჯას — თორანის პურისა და გომოჯის. მიუხედავად გოჯასპირის ხნიერებისა, მისი ვეება ხელები კიდევ განავრძობდნენ დედამარისთან ჰილილს...“
ამ რომდენიმე სტრიქონში დახატული ადამიანი უჩვეულო ძალით ცოცხლდება მკითხველის წინაშე. იგი მკაფიო, ინდივიდუალური

ნიშნების მქონე პერსონაჟი და ამავე დროს, უდიდესი ძალის სახე — სიმბოლო. ამ სახეში ლაონურიადა გადმოცემული ქართული კაცის, ქართველი მშრომელი ადამიანის აწმყო და ისტორია, ქართული მიწის, ტყის მაღლი და სურნელი.

კარისმურეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო გოჯასპირის შვილი — ფრანტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი — გალაქტიონ გელაშვილი. კარისმურეთის აჯანყება მხეცურად ჩაქრის გვარდიელებმა და მენშევიკური მთავრობის ჯარის სხვა ნაწილებმა. მოხუცმა გოჯასპირმა არ მოისურვა ეთქვა საით წავიდნენ მისი შვილი გალაქტიონი და აჯანყების სხვა მეთაურები. ეს გახდა იმის საბაზი, რამ გოჯასპირი ჩამოაბრჩეს. და თანაც განყარგულემა გასცეს არაფერ მიჰყარებოდა მას.

შეუძლებელია აღვლევებლად წაიკითხოს კაცმა იონასა და კორნელის მიერ მუხაზე ჩამოკიდებული გოჯასპირის ნახვის, კორნელის მიერ გვამის ჩამოსხნის, ასინასა და შოელი სარკობის ქალების მიერ გოჯასპირის დატირების სცენა. ყველაფერი ეს ისტატიის ხელთაა აღმუშავებული.

კორნელის ფსიქიკას, მის ადამიანურ ბუნებას, მის ხასიათსა და შეგნებას წარუშლელი კვალი დაანია ამ ამბავმა.

„ფეხებზე მკილია მე გვარდიის ისინი საქართველოს ხალხს სტანჯავენ. გოჯასპირი ქართული ხალხის სახედ მყავდა წარმოდგენილი. გოჯასპირმა მახარა მე ქართველი ხალხს თვისებებს, ზნესა და ადათებს. გოჯასპირთან მიყვარდა მე საუბარი, მისი ტკბილი ქართული და ვონიერი ბჭობა და ასეთი კაცი ხეზე ჩამოკიდეს, ჩამოაბრჩეს და ამით შენშევიკებმა სამუდამო ზღვარი გათხარეს თავისთვისა და ქართველ ხალხს შორის“. — ასეთ დასკვნამდე მიდის კორნელი.

ამ დღიდან მენშევიკები და მათი პარტია სრულიად უცხო და მიუღებელი გახდა კორნელისათვის. იგი ამ პარტიის წევრი ამ თანამგრობნი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მინიქ მოყვებოდა ხოლმე მის ღობუნებს. ახლა კი, კორნელიმ სამუდამოდ უარყო მენშევიკური პარტია. მაგრამ იგი არ ეკუთვნოდა არც სხვა პარტიას. ცხადია, აქ ლეზარაჟია არა ფორმალურ მხარეზე, არამედ ახალგაზრდის ნამდვილ მსოფლიმედველობასა და პოლიტიკურ მრწამსზე. კორნელის კი არ განაზღვრა სწორად ეს შინაგანი სამოქმედო გეგმა, მას სურდა რაღაც კარგი და საჭირო მოემოქმედა ქართველი ხალხისათვის, ოღონდ არ იცოდა როგორ, რანაირად, რა კონკრეტული სახით. იგი ერთხანს ხალხისანი იონას გავლენაშიც ექცეა და სერიოზულად ფიქრობს, რომ ცალკეული კეთილი საქმის ვაკეთებით მიალწევს „ზნეობრივ“ განწმენდას. მას მიანია, რომ

მოჯამავიერ დომენტიასთვის სამოსახლო მიწის მიცემით, იგი სამსახურს გაუწევს ქართველი ხალხის ერთ წარმომადგენელს რძის მამდროს ქართველ ხალხს. კორნელიმ მას ^{მამდროს} მამდროს მიწის პობლებმის გადაწყვეტა ამგვარად როდი შეიძლება. მისი გონებისა და გრძნობების განვითარება პარმონიულად და, ყოველთვის ზეაღმავალი წესით როდი ვითარდება იმ პოლიტიკურსა და ეკონომიურ არვე-ღარვეში, რაც მენშევიკურ საქართველოში სუფიდა, ვარკვეულ პერიოდში კორნელი სრულიად დაიბნა. მას ველარ გაერკვია, რა ხდებოდა ამ ქვეყანაზე. მართალია, მეფის რუსეთის რაინის ქუსლი მოგვიცოდა, მაგრამ რა მივლეთ სანაცვლოდ, ფიქრობს ის, გერმანელთა საოკუპაციო პრაქტიკაზე არ ხვალ, შეიძლება, ინგლისელებს მიჰყიდონ მენშევიკებმა საქართველო, როგორც ვანი მახათამე ამბობს! ყველაფერში და ყველგან ცდილობს კორნელი შექმნილი მდგომარეობის გამოკვლევას, მისი აზრის გასხნას.

მაგრამ შეუძლებლობით, თუ ვიტყვილით, რომ კორნელი მიზლოდ საქართველოს ბედით იყო დაინტერესებული. იგი ხშირად ჩაფიქრებული იყო საკუთარი ბედის გამოც. მას ჰქონდა წმინდა ეგოისტიური მიდრეკილება. კორნელი ეჯიბრებოდა იმ დეკადენტ მწერლებსა და პოეტებს, რომელთაც ახლა ლიტერატურის სადავეები ხელთ ეპყრათ. ამიტომაც ეუფლებოდა ახალი ლიტერატურული ჯგუფის „სიბრძნის“, „გემოვნებას“ და „სტილს“, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტურად გრძნობდა მათდამი სიძულვილს.

კორნელის სურდა, რომ ზნეობრივად ისევე ფიქში ყოფილიყო, როგორც მისი სათაყვანებელი ნინო. თუმცა მისდამი ტრელობის უკიდურესი აღტყინების დროსაც შეეძლო ეღალატნა მისთვის, ხოლო მეორე დღეს უდიდესი აღმფიქრებელი ფიქრა ნინოს წინაშე ნადენილ დანაშაულზე და თავი უსასიზღრეს არსებად წარმოვლგინა, მტკვრისავე გაწეულიყო, თითქო თავის დასახრჩობად, მერე კი ვეკუთვრი მხარულით გადაესერა იგი, კარგად ეცურა და თავი ყველა ცოდვისაგან განმანილად წარმოვლგინა.

ასეთი წინააღმდეგობრივი, მერყევი და უსისტემო კორნელის ხასიათი, როცა იგი კარისმურეთიდან თბილისს ბრუნდება. ამ დროს ცხოვრების პირიბებშიც უმტკვრია. მისი მამა, ცნობილი ქიბურგი ეეგენი მხევიძე, პარისს გაემგზავრა სამეცნიერო მივლინებით, დეიდა ელენე და დათა მიქელაძე პორჯოშს იყვნენ დასასვენებლად, ხოლო კორნელი მარტო დარჩა თბილისში. ამასთან, დედას თანდთან უჭირდა ფულიის გამოგზავნა; კორნელის საარსებო სახსარის თანდთან აკლდებოდა. თბილისში ცხოვრება ძალაან გაუჭირდა ჰმატეს: „იგი შეშინდა და თანაც შეძრწუნდა. თავმოყვარე-



ბა შეებლალა და ნებისყოფაც მოუღუნდა. სიმწირით ვარძობდა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რომ ირაციებოდა და იქ თავის შესაღწერ ადგილს ვერ დოკავებდა. ცხოვრების პარპოზებმა შეაგზავნა უმტყუნენს. არც ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსი გაანინდა, რომ ამ მრწამსისათვის ტანჯევა შეეხად მიეღო და, თუ საჭირო იქნებოდა, მოჰყვდარიყო კიდევ. მაგრამ, შინაშისი ვაჟს, ავადმყოფობამდე მისული წყურვილი დაეუფლა ცოდნის შექენისა. იგი დღედაღამ წიგნებს კითხულობდა და მართლაც გააფთრებით „უღაპავედა“ მათ. ბოლოს შინაშელმა თავისი გაორტანა და კორნელი სამსახურშიაც მოეწყო უნძარო რეკონსტრუქტორის თანამდებობაზე გადასახდითა ინსპექტორად. ამავე პერიოდში იგი პირველად ცდის კალამს, აქვეყნებს მოთხრობას „ასპინძა“. „ასპინძას“ მოჰყვა „ასკერი“, რომელშიც სახელი მოუხვეჭა კორნელის. მაგრამ მესამე მოთხრობა, „გოჯასპირი“ მიუღებელი აღმოჩნდა პლატონ მოგველასის ლიტერატურული „სკოლისათვის“. მართალია, რასაც კორნელი წერდა, ცხოვრებიდან იღებდა და ზედადლად განცდილი იყო; „ასპინძა“ და „ასკერი“ ამ მხრივ არ განსხვავდებოდა „გოჯასპირისაგან“, მაგრამ პირველი ორი მოთხრობა სხვაგვარად იქნა აღქმული და გაგებული დემოდენტი მწერლების მიერ. „ასპინძაში“ აღწერილი იყო გრიგოლ ცაგერაშვილის საცდლილი, ხილი „ასკერში“ კორნელის მიერ ასკერის მოკვლა. კორნელისათვის ორივე მოთხრობა თავისი ცხოვრების გზის მონაკვეთები იყო, ტანჯვითა და ცრემლით განვლილი, პლატონ მოგველასისათვის, თეოდორე გოთუას, დონარდო ტანატასისათვის კი — სიკვდილსიყოცლის პარპოზების მისტიკური პერეტიკა. „გოჯასპირი“ კი სხვადასხვა განმარტების საშუალებას არ იძლეოდა. კორნელის ეს მოთხრობა აღარ დაუბეჭდეს.

სამაგიეროდ, დიდი ინტერესით მოისმინეს „გოჯასპირი“ ვანო მახათაძემ და ნიკო გოცირობემ კორნელის ბინაზე. მათვე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გოჯასპირმა, რვეოლუციური გლეხობის ბრძოლის რეალისტურმა აღწერამ, და იმ სახეებმა, რომელთა პარტოტიპებსაც, სხვათა შორის, თვითონ ვანო და ნიკო წარმოადგენდნენ. „ვანომ მრისხანე სახე მიიღო და კორნელის უთხრა:

— ასეთ მოთხრობებს თუ დასწერ, მენშევიკურ ჯარს მიატოვებ, მენშევიკებს შეებრძოლები და ჩენი თანამგზავრი გახდები, მაშინ სწორ გზას დაადგები. იცოდე, სიმატლე ჩენს მხარეზეა!.

ვანოს თვალები უცნაურად აღენთენ. საყინდე შესწინდ მის გამხდარ და გრძელ კისერზე, კომისის წწლვით დაგტრბილი მოღერჯო ძარღვი გამოზერაილიყო და გამალებით მებრდა.

— მე არც ბოლშევიკი და არც მენშევიკი არ ვახლავარ, — მიუგო კორნელიმ — მაშ?

— უნარტო კაცი, მწერალი —
— მწერლობა პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. მწერალს გარკვეული მსოფლმხედველობა და პოლიტიკური მრწამსი თუ არ გააჩნია, იგი ვერაფერს თვალსაჩინოს ვერ შექმნის.

— ჩემი მსოფლმხედველობა, ვფიქრობ, ჩემს მოთხრობებში ცნაურდება, ჩემი მრწამსი — ქართველი ხალხის თავისუფლებაა. ქვეყნად ქმობა-ერთობისა და თავისუფლების დაძაბრება.

როგორც ვხედავთ, კორნელი ემიჯნება, როგორც მენშევიკებს, ისე ბოლშევიკებს. მას თავი წარმოდგენილი აქვს უნარტო პემინისტ მწერლად. მაგრამ თუ მის შინაგან მოთხოვნებს წარმოადგენს წეროს ისეთი მოთხრობები, რომლებიც „სუბრდება“ ნიკო გოცირობისა და ვანო მახათაძის პარტიას, ბოლშევიკების პარტიას, მაშინ, ცხადია, კორნელის პენინიზმი, ფაქტურად, კომუნისტური პენინიზმია და კორნელის გზა კომუნისტური პარტიის იდეალებისაკენ მიემართება. იგი ამ მიმართულებით მიდის.

კორნელის თვალსაზრისი, მართლაც, „ცნაურდება“ არამარტო მოთხრობის თემის შერჩევასა და მის იდეურ გადაწყვეტაში, არამედ იმ რეალისტურ მხატვრულ საშუალებებშიაც, რომლებიც გამოუყენებია მას „გოჯასპირის“ შეთხზვისას.

საგულსხზოა ისიც, რომ ნინოსთან კონფლიქტი უმაღლეს წერტილზე აიყვანა სწორედ „გოჯასპირის“ გამოქვეყნებამ: მაყაშვილებმა „გოჯასპირის“ ატორისა დაინახეს მტერი, რომელიც თავიანთივე ბანაკს გამოეყო და ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. ეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო, რომლის გამოც ვარდომ და ესტატემ გადაწყვიტეს სამუდამოდ ჩამოეცილებინათ თავისი ქალისათვის კორნელი მხიემ. „გოჯასპირი“ გამოქვეყნების ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კორნელის მიმართ პოზიციის გაომომეყვებაში არა მხოლოდ ნინოს მშობლებისათვის, არამედ თვით ნინოსთვისაც. კორნელიმ იცოდა, რომ ნინოს მისდამი დამოკიდებულებაზე უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია მისმა კავშირმა მარგარიტა ლეტეტთან, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს კი არ იყო მათი დამოკიდების მთავარი მიზეზი, არამედ კორნელის პოლიტიკური მრწამსი. „დაე ასე იყოს, — ფიქრობდა იგი, — ჩემი რომანი დასრულდა. მე ახლ ცხოვრებას ვიწყებ. მე რვეოლუციურ ბრძოლაში ვებმები, იმ ბრძოლაში, რომელიც ესტატე მაყაშვილთა მსგავსს რეაქტორულ და დილისტერულ ბუღებებს დაანგრავს...“ კორნელი უდიდესი გული-



ტივილით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, რადგან კარგად ესმის, რომ ამით კარგავს ნინოსაც. რომ გავითვალისწინოთ ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა, რომლის გამო კორნელიმ ბრძოლა გამოუცხადა საყვარელი ქალის ოჯახს, კლასს, უმკველად უნდა გვაიზბროთ, თუ რაოდენ დიდია სიყვარული იყო ნინოსადმი კორნელის გულში, და, რაც უფრო ღრმა და ძლიერი იყო ეს სიყვარული, მით უფრო ძნელი იყო კორნელისათვის მისი დათმობა, მით უფრო ძნელი იყო დაერწმუნებოდა თავისი თავი, რომ „მისი რომანი დასრულდა“ და მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ის იდეალი, რომელზეც კორნელი ებრძოდა.

ნინო კორნელისათვის მარტოდენ საყვარელი ქალი როდი იყო, არამედ სულის ნაწილი და ცხოვრების მშვენიერება. კორნელის ეს დიდი, უოვლისმომცველი სიყვარული ნინოსადმი სრულიად გამართლებულია, ვინაიდან ავტორმა შექმნა მართლაც რომ უნაზუსტი და უჯუთილშობილები სახე ასულისა. ნინო მავაშვილის რომანტიკულად შეფერადებული მხატვრული სახე მედამ იქნება ქართული მკითხველის გატაცების საგანი, მედამ იქნება ეს სახე მისთვის მახლობელი, როგორც ქართული ქალის ერთადერთი ხასიათი.

ნინო მიწვილელი და საყვარელია ყოველთვის — თავის ბავშვურ შიშობობასა თუ ჰკვიანურ მსჯელობებში, მაღალმორალურ სწორფედესა თუ ღრმა და ეჭვიან სიყვარულში, თითო შევდომებშიც კი, რომლებსაც ის არაინფიათად უშვებს თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე.

„ბრძალები“ უშესანიშნავესი თავია „პირისპირისა“, გოჯასპირის დაღუპვის სცენებთან ერთად ის დაწერილია დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით, პუბლიცისტური სიმშავლითა და მხატვრული ოსტატობით. ჩვენს ლიტერატურულ პრესაში სწორად ყოფილა დავა პუბლიცისტის ადგილისა და რაობის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში. „ბრძალებში“ კორნელის მსჯელობა იდეოლოგიის საკითხებზე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თუ ნაწარმოებში თავის ადგილს და საქირობისამებრ არის გამოყენებული პუბლიცისტური ხერხი, თუ ეს საქირობა ხასიათების გახსნისა და არა მხოლოდ ავტორის ზოგადი მსჯელობისათვის, ის სრულიად ამართლებს თავისთავს და, უფრო მეტიც, აუცილებელი ხდება. კორნელის მსჯელობა ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიაზე, მის დაპირისპირებაზე მენშევიკებსა და ვედა ჯურის ფილიტრებთან, გაიხსნის არა როგორც უალბი ავტორისი უფეროვანი სიტყვები, არამედ როგორც ამ დიდი ადამიანური ხასიათის სისხლბორცული საქმე, როგორც დიდი ისტორიული და ფსიქოლოგიური სიბრძნე:

„...თქვენ ძალიან გამოიცვალეთ, ასეთი არ იყავით. ნუთუ ამას ვერ ამჩნევდნენ? [ქნენ?] — მე მხოლოდ იმას ვამჩნევ [და] მისამ ვერძნობ, რომ ჩემი ფიქრი? გრძნობა და საქციელი სწორად არ გვუბნება თანამედროვე ეპოქის სულს. თქვენ მართალი ხართ. თქვენ ჩემში ხედვიმედობად განწყობილ იდეალისტს ხელდავლით და მოგწონდათ ეს. თქვენ მართალს ბრძანებთ, ინსტინქტს არ უღალატნია თქვენთვის. მე ბევრ რამეზე აზრი გამომიცვალა. მაგრამ სატანასავით ყველაფერს როდი დავიტინი, არამედ მის, რაც დასაცინია.

— აბა, თქვენ ყველაფერს და ყველას დასაციინით: მე, ელოს, ჩემს მშობლებს, თვად-აზნაფრობას, ინტელიგენციას, ჩვენს მთავრობას, მეშებსა და გლეხებს კი აქებთ და აღიღებთ. მარტო გოჯასპირი რადა ღირს. თქვენ ბოლშევიკებს მოკედლებიხართ... მივივრს!

— რად გიყვით? ვანა გულზედაქრფელი უნდა ვუღმირო ქვეყნად არსებულ უსამართლობას, — მიუგო კორნელი — ამაოდ გეშინით თქვენ ბოლშევიკებსა. სიმაართლე მათ მხარეზეა. ისინი ხალხთა თავისუფლებას ეტრფიან. ბოლშევიკები ხალხის ინტერესებიდან გამოდიან. ისინი სოციალური უთანასწორობის მოსობას ქადაგებენ, ისინი შრომის პრინციპზე აგებულ თავისუფალ ქვეყანას ქმნიან. მეც მათ გზას მივსყვები. გადავიტოვო ეს თქვენ მშობლებს, რომლებმაც სწორად ამის გამო შემიძღეს, თქვენც შეგაძღეს ჩემი თავი და ახლა საშიში და საესებით შეცვლილი გერყენებით. დიახ, მე გამოვიცვალე, მე ბევრი რამ ენახე და განვიცადე და საყვარელი იქნებოდა, საზოგადოებრივ მოვლენებზე და ადამიანებზე აზრი და შეხედულება რომ არ შემეცვლოდა.

— მიინც რა განიცადეთ ისეთი? — გაუბედავად ჰკითხა ქალმა.

— ომი, გულითადი შეგობრის გრიგოლ ცაგურიშვილის ბრძოლაში დაღუპვა, ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის გოჯასპირის ჩამოხრჩობა და ათასი სხვა უხედურება: კაცისკლა, კაცისძიქუდილი, ტანჯვა, მდიდრის მიერ ღარიბის ჩავება, უსამართლობა, დაღატაკ, აწვარება, სიცრუე, უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფა, საყვარელი ქალის დაკარგვა... აბა რიშელი ერთი მოეთვალაო?

უქანასწულ სიტყვებზე ნინომ თავი ასწია, კორნელის მიაშტერდა და ამოიხრჩა. კორნელის ისეე შეეცოდა და უთბარა — თქვენი ტანჯვა ისეე გრძელდება. მე არ მინდა ეყოლო მიზეზი თქვენი ტანჯვისა. მე თავს ვანებებო, მხოლოდ ესტატემ, ვარდომ ელომ და მიხამაც დაგანებონ თავი, გაცალონ, საკუთარი გონებით და გრძნობით იხელმძღვანელოთ. წარსულს ნულარ მოიგონებთ, ნუ გამიბრახლებით, ჩემი

სურვილია თქვენ ბედნიერი და თავისუფალი ქალი იყოთ“.

ის, რაზედაც აქა ლაპარაკი, უღრმესი საზოგადოებრივი კავშირებითა და დაბნეული პერსონაჟების ბედთან, მათ აწმყოსთან, მათ შოში-ვალთან, მათი ცხოვრების პირთაგან და სო-ზოგადებრივ აზრთან. ამიტომაც კორნელისა და ნინოს სიყვარულის ამქმნიანი ამავე, თავისი განუყოფელი ინდივიდუალობის მიუხედავად, მკაფიო ისტორიულ ანაბეჭდს ატარებს. სიყვარულის ზოგადი პრობლემა დროის კონკრეტულ ფარგლებშია დანახული. ნინოსა და კორნელის სიყვარულში განიცადა კლასობრივი ბრძოლის ის ზეგავლენა, რომლის გარეშე არც ერთ სოციალურ მოვლენას არ შეეძლო წარმოშობა და განვითარება.

კორნელისა და ნინოს სიყვარული რთულ ურთიერთობათა ხლართში მოქცეა. ნინო შშობლებს დამჯერი ქალია და მათ ზეგავლენაში იმყოფება. შშობლების მტრები მის თავის მტრებადაც მიიჩნია და ამიტომ არ თანაგრძნობს კორნელის, მაგრამ როგორც ქალს, ადამიანს, უდიდესი ძალით უყვარს ეს ახალგაზრდა. კორნელის ის აფიქრებდა და იმის შიში ჰქონდა, რომ ოჯახს ნინო არ ჩაეთრია ფილისტერულ მემკვიდრეობაში.

კორნელის ღრმად სწამს, რომ ნინო, რომელიც ახლა „ბრძნად იმეორებს მამის სიტყვებს“, მამამისივით და მისი ოჯახის მეგობრებზევით აღტორისი შიერ დასაღუბავად განწირული არ არის, რომ დრომოკმეული საზოგადოება დაემხო და ნინო თავს დააღწევს სიბნელით მოკულ გარემოს. — „არ იფიქროთ მტრად მოგეკიდეთ. — მიმართავს ის ნინოს. — დადგება დრო და ეს დრომოკმეული საზოგადოება დაემხო და მაშინ მოვალ თქვენთან, მოვალ არა შერისიძებნისათვის, არამედ ჩემი უნაგარო, განზარტული სიყვარულის გამართლებისათვის, მაშინ საბოლოო სიტყვა თქვენზე იქნება... მართალია, ჩვენ ახლა გვორდებით ერთმანეთს, მაგრამ არა მგონია, რომ თქვენ ასე ადვილად შეგეძლოთ ჩემი დაიწყება... მე ისე მოვალ... როდესაც თქვენდამი ჩემს უნაგარო ვტანობებში დარწმუნებულნი... მაშინ, როდესაც ჩემი გზის სისწორეს არწმუნებთ... მაშინ შესაძლოა თქვენ ისრულოთ ჩემი თანამგზავრობა. და თუ არ მოველა, დაკარგულად ჩამოვალეთ, როგორც თქვენთვის აგრეთვე სხვათათვისაც. იგულისხმეთ, მართალი საქმე დამარცხებულა, სინათლე ბნელს შთაუნთქავს...“

ამის შემდეგ კორნელი სრულიად მომწიფებული და ჩამოყალიბებული მებრძოლია. იგი არათუ ეკლავით, თავისი სამწერლო მოღვაწეობით, არამედ იარაღით იბრძვის ბოლშევიკების რეჟიმში. ასე, ცხოვრებისათან პირისპირ, გამოიწრით მისი ხასიათი, მომავლისათვის მებრძოლი გმირის მხატვრული სახე. და ეს საესებით

გამართლებულია, რადგან „პირისპირში“ მთავარი გმირის ჩამოყალიბების პროცესში, ძირითადი თემა. ნაწარმოებში, გვევლინება ერთი იმთავითვე იდეურად მომწიფებული გმირები: — ვანო მახათაძე, სერგო ქავეიარაძე, ბესო ალავეცი, ფარნაოზ სალარაძე, ნიკო გოციბოძე, და სხვ. ოღონდ რომანის მთავარი ესთეტიკური ამოცანა დადებითი გმირის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესია. ეს გზა წინააღმდეგობებით აღსავსე იყო: არა სწორახაზოვანი, არამედ წინსვლებითა და უკუსვლებით, დიდი ფიქრებითა და ეჭვებით, გამარჯვებებითა და მარცხით, მონაპოვრებითა და დანაგარჯვებით აღსავსე. ამაშია მწერლის ძლიერება, მისი ნაწარმოების მხატვრული სიმართლის საფუძველი, მაგრამ კორნელის მხატვრულ სახეში, ყველაფერი როდი ეთანხმება ხასიათის განვითარების ლოგიკას. კორნელის მოქმედება, მისი ფიქრები და აზრები ყოველთვის როდი სტატურული სიმართლის შთაბეჭდილება.

აღნიშნული თავის შემდეგ, რომელსაც „ბარათები“ ეწოდება, უნდა ვივლისებოთ, რომ კორნელი ჩამოყალიბებული მებრძოლია, მისი იდეოლოგიური არსენალიც აღუტრიალია ბოლშევიკური იდეებით და მისმა ხასიათმა სათანადო წართმება გაიარა. ამის შემდეგაც, რასაკვირველია, დასაშვებია ზოგჯერ შეიშლება, შეერთება სიბნელის წინაშე, სოსუსტის გამოჩენაც კი, მაგრამ შეუძლებელია იმ დიდი დამუხტვისაგან დაცვა, რაც მან მთელი ცხოვრების გაკვეთილით მიიღო, რასაც მან ესოდენი ტყვეობით მიიღო.

საბოლოო მეცნიერებისათვის ასეთ გამოკვლევას დღეს მნიშვნელობა არა აქვს. მისტიციზმს საშუალო საუკუნეებისათვის ჰქონდა მებრძოლი მნიშვნელობა, როდესაც იგი, გან-

საერთოებით შემარცხენე ბანაის სახით, ეკლესიის წინააღმდეგ ოპოზიციას წარმოადგენდა. მაგრამ აქ მთავარი მაინც ეს არ არის. ფსევდო-დოინისეს (პეტრე იბერს) საქმეში მისტიციზმი შედეგი იყო და არა დასაყრდენი და ისიც სხვათა შორის. ფსევდო-დოინისე ერთ-ერთ თავის წერიალში, რომელთა ათი ცალი შენახულა დღემდე, სწერდა: „მისტიკა კი არ ამტკიცებს ჭეშმარიტებას, არამედ აჩვენებს მას გამიშვებულს, სიმბოლოების საშუალებით“ (ფსევდო-დოინისე, წერილი IX, ბერძნული პატროლოგია, 3, 1105).

განსაგებია, რატომ ეპოტინება მისტიციზმს ფილოსოფიის ზოგადი ისტორიის, როცა იგი ცდილობს ამტკიცოს ავგუსტინეს როლიც ანტიკურიდან საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიაში გადასაქვლად. ჭეშმარიტების სიმბოლოების საშუალებით უშუალო ხილვისადმი სწრაფვა მართლაც აბასიათებდა სამზადის ხანს, V — IX საუკუნეა მოახროვებს. ეს მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანი იყო. მაგრამ ეს არ იყო ეპოქის შემქმნელი დამახასიათებელი მოვლენა. და ყოველ შემთხვევაში, ახროვნების, როგორც ასეთის, განვითარებას არ წარმოადგენდა.

ახროვნების ძირითადი პრობლემა, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიას მასი არსებობის მიჯნავს — V საუკუნემდე მოჰყვა, იყო საკითხი — რა გამოყენება შეიძლება გააჩნდეს უარყოფას, ნეგაციას ახროვნებისა და შემეცნებისათვის. პროკლემ ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. მან, როგორც პეველი აღნიშნავს ფილოსოფიის ისტორიის (ტ. IX, გვ. 62 და სხვ.), ვერ გაბედა ნეგაციის მიყენება ღვაკლის ცნებისათვის და ამით ფრიალ განაზღვრა თავისი მოძღვრება დიალექტიკის შესახებ.

აი, ეს საკითხი იყო მთავარი და აქ არ იყო საკმარისი იმის ცოდნა, რომ ასეთი საკითხი ედგა ანტიკური ფილოსოფიის მიწერულში. პლოტინა ფორმულირებაში ეს ამბავი, როგორც საკითხი, იყო, ცხადია, ავგუსტინესაც, მაგრამ საქმე ისეთში მართო კი არ იყო, არამედ მისი გადაწყვეტის ცდებში. თავის მთავარ თხზულებაში — „საღმრთოთა სახელთათვის“ პეტრე იბერმა გადაწყვიტა ეს საკითხი ისე, რომ ნეგაციაში არსებული პოზიტიური შინაარსის უპირატესობის დამტკიცება შესძლო და ამან შექმნა ამერიდან ეპოქა, პროკლემ დაწყებული.

ეს იყო ეპოქის ამოცანა და არა მისტიციზმი. რაც, როგორც უკვე აღვლინეთ აზრებით მოვლენა, თათქმის ყველა საეკლესიო მოღვაწისათვის შეიქმნა მისაწვდომი V საუკუნეში, და იგი, ცხადია, ავგუსტინესათვისაც დამახასიათებელი იყო. ნეგაციური დიალექტიკის მნობნელობის გაგებამდე არ მისულა არც ავგუსტინე, რომელიც ამ დროს უკვე აღარ იყო, და

არც სხვები IX — საუკუნეში, როცა იგი ამბავი გააცოცხლა იოანე სკოტ ერითრეისა და დასავლეთის ფილოსოფიის სურთ, რათაც არ უნდა დაჯდეს, საქმე ისე წარმოადგინონ, და თუ მოსერიდა, დაატკიონ იოანე სკოტ ერითრეის დამოუკიდებლობა ფსევდო-დოინისესგან — პეტრე იბერისგან და ამისათვის მზად არიან გაავრცელონ ასეთი დამოუკიდებლობა ავგუსტინეს მიმართ. „იოანე არ იყო, — სწერს ემილ ბრევიე, — როგორც მისი წინამორბედი, უბრალო კომპილატორი, მას გააჩნდა საკმაოდ მტკიცე, დამოუკიდებელი აზრები თავისი წყაროების იმე გამოსაყენებლად, რომ მათი შინა არ გაშხარაყო. მისი სისტემა აღარაა ნაზავი, სხვადასხვა ზომით, დოინისესი და ავგუსტინესი — ის იყო მოთქმებული პაუზები იმ საეკლესიო საკითხებზე, რომლებიც ფლობდნენ მთელ მედიევალურ ახროვნებას“ (დას. ნაშრომი, გვ. 541). ეს დიდი შექება გაიზნულია არა ფსევდო-დოინისეს ან ავგუსტინეს განაადიდებლად, არამედ დასავლეთის ფილოსოფიის დამოუკიდებელი ხანათის სამტკიცებლად.

აქ სინამდვილეა ის, რომ სამზადისი ხანა V — IX საუკუნეებამდე, რომელშიაც წაყვანი იყო ქართული ნააზრევი, თავის შედეგად აღწევს და სადემუელს უყრის საშუალო საუკუნეთა ახროვნებას. მაგრამ ნაზავი ავგუსტინესი და არეოპაგიტისა იგი არამოდეს არ ყოფილა, რადგან მათი შეხატება გამოირცხელი იყო: ერთი აფუძნებდა სქოლასტიკას — საშუალო საუკუნეების იდეალიზმს, ხოლო მეოთხე — პანთეონს — საშუალო საუკუნეების არა შენაცვლებულს, არამედ საშუალო საუკუნის სოციალურლტრედ პირობებში შესაბუნებელ მატერიალიზმს. ერთს საფუძვლად ჰქონდა ნაზავად მისთვის ცნობილი პლატონისტური იდეები, რომლებიც მას წარმოუდგინა, როგორც ღმერთის თავში არსებული წარმოდგენები. ეს გაზვევული იყო, როგორც ამისავალი, ბოციელის საშუალებით გადამუშავებული არისტოტელესებური დიალექტიკით. ეს უკანასკნელი ფორმალური მტკიცების საშუალება იყო და არა ნამდვილი დიალექტიკა. უსარტულო და ქმედებითი ნეგაციური პრინციპზე ავებული მეორესათვის — უოფიერება და ღმერთი ერთი და იგივე იყო, რადგან უოფიერება შეიცავდა ყოველთვის და მასთან ღმერთსაც. მაგრამ ისე, რომ იგი თავისი განმტკიცებისათვის უარყოფას ამჯობინებს, რადგან პოზიტიურ უოფიერებაზე უზენაესია.

მოვიყვანეთ პეტრე იბერის მხოლოდ ერთი მგავალით. არსი — დაუბნობია, მაგრამ მას ყოველთვის შეიძლება დუმიროსპირდეს არ — არსი, ამის დასაძლევად საჭიროა — ზეარსი, სადაც წინააღმდეგობა მოხსნილია.

ეს აზრები საეცხებით შეითვისა იოანე სკოტ

ერეუგენამ და ამდენად ის პეტრე იბერის ნიადაგზე დადგა. თავის თხზულებაში „განყოფისათვის ბუნებისა“ იოანე სკოტი სწერს:

„ამრიგად, ღმერთი ვერ შეიცნობს რა არის ის, რადგან ის არ არის რა“ („განყოფისათვის ბუნებისა“, 11,28,589 — ლათინური ტექსტით). ასეთი დასკვნა, რომელიც იოანემ არეოპაგიტოციდან შეითვისა და რითაც მან გადალახა საზღვარი, რომელსაც ვერ გადასწვდა პროკლე და ლუარი, მთელი ნეოპლატონიზმი და რომელმაც ღმერთის მიმართ უარყოფის, ნეგაციის ცნების მიყენება ვერ გაბედა. ცხადია, ეს არ იყო გარეგნული, ფორმალური, არამედ შინაგანი, მომჭმელი უარყოფა, რომელიც გარეგნული წინააღმდეგობის მიღმა იდგა და მალა, დიალექტიკურ აზროვნებას მოასწავებდა.

ეს ადგილები იოანე სკოტ ერეუგენას მიერ პირდაპირ გადმოღებულია პეტრე იბერის იმ ადგილებიდან, სადაც ის უარყოფს ღმერთის მიმართ დადებით განმარტებებს და ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს საეკლესიო მწერლობის მიერ მოწოდებულ განმარტებებს, რაც საღრმით წერილის ტექსტების პირველ, ისტორიულად ცნობილ, კრიტიკას წარმოადგენს. ამის შემდეგ არაა ვასაყვირველი, რომ, მიუხედავად დიდი გავლენისა, არც ფსევდო-დიონისე და არც იოანე სკოტ ერიუგენა, არ იყვნენ ბოლომდე მისაღები ეკლესიისათვის.

იოანე ერეუგენას ფილოსოფიური მუშაობის ისტორიული სიტუაცია პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ნაწერებისადმი მიმართებაში ისევე ნათელია, როგორც პეტრე იბერისა პროკლესადმი: ერეუგენამ გადათარგმნა ბერძნული ენიდან პეტრე იბერის თხზულებანი. ცხადია,

რომ მან ეს თხზულებანი კარგად იცოდა და მათ ნიადაგზე ააგო თავისი თხზულებები „განყოფისათვის ბუნებისა“. იოანეს არ გადაუთარგმნია მხოლოდ ერთი თხზულება პეტრე იბერისა — მიზეზთა შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი — დღეს ეს ცნობილია — დაწერილი იყო არა ბერძნულად, არამედ ქართულად.

ამ გარემოებამ ჩამოკვეთა წიგნი მიზეზთა შესახებ საზოგადოდ მთელს „არეოპაგიტულ სხუელს“ (კორპუსს). მაგრამ, იმავე IX საუკუნეში, აღმოსავლეთში, საქართველოში უკვე კარგა ხანია დაბინადრებული გაქრისტიანებული არაბები, ამო თბილელის თანამოქმენი — თარგმნიან ქართულიდან არაბულ ენაზე პეტრე იბერის აღნიშნულ თხზულებასაც. მას ცოტა დაგვიანდება დასავლეთში შესვლა, რადგან არაბულიდან იგი 1187 წელს გადათარგმნება ლათინურ ენაზე და მაინც მიუსწრებს XII საუკუნის დიდ იდეოლოგიურ შეჯახებას პანთეისტურ შატერიალისტებთან, რომელიც პარიზის უნივერსიტეტში გაიმართება.

დამახასიათებელია, რომ თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიაში იხსენიებენ გავლენის გადამაშვებს საშუალო საუკუნეების თვალსაზრისით, ექსისტენციალისტები — ნეგატიური თეოლოგიის ამბებს, ხოლო თანამედროვე პოზიტივიზმის ლიდერი, ინგლისელი მოაზროვნე ბერტრან რასელი — ფსევდო-დიონისეს შესახებ სწერს: „შესაძლოა, რომ დიდი ნაწილი ერეტიკული ელემენტებისა იოანეს (ერიუგენას — შ. ნ.) ნაზრტეში უნდა მიეწეროს ფსევდო-დიონისეს გავლენას“...

ქართული ნააზრტეის მნიშვნელობის ჩვენება საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიაში მოითხოვს ამ ისტორიის ახლებურად დაწერას.

რეპით გამზარდაშვილი

ბაჩანა

ბაჩანა ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმის — ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიშია. 80-იანი წლების დამდეგს გამოჩნდა ის სამწერლო ასპარეზზე და ორმოცი წლის მანძილზე წარმატებით ემსახურებოდა თავის საუკარგელ საქმეს.

ბაჩანას ნაწერებს არაერთხელ დაუშახტრებია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიებაც.

ჭართული პოეზიის კორიფეთა ჩრდილში მოღვაწეობის მოუხედავად, ბაჩანას პუბლიცისტობა და პარტიისმკვებელთა ფართო წრე, ვაჟს მსგავსად, ბაჩანას საბავშვო მწერალთა კლუბს მიის საბავშვო ლექსები და მოთხრობები დიდი ხნის განმავლობაში ამშვენებდნენ „ჯიჯილისა“ და „ნაყადლის“ ფურცლებს.

პოეტმა თავისებური გზა განვლო როგორც მოქალაქემ და საზოგადო მოღვაწემაც.



ნიკო ლუკას ძე რაზიკაშვილი, მწერლობაში ბაჩანას სახელით ცნობილი, დაიბადა 1866 წლის 11 მაისს სოფელ ჩარხალში. ამავე სოფლის სკოლაში მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება, ხოლო 1880 წელს მშობლებმა ის გორის საოსტატო სემინარიის მოსამზადებელ კლასში მიიბარეს. ამ სემინარიაში სწავლობდა მაშინ მისი უფროსი ძმა — ვაჟაყვი.

ბაჩანამ პირველი დაქვემდებარება წარჩინებული მოწოდების სახელი და მოსწავლეთა ლიტერატურული წრის შემოაბამივ აქტიურად ჩაება. „არდვისაც ამ წრემ, 1881 წლის ზამთარში, ზელნაწერი თერნალის „რიკრეის“ — გამოცემა დაიწყო, ბაჩანას „მესტამბეობა“ დაეწვინა: თერნალის ყოველი ახალი ნომერი მას ათ ცალად უნდა გადაეწერა. ვაჟა კი ამ თერნალში პოეზიის განყოფილებას განაგებდა.

1882 წელს ბაჩანა სემინარიის პირველ კლასში ჩარიცხეს. ნიკიტა მოსწავლეს სემინარიაში განსაკუთრებით პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემით უსახებლობა თავი. მას გადაეცემულ გაკვეთილებს აღფრთოვანებში მოეყვანა სემინარიის მასწავლებელი, ცნობილი ქართული ბელეტრისტი ნიკო ლომოური, რომელიც საერ-

თოდ განსაკუთრებულ მხრუნველობას იჩენდა მის მიმართ.

ვაჟას ბაჩანა დაუხალგოდა გორში მყოფი ხალხოსან მოღვაწეებს და მათ იღვეურ მრწამსსაც გაეცნო. ყოველივე ეს, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენდა შემოქმედებითი გზების ძიების პროცესში მყოფ ახალგაზრდა პოეტზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს არც ის, რომ ციმბირის გადასახლებაში მიმავალ ცნობილ ხალხოსან მოღვაწისა და მასწავლებლის მიწო ყოფიანისათვის გასაგზავნი გამამხნეველები ლექსის დაწერა ამხანაგებს ბაჩანასათვის უთხოვით. ამ შემთხვევის შესახებ ალ. გარსევან-ნიშვილი გადმოგვცემს: „გაუგუო, რომ ყოფიანს ციმბირში გზავნიან და გადაეწყვიტეთ მისთვის გამამხნეველები წერილი გადაეგზავნა. ვაჟას ვთხოვეთ წერილი ლექსად დაწერა, მან უარი გვითხრა: შეკვეთით ლექსებს არა ეწერო. მიემართეთ მაშინ ბაჩანას და იმან ასეთი ლექსი დაეწერა:

ბნელი ილტვის სინათლისკენ,
ცეცხლის ალით დაისრული...
ჩვენ მივალწვეთ, რასაც ველით,
შოვი ტანჯვის აღსასრული.

გახალდება ისევ ბრძოლა,
ვუღკანისებრ კვლავ იფეთქავს
და მწვერვალსა ყინვით მკვდარსა,
ცეცხლის ალი აღმოხეთქავს...

ამ ლექსს ეწოდებოდა „ახალგაზრდობის აღთქმა“...

1885 წელს, სემინარიის უკანასკნელ კლასში სწავლისას, ბაჩანამ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი ლექსები: „ფშაველი ქალის ტირილი“, „მოლოდინ-მოლოდინა“, „ტყის სიმღერა“, „მზხავ, მიყვარხარ, ტილო...“, „ბნელი მოიცავს არესა...“; გამოაქვეყნა, აგრეთვე, თავისი პირველი პროზაული ნაწარმოები „მოჩვენება“, უფრო გვიან კი — წერილი „მცირე რამ ფშაველურებზე“¹.

¹ ზოგიერთი ბიოგრაფის ცნობა იმის შესახებ, რომ ბაჩანამ თანამშრომლობა პირველად გაზეთ „ივერიაში“ და თერნალ „თეატრში“ დაიწყო, სინამდვილეს არ შეეფერება.



მაგრამ მხოლოდ გამოქვეყნებული ლექსებით არ ამოწურება ბანანას სემინარიის პერიოდის შემოქმედება. მას ამ წლებში დაუწერია სხვა ლექსებიც: „სიმღერა“ (ავტორსებები, შევხარო-), „ნატურა“ (1882 წ.), „მიყვარს და შემიყვარებია“, „სიმღერა“ („გაზაფხულის ნაზოიან“), „არჯაკელი“ (1884 წ.), „ჭაბუკის ნატურა“, „ენა პოქვა საქართველოზე“ (1885 წ.), რომელთა გამოქვეყნება პოეტს მაშინ ვერ მოუხერხებია.

თავის განწყობილება, ბანანამ უკერ კიდევ პირველ ლექსებში („სიმღერა“, „ნატურა“) გამოხატა:

ვეაღერსები, შევხარო,
დილას ამოსვლას მზისასა;
ნეტა, ვერ შევესწრობო
დამარცხებასა მტრისასა?
გამღვივებოდეს ქართველსა,
ვიდს მფერავდეს ხმლისასა,
ნათელი გადადიოდეს
ლაყვარდს ივერის ცისასა

(„სიმღერა“, 1882 წ.)

სამშობლო კუთხის ღამაში ბუნებით მოხიბული ახალგაზრდა პოეტი ოცნებობს თავისი ხალხის თავისუფლებაზე, მის გამარჯვებაზე.

თავისი პოეტური იდეალები ბანანამ უფრო სრულად ლექს „მუხაში“ გამოხატა. „მუხა“ პოეტს 1884 წელს დაუწერია, გამოქვეყნება კი 1885 წლის მაისში მოუხერხებია. ამ ლექსმა სავსებით აღიარება არგენა ავტორის პოეტურ ნიჭს და გზა გაუხსნა ფართო შემოქმედებით სარბილზე.

ბანანას „მუხა“ უდავოდ იმსახურებდა იმ შეფასებას, რაც მას წილად ხედა ზევედებრივ მეთხვევლთა, თუ სიტყვის ოსტატთა შორის. ძლიერი ექსპრესიით დაწერილ და მხატვრული ხასხებით მდიდარ ამ ლირიკულ ლექსში ბევრი რამა ისეთი, რაც ქართველი კაცის სულს აზნუნევებდა, მის გაუტეხავ ნებისყოფას უკეთესი მერმისის რწმენით აყავებდა.

მშობლიური ხალხის მიძვე ისტორიულ ბედზე დაფიქრებული პოეტი, რომელიც სასურველ მომავალზე ოცნებობდა, სამშობლოს სიმბოლოს განმარტობით მდგომ ბებერ, მაგრამ ფესვ-მაგარსა და მრავალშტოვან მუხაში ხედავ:

მე მიყვარს შენი სიბერე,
მუდმივი დარეჯილობა,
დახავსებელი ტრტები,
სიმტკიცე, ფთოლთ შლილობა.
შენ არ გაშინებს, ვეკაცო,
ბუნების ფერის ცვლილობა.
რაც უნდა ქარი შებოდეს
და ელვა ივლარბოდეს,
მთაბარი ირეგვენბოდეს,

ხილული იხიშებოდეს;
ღერწაში მიწას გუჯროდეს,
მშველი ტუეს იხახებოდეს,
შარდაცუელი ბქალხუნდა
ვეფხვი კლდის ეხში პლტოდეს, —
აჰაჰაჰ ელი ავღარსა,
ქარს არ უუადრებ თავსაო,
ეღვა და ქვეპაქხილი
ვერ შევიხრიან წარბსაო.
არ ივლებ ბაიბუადა
ხალხის უღმერთოდ ქრასაო,
საფლავის აუყვადებდა,
ვისაც გუაუწა მცნებაო:
„კაცი იშობვის ერთს დღესა
და ისეც ერთ დღეს კვდებაო“,
ყარგი ჭაბუკო სიყვდილსა
არაროს არ შეუღერკებაო.

ამ ლექსით გამოწვეულ აღფრთოვანებას სჯაროდ გამოთქვამდნენ ახალი ქართული მწერლობის ბერჯინი — დიდი ილია და ვაჟა-ფშაველა.

პეტრ ლისტე დაფიქვარს უწოდებო იმ წუთებს, როცა აღტაცებული ილია პირველად კითხულობდა ბანანას „მუხას“¹ და მის სხვა ლექსებს. ცნობილია ისიც, რომ ლიტერატურულ საღამოებზე, თავის საუკეთესო ლექსთან („არწივი“) ერთად, ვაჟა კითხულობდა „მუხასაც“.

ლექსში „მუხა“ პოეტმა უმღერა მრავალ-პირანხელ, მაგრამ უკეთესი მერმისისათვის დედულელ მებრძოლ სამშობლო კუთხეს — საქართველოს და მის გირ ხალხს.

„მუხას“ შემდგომ ბანანა წერს ლექსს „ენა სოქვა საქართველოზე“, რომელიც 1889 წლის აპრილში უნდა გამოქვეყნებულიყო ვაზეთ „ღრკობის“ ფურცლებზე, მაგრამ ცენზურამ აუბალა ავტორი, მანს, ელოდა კოლეც ცენზურის ასეთ განაწენს, ამიტომაც ლექსისათვის შენიშვნა გაუკეთებია: ლექსი აყუთ. ნის მე-12 საუკუნეს, ვიდრე ქართველები ბოლოსტაყის ომს გადაიხდიდნენო“.

მოუხედავად იმისა, რომ ლექსის გამოქვეყნება იმ დროს არ მოხერხებდა, ის მაინც ფართოდ გაერეულა ხალხში, ახალგაზრდობა მას სიამოვნებით იზეპირებდა.

„ენა სოქვა საქართველოზე“ თავისი შინაარსით თითქმის არ განსხვავდება ლექსისაგან „მუხა“, მაგრამ მასში პირდაპირაა ნათქვამი იმის შესახებ, რაზეც ამ უკანასკნელში აღუგორიულად და სიმბოლოებითაა მინიშნებული.

მრავალ განსაცდელგამოვილი და სახელოვან სამშობლოსადმი თავდადების იდეით გამსჭვალული პოეტი, თითქოსდა, უმისამართო კითხვას სემას:

¹ ჟურნალი „განათლება“, 1939 წ., №5.

ვინა სთქვა საქართველოსა:
 „ვგ არის ღობი კვდებოა,
 ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი
 მიღ მზეც ვაუჭრებოა,
 თავს დაიტრიალებს უორანი
 დაჩხაყის ზედიზედაო!“

პატრიოტი მგოსანი სიმხნეისაყენ მოღწი-
 დებს ქართლის დედას და სასურველ მომ-
 ეალს უწინაწარმეტყველებს; მოაგონებს მას,
 რომ სხვადაც ბევრმა „იუბნა ეს“ და „ჩემად
 ფრანგული ლესა“, მაგრამ

ცუდად წაუხდათ ქადილი
 ვერასს გამოპრჩენ ეფხესხო,
 ლეყები წამოეზარდნენ,
 მტრებზედ იღესენ ბეჯლებსაო.

ლეკი მთავრდება მოწოდებით „ქართლის
 შეილებსადაში“; შეერთებული ძალით გილაშ-
 ქრონ მტრებზე და თუ გამარჯვებით არა,
 გმირული სიკვდილით მაინც ასახელონ სა-
 შობლო, შემწრწნებას აედღინონ წინაპართა
 ძელები.

პატრიოტული გრძნობის და გმირობის იღებს
 წინააღმდეგს ე.წ. ანტრეპა იმავე წელს (1884 წ.)
 დაწერილი ლექსები: „ფშაველი ქალის ტირი-
 ლი“ და „ტყვის სიმღერა“.

ამ საწარმოებებით ბაჩანამ მთის ხალხთა
 გრძნობა-ფიქრები გავეყენო, მათი გულის შე-
 საიდუმლად მოგვეყენა.

ბუნების გედწრდელ მომღერალს, ბაჩანას,
 თავის სადებიუტო ლექსებიდან ორი („არჯა-
 კლი“ და „სიმღერა“) უშუალოდ მთის ბუნე-
 ბის სილამაზის ჩვენებისადმი უძღვნია. ეს
 ლექსები უკვე აელენენ ბუნების მშვენიერე-
 ბას შეგრძნობით დაჯილდოვებულ მომავალ
 ნიჭიერ მხატვარს.

ახალგაზრდა ბაჩანა საწარმო ასპარეზზე
 გამოვიდა როგორც სრულიად მოწიფელი შე-
 მოქმედი, რომელიც იმთავითვე შთაბეჭდილე-
 ბას ახდენდა თავისი მხატვრული ოსტატობითა
 და პოეტური მრწამსის გარკვეულობით. ამ
 შეხედულების სასარგებლოთ მებრუნებუნი არა
 მხოლოდ ის ღირიყელი ლექსები, რომელთაც
 უკვე გავყენათ, არამედ ფართო ეპოეტი-
 ტილიც — პოემა „თალაურა“ (1884 წ.).

„თალაურა“ ბაჩანას პოემათა შორის გა-
 მორჩევა მხატვრული დახვეწილობითა და თე-
 მის ოსტატური ვაარებით. ამ პოემით ავტო-
 რი შეითხველს პარველად წარუდგა არა რო-
 გორც მთის ხალხთა კეთილშობილური თვისე-
 ბებით ამღერებელი მგოსანი, არამედ როგორც
 მათი ზოგიერთი ზნე-ჩვეულების გამკიცხავი
 და მამხილებელი. მშობელი კუთხის მგზნებარე
 პატრიოტი, ბაჩანა თავის შემოქმედებაში საერ-

თოდ არ ერიდება იმის გამომწვერებას, რაც
 მხოლოდ ვნებდა და ლაქას ცხებდა მის ღნა-
 მემამულეთა ცხოვრებასა და პატივსა.
 ბაჩანა

პოემის შესავალში, ფაღმის რამდენიმე მოს-
 მით, პოეტი ხატავს მშვენიერ პანორამას ჩამო-
 ვალი მთავრის შექმნე მომხიბლავად გამოქე-
 ვული ფშავის სოფლისას, სადაც მისი გჳი-
 რის — თალაურას „მწიწნარებელი კოშკიც“
 მოჩანს.

ის იყო მთავრე ჰერეოდა,
 გორის პირს ეფარებოდა;
 ჯარად გაშლილი სხეულები
 ქალის თათ ეფერებოდა.

აღმაცრად გამოსხლეტილი
 მთის წვერებს ეფინებოდა,
 თითქოს მისხლეტას ვერ ჰომიბსო,
 ავედებოდ-ეკონებოდა.

აგერა მთავრე ჩაიდა,
 ცა ჰდიღობს ვარსკვლავიანი;
 სადმე დაბურულ ადგილსა
 ბეგა გააკვივის ხშიანი.

ისაც დაიშედა... მიწნარდა
 მთის ყურე ნადირ, მგლიანი;
 ნახ ვაჩაფხულის მამველნში
 ბუჩქში მიეუტნდენ იანი;

თითქოს იორიც შეგერდა,
 უშიოლ ისე ხშიანი.
 მიწნარდა კოშკიც მალაღ,
 გორ რი ჩამოქდგამს ტყიანი...

„მიწნარდა კოშკიც მალაღი“, რომელიც
 მთავრემ უკვე უკანასკნელი შექვი დააფრქვია,
 მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო აბრთოლ-
 დნენ გულები კოშკში ჩაკეტილი ქალებისა,
 რომლებიც ოჯახიდან წასულ ვაჟიკს ელო-
 დებოდნენ. ისინი ცდილობენ ეპოზანეთს დაე-
 მალონ თავიანთი გულის ზეაშიადი, მაგრამ
 მოთმინებასაც საზღვარი აქვს. რძალმა დედამ-
 თილს გაუშვლავნა არასასამოგნო წინათგრძნო-
 ბა, რაც თავის მხრივ დაუდასტურა ვაჟის
 დედამაც, რომელიც ცუდ სიზმრებს შეუწე-
 ხებია და ღმერთს შეთხოვს: „ღმერთო! მშვი-
 დობით მომგვარე ის ზემი დედისერათაო“.

შეუღლისა და დღის ასეთი წუხილი თალ-
 ლაურაზე სრულიად ბუნებრივია. თალაურა —
 მტრიანია. ფშავში განთქმულ ვაჟიკს ბევრი
 ლეკის სიოცხლე ვაუმწარებია, ბევრი ცხარ-
 ძროხა ვაპოვისხამს დაღუბნიდან, ამიტომ
 ისიც შეუდამ საფრთხეშია, სანაცვლოს მიკვბა
 მოვლის. პოეტს არ მოსწონს თავისი გმირის
 თამამი და უსამართლო ქმედება, კაცხავს მას

ლევების დაწოკებისათვის. თაღლაურას საქციელი იმდენად მიუღებელია პოეტისათვის, რომ აზრებს ვიურ თხრობას და აკეთებს ლირიკულ წიაღსვლას:

ნუ ჰდილობ, თაღლაურაო,
ვაჟო, ნუ მოგწონს თავია,
ჰჯობია, თარემს დაეხსნა,
ლკათ დაინებო თავია.

ფშავეში გაქებენ ქალები,
ვაეკასა ედემს გავრდილსა,
მარტო ცხვარ-ძროხას სად დაქტვე
ლკეთით ვადმორგვილსა?

ნუ გინდა იმით ტყვეები,
დედათ ნუ ამგლოვიარებ,
თოფი ლევებმაჲ იციან,
ამირისწამლე რქისაო;

გადმოსვლა კივხებშია,
ხმარება ხანჯარებისაო

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოემის მხატვრულ არქიტექტონიკაში ეს წიაღსვლა ყველაზე უფრო მრუდე და გაუმართლებელი ხაზია. საჭირო არ იყო პოეტის თვითონ, და ისიც თითქმის პოემის დასაწყისშივე ეთქვა ის, რაც მთელ პოემას უნდა ეგრძნობინებინა მკითხველისათვის. მაგრამ ასეთი პასუხისაყენ ავტორის უბიძგებს ეპეი — ვაი თუ მკითხველმა ვერ შეამჩნიოს და არ შეიძულოს საერთოდ ვაეკაცური ბუნებით დაჯილდოებული თაღლაურა.

ლევებს, რომლებსაც შეუტყვევით თაღლაურას ცხვარში ყოფნა ბარად, შეუყრიათ „სულ არჩეულნი ვაეკაცი, სულ არჩეულნი ვაენია“, თავის მხარეზე გადაუბირებიათ თაღლაურას ბიძის შვილი — ხუმარაც, რომელიც შეგზურად მოუძღვით მათ.

ლაქათი სიტყვებით ხუმარამ მამიდა თამარს კოშკის კარები გააღებინა, ლევებმა აიკლეს თაღლაურას ოჯახი: ცეცხლს მისცეს მისი სახლარი და, სხვა ფშაველებთან ერთად, ტღვედ წაიყვანეს მშვენიერი ყამარი, რომელსაც

გრძელნი თმანი ბროლის ყელსა
დაჰვეოდენ ნისლებურა;
მულნის ტბანი უნათებდენ,
პირი უშექს მთეარებურა

თაღლაურამ თითქოს იგრძნო, რა დღეც ადგა მის ოჯახს, „იორზე შამოემარა“ და თავის სახლისკენ გასწია. ის შეიღი სიმღერა, რომელსაც გზად მიმავალი თაღლაურა მღერის, გადმოგვიშლის. გმირის სულიერ სამყაროს და სრული წარმოდგენა ვეუქმნება მის პიროვნებაზე. თაღლაურას უზომოდ უყვარს თავისი მთაგორიანი კეთხე, თოვლით დაბურული მთები და ყვეილებით მორთული გორაკები. როცა მათ ხედავს „ბაღლაურად გაუხარდება,

სიცივე იყოს — დაცხება, აღმართო — გაუთავდება“. ხიზლავს მდინარეებზეც („ფიგინთი“ გაწეწეწეული მდინარებით, ქრწეღლყოცხმლოთ ვერას გამოჩნებია, ტყვია არ მიეკარებათ. თუ რომ მოკვდება, თავის სხეულს ის უფრო მდინარეს ანდობს, ვინც მიწას არ უნდა, რომ მისი „გვაში მიწაში ლებოდეს, სისხლ-ხორცი, თმა-წვერ-ელვაში, ერთერთში ააჩოდეს“ და ქვეწარმავლის სასიამოვნოდ იქცეს. მისი ნატვრია: „მუღამც ვაეკად იყოს“, „ამეიჯანხედ და გულზედ“, უდროოდ სიყვდილი კი არ ამინება:

მიეყარს ვაეკაცის სიყვდილი,
ჯერ რომ არ იყო დროული,
სუყველას დაენანება
უდროოდ გამოჩნეული.

მძიმე სურათი წარმოუდგა თაღლაურას თავისი სოფლის დანახვისას: „სახლებს სულ ბოლი ჰდიოდა, ყმაწვილი ქალი და ვაეი იქ აღარავინ დიოდა“.

თაღლაურა ლევებს დაედევნება და დეწევა კიდევ. იმისი უეცრად მისვლითა ლევებს თავს-ზარი ჰკეშიყო. მან მოჰკლა ხუმარა და ბევრი ლეი, ბევრმაც გაქვეით უშველა თავს.

ვინც არ გაექცა, დახოცა,
ჯავრი არ შენარჩენა,
ყამარაც გულში ჩაიყრა,
ტყვეებიც გამოაბრუნა.

გათვისუფლებულ ტყვეებს თაღლაურა და ყამარი უკან ჩამორჩნენ. გზაზე მათ შემოხედებთ მიხუცი ლეო, რომლის მედარამ გასწრა და თაღლაურამ ცოცხალი გაუშვა. მაგრამ ლეო მუხთალი აღმოჩნდა, მან ქურდულად თოფი ესროლა თაღლაურას და სასიყვდილოდ დაჭრა, თანაც მისი მარჯვენის მოჭრაც მოისურვა. ყამარამ ქეით გაუბო თავი ლეას და თან ქმრის გადაჩრენას შეუცადა, მაგრამ ამაოდ... მანაც თაღლაურას ხანჯალი გულში ჩაიყა და ქმართან ერთად განუტევა სული.

როცა პოემა წაუციობხავს, ვაჟას ბაჩანასათვის უთქვამს: „არ უნდა მოგველა ლალატო, დედას ცოცხალი უნდა ენახათ“. მიუხედავად ამისა, ბაჩანას პოემის ეს ადგილი არ შეუცვლია. პოემის პათოსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლა გამოცხადოს ფშავეხეხურელთა და ლევების ურთიერთშორის გააუღმებულ მტრობას. ამასთან, ეს მტრობა ბაჩანას არ სურს წარმოადგინოს ცალმხრივად. მისი შეხედულებით, მტრისადმი მტრულად შებმა საჭირო და სასახელია, მაგრამ იმავე დანაშაულის გამოერება, რასაც მტერი ჩადის, მხოლოდ დაგმობის ღირსია.

თაღლაურას ბევრი რამა აქვს ვაეკაცური, ამტომაც პატრიოსცივით სარგებლობს თავის ხალხში, მისადმი გარკვეული სიმათიებითაა



განწყობილი შეითხველიც, მაგრამ ის ბევრით არაფრით განირჩევა იმ ლეკებისაგან, რომლებიც ნაძარცვეთა და სხვათა გათბეღებების წყალობით ცხოვრობენ სხვებზე უკეთესად. ამის გამოა, რომ პოეტი მას შეუფერხებელი სიკვდილის მსხვერპლად ხდის. ცხადია, თაღლაურა რომ ყოველმხრივ უარყოფითი გმირი იყოს, მაშინ ის ავტორს აღარც გამოადგება იმ აზრის მკვეთრად გამოსათქმელად, რა აზრითაც სურს გამსწავალს შეითხველი.

პოემა „თაღლაურა“ მოწონებას იმსახურებს წმინდა მხატვრული თვალაზრისითაც. მხატვრული სახეების რელიეფურობა, პოეტური საღებავების მრავალფეროვნება, ხალხურ მელოდიურობას დაახლოებული ელერადობა ლექსისა, კომპოზიციური სიმტკიცე და ლაქონური პოეტური მეტყველება პოემას ყველასათვის საინტერესოს ხდის. საგანგებო უკრადლებას იმსახურებს პოეტის შუბის სიღალე შთის პეიზაჟების ხატვისას. დიდ ზომიერებას და ოსტატობას იჩენს ბაჩანაძე იმ სურათების პოემის შთაჯარ იდეურ შინაარსთან დაკავშირებაშიც. იგივე იტყობს ხალხური თქმულების გამოყენებაზეც.

ბაჩანაძის თავისი ნიჭი აღბრუნე უცდია პროზაშიც. 1884 წელს მას დაუწერია პატარა მოთხრობა — „მოჩვენება“, რომელიც შემდეგ „დროებს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა (1885 წ. № 91). ეს მოთხრობა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ნათლად გვაგვიჩვენებს ავტორის დანიტრერესებას ბუნების სურათების ხატვით და მიღრეკილებას პოეტური გამოსახვის ალგორითული ფორმისადმი, რაც მისი პროზაული ნაწარმოებებისათვის შემდგომში დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

ყოველივე ამის შემდეგ აშკარა ხდება, თუ რავითი მხატვრული სიძლიერითა და ჩამოყალიბებული პოეტური მრწამსით გამოჩნდა ბაჩანაძე სამოღვაწეო სარბიელზე. გასაგებია ისიც, რომ ასეთი ძლიერი პირველი პოეტური ნაბიჯების შემდეგ შემოქმედებითი აღშავლობის მიღწევა არც თუ ისე ადვილი იყო სოფლის მასწავლებლის მძიმე საქმიანობაში ჩაბმული პოეტისათვის. ამიტომ იყო, რომ დიდ შრომდღის ზოგჯერ გამართლდა აკლდა და კრიტიკოსებში უფრო თავშეკავებულად მსჯელობდნენ საერთოდ ნიჭიერ და ნაყოფიერ შემოქმედზე.

სემინარიის ეურსის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა პოეტი, რომელსაც პრაქტიკული საქმიანობა ელოდებოდა, მხოლოდ ერთს ნატრობდა: ევლო ყოველთვის წმინდა გზაზე და აეცდინა ყოველივე ის, რაც „სახელის დამწრდილავია“. მას იფელად ესახებოდა ისეთი მოღვაწეობა, რომელიც სიკვდილის შემდეგაც დაუვიწყარს ვაჭლიდა მას და მის საფლავს შესასვენებელ ადგილად აქცევდა:

9. „მნათობი“. № 1

გამავალ, გამომავალმა იმ ადგილს დისვენოსა, მოაქვებს ქვენიორ ამბავს და მენაც გამიხსენოსა.

მსოქვის: ესაც იყო ერთ დროსა, კაი სახელიც ჰქონდათ: ნერც აქ გაუქრეს სენენბა, იქაც სელითაც ქცხონდაო („კვაბუკის ნატერა“, 1885 წ.).

ბაჩანაძის „კვაბუკის ნატერა“ მრავალმხრივ ჩამოგავს ილია ჭავჭავაძის მიერ 1858 წელს დაწერილ ლექსს „დაე თუნდ მოკვდე“. კვაბუკი ბაჩანაძე თავისი ხალხისადმი უანგაზრო და თავდადებულ სამსახურზე ოცნებობდა.



1885 წელს ბაჩანაძე დაასრულა გორის საოსტატო სემინარია და სოფელ ვეჯინში (გურჯაანის რაიონი) დანიშნეს დაწვეებითი სკოლის მასწავლებლად.

1890 წლამდე დაყო ბაჩანაძე სოფელ ვეჯინში. საინტერესო და ახალი პერიოდი იყო მის ცხოვრებაში ეს წლები: ახალგაზრდა პოეტი და პედაგოგი დამოუკიდებელ ცხოვრებას პირველად ახლა ეწეოდა.

როგორც პოეტის პირადი წერილებიდან და მოღვაწეობის მასალებიდან ჩანს, ბაჩანაძისთვის თავიდანვე აღმაცერად შეუხუდავთ ადგილობრივ თავადებს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს კი თავად ეცნე სოსო აბაშიძეს კინაღამ სიციუხლისათვის გამოუსალმებია ბოლოთა დამკიცნავი და გამოცხადე „პოეტი, რომლისთვისაც გვერდში ხანჯალი ზაუტია. ადაკრა იღუმალი, ძალღერი იყო, უკანითგან, როცა შე არ მოველოდი... შე მაინც საცა ვაეწვეო, მავთ მოსისხლე მტერი ვიქნები და გაუშრობ უწყალოდ სისხლსა... ცოტა კატორდა მაშინებს რულძალდი, თორავ შე ვეცი, რაც უნდათ ამ ჩაფლავუნე-მაკარეკუნებსაო“, — წერს, ამ შემთხვევის გამო, პოეტი თავის მძას თელს.

ვეჯინის სკოლაში მუშაობისას ბაჩანაძის სხვა ხიფათიც შემთხვავ: სკოლის აივნისაგან გადმოავლო ჩაფარა, რომელიც კანცელარიაში დაუყოვნებლივ, ვაკეთილების დამთავრებამდე წაუკვას თხოვდა.

სასკოლო ინსპექტორმა, რომელსაც ადგილობრივ თავადთა საჩივრებთან ერთად ეს ამბავიც მიუვიდა, ბაჩანაძე დაითხოვა ვეჯინის სკოლის მასწავლებლის თანამდებობიდან.

მიუხედავად ცხოვრების არახელსაყრელი პირობებისა, ბაჩანაძე საქმიანად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ვეჯინში და აქტიურად თანამშრომლობდა ვაჭრთ „ვეჯიანსა“ და ქერნალ „თეატრში“.

1886 წელს ბაჩანაძე ლექსი („სალამი“) უძღვნა გამოჩენილ ქართველ პოეტს — რადიელ



ერათავს, რომელსაც ის თავის მასწავლებლად თვლიდა. რ. ერისთავის პოეტური ჩანების ვლერამ, მისმა „სამშობლო ხეყურისამ“ და სხვ. დიდი როლი შეასრულა რაზიკაშვილების მადლიანი ამღერებას საქმეში.

ფშავ-ხეყურული პანგების შემცველი და გლუხკაციან ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გამოთბარი რ. ერისთავის პოეზია ბაჩანასათვის უაღრესად მახლობელი და შთაბავრობებელი იყო. ახალგაზრდა პოეტიც არ მალავს თავის მადლიერების გრძნობას:

შენი ჰირიშე, მოხუცო,
ია გესროლე, მამაო!
ძილშიათ გამოშლიდა
შენმა ფანდურის ხმამო.
შავათო გრძნობის შორევესა,
ჩემ გულოც აინქამაო,
იქით იორმა გაიგო,
აქეთ აღზნის წყაღამო.

საწყაღმა ღამის მებრეგაც
მადლობა დავიბარაო,
ნება მიეცი დაგდაფნოს
გამოუცდელმა ყმაშაო!

თავის შხრივ „ბერმა პოეტმაც“ საპასუხო ლექსი უძრუნა ბაჩანას. რ. ერისთავის ეს ლექსი უფრო მეტად იმითაა საყურადღებო, რომ მასში ჩამოყალიბებულია ავტორის შეხედულება ბაჩანას პოეზიაზე. ამ შეხედულებას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბაჩანას შემოქმედებისადმი მოწინავე ქართული მწერლების დამოკიდებულების გასათვალისწინებლად.

რ. ერისთავი მღელვარედ ეცნობა ბაჩანას პოეზიას, კერძოდ მის ლექსებს: „ფშაველი ქალის ტირილი“, „ტყვის სიმღერა“, „მუხა“ და სხვ.

თავის განცდას რ. ერისთავი ასე უზიარებს ბაჩანას:

გადმახალისა, მშობილო,
შენგან ნასროლმა იამა.
შენი ფანდურის ვლერაი
მოხუცს გულს მეტად იამა...
ყური დაეუგდე სიმებსა
დამიტებს ბერის სულია,
გადამახუდევს ფშავეთში,
მოლად ამიჩქროლეს გულია...
მსმინა შენმა ფანდურმა
შთის ყვაილების ქებანი,
„ფშაველი ქალის ტირილი“
და „ტყვის სიმღერით“ შეუბანი...
ბაასი ბებერ „მუხასთან“
აღმასებრ ლექსით მსმენია,
ღაველონებულვარ, ბეჩავი,
ცრეპლი ვერ დამითუნენია...
შენ დამანახვე, მშობილო,
„მგზავრის სღამო შეუბნია“, —

ღრთები დაეშვი მე დაბლა,
ელარ მოგყვები ფრთებშია
შენ ყმაწვილი ხარ, მე — ბებერი
ღმერთმა ვიკურთხოს ჩანგია!

„მუხას“ და „ეინა სთქვა საქართველოზე“ ავტორის მუხას მთავარ სათაყვანებლად, ცხადია, ყველა სამშობლო ქვეყანა უყავს, მისი სიზარულით ხარობს და მისი გასაჟიროთ მწუხარებს. თავის ფიქრებს პოეტი ზოგჯერ იგაფური თქმებითა და ალეგორიებით გამოთქვამს ხოლმე. რაც კიდევ უფრო მეტ ჩაკვირებას მოითხოვს მკითხველისათვის.

ერთ თავის ლექსში ბაჩანა მრავალმეტყველად ამბობს:

როდესაც შევმას გლამიან
ყურს რაღა ყრუვება უნდა.
მოყეთეს მოყეთერადა,
ნგულს ნგურად დახვედრა უნდა.
შელა მაშინებს თორემა,
მგლისა ხომ ვიცი, რაც უნდა

(„სიმღერა“, 1886 წ.).

პოეტს აწუხებს ეჭვი — ბზარი არ გაუჩნდეს ერთგულ თეთმყოფადობას და მიზანს არ შეაღწიოს მგელ-ტერებმა, — გარეულმა და შინაურმა მტრებმა, რომლებიც საყაოდ გამოჩაღებულან. მას არ ასევენებს იმანზე ფიქრი — „ეინაშე, თუ ტერ-მგელს დაპრჩეს ზოხობის საბუღარია“ — (ელეგია“, 1887 წ.), რაც მისთვის სიყვდილზე უარესი იქნება. ასეთი ფიქრი პოეტს უფრო იმიტომ აწუხებს, რომ „ზღვა-ზღვა მივეტრავთ უარსოდ, ნიჩბების მოღსმულად“ და „არა გვეგონია სმა-ქამის გარდა საგანი რამე“ („ღაბარებელი“, 1887 წ.). გულნატყვი პოეტი ბედბულს თხოვს წაეიდეს იერესალიმში და ღაწლმოსილ წინაპრებს საფლავებში ჩასაბას „ჩვენი შუღშივი ღუბპირი, ჩვენი მუღშივი შეცდომა“. მასვე ემუღარება ინახუროს რუსთაველის საფლავიც და უცხოეთში განსვენებულ დიდ ქართველ პოეტს ამცნოს:

სანამდე მიწა იქნება,
ან ივერიის ძენია,
ისაც იქნება ცოცხალი,
ნურაზედ მოუწყენია,
იქნება იმის ცხედარსა,
შთომილსა უცხო მზარეში,
ენატრებოდეს აქ წოლა,
ამ თავის საქართველოში.

(„ღაბარებელი“).

საქართველოს მიწა და ივერიის ძენი კი, პოეტის შეხედულებით, არ მოიპობიან, მიჯავრული ამირანის კენესა და ჩივილი ბოლოს და ბოლოს შედეგს მოიტანს. ხალხს ამაოდ არ ჩაუვლის იმედი კავკასიის მაღალ მწვერვალზე საყვარელი გმირის ყოფნაზე.

თურმე ამ გორში ხალხის ძმა,
ამირანია დაბებული,
მისსა და ქართველის გულს შორის
მეუთული არის გაბმული.
აქ ერთი ჯოჯი ჯახისა
ამისთვის არის აღთქმული,
ჰყენსის და ჰჩივის დღე და ღამ,
სამარადისოდ ტანჯული,
ეს ხმა — მსოფლიო სევდაა,
ქართველი ერის სულ-გული,
და მისი წარმოდგენია,
ამირანდ გამოსახული!

(„დილა მთაში“, 1888 წ.)

პატრიოტული გრძნობით და გმირული პათოსით გამოხარს საეკეთესო ლირიკულ ლექსში „მეომრის სიმღერა“ (1886 წ.) ბანანამ შეძლო შესაფერის პოეტური ხერხებით წარმოედგინა წლების მანძილზე ოჯახს მოწყვეტილი და სამშობლოს მტრებთან მებრძოლი ქართველი მეომრის სახე:

სანამ ვარ, მაგრა ვიქნები,
მტერ-ღუშმნის სისხლის მთხვეელი,
არაფერს შეუშინდება,
შენგან კურთხევას მოველი...
აღავერდს გიორგი მწყალობს...
მცხეთაში სვეტი-ცხოველი.

ეროვნულ მოტივზე დაწერილ ბანანას ლექსებს შორის ძლიერი ექსპრესიითა და ჯანსაღი პატრიოტული გრძნობის ემოციური გადმოცემით გამოირჩევა — „მონოლოგი ლეონიდესი თერმოპილეს“ (1889 წ.). ამ ლექსში ღამაჩაყა საბერძნეთზე, ათენსა და სპარტაზე, „დეკალიონის ჩამომავალთა“ გმირობაზე, მაგრამ მასში ყოველივე ისეა მოცემული და გახარებული, რომ უშელო კავშირშია საქართველოსა და ქართველ ხალხთან. ლექსში ისმის ამჟამა მოწოდება ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად:

ვერც ერთი შეუა თავდადებულთა,
გახდება რასმე მტარვალისთვისა,
არც კიდე ფუქად მოკვდა თავისა
საქებურია კვიანისადა. —
მაგრამ გაიგონ, რომ საქირო დროს
ვიცით სიკვდილი მამელისადა.

ეროვნულ მოტივზე დაწერილი ბანანას ნაწარმოებნი ორ ჯგუფად იყოფა. ერთი — რომელშიც პოეტი ეხება საერთოდ ეროვნულ საკითხებს, მეორე — რომელშიც, ძირითადად, მთის ხალხთა ცხოვრების ცალკეული მხარეები წარმოდგენილი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება პოემა „ნანაის სიმღერა“ (1889 წ.). მასში აღწერილია ლეკთა თავდასხმა თუშის ქალ ნანაზე, მისი ტყვედ წაყვანა და შემდეგ ტყვეობიდან დახსნა ძმისა და საქმროს შიერ.

შეიძლება ითქვას, რომ პოემა „ნანაის სიმ-

ღერის“ პათოსიც იგივეა, რაც პოემა „თალალურისი“, მაგრამ ნაცნობი თემა აქ სხვა ერთხითაა წარმოდგენილი და მხატვრულადც სხვაგვარადაა გახარებული. პოემის მიზანდასახულების მიხედვით პოეტს ყურადღების ცენტრში ჰყავს არა ნანაი, არ მასზე თავდასხმული ლეკები, არამედ ნანაის მამა — თორღვა, რომლის ვაჟი — ლეო ლეკებმა მოკლეს, ხოლო ქალი — ნანაი, რომელიც ტყვედ წაიყვანეს, არ იზიარებს აღულებელი თუშების გადაწყვეტილებას:

ან შევიმისნეთ ქალადა,
ტყავ-ჯუბა, მანდილითაო,
ანა ექნათ პირი და ღუშმანს
ღედა ვერტიროთ სმლითაო.

თორღვამ იცის, რომ ასეთი ნაბოჯი საბაბი გახდება შემდგომი თავდასხმების, რაც კიდევ ზედმეტი სისხლის დაღვრას გამოიწვევს. ამიტომ ის თავის თანამემამულეთ მიმართავს:

ქვეყანა დაიღუპება,
რა ომი დაბევრდებაო,
ცოდეა დაღვრილის სისხლისა,
სულს კირად გაუხლებაო.

როგორც პოემის დასასრულს ეტყობილობთ, თორღვა სწებს იმაზეც, რომ მისმა ვაჟმა — სახონმა და სასიძო — ივამ, ნანას გამოხსნისას, ბევრ ლეკს დაებნელა შუე. ყოველივე ეს მას შეერჩენელ ვალად და მომავალი სისხლისღვრის საბაბად მიიჩნია.

ბანანა მტკიცედ ემსახურება მთის ხალხთა შორის ისტორიულად მიმდინარე შედეგისა და ცუდი ურთიერთდამოკიდებულების მისპობის იდეას.

საერთოდ, ბანანა თავის პოეზიაში მკაცრად ილაშქრებს ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მოითხოვს ხალხთა შორის თანასწორობის ბუნებრივი უფლების აღდგენასა და დაცვას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი — „ჩვენი წარსულის გამო“ (1889 წ.), რომელშიც პოეტი ამჟამა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „სწორად სხვის ყოფნა-ცხოვრება ზოგს ჩაღაბულა ჰგონია“, და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აცხადებს:

ბევრს ივიწყდება სიშართლე
ჩჩვეულთა ქადაგებისა,
რომ ყველას თანხარაა აქვს
ნება ღმრთის ღაღადებისა,

ყველას ჰწყურიათ სიციცხლე,
ყოფნა მზის სინათლესედა;
განა ვის ზელუწიება
სხვის სიკვდილ-სიციცხლესედა?

ამიტომ წყვეტილმც არის
მოსისხლე, მხეცთა გნებისა,

ტყელო-უბრალოდ მდგენელი
სხვადასხვა ეროვნებისა

საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყესრიგებლობა, ხალხებს შორის გამეფებული მტრობა და აღამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობა ბაჩანასათვის ყველაზე მტკივნეული საკითხებია. მათზე დაფიქრებას ბაჩანა-პოეტ მიჰყავს ე. წ. „მსოფლიო სეკუნს“ თემაზე. ამ თემაზე მან დაწერა ჯერ ცალკეული ლექსები — „ღარ მინდისხარ“ (1886 წ.), „ჩემი ნატურა“ (1888 წ.), „ხელა დაიწყებინა“ (1889 წ.). შემდეგ კი მთელი ცალი ლექსებისა, რომლებიც ბოლოს გაერთიანდა ერთი სათაურის ქვეშ — „ღვესნი მსოფლიო მწუხარებაზე“.

პოეტის შეხედულებით, აღამიანი ამ ქვეყნის მერტად გულბრყვილო სტუმარია. მის ხანმოკლე სიცოცხლეს მოუწყესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრება ისე იწირავს, რომ დაფიქრებასაც ვერ ასწრებს ქვეყნისა და არსებობის საიდუმლოებაზე.

თავის სურვილებს ბაჩანა საგანგებოდ აუღლებს ლექსში „ჩემი ნატურა“, რომელიც უფრო ღრმად გვაგრძობინებს პოეტის გულის ტრევილებს. მის სურს სხვაგვარად მოიმართოს მისი გონება, რომ შესაიდუმლოდ გაუბღეს ცასა და ქვეყანას.

პოეტი ღარ ითხოვს ხანგრძლივ სიცოცხლეს, „წამის სინათლე ურჩევნიან, ბნელაში უყდავებასა“. მინა თქმით, იყო ღრო, როცა „საწუთროს არარაობით“ გამოწვეულ სეკუნდობას მის ცა (უფრო სწორად რწმენა ღმერთზე) უქარებდა, მაგრამ გავიდა ღრო, „ფიჭრმა და სუჯამა არი-დარევეს ცა და ღრუხეი“, რამაც მას მოუხმო „ძველი ნათსაყუდელი“ („ხელა დაიწყებინა“). ცხოვრებაზე ხელის აღების ფიჭრმა ის „ძველის ხომალდის ნამტყრევებით“ ზღვას გაუყენეს და ისიც დანებდა, მაგრამ სანატრული ხმელეთის დანახვამ და ზღვის უდაბურების შეცნობამ მას გადაწყვეტილება შეაცვლია.

პოეტს სამყაროსა და ბუნების საიდუმლოების ღრმა და ქვეშაობრივი მცნებრივი შეცნობა აინტერესებს. მისი იდეალია ბრძენი-მეცნიერი, რადგან

ის თაყვანს მსცემს სობრძნესა
და უყდავს ხელოვნებასა,
გონიერად გაზრდილ-გაწერთნილსა
კვასასა და გემოვნებასა.
ბუნება — სასწაულადა,
სანთლად კვლევა და ძიება.
სისრულე — საწყაულადა.

(„ბრძენი“, 1889 წ.).

ბუნების საიდუმლოება თუ ღრმა ფიქრებისა და მწუხარებისაკენ უბიძგებს ხოლმე პოეტს, სამაგიეროდ იგივე ბუნება თავისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით უდიდეს

სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს მას. ბუნების ეს გაორებული ზეწმუქებებზე მასაც შეგნებული იქნა და გულმრთულად აღიარებს:

საკვირველია ბუნება,
სახენი ათსურებოზე.
გულს მოჰსწონს მათი შეუნება,
გონების თვალნი — მძეტრობენ,
გული სხვას ამბობს, კვეა — სხვასა,
გრძნობანი აბეზარობენ („სიმღერა“, 1886 წ.).

მთის ბუნების მშვენებით დამტყბარი პოეტი მთელი გრძნობით ეაღერსება და ესაუბრება ხან მალაღი მთის ძვირფას სტუმარს — პატარა, ტრფა კესანეს („ასახე“, 1889 წ.), „სინაშვილი, საყვალუციო“ უბაღლო ყვავილებს („ყვავილები“, 1889 წ.), ხან ფრთამარტ მერცხალს — გაზაფხულის მედნიე მახარობელს („მერცხალი“, 1886 წ.), ხანაც ტყის ძვირფას მღვმერთ — ჯიხვსა და შევლს, ჯერიანსა და ირემს („ნადირთ პატრონის ტბა“, 1886 წ.) გაუსტყუება, თავიანთ ღირსებებს მოაგონებთ და მათი სილალთ თითონაც ტყებდა. განსაკუთრებული სიყვარულით ღანარაკობს ის ირმის უწყინარ, მაგრამ მუდამ ხიფათიან ცხოვრებაზე, რადგან ხალხში გაერცვლებული ღვეინდის მიხედვით პატარა ვრცელ სწორედ ფერ-ირემმა გადაარჩინა:

ფერმა დაწყო წიგნები
ცივის, გომბორის მთისამა,
ულამ გაზარდა ერეულ
თავსტფალის რძისამა
(„ერეულს დედობილი“, 1889 წ.).

ბუნების გრძნობით დაჯილდოებულ პოეტს მხატვრული საღებავები არ ღალატობს არც მაშინ, როცა აცოცხლებს „შემოდგომის ღამეს კახთში“ (1889 წ.) და არც მაშინ, როცა სურს წარმოდგინოს „ღლია მთაში“ (1888 წ.). პოეტი სიხარულით ელოდება გაზაფხულს, როცა „ხე-ხევიში ზევი ხელს დაიწყებს, მინდორი ამწვანდება, აღიდებელი მდინარე „ქაფებული იღმუვლებს“ და გაზაფხულის მახარობლებიც, ჩვეული სილამაზით, კვლავ გამოჩნდებიან:

შემოჰკვიცივებს მერცხალი,
მერცხალს მოჰყვება გზმული,
ისრთავ გათურჩქნება
ბარათაშვილის სემბული;
ია, ენძელა მოგვიყვენ,
ვარდზედ დაჰმახებს ბულბული.

მაგრამ ბაჩანა არც თუ ისე ხშირად მიმართავს ბუნების სურათების ხატვას მხოლოდ და მხოლოდ ბუნების სილამაზის ჩვენების მიზ-

¹ ლექსი „მოყვარხარ, აღახნის ხევი...“ ფურ. „თეატრი“, 1886 წ. № 4.



ნით. ბუნების თავისებურ ცხოვრებას პოეტრი მტწილად ისეთი კეთხით გვიჩვენებს, რომ აღმანიშნა ცხოვრებასა და მის აკარგვიანობაზე დაგვაფიქრებს ხოლმე. ამის თქმის საფუძველს იძლევა, აგრძოდ, მისი საბავშვო პოემა — „პოტი და ჩიტები“ (1889 წ.).

პოეტს თავის ნაწარმოებში იმის თქმა უნდა, რომ საერთო საქმეზე მზრუნველმა და კეთილი მიზნით აღტრევილმა მოღვაწემ, ნაცუვად პატრიოსციემისა, ზოგჯერ გაიიბრუნება და კიცხავს შეიძლება მოიშკოს, მაგრამ მან თავის გზას არ უნდა უღალატოს, როგორც არ უღალატა ჩიტებისაგან უსაფუძვლოდ შეტრაცხუფილმა კოტმა, რომელიც კვლავ ძველ კოშკზე შეკვდა და „თავისა დაუტრა“.

ბაჩანამ გარკვეული ხარკი გადაუხადა სიყვარულის გრძნობასაც. ამ ძვირფას აღმანიშნურ გრძნობას ბაჩანა მთელი უშუალოებით განიცდის და მეტად გულწრფელიცაა თავისი განცდების გადმოცემაში. სიყვარულის გრძნობა მისთვის მხოლოდ პოეტური თემა როდია. იგი ამ გრძნობის გაზაფხულით დატყვევებულ ვეკაცოცვია და თავისი გულის ტკივილსაც აღარავის უმაღავს („სიმღერა“).

პოეტის იდეალია მონახის ისეთი სატრფო-მგობარი, რომელსაც საერთო ექნება მის „ნდობა-სურვილთან“, მისი სულიერი თანამგრძნობა და თანამებრძოლი იქნება. როგორც ჩანს, მისი სატრფო ხშირად ვერ ამართლებს ამ სურვილს, რაც გულს ტყენს და იძულებულია მიმართოს მას:

ჩემი გული მოსა ჰგავის,
წევრით ცათად მიწოდომილსა.
შესი გული — ციხისა თოვლსა,
იმის თავზედ დარბობილსა.
მე — შენავესა ქარისგან
არეულს, ყიადებულსა,
შენ — სანუკვარსა ხმელეთსა,
თანდათან დაშორებულსა

(„სიმღერა“, 1888 წ.).

გაცნობილი ლექსი — („სიმღერა“) და ამავე სათაურით ცნობილი კიდევ სხვა სამი ლექსი, პოეტს მიძღვნილი აქვს ეინწე... ვ...სადმი. ამიტომ ამ ლექსებს ტრფობის არა ვაჩვენებულა, არამედ კონკრეტული საფუძველი უდევს, რაც მათ მთელ შინაარსს განსაზღვრავს.

ვ...სადმი ვატყება პოეტს დიდხანს არ განუტყია. სამაგიეროდ მისი გული დატყუარია მარამ გურასაუულს, რომლისადმი სიყვარული მტკიცედ და საბოლოო აღმოჩნდა. ასე რომ პოეტრი აღარ იმეორებდა თავის ადრე ნათქვამს ამის შესახებ, რომ შეორე და შესამე სიყვარული პირველს ისევე შეედრება. როგორც სინამდვილეს — სიხშირას და სინათლეს — სინელით („სიმღერა“, ვაზ. „ივერია“, 1888 წ. № 148). მაგრამ ის ერთგული დარჩა თავის

სიტყვების: „ყოც ერთი უნდა უყვარდეს, განა თუ ერთი ფარაო“ („კათიკა“ „სიმღერა“, 1885 წ. № 65).

როცა ბევსურეთში, სოფელ ბარისახოში, პირველად გაიხსნა სკოლა, ბაჩანა მისი პირველი მასწავლებელი გახდა. ეს იყო 1890 წელს, ადგილად ვასაგებია, როგორც მძიმე იქნებოდა პირველი მასწავლებლის ბედი ბარისახოში. ადგილობრივ მცხოვრებთ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ჰქონდათ შეგნებული სკოლის მნიშვნელობა და სწავლის საუბროება. ბავშვების სკოლაში გაგზავნას ისინი ჯერ კიდევ „ხატის საწიენ“ მოვლენად თვლიდნენ და მასწავლებელს სხვადასხვაგვარ პირობებს უყენებდნენ. თუ რომ შეიღების სწავლაზე დათანხმდებოდნენ, ბევსურეთა ადათების კარგმა მკოდნე ბაჩანამ მაინც მოახერხა სკოლაც თავის სიმაღლეზე დაეყენებინა და, რაც მთავარია, მოსახლეობაც დაეახლოვებია მისთვის. ამ საქმისათვის მან, კარგად გამოიყენა სამკითხველო, რომელიც მან პირველად დააარსა ბარისახოში.

ბაჩანა ბევსურებს უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, ესაუბრებოდა და რჩევას აძლევდა მეურნეობის უკეთესად მოწყობის თაობაზე.

1890 წელს ბაჩანას გარდაეცვალა ჯერ დედა, ხოლო შემდეგ მამა. შშობლების ვარდაცვალების ერთი წლის თავზე ძმები გაიყვნენ და ცალ-ცალკე დაიწყეს ცხოვრება. ბაჩანა ბარისახოში დამკვიდრდა. ძმებს ამის შემდეგაც მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ერთმანეთთან სტუმრობას და ერთმანეთის პატრიოსციემას თავიანთ სასიამოვნო მოვალეობად თვლიდნენ. მათ თავშეყრას ზეიმის ხასიათი ეძლეოდა, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, კაჟობდნენ და ერთობოდნენ. სითამამითა და სიღიყხით ბაჩანა ძმებს შორის გამოირჩეოდა. სხვა ძმებისაგან განსხვავებით, ის შეთამამებული იყო ვაჟისთან და ხშირად მეშაობაში თუ ძალის გამოცდაში ეჯობებოდა. არც როგორც პოეტს უნდოდა ძმისათვის პირველობა დაეთმო და მათ შორის ხშირად პაექრობა იმართებოდა, რაც ზოგჯერ საოჯახო პოეზიის ფარგლებს ეცდებოდა და ოფიციალურ სახათის იღებდა.

ბაჩანამ მალე საკუთარი ოჯახი შექმნა. მან ცოლად შეირთო მარამ გურასაუელი, რომლისადმი მას რამდენავე ლექსი აქვს მიძღვნილი. მარამმა ბაჩანას თემიდან იყო, ამიტომ ადათის მიხედვით მას უფლება არ ჰქონდა მასზე ექორწინა, მაგრამ წესი დაარღვია. ამის გამო მას ერთგვარი უსიამოვნეაუც შეხვედრია, მაგრამ მაინც თავისი შეუძრულებია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ქორწინების საკუთარმა ისტორიამ შთააღონა შემდეგ ბაჩანა დაიწერა ვრცელი „პოემა-რომანი“ — „წა-

წლები, რომელშიც ბევრი რამ ავტობიოგრაფიული აქვს შეტანილი.

ათი წელი გაატარა ბაჩანა ბარისახოში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ერთგულად ახრულებდა იმდროინდელი სოფლის მასწავლებლის მძიმე მოვალეობას.

ერთ-ერთ პირად წერილში ბაჩანა თავის ძმას — თედოს ასე უხასიათებდა საკუთარ სულიერ მდგომარეობას ბარისახოში: „რაც შეეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, — წერს ის, — ბევრს სანუგეშოს ვერას ვერტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოვა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისათვის ვერ დამიღწევია თავი. ვარ მარტოვა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპაუხებ და ზეპნაღდის მოხიარვ ჩემთვის არააინა — გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩინის ჩემის ცოლისა...“

ვხივარ ბევრჯერ ჩემთვის საცოდავ ფიქრებში გართული, ვერაუფ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემი გელის ამოკენებას და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოქდის ცრემლები... ესაც ნუგეშია ტანჯულის მგონისა — არა, ძმარ?! ნეტა, საზოგადოება რომ არააბტყვა, წიგნები მიინქ მჭონდეს ბევრი — ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდე აღარას ვიტყოდი, — იმედით მაინც ვიციხოვრებდი... ჩემი მოწოდებები, კაცო, ის ჩემი საუკარული ძმები და შეილები... ისინი რომ არ მართობდნენ კიდე, აქამდე ან გავგვიდებოდი, ან სხვა რამე უფრო უკეთესი დამეშარებოდა... დაჯვადები, შემოვისხამ გარს ჰემს პარტუებს, ვითბებლობ და ხშირად ვტირი ჩემს მოწოდებებთან...“

შაბტერულად უფრო ძლიერ და სრულყოფილ ლექსებს ბაჩანა ბუნების თემაზე ქმნის. მისთვის ბუნება უვალაზე სანუგეშო და განუშორებელი სატრფია, რომლის მადლიან კალთებს მედამ ბავშვური გულწრფელობითა და კმაბუერი გატაცებით ვალერსება. მას არ შეუძლია უბრალო მსურებლის თვალთ უკუიროს თეთრ მადლიან მთებსა და ბილიყებით მყარდმოქარავნულ ხეებს, ვარსკვლავებით დამშვენებულ ცასა და მწვანე ხავერდით შემოსილ გორაკებს. ბუნების სიმშვენიერის ძლიერი ვახცდა პოეტს თითქოს თავის ნებაზე ამბტყეულებს და ძალას უორკეცებს. ამის თქმის უფლებას იძლევა მისი საუკეთესო ლირიკური ლექსები: „გაზაფხული“ (1891 წ.), „ცასა“ (1895 წ.), „ზამთარი მთაში“ (1896 წ.) და სხვ.

90-იან წლებში ბაჩანა გარკვეულ ინტერესს იჩენს იგავური და ალეგორიული ფორმის ლექსებისადმი, რომლებშიც პოეტი ქარავმულად მსჯულობს მისთვის საინტერესო საკითხებზე და თავისებური გზით დასაყავს მეთხველამდე ასეთებია: „ეშქაი“ (1890 წ.), „კრუხი და ხბიკვი“, „სანაძლო“ (1894 წ.), „ისეთი გოდორი დაქანი, რომ შენს შეილსაც გამოად-

გეს“ (1895 წ.), „რატომ არ გალობს ბუნებელი შეადლისას“ (1896 წ.), „ქალღი და ტურა“ (1899 წ.), „გვეგენა და დათვი“ (1899 წ.), პოემა „განსამართლებელი მყინვარი“ (1893 წ.) და სხვა.

დასახლებულ ლექსებში პოეტი კიბხავს უსაფუძვლო მტრობას, ბორბტებას, სიხარბებს, გაიბევრობას და ქადაგებს მორალურ სისაბტყეასა და პემანერ საქმიანობას, მაგრამ მათ მხატვრულ ღირსებაზე არ შეიძლება იგივე ითქვას, რაც ბუნების თემაზე დაწერილი ლექსების შესახებ ვთქვით. კერბოდ, მათ აკლიათ ის ლაქონიზმი, რასაც ყველაზე მეტად საჭიროებს ასეთი ფორმის ლექსები. გაქმანერებელი თსრობა, მოძველებული მხატვრული სახებება და ლექსში წინწამოწეული მორალის ნაყლებ ოსტატურად გადმოყევა გარკვეულად ასურტებს ამ ლექსების მხატვრულ ღირსებებს. მიოთმეტეს, რომ ზოგიერთი მთგანი უშეალოდ ნორნი მეთხველისათვისაა გამიხნული.

სამაგვიროდ, პოეტი ავლავ თავის მოწოდების სიმადლუნება იმ ლექსებში, რომლებიც ერთვნულ მოტივზეა დაწერილი.

მეთხველმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ, თავის დროზე, მადლი შეფასება მისცეს ბაჩანას ლექსებს: „ჩემი სალაშქრო სიძღვრები“ (1893 წ.), „ოცნება პატიმრისა“ (1893 წ.) „საწითლო სახედავადა“ (1896 წ.), „გზა ბუნელი“ (1896 წ.), „მუდარა“ (1896 წ.) და სხვ.

როგორც ცნობილია, 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო რეპტული ვახდა მეფის მთავრობის პოლიტიკა. ის უკვე ანგარიშს უსწორებდა არა მხოლოდ რვეორუეთრად განწყობილ პირებს, არამედ ეროვნული თვითმყოფლობის შენარჩუნებისათვის უმბრბოდ მოღუწყებოსაც. ამ პოლიტიკის მძიმე შედეგი თავს მადტყდა ზოგიერთ ქართულ მოღვაწესაც, რომლებმაც პატიმრის მძიმე ხვედრი ვაიხარეს, ერთი მთგანი იყო დ. ყიფიანიც, რომლის ხსოვნას ა. წერეთელმა უძღვნა ღირიყული შედეკი — „განთადი“.

ლექსში — „ოცნება პატიმრისა“ ისმის მწერლებისადმი მოწოდება — ამ მძიმე მომენტში ახალი ძალთ აადერონ პოეტური ქნარი. პატიმრის პირით, პოეტი აშქარად ლამარკობს თავის აღმყოფების მიზეზზე:

წვეუდი იყოს წუთსოფელი,
ძნელი ყოფილა შავი დროს ზარი,
როგორ არ მოქედე, პოეტის გული.
და არ აბტვადეს ვე შენი ქნარი?
პლამის სეავებმა ხალხი დაჯეამოს,
დაბნელებს ჩვენი სამშობლოს მყარი.

ბნელ სიკანში შავტული პატიმარს მხოლოდ ისლა დაჩენია, რომ იოცნებოს იმ ბედნიერ წუთზე, როცა შეიტყობს ქართულ მეომართგან მტრის დამარცხებას, ბოკილის მტერყვას და დინახავს „წითულსა დროშას ივერიისა მტებზედ ძრავდეს ნელი ნიავი“.

ბანანს ამ ლექსში ისმის მოწოდებისა და სურვილის ის ხმები, რაც ჯერ კიდევ საბოციან წლებში გაიშმა. მაგრამ ბანანა მას იმეორებს არა ლიტერატურული გაცდენის გამო და არა ზიზაბით. თვით ცხოვრებამ ვახადა საქიროდ კვლავ განმეორებულები ეს ხმები და ბანანაც, სხვებთან ერთად, აცოცხლებს ამ ძახილს. ერთნაირი თავისუფლებისათვის ბრძოლა კვლავ დღის წესრიგში იდგა და, რაც მთავარია, ეს ბრძოლა ახლა კიდევ უფრო მტკიცე საფუძველს პოულობდა. ამიტომაც, რომ სამშობლო თავისუფლებისათვის მებრძოლი ვაჟაკის იდეალი ახალი ძალით იპყრობს ქართველ მწერალთა ყურადღებას. ბანანას „ჩემი სალაშქრო სიმღერები“ ამ იდეალის გამოხატულებაა.

პატრიოტიზმის თემაზე დაწერილ ბანანას ლექსთაგან 90-ან წლებში ლექსია — „გზა ბნელი“ დამსახურა ყველაზე მაღალი შეფასება. სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ პოეტს მინდად დედასავე ერთხელ კიდევ დავიკრეებით გადახედოს წარსულს, შეადაროს მას აწმყო და საფუძვლიანი წარმოდგენა შეიქმნას მუშაობაზე. ეს „პოეტური იმიჯურობა“ მთავრდება იმით, რომ პოეტს „წინ გადასულმა სამშობლოს წამყოფ ფასდაუდებარი“ თავის სასიკეთლო ქალ-კავებით, რომლებიც „საანდერძოდ შევნიან“ მას. ამის მნახველ პოეტს იმედი იპყრობს და „სასოებით შეცუების ჩვენის მომავლის ვარსკვლავს“. „მაგრამ ტუბილს სიმწარედა ცულის ცვალებადობა ეამისა“, ეს სიამოვნება ხანმოკლე აღმოჩნდა:

აგერ: ცამ თვალი დახეტკა,
გაქრა ძვირფასი ჩრდილები,
და მათ მაგერად აფუღდა,
ვით ქია-მატილი მღიღობი,
მამულის მოღალატეთა,
გონჯი, საუღლო გრილები.
ახლა ცეცხლია ვარშემო,
სოღის ჩვენს დამაწევადა,
შრიცხვი მხეცი, ნადირი
შხაა ჩვენს შესაქმელადა
აღარსად მოჩანს ბილიკიც
გასაძრომ, გასაველავადა.

პოეტის შეხედულებით ეს სურათია იმ ეპოქის, რომლის შვილიც თვითონაა. ამიტომაც, რომ მას მხარზე. აზის ყორანი და „უყვეს სხაბრლს ხმაზედა“. მასაც შურისძიება იპყრობს და „ხანჯლისაყენ ხელი წაუღვა“, მაგრამ, როცა ტარს შეუხება, ხელი აუკანაყალდება. გრწობს რომ ჯერ კიდევ არაა მისი ამოწვდის დრო.

ცხადია, იარაღის დაყრა და გულზე ხელეობი დაკრეფა პოეტს ფიქრდაც არ აქვს, მაგრამ იცის, რომ ჯერჯერობით მხოლოდ იარაღთ ვერაფერი გაეთქვამა. საქიროა ხალხის შეიარაღება შესაფერი ცოდნით და მათი ერთობლივი

ღარაზმვა საერთო საქმისათვის, შექმდე კო იარაღის ამოწვდის დროც შედეგად

მაშ მაგრად, მებო, გაწიხთ
მივეყეთ ყველანი წინათა,
გულზედ ხელების დაკრება
უხდება ქალაჩუნათა...
და უბრძოლველად ფარ-ხმალის
ჩამოყრა მფლავუნათს.
საასპარეზო დიდი გვაქვს,
წადით, გაწიხთ წინათ!
ყოვლის შემძლებმა სურვილმა
გააღწეოს ქვა და რყინათ...

ბანანა უყუთესი მომავლის მომდგარალია. მის სევდა-მწუხარებას, ცხადია, საერთო არაფერი აქვს წარსულის რომანტიკულ გამოტირებასთან. როცა ის „წარსულის გამობრუნებაზე“ და მის ურემოქცევაზე ლაპარაკობს, მას მხედვლობაში აქვს არა ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური სახე, არამედ ეროვნული თავისუფლება და ქართველი ხალხის ის გვირგული სული, რომელიც ამ თავისუფლებას ინარჩუნებდა. ამიტომაც, რომ ის დიდი სიხარულით ხედება თავის ქვეყნის გამოღვივებას და აღტაცებულ გაიძახის:

ისაობა შური და მტრობა
ერთობის თესლი ვარდება.
ღლეს თუ არ, ხვალე მიინცა
ვიცი, რომ ამიყვავდება

(„მედარა“).

აჯაკისთან და ვეჯასთან ერთად, ბანანაც ერთობისა და ბრძოლის იდეებს ჰქადაგებდა ქართულ პოეზიაში. ამასთან, მსგავსად საამაყო თანამედროვე პოეტებს, წარსულის სურათებს უყუთესი მერმისისათვის საბრძოლველად იშველიებდა. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ხმა არ მიწვდება“ (1895 წ.).

ლექსი — „ხმა არ მიწვდება“ ბანანას დაღწეობა ერთწარისი ტრაგედიის ასი წლის თავზე¹. სახელოვან მებრძოლა გვირგული თავგანწირვა პოეტს გულსაც ტყენს და სიამაყის გრძობასაც მატებს, მან იცის, რომ მეტად იშვიათია ისეთი ბრძოლები, რომლებსაც დიდება და სახელი მოეხვეჭოს დამარცხებულთათვის. ერთწარისის ომმა კი ძველი თვით დაღუპულ ქართველ მხედართა ვაჟაკობას.

პოეტი არ ივიწყებს არც ერთვედ მეორეს, რომელიც ამ გვირ მხედრობას სარდლობდა. ბევრი ომის მონაწილე და თითქმის ყოველთვის გამარჯვებულ ერეკლესათვის ერთწარისის ომში დამარცხება და რჩეულ შემოშრთა დაღუპვა საკვირის უღრბად. ბრძოლიდან უკან დაბრუნებულს, გამარჯვებული ჯარი რომ ვეღარ ამწუხებდა, ბევრი მწარე ფიქრი აწუხებდა, მაგრამ მისი გონება მხოლოდ ერთზე ფიქ-

¹ იხ. გაზეთი „ივერია“, 1895 წ., № 238.

რობდა: — რა ბედს ელის საქართველოს? პოეტ-საც ის სერს, რომ სანუკუარ ოცნებებს გაეზიანოს და დაეციწარ სარდალს ამცნოს ქართველთა კვლავ აღორძინება;

შთაში ბებერი არწივი
წურება, აწუდება კლდეებსა,
ერეკლეს ამავეს უყვება —
ცრემლი სდის ბახანსებზე.

ერეკლეს სახე ერთ-ერთი უველაზე დიადი და შთაშავსებელი სახეთაგანია ბაჩანასათვის. მასში ხედავს ის ძლიერი და თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ეპოქას. გაწეზობას კიდევაც ვერცხლად და საღვთვ-ლიანად წარმოედგინა ერეკლეს, — როგორც ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბების ხალხური ვერსია, ამ მიზნით დაუწერია მას პოემა „და-ბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“, რომლის ერთი ნაწილები, 1898 წელს, ვახუთ „ივერიაში“ (№ 7) გამოქვეყნდა ფრეკლეჯი გარ-დაცვალების ასი წლისთავთან დაკავშირებით.

ბაჩანა, 90-იან წლებშიც, თავისი შემოქმედე-ბის საერთო ეროვნულ მორტივში გაჩვეულ ადგილს უთმობს მშობლიური შთავგარბანი კუთხის ბუნებრივი სილამაზისა და თავისებუ-რი ცხოვრების აღწერა-დახასიათებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსი — „საწუთროვ სახედავდა“ (1896 წ.) და პოემა — „ხიფათი“ (1891 წ.).

„საწუთროვ სახედავდა...“ ბაჩანას პოეზიაში ერთ-ერთი საუკეთესო ლირიული ლექსია, რომელშიც მაღალი პოეტური ოსტატობითაა გადმოცემული ის დღის სუფარული, რომლი-თაც პოეტი დაეკავშირებულ იყო თავის კუთხე-სთან.

ბაჩანასათვის მომზიბლავი და მშობლიურია არა მხოლოდ ფშავეთის მთა-გორები და არაგვის ხეობა თავისი ბილიყებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით ფშაველები თავიანთი დარბი-ბული, მაგრამ მუდამ მოუღესუელი ცხოვრებით.

დალესტანელთა და თუშ-ფშავე-ხევსურთა ესტორიულ შტრობას ბაჩანა ჯერ კიდევ პ.ე-შა — „თალღურაში“ შეეხო ვერცხლად და დაგ-მო მათი ასეთი დამოკიდებულება. მაგრამ პოეტის საპიროდ ჩაუთვლია კვლავ დაბრუნე-ბოდა ამ თემას.

პოემა „ხიფათს“ საფუძვლად უდევს ხალხუ-რი თქმულება ლეკბთან გმირული ბრძოლის გადამხდელ ილალოზე. ავტორს ეს თქმულება, ჩვეულებისამებრ, საფუძვლიანად გადაუმუშა-ვებია და საკმაოდ რთულ კომპოზიციურ გან-შტოვებში განუზავებია. პოემაში მებრტულ ოსტა-ტურადაა ჩართული როგორც შიის, ასევე ბა-რის — კახეთის ბუნების სურათები. ამ მხრივ პოეტი ზოგჯერ ნამდვილ მხატვრულ სრულ-ყოფას აღწევს, რაც მას ნაწარმოების „ომბო-ზიციურ გამართავაშიც ეხმარება. საკმაო ოსტა-ტობას აღწევს ის გმირთა ხასიათების გამოკეთა-

შიც. ილალო და დარო უდავოდ დამაჯერებე-ლი და, ამავე დროს, ზომიერად ამოღებული სახეებით. ილალო დადებითი პერსონაჟი რე-ვორც თავისი ვაჟაკური შეპართებით, ასევე წინდახედული და ქუშინიერი მსჯელობით. ბაჩანასათვის ილალო იგუევა, რაც ვაჟასთვის გოგოთური. ბევრია ამ ორ გმირს შორის სერ-თო, თუმცა მათ ხასიათებს საკმაოდ განსხვავე-ბულ გარემოში ვუცნობით. მათ შორის საერთოა, პირველ ყოვლისა ძლიერი ფიზიკური შესაძლე-ბლობა და ამ შესაძლებლობის მხოლოდ კეთლი საქმისათვის გამოყენების სურვილი. ილალო შთიელი ვაჟაკია, რომელსაც გულით უყვარს ოჯახიც და სამშობლო ქვეყანაც. ის სიციხე-სუნს ვაჭირავს ოჯახისა და ქვეყნისათვის, მაგრამ არასოდეს ისეთი საქმისათვის, რაც შეარსხვენ-და მის ღირსებებს. ამიტომაც, რომ წინ დამხე-დარ ლეკებს, რომლებიც მუდმილიყოთ ტყვეთ დანებებას ურჩვენ, ის ასე მიმართავს:

მოქმედება ქრონოლოგიურად რომანში 1947 წლიდან იწყება. ამის შესახებ მწერალმა ერთ-ერთ საუბარში თქვა: „1947 წლიდან გერმანიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეპოქა იწყება. ქარხნები და მიწები ხალხს გადაეცა. მართალია, არ ითქმის რომ სწორედ 1947 წელს დადგა ძველი დროის აღსასრული (თემცა ეს ნაწილობრივ ასეა), მაგრამ, ცხადია, რომ ახალი ცხოვრება მაშინ დაიწყო. დასაწყისი, როგორც ყოველივე ახლის წარმოშობა, იყო მეტად ძნელი“ („В защиту мира“, 12, № 103, 1959 გვ. 36).

ა. ზეგერსის ახალი ნაწარმოები სოციალური რომანია. მასში ვრცელდება დაპირისპირება თანამედროვეობის აქტიუდურ პოლიტიკურ საკითხებზე. მაგრამ ეს გარემოება არ ჩრდილავს რომანის შინაგან მხატვრულ ძალასა და მხატვრულ შემეცნებით ღირებულებას. თვით მწერალმა ამის შესახებ აღნიშნა: „არ იფიქროთ, რომ ჩემს წიგნში მთავარი პოლიტიკური მოვლენებია. ჩემი ცხოვრება ისეთია, რომ ხშირად აღსაქირი „გადაწყვეტილების“ მიღება. სიყვარული, ოჯახური ურთიერთობა, ბავშვების აღზრდა და ა. შ. — ყველაფერი ეს მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებას. ჩემს რომანში მრავალი მოქმედი პირია. რომანის ყველა პერსონაჟისა და მთელი ნაწარმოებებისათვის საერთო ისაა, რომ ყოველმა მოქმედმა პირმა ადრე თუ გვიან უნდა მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება“ (იქვე, გვ. 37).

აქ კარგადაა განმარტებული ის მოტივიც, თუ რატომ უწოდა მწერალმა რომანს „გადაწყვეტილება“. ესაა წიგნი დემოკრატიული გერმანიის მშენებელთა შესახებ, რომლებმაც მეტად რთულ პირობებში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი და პირადული ცხოვრების ბევრ საკითხზე. მწერალმა კარგად იცის, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება არაა ადვილი, რომ გადაწყვეტილებას სხვადა-

სხვა ადამიანი სხვადასხვა სიტუაციებში თავისებურად ღებულობს. მწერალმა კვლავ უმჯობესა სწორედ ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას გვიჩვენებს მის მრავალფეროვნებაში, მრავალი ადამიანის ბედისა და განსხვავებული სიტუაციების მხატვრული ჩვენების გზით. აქ არიან ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები პროფესორი ბერნდტი, ინჟინრები ტომსი, რიდილი და სხვ. რომლებიც სახალხო საქმისადმი სიყვარულმა დასაყვანილად დემოკრატიულ გერმანიაში დააბრუნა, მათთან ერთად წარმოშენ ახალგაზრდები — პელგერი, შნაიბერი და სხვები, რომლებმაც თავიდავე იწყეს ახალი ცხოვრება. მწერალი ყურადღების გარეშე არ ტოვებს მოსახლეობის იმ ფენებსაც, რომლებიც დიდ დროს უნდებიათ იმავ დიქტრს, თუ ვის მიეყვებოდა, რომელი ცხოვრება აირჩიონ, ასეთი ადამიანები ხშირად თავიანთი მერყეობის მსხვერპლიც ხდებიან.

„გადაწყვეტილებაში“ ნაჩვენებია ის ბნელი ძალებიც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ახალი გერმანიის შენებას. ამ საქმეში ერთმანეთთან თანამშრომლობენ ამერიკელი მონოპოლისტები და დასავლეთ გერმანიის მრეწველები, ყოფილი პიტლერები და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები. რომანში დამატებულია ნაჩვენები გერმანელი მშრომელი ხალხის ბრძოლა ამ ძალების წინააღმდეგ, მისი მტკიცე რწმუნა აშენოს ახალი დემოკრატიული გერმანია. გერმანელი ხალხის ბრძოლისა და შრომის პროცესი აღბათ, უფრო გაიშლება და დასრულებულ სახეს მიიღებს რომანის შემდეგ წიგნებში.

ანა ზეგერსი — „ახალბოა შორის მშვიდობისათვის ბრძოლის“ ლენინური პრემიის ლაურეატი, გერმანიის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე — თავის შემოქმედებით პრაქტიკაში სოციალისტური რეალისმის პრინციპებს ვერდნობა. იგი ამჟამად იმ გერმანულ მწერალთა რიგებშია, რომლებიც იმპერიის ამ პრინციპების დამკვიდრებისათვის მთელ პროგრესულ გერმანულ ლიტერატურაში. არ უარყოფს რა ეროვნულ სპეციფიკას, რაც ყოველი ქვეყნის ლიტერატურას გააჩნია, ზეგერსს სწამს, რომ თანამედროვეობის დიდი რეალისტური ლიტერატურა მხოლოდ სოციალისტური შეიძლება იყოს.

სანდრო ეული — პოეტი და მოქალაქე

(დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

ვისაც რუსთაველის პროსპექტზე დილით ადრე ან გვიან, მიმწუხრის ეამს ჩაუვლია, უსათუოდ შეუნიშნავს დინჯად მიმავალი, საშუალო ტანის, ქარმაგი, ჰალარა კაცი. იგი მუდამ თავაწეული, კეთილი ღიმილითა და თითქოს ერთი შეხედვით, ოდნავ დაღლილი თვალებით აკვირდება ყველას და ყველაფერს. ბევრი იმათგანი, ალბათ, კარგად იცნობს სანდრო ეულს, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლებში ნაწრთობ ჯარისკაცსა და პოეტს.

სანდრო ეულის შემოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ წარსულთან, თანამედროვე ცხოვრების სინამდვილესთან. მისი ლექსების რიტორიკულ — მოწოდებით ინტონაციასა და პოეტურ უშუალობას ჯერ კიდევ ძნელბედობის წლებში არაერთხელ აღუგზნია ჩვენი უფროსი ძმებისა და მამების, რევოლუციისათვის თავდადებულ ადამიანთა გულები. სანდრო ეულის პრეზია რევოლუციური ოპტიმიზმისა და სოციალისტური ჰუმანიზმის გამომხატველია. მისი შემოქმედებისათვის სრულიად უცხოა ბურჟუაზიული დეკადანსის ლიტერატურა, ინდივიდუალიზმი და მისტიციზმი; მსკოვანმა პოეტმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით ღირსეულად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

სანდრო ეული პოლიტიკურ-რევოლუციური ღირიკის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მისი პოეტური დამოკიდებულება გარემო სამყაროსთან ყოველთვის პირდაპირი და ზოგჯერ გადაჭარბებულად უშუალოა. მისთვის, როგორც

კომუნისტი პოეტისათვის, ლექსი ერთ-ერთი საბრძოლო იარაღი, ბასრი მახვილია, მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლების დასაცავად აღმართული.

ლექსი არ არის, მტერს თუ არა ჰკლავს, და ხალხს გულს თუ ვერ გაახარებს...

რევოლუციური იდეებით შთაგონებული პოეტი, რომელსაც წარსულში ბევრი მძიმე და ქარცეცხლიანი დღეები გამოუვლია, ლექსში „შენ, კომუნისტო, მოწინავე ადამიანო“, ამბობს:

გახსოვდეს მუდამ, როგორც მენება დაუვიწყარი, —

ხარ კომუნისტი, — მოწინავე ადამიანი, —

სულით სპეტაკი, ვით ანკარა ციური ცეპი,

შედრგავლი, მკვიდრი, მტკიცე ვით შთა, კლდოვანი...

სანდრო ეულის პოეტურ შემოქმედებას ორიგინალურად ერწყმის მისი, როგორც კომუნისტი პოეტისა და მოქალაქის მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების ბიოგრაფია.

სანდრო ქიშვარდის ძე ეული (ქურიძე) დაიბადა 1890 წლის 23 ოქტომბერს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ თვალწარმატებულ კუთხეში, გურიისში, სოფელ ზომლეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სანდრო ეული ჯერ კიდევ ეჭვის წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა და ისედაც ღარიბი ოჯახი მარჩენალის უდროოდ დაღუპვამ კიდევ უფრო გააღატაკა. მომავალი პოეტის ღებამ ნინომ 1905 წელს, მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, პატარა სანდრო ოზურგეთის (ახლანდელი ქ. მახარაძე) სამოქალაქო სასწავლებელთან არსებული სამეურნეო სკოლაში მიიბარა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ყოველ კუთხეში იზრ-

დებოდა მძაფრი სოციალური პროტესტის გრძნობა. ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შემართული ხალხის მუქარას: ციხე და ციხიბრი... ცეცხლმოდებული სოფლები და სახარობელები... რეაქციის ამ საშინელ წლებში მოსწავლეთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის სანდრო ეული სასწავლებლიდან გარიცხეს.

სწავლას მოწყურებულმა ყმაწვილმა მძიმე ფიზიკური შრომისა და მონღოების შემდეგ 1907 წელს დაასრულა ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი. შემდგომ წლებში იგი მუშაობდა სხვადასხვა რაიონების ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. 1909 წლისთვის სანდრო ეული უკვე ფოთის ნავსადგურის მუშათა შორის ტრიალებს. აქ ებმება იგი არალეგალური წრეების მუშაობაში, ხარბად ეწაფება რევოლუციურ ლიტერატურას, იზრდება მისი რევოლუციური შეგნება.

1913 — 1916 წლებში სანდრო ეულს ბაქოში ვხვდავთ. იგი მუშაობს რკინიგზაზე, შილარის წყალსადენსა და ბალახნის ელექტროსადგურში. ს. ეული უკავშირდება ბაქოელ ბოლშევიკებს და მათთან ერთად იბრძვის ძირგამომპალი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აქტიურად თანამშრომლობს ეურნალ-გაზეთებში, აქვეყნებს საბრძოლო-რევოლუციურ ლექსებს, ბაქოს პარტიული კომიტეტის დავალებით ასრულებს სხვადასხვა რევოლუციურ დავალებებს. იმდროინდელი ბაქო ნამდვილი რევოლუციის კერა, სამრეწველო პროლეტარიატის ცენტრი იყო. პირველად ბაქოში 1914 წელს დააპატიმრეს ს. ეული და ბაილოვის ციხეში ჩასვეს.

1917 წელს სანდრო ეული საქართველოში ბრუნდება და, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი, ახალი ენერგიითა და მონღოებით ებმება ბრძოლაში მამინდელი საქართველოს მმართველების — გენშევიკების წინააღმდეგ.

1920 წელს ს. ეული მუშაობს ბოლ-

შევიკურ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, მალე მისი რედაქტორაც ხდება. პოეტის ასეთი აქტიური მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამოპარვია მენშევიკურ მთავრობას; იმავე წლის მიწურულში დააპატიმრეს და სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად ქუთაისის ციხეში გადაგზავნეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში სანდრო ეულს ბათუმის ციხეში მოუსწრო, საიდანაც ის გაათავისუფლდა წითელი არმიის ნაწილებმა.

ცხოვრების ახალ ასპარეზზე გამოსული რევოლუციონერი პოეტი, სხვა კომუნისტ მწერლებთან ერთად აარსებს და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციას. იგი მთელი გულწრფელობით ებმება ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1946 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავთან დაკავშირებით ს. ეული დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

• •

მშრომელი ხალხის გაუხარებლმა და დუხჭირმა ცხოვრებამ, რომელიც თავის დროზე სანდრო ეულმაც ნახა და გამოსცა, ადრევე ჩააფიქრა იგი, ადრევე აღანთო სოციალური უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

სანდრო ეულისათვის ლექსის მთავარი სასიცოცხლო ძალა საბრძოლო მოწოდებაა. მას არაფრისმთქმელად მიაჩნია ის ლექსი, რომელიც ადამიანთა გულებში არ აღვივებს სიკეთისათვის ბრძოლის ცეცხლს, რწმენას:

„ეთერ პოეტა“
 არ ვარ ნაცნობი, —
 ლექსი ლექსისთვის
 არ მიწერია,
 ნახი სიმების
 არ ვარ ამწეობი,
 მე ბრძოლის ქნარი
 ამიყვარია.

პოეტი თავიდანვე ებრძოდა ვიწრო ინდივიდუალიზმის ნაქუქში ჩაკეტილ პოეზიას:

მე არ მიწუხებს

„გული — იქეთა თაქმესადარი“.

ვით იმ „დიდ პოეტს“

სანუგეშოს რომ ვერა ზედავს.

ვინც ამოავსო

მწუხარებით ირგვლოვ მთა-ბარი

და თქმა „სიმღერის ეპოქისათვის“

ვერ გუბედავს.

პოეტი თავის ლექსში უმღერის რევოლუციურ ცეცხლს. ცეცხლი სანდრო ეულისათვის ძირითადი პოეტური სიმბოლოა. საერთოდ, მთავარი და დადებითი, რაც უნდა ვეძიოთ მის შემოქმედებაში ეს არის რევოლუციური ოპტიმიზმი. თავის აღრინდელ ლექსში „მეკურტნე მუშას“, რომელიც „სისხლით და ოფლით მდიდრებს ასუქებს“, პოეტი ამბობს:

მამ დაუფტარდი შენ ცხოვრებას

და იციან თავი,

მოდი, შევეუთხზათ ჩვენ სიმღერა

მოშავლის დღეებს

თუ დღეს ჩვენს ვოფას ფარავს ღამის

ზეწარი შავი,

ხეალ განითალზე ჩვენ ვიმღერებთ

ახალ სიმღერებს.

ს. ეულის ლექსები უმეტესად კონკრეტულ მასალაზეა აგებული. ამ მხრივ საყოვლადობა მისი ლექსების ციკლი: „ჩვენი ქარხნის გმირული დღეები“, სადაც პოეტი უმღერის ადამიანთა გმირულ შრომას. ამ ლექსებში დახატული სახეები გვიზიდავენ შრომის პათოსითა და საზოგადოებრივი მოვლენების მაღალი აღქმითა და გაგებით.

სანდრო ეულის შემოქმედების ძირითად თემას შეადგენს ოქტომბრის რევოლუცია, მისი გამარჯვებისათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრება. მის პოეზიაში ნათლად არის დახატული ცხოვრებისეული სიმართლე:

არ მინდა უქმად წუთი დავკარგო,

ძილში ვიხილო ტყბილი სიზმარი,

მსურს ქვეყნის ნატვრა ლექსად ავქარგო,

არ გაიზზაროს გულის ფიკარი...

განსაკუთრებით საინტერესოა ს. ეულის შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების

შემდეგ. იგი მტკიცედ დადგას ოქტომბრის რევოლუციის გზაზე, სამომავლო ომის შრისხანე დღეებში მსოფლიო საბრძოლო-მოწოდებითი ლექსებით აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხს, გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში:

...შევაჩეროთ მტერი ჩქარა,

მტრის მონებად დარჩენას სჯობს

შევეწიროთ საქმეს მართალს,

ვის დაეუფოთოთ ჩვენს მიწა-წყალს,

თუნდ ვებრძოდეთ ერთი ათასს.

მტრებზე გამარჯვებით აღტაცებულმა პოეტმა მრავალი საგულისხმო სტრიქონი მიუძღვნა საბჭოთა არმიას, გულწრფელად დაგვიხატა ომისდროინდელი დრამატული სურათები. მშვიდობიან შრომაზე დაწერილ ლექსებში იგი გამოდის, როგორც ახლობელი მეგობარი, გულის მესაიდუმლე მშრომელი ადამიანისა. მას მტკიცედ სჯერა, რომ მომავალი თაობები მოკრძალებით შეინახავენ მის სახელს და იტყვიან, „იყო დიდი ეპოქის პოეტი და მშენებელი“. ახლა, როცა მხცოვან პოეტს დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა, იგი კვლავ ახალგაზრდული ენერჯითა და გატაცებით განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას.

საიუბილეო დღეებში დაწერილ ლექსში პოეტმა თავის განწყობილება ასე გამოხატა:

მე მახარებს ჩვენი ხალხის

ჩვენი ქვეყნის ბედი,

ჩვენს მშობლიურ ლაყვარლებში

აფრენილი მტრედი.

მახარებს, რომ ხალხის ვულში

მეც ჩაქოლვ დარდი,

და სამშობლოს ზურმუხტ ბაღში

მეც დამირგავს ვარდი.

სანდრო ეული იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნაწარმოებები მტკიცე, აქტუალური თემატიკით სუნთქავენ. გარდა ლექსებისა მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოემა და პროზაული ნაწარმოები, აგრეთვე მხატვრული თარგმანებიც.

დოქ. ზ. შვერიძე

ნ. კ. კრუშსკაიას უცნობი წერილები

საერთაშორისო კომინისტრი და მუშათა მოძრაობის გამოწვევით მოღვაწემ, ვ. ი. ლენინის უახლოესმა მეგობარმა და თანამემამულემ, ნადევლა კონსტანტინეს ასულმა კრუშსკაიამ ბევრი გააცნო ჩვენს ჟურნალში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

1917 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან ერთად ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ ნ. კ. კრუშსკაია დაეღალადავ ჩაება პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე იგი ენერგიულად ებრძოდა ხელს ჩვენს ჟურნალში კულტურული მშენებლობის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს. ნ. კ. კრუშსკაიამ რუსურ სახალხო განათლების პირველ კომისართან — ა. ვ. ლენინისთან ერთად ბევრი რამ გააკეთა სახალხო განათლების დარგისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისად გარდასაქმნულად.

1920 წელს ნ. კ. კრუშსკაია დაინიშნა რუსურ განსახლების მთავარი პოლიტიკური განათლების (პოლიტგანის) სამმართველოს თავმჯდომარედ. იგი მკიდრად კონტაქტში იყო დედად პარტიული და საბჭოთა მუშაობთან, ეხმარებოდა მათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის რთულ პირობებში სახალხო განათლების საქმის ნაყოფიერად წარმართვაში.

ნ. კ. კრუშსკაია სხვა რესპუბლიკებთან ერთად დიდ მზრუნველობას იჩენდა საქართველოს სსრ მთავარი პოლიტგანისადმი, რომელსაც 1921-1924 წლებში ხელმძღვანელობდა ისტორიკოსი გიორგი ვასილის ძე ხაქაბერიძე.

როგორც ირკვევა, ნ. კ. კრუშსკაიასა და ვ. ვ. ხაქაბერიძეს შორის პირადი მიმოწერა არსებულა. ავადმყოფს ვ. ვ. ხაქაბერიძის პირადი ოქმიზე მუშაობისას, ჩვენს ჟურნალში სხვა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მეცნიერების წერილებთან ერთად, აღმოეჩინეთ ნ. კ. კრუშსკაიას დღემდე უცნობი ორი წერილიც. ამათგან ერთი მოწერილია ვ. ვ. ხაქაბერიძის სახელზე, ხოლო მეორე, რომელსაც აქვს ზოგადი სათაური — „პარტიკულური აშანაგები“, საქართველოს კომინისტრი პა-

რტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე. ორივე წერილი ნ. კ. კრუშსკაიას ხელითაა დაწერილი. ვ. ვ. ხაქაბერიძისადმი გამოგზავნილ წერილს, რომელიც შედგება რვეულის 8 გვერდისაგან, აქვს ხელის მოწერა: „კომინისტური საღმთო, ნ. კ. ულიანოვა-კრუშსკაია“, ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ წერილზე კი ასეთი ხელმოწერაა „კომინისტური საღმთო, რუსურ მთავარი პოლიტგანის თავმჯდომარე, რუს(ბ) წერილი ნ. კ. ულიანოვა-კრუშსკაია“.

ნ. კ. კრუშსკაიას ეს წერილები დათარიღებული არაა. სამწუხაროდ, ვერ წაიწყდით კონვერტისა, რომელზედაც ეწვეოდა, დასმული იქნებოდა მოსკოვისა და თბილისის საფოსტო განყოფილებების ბეჭდები სათანადო თარიღით.

ჩვენ ვამბობთ, კონვერტს და არა კონვერტებს, რადგანაც ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი წერილი წარმოადგენს ვ. ვ. ხაქაბერიძისადმი გამოგზავნილ წერილის დანართს, რის შესახებაც გარკვეულადაა ლაპარაკი თვით კრუშსკაიას წერილში, ამიტომ ორივენი ერთ კონვერტში იქნებოდნენ მოთავსებულნი. საინტერესოა, რომ ნ. კ. კრუშსკაიას განზრახული ჰქონდა ასეთივე წერილი გამოგზავნა განსახლებისათვის, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, დრო აღარ დარჩენია და ამიტომ ვ. ვ. ხაქაბერიძეს სახოც მისთვის განკუთვნილი წერილის საქმიანი ნაწილი წაუციხობს განსახლების მუშაობას.

ნ. კ. კრუშსკაიას წერილების დათარიღებისათვის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა დავგონებთ — თვით ამ წერილების შინაარსის მიხედვით დავაზუსტოთ იგი.

ნ. კ. კრუშსკაიას ამ წერილების დაყვირებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მათში არის რამდენიმე ფრაზა, საყურადღებო ადგილი, რომელთა ანალიზმა და სხვა მისაღებთან შედარებამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა მათი დაწერის დრო.

ვ. ხაქაბერიძისადმი გამოგზავნილი წერილის დასაწყისში ნ. კრუშსკაია წერს, რომ „ადგილებზე ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დაშინაგებულად განმარტავენო“. ასევე, ცენ-

ტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ამჟამად, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჯერ კიდევ გველას როდი ესმის საკმაოდ სწორად, არც თუ იშვიათად, ესა თუ ის ამხანაგი მიდრეკილებას იჩენს ჩათვალს, რომ პოლიტიკაგანმანათლებლო მეშობამ ახლა თითქმის დაკარგა მნიშვნელობა“.

ჩვენი აზრით, წერილიდან მოტანილ ამონაწერებში ნ. კ. ერუპსკიას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ პარტიის X ყრილობის (1921 წლის 8-16 მარტი) გადაწყვეტილებით ახალ ეკონომიური პოლიტიკაზე („ნეპი“) გადასვლისას ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი დაიბნა. ისინი თავიდანვე ვერ გაერკვენ ახალ ეკონომიური პოლიტიკას არსში. ასეთი დაბნეულობის გამდიერებას ვარკვეულად შეუწყვეს ხელს პარტიის რიგებში მოკალათებულმა ოპორტუნისტებმა, რომლებიც შეგნებულად ეწინააღმდეგებოდნენ ნეპზე გადასვლის ლენინურ ხაზს.

ამიტომ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპისაგან ფართოდ გაშლილიყო მასებში ასხანა-განმარტებითი მუშაობა პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, რათა დახმარებოდნენ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს ნეპზე გადასვლის მიზნებისა და ამოცანების სწორად გაგებაში.

პარტიის X ყრილობის დამთავრებისთანავე, 1921 წლის გაზაფხულიდან ამ მხრივ სწრაფად გაიშალა სათანადო პროპაგანდისტული მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში უნდა იყოს გამოგზავნილი ნ. ერუპსკიას წერილებიც. ამას ადასტურებს წერილის მეორე ადგილიც, სადაც ვკითხულობთ: „სამოქალაქო ომმა თავისი მოთხოვნისებრივით ეს საკითხი უკანა პლანზე გადასწია (იგულისხმება წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია — ზ. შ.), მაგრამ სამოქალაქო ომის შეწყვეტის, შესუსტებისთანავე ეს კვლავ რიგში დადგა“.

მოტანილ ამონაწერში უტრადლება უნდა მივცეს იმ ფაქტს, რომ ნ. კ. ერუპსკიას, წერილის დაწერის მომენტისათვის, ეხება რა სამოქალაქო ომის დამთავრების საკითხს, ერთსადაიმავე დროს ზმარობს ორ სიტყვას: „შეწყვეტისა“ და „შესუსტებას“.

აღნიშნული წერილი ავტორს 1921 წელზე გვიან რომ დაეწერა, მაშინ იგი იხმარდა მხოლოდ ერთ სიტყვას — „შეწყვეტის“, რადგანაც 1922 წლისათვის, შორეულ აღმოსავლეთში ინტერვენტთა განადგურებით, მართლად საბოლოოდ შეწყდა სამოქალაქო ომი.

მაშასადამე, ნ. კ. ერუპსკიას ზემოაღნიშნულ წერილებს წერდა იმ დროს, როცა სამოქალაქო ომი ძირითადად დამთავრებული იყო, მაგრამ ქვეყნის შორეულ მხარეებში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები კონტრრევოლუციონ-

ერთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ. ნადევდა კონსტანტინეს ასულიც ხაზს უსვამს: „ამ გარემოებას და ზმარობს ორ სიტყვას: „შეწყვეტისა“ და „შესუსტებას“. რაც ავიოთვე იმაზე მიუთითებს, რომ მოსსენებელი წერილი დაწერილია 1920-22 წლებს შორის პერიოდში“.

ახლა ვცადით თარიღის კიდევ მეტად დაკონკრეტებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილ წერილში ნ. კ. ერუპსკიას წერს: „ამხანაგ ლენინის მხარდაჭერით პოლიტიკურად დადგინა, რომ პირველი მაისის ერთ-ერთ უმოთარეს ლოზუნგად წამოაყენოს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“. აქედან ნათლად ხაზს, რომ აღნიშნული სიტყვები დაწერილია მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის წინა პერიოდში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ნ. კ. ერუპსკიას წერილები შედგენილია საერთოდ 1921 წელს. მაშასადამე აქ ლაპარაკია მხოლოდ 1921 წლის პირველ მაისზე. ამრიგად უდავოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ ვ. ი. ხაჭაბურთის პირად არქივში აღმოჩენილი ნ. კ. ერუპსკიას წერილები დაწერილი უნდა იყოს 1921 წლის 16 მარტსა და 1 მაის შორის.

ნ. კ. ერუპსკიას წერილები ფრიალ მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტებია. ისინი ერთხელ კიდევ მიუთითებენ იმ უდაღეს და მსახურებაზე, რომელიც მიძღვის ნ. ერუპსკიას ჩვენს ქვეყანაში პოლიტგანათლების დაწერვის საქმეში. ვ. ი. ლენინის ჰეუღლეს და თანაშემწეს, ნადევდა კონსტანტინეს ასულს კარგად ესმოდა ახალ ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლისთან დაკავშირებით ადგილებზე პოლიტგანმანათლებლო მუშაობის გარდაქმნის მთელი სირთულე.

ნ. კ. ერუპსკიას წერილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზეა გამოგზავნილი, დაწერილია უბრალო და გასაგები ენით. აღნიშნულ წერილ-მიმართვაში ლაპარაკია ახალ ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლისთან დაკავშირებით მთავარი პოლიტგანის მუშაობაში წამოჭრილ სირთულეებზე და მათი დაძლევისათვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ მხარდაჭერის აუცილებლობაზე.

ნ. კ. ერუპსკიას აღნიშნავს, რომ რსფსრ მთავარი პოლიტგანის მუშაობა მძიმე და ნაკლებად შედეგიანი იქნებოდა, რომ მას სისტემატურ დახმარებას არ უწყვედეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ვ. ი. ლენინი. ნ. კ. ერუპსკიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებს თხოვდა, რომ მთავარი პოლიტგანისადმი ხელმძღვანელობისათვის, ისე როგორც ეს რსფსრში ხდებოდა, თვით პარტიის ცენტრალური კომიტეტს მოეციებინა ხელი, აუცილებლად უცდილიყო მთავარი პოლიტგანის მუშაობის ე-



რსში, რათა სისტემატურად გაეწია მისთვის საჭირო დახმარება. ნ. ბ. ბრუზსკაია მკაცრად ემობდა ისეთ მცდარ შეხედულებას, თითქოს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პოლიტსაგანმანათლებლო მექანიზმს დაეყოფილი ჰქონდა მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ სამოქალაქო ომის წლებში პოლიტსაგანმანათლებლო მექანიზმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მასების შეგნებულობის ამაღლება, მათი დარახმვა, ინტერევენციისა და კონსტრუქციული გავრთიანებული ძალების წინააღმდეგ სამკვიდრო-სასიციტლო ბრძოლისათვის. ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში არ ჩანდა მშრომელბში განათლების შეტანის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, უფრო სწორად რომ ითქვას, მათი დანახვისათვის ნაყლები იდევალთ. როგორც ჩანს, ზოგიერთები შეგვევენ ამ მდგომარეობას და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგაც უბრაოდღობოდ ტოვებდნენ მშრომელთა განათლების საქმეს.

რსფსრ განსაკუთრებით მთავარმა პოლიტგანმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი დახმარებით ფართოდ გაშალა ბრძოლა ასეთი მცდარი შეხედულების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ნ. ბ. ბრუზსკაია სთხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა შანაც ასევე დაეუქიროს მხარი და დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მთავარი პოლიტგანის მეშობას.

ნ. ბ. ბრუზსკაიას მეორე წერილი გამოგზავნილია პირადად საქართველოს მთავარი პოლიტგანის თავმჯდომარის გ. ხაქაბურძიის სახელზე. წერილში მითითებულია, რომ „წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ მეშობის ისეთი ფორმები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ხალხის პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის“.

ნ. ბ. ბრუზსკაია განაყოფიერებით ამახვილებდა საქართველოს მთავარი პოლიტგანის ყურადღებას მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე. შემდეგ ნ. ბ. ბრუზსკაია აღნიშნავდა, რომ შტატების ხელყოფრად გაზრდა და პოლიტსაგანმანათლებლო სკოლების სიმრავლე არ ლაპარაკობდა მეშობის შიდალ ხარისხოვნებაზე. ნ. ბ. ბრუზსკაია რჩევას იძლეოდა შეემცირებინათ შტატები, გაეერთიან-

ებინათ დაქსაქსული პარტი-პარტი სკოლები და მათ ხელშედეგანებად სპეციალური ცენტრული, კარგად მომზადებული მასწავლებლები დაეყენებინათ.

გ. ვ. ხაქაბურძიისადმი გამოგზავნილი წერილის დასასრულს ნ. ბ. ბრუზსკაია აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო ომმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა სააგიტაციო მეშობაში დროებით უკანა პლანზე დასწიეს მოსახლეობაში განათლების შეტანის საქმე, მაგრამ სამოქალაქო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით იგი კვლავ პირველი რიგის საკითხად იქნა წამოყენული. ნ. ბ. ბრუზსკაიას სიტყვით, მომქების თავისებურება მოითხოვდა ამ სააგიტაციო მეშობის გაღრმავებას.

ასეთი შინაარსისაა გ. ვ. ხაქაბურძიის პირად არქივში აღმოჩენილი ნ. ბ. ბრუზსკაიას უცნობი წერილები, რომელთა შესწავლაც სასურველბას გვაძლევს გაეყოფიოთ შემდეგი დასკვნები:

1. ქვეყნის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდში, როდესაც პარტიის უხედილობა ბრძოლა ტროცისტების, „მუშათა ოპოზიციის“, „დევისტების, სინდკალისტების, ანარქისტებისა და ყველა ჯერის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ვლადიმერ ილიას-მე ლენინი, თავის თანამებრძოლებთან ერთად არ ივიწყებდა ქვეყნად წერა-კითხის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლას, ყოველმხრივ უქურდა მხარის მთავარი პოლიტგანის მეშობას.

2. შესწავილები შეიცავენ დამატებით მსალებს ნ. ბ. ბრუზსკაიას ბიოგრაფიის სრულყოფილად შესწავლისათვის, იძლევიან ფაქტობრივ მსალებს მთავარი პოლიტგანის თავმჯდომარედ ნ. ბრუზსკაიას მეშობის ირგვლივ, შვიტ სრულყოფით წარმოგვიდგენენ იმ ნაყოფიერი მეშობის სურათს, რომელსაც მთავარი პოლიტგანი ატარებდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლებში.

3. დისტერდებმა, რომ ნ. ბ. ბრუზსკაიას განსაკუთრებული დინტერესება გამოუჩენია საქართველოში პოლიტსაგანმანათლებლო მეშობის ამაღლების საქმით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში წერილის გამოგზავნილი ნ. ბ. ბრუზსკაია გარკვეულად უწყობდა ხელს აქაური მთავარი პოლიტგანისა აკტიურიტიკის ამაღლბ-ს, რასაც იმ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქ. სსრ ცენტრალურ კომიტეტს

პ ა ტ ი ვ ე წ ე მ უ ლ ო ა მ მ ა ნ ა გ ე ბ ი!

მოგმართავთ თქვენ შემდეგი საქმის გამო. რადგან ახლის ვაყნობ პოლიტსაგანმანათლებლო მეშობის, მე ვიცი, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას, თუ ის სწორადაა დაყენებული და რაოდენ დიდ-მნიშვნელოვანია იგი მშრომელი მსახურისათვის.

ჩვენთან, რსფსრ რესპუბლიკაში, მთავარი პოლიტგანი

თავის მეშობას აწარმოებს ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით.

ფაქტობრივ კოლექციის საში წევრი ახვე დროს არის მთავარი პოლიტგანის კოლექციის წევრა.

ამემად, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჯერ კიდევ ვეულის რიდი ესმის, საკმაოდ სწორად, არც თუ იშვიათად ესა თუ ის ამხანაგი მიდრეკილებას იწენს ჩათვალის, რომ პოლიტსაგანმანათლებლო

მუშაობაში ახლა თითქოს დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ჩვენთვის პრძობის წარმოება მეტად ძველი იქნებოდა, ცენტრალური კომიტეტი რომ მხარს არ გვიჭერდეს. როცა აუცილებელია, იგი მხარს უჭერს ჩვენს ცირკულარებს თავისი ავტორიტეტით; დავექმნარა იგი ფინანსურად; ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ რომ დადგინა, რომ იმის დამატებით, რაც მთავარ პოლიტიკანს განსაკვირვება გამოუვლს, მივყავს მას ერთი მილიონი ლარიანი. ხოლო ასევე, ამხ. ლენინის მხარდაჭერით, პოლიტიკურ რომ დადგინა, რომ პირველი მისთვის დღეს ერთ-ერთ უმთავრეს ღონისძიებად წამოყვანის წერა-კითხვის უწყობისათვის დაეკავშირებინა და მთავარ პოლიტიკანს წერა-კითხვის უწყობისათვის დაეკავშირებინა გამომავლის დამატებით თანხა.

მე ვთხოვთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თქვენის მხრივ მხარი დაუჭიროთ თქვენს მთავარ პოლიტიკანს მუშაობას, რაც ახლადღულ მნიშვნელობა ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია.

კომუნისტური საღმთი, რ ს ფ ს რ მთავარ პოლიტიკანს თავმჯდომარე, რ კ პ (ზ) წევრი ნ. კ. ულიანოვა-კრუჟკაია.

ამხ. ხაკაპურიძეს

მივიღე თქვენი წერილი და მასალები, რომლებიც იგნატოვის ხელი გამოვიგნავენათ. გამაღობთ კეთილდამოკიდებულებისათვის.

თან ვერაფერს ვერაფერს საკ. სსრ ცენტრალური კომიტეტისა და განსაკვირვებისადმი.

ამჟამად ჩვენ, მთავარი პოლიტიკანის მუშაობის, ხაკაპო ხონიძეს განვიხილეთ. ადგილებზე ახალ კონსოლიდირებულ პოლიტიკაზე გადასვლას დამხმარებულად განმარტავს. ვეღვა ვეღვა კონსოლიდირების ინიციატივას ვუდღო, მაგრამ ვგონობთა ვეფიქრებ არა ისე, როგორც ეს საჭიროა და ვუდღო მოვლობენ არა იმ საშუალებებით, რომლებიც საჭიროა.

ჩვენ წამოყვანეთ ასეთი დებულებები: მოვადინოთ ჩვენი მუშაობის რაციონალიზაცია, გავაღრმავოთ იგი, განვამტკიცოთ კავშირი მოსახლეობასთან, პროპაგანდა გავუქროთ მოსახლეობაში პოლიტიკანის მათემატიკური მუშაობის მნიშვნელობას, უფრო ფართოდ წავახილოთ იგი ამ მუშაობაში და მასობრივი ხასიათის დაწესებულებებში თანდათანობით გადავიყვანოთ ადგილობრივ სახსრებზე.

აი რა მიმართულებით მივყავანია საჭიროდ ჩვენი მუშაობის რაციონალიზაცია: მუშაობის ყველა სახის მიმართ უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად არს იგი საჭირო მოცემული მიმართულებების, მოსახლეობის მოცემული ფენისათვის. წინა პლანზე უნდა წამოვიწყოთ მუშაობის ასეთი ფორმები, რომლებზეც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ხალხის პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის. ვეღვა დაწესებულება უნდა გადავიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ხელოვნურად უნდა არიან ისინი, რამდენად ახლოს დგანან მოსახლეობასთან. უნდა შევამო-

კონტაქტები ისე, რომ დარწმუნდეთა მუშაობა გახდეს გაყოფილი უფრო დაბალი, უფრო ინტენსიური. დეცენტრალიზაცია უფრო იმის მხრივ დეცენტრალიზაციად უნდა არ წამოვიყვანოთ საკანონმდებლო მხარეს. ასეთი დეცენტრალიზაციის შედეგით განვიტვირთოთ დიდძალი ისეთი, წერილობითი საშუალებითი საქმეებისაგან, რომლებიც ამ ბოლო ხანებში უნაყოფოდ გვაკარგავდნენ ესოდენ დიდ ძალებს და საშუალებას არ გვაძლევდნენ უკრადღება გავყვამბოვდნენ მთავარზე.

მთავარი — ესაა მუშაობის გაღრმავება, შეიძლება თვალსაზრისით მისი სათანადო დონეზე აყვანა. წერა-კითხვის შემსწავლელი 10 სკოლის ნაცვლად, სადაც თითოეულ მასწავლებელზე 5 მოსწავლე მიდის და მხოლოდამალობის ვერცხრის ვერაფერი ვერ მასწავლებს. მოაწყობოთ ირ არ თუნდაც ერთ სკოლას დიდი რაოდენობის მოსწავლეებით, მაგრამ კარგად მომზადებული მასწავლებლებით, რომელიც კეთილსინდისიერად ჩაატარებს შეყვანილობას და ასწავლის წერა-კითხვას გაყოფილი უკეთესად, ვიდრე ერთად აღებული წინააღმდეგი ათი მასწავლებელი; და ასე ვეღვა ვერაფერს. ვულის მარჯვნივ და მარცხნივ ფლავების შექმნის საჭიროა მინიმუმამდე დაეყვანოთ პოლიტიკანის მათემატიკური მუშაობის ისეთი სახეები, რომლებიც მეტად ძვირი ჯდება და ყოველთვის უნდა განსაკუთრდეს, დიხს თუ არა გავიით ხარჯი, არა გეონომიური შენობისაგან იმის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკანის მათემატიკური მუშაობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება მოსახლეობასთან კავშირს, როგორც თქვენ იცით, ჩვენი ინიციატივით ვაყვანეთ ამ საკითხს, ხაზს ვუდებთ იმაზე რა მოსახლეობასთან განვიტვირთვითა მუდმივი კავშირის ორგანიზებული ფორმების შექმნის აუცილებლობას.

სამოქალაქო იმპა თავისი მოთხოვნებით ატიტაციის მიმართ ეს საკითხი უკანა პლანზე გადასწია, მაგრამ სამოქალაქო ომის შეწყვეტის, შესუსტებისთანავე ეს საკითხი კვლავ დადგა. მას უნდა მიუძღვრიოთ ახლა გაორკვებული ყურადღება. საქმის ამ მხარეს განსაკუთრებით მღიერად უსვანს ხაზს პოლიტიკანის მათემატიკური მუშაობისათვის მოსახლეობისაგან ვულის ატვის აუცილებლობა.

მუშაობის მხოლოდ და მხოლოდ საეკონომიკური ხასიათი უნდა შეიცვალოს უფრო გაღრმავებული. ჩვენთან შიშველ ატიტაციის უკვე აღარ უსმენენ. და თვითონ ატიტაციად ჩვენში იღებს პროპაგანდის ხასიათს, რომელიც უმთავრესად ორიენტაციათს ახდენს მხოლოდ მომენტის ამოყვანაზე.

მე ისე დაწვრილებით ვუერ, რომ დრო არ მრჩება დაწვრილი წერილი განსაკვირვებისადმი.

გადეცით მათ საღამო და წაუცითხეთ ამ წერილის საქმიანი ნაწილი.

კომუნისტური საღმთი, ნ. კ. ულიანოვა-კრუჟკაია.

3. ქონიანობი

წარსულის ფურცლები

საქართველოში, ისე როგორც მთლიანად რუსეთში, რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა იწყება 1910 წლიდან. ამ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას აღებდნენ მეშუბი, მოსწავლე ახალგაზრდობა, გლეხობა. ამ მოძრაობის შესახებ შემონახულია მთელი რიგი მასალებისა ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. ეს მასალები შესაძლებლობას იძლევა რამდენადმე აღვადგინოთ მეხსიერებაში რევოლუციური მოძრაობის სურათები სტალინის რეაქციის ეპოქაში, დაეზუსტოთ არა მცირე მნიშვნელობის ფაქტები და მოვლენები, შეძლებისდაგვარად შევისხათ მათ ზორცი და მკითხველთა წინაშე გადავსალოთ რევოლუციური ბრძოლის ფურცლები სოციალურ და გროვულ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამჟამად მე მხედველობაში მაქვს 1909—1912 წლები, მოსწავლე ახალგაზრდობის და ევროპულ ქუთაისის მოსწავლეების რევოლუციური შემოიბა, მისი თავდადებული ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

რევოლუციამდელი ქუთაისი არ იყო სამრეწველო ქალაქი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვირლ საწარმოებს, სადაც მუშაობდა არა უმეტეს ორასი თუ სამასი მეშისა. ეპირებისა და ჩინოვნიკების ქალაქს—ქუთაისს რევოლუციურ ელფერს აძლევდა უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა. მთლიანად ქუთაისში იყო არა ნაკლებ ოთხი ათასი მოსწავლისა (საშუალო სასწავლებლები), რაც მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა რევოლუციური მუშაობისათვის.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა კლასობრივ ბრძოლის მომეტებთან ერთად დიდ ყურადღებას აუცხევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს. ამ პერიოდში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას წამყვანი ადგილი ეკირა მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში.

ყუმბარები, როგორც ბრძოლის იარაღი აერ კიდევ 1905—1907 წლების მანძილზე ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ მოითხოვა ყუმბარების წარმოებას ათვისება. ძველი თაობის წარმომადგენელთ კარგად ახსოვთ, როგორ გაუქმასხინდლდნენ ყუმბარებით რეაქციონერ გენერალ ალბანოვ-აერსკის, რომელმაც

1906 წლის დსაწყისში გადასწვა ხარაგაული-ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედიი, გურია.

სტალინის რეაქციის ხანაში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის (აგრეთვე სხვა საშუალო სასწავლებლების) არა ერთი მოწაფე დაეუფლა ყუმბარების გაკეთებას კუსტარული წესით. ყუმბარების წარმოების ათვისება გადადიოდა უფროსი თაობიდან უმცროს თაობებზე, ასე რომ თუ კი პირველები სტოვებდნენ გიმნაზიას, მეორენი აგრძელებდნენ ამ საქმეს და თავის მზრივ პრაქტიკულ გამოცდილებას გადასცემდნენ ახალმოსულთ.

კლასიკურ გიმნაზიაში შეიქმნა მოსწავლეთა რევოლუციური ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: კახანავ ენველოდ იასონის ძე, ასათიანი გრიგოლ კირილეს ძე, ლამბაძე ნიკოლოზ კირილეს ძე, მე და კიდევ ორიოდე სხვა.

რიონის ნაბირზე, ოქროს ჩარდახის ნანგრევების ქვეშ ჩვენი ჯგუფი კუსტარული წესით აკეთებდა ყუმბარებს (პეტარებს). ფუბი ყუმბარების გამოსადელოდ ჩვენს ჯგუფს არა ერთხელ გამოუყენებია თვით გიმნაზიის შენობა, უმთავრესად სარდაფები, აფეთქების დროს ასეთი ყუმბარები დიდ ეფექტს ახდენდნენ.

გიმნაზიის შავრაზმელი აღმინისტრაცია და რეაქციულად განწყობილი სასწავლებლები დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ გენ. გუბერნატორსტაროსელის ამის შესახებ. მაგრამ არ უფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აღმოჩინათ ან ყუმბარების გადაამგები, ან მისი გამეთებელი.

ჩვენი ჯგუფის წევრებს ისე კარგად ჰქონდათ დაცული კონსპირაცია, რომ ვერც ქუთაისის გუბერნატორმა, ვერც მისმა საიდუმლო პოლიციამ, ვერც გიმნაზიის დირექტორის ჯამეშებმა ვერავითარი ზუსტი ცნობა ვერ მიიღეს ჩვენს რევოლუციურ საქმიანობაზე. ჩვენ გვქონდა ვანზრახვა მოვებდინა ტერორისტული აქტობი რეაქციონერების მიმართ, მაგრამ დროთა შესვლელობაში ბრძოლის ეს ტაქტიკა მე და ჩემმა ამხანაგებმა საესებით შევცვალეთ.

„მასწავლებლები“ კუსტინოვიჩის შავრაზმული გამოხლბა

1910 წელს, 10 თებერვალს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-ნ პარალელურ კლასში მეკადნიეობის დროს, გერმანული ენის მას-

წილებელმა ვლადიმერ იოსების ძე კესტინოვიჩმა გამოაქვინა შავრახმელ-რეაქციული სუბსკვიტება: ქართულ წინა ძაღლური ვნა უწოდა. კესტინოვიჩი ჩვენთან აესტრო-უნგრეთის მონარქიიდან ჩამოვიდა. იგი გადგენითი იყო კოლონიალისტური სელისკვეთებით და ქართველები სძულდა. ის ახლო კავშირში იყო ქართველი ხალხს მტერთან, კავკასიის სასწავლო ოქქის „ბორუნველ“ რედოლფთან, ეს უკანასკნელი სრული ნდობით ექცეოდა მას. კესტინოვიჩმა თავისი კაცთმოდელე გრძნობები გამოააშკარავა იმ მომენტში, როცა მე-6 კლასის მოწოდებები კარნახობდნენ ქართულ ენაზე თავის ამხანაგს.

ქართული ვნის შეურაცხყოფამ, ასეთმა აღვირახსნილმა გამოხდომამ დიდად აღაშფოთა საქართველოს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. ამის თაობაზე პრესაში პროტესტანტული პათოსით აღგზნებული მრავალი ხანტერებსა წერილი დაბეჭდა. ქართულ ენას, ქართულ ხალხს, რასაკვირველია, თავისი მუდგარი დაძვრულები გამოუჩინებდა. გახეთ „Новая речь“-ში დაიბეჭდა წერილი „ქუთათისეღ პედაგოგის თავხედობა“. მოვიყვან აქ ამ წერილის საყურადღებო ადგილებს.

„ქვემოთ ებეჭდათ ჩვენი ქუთათისელი კორესპონდენტის ცნობას, რომელიც მოკვიტობარობს გიმნაზიის ერთ-ერთი ადგილობრივი პედაგოგის ბ. კესტინოვიჩის კაცთმოდელე სულის აღმშფოთებულ გამოვლინებაზე. პიროვნება, მოწოდებული განათლოს ქართველი ახალგაზრდობა, მოწოდებული გააკეთილშობილოს მათი სულები და აღზარდოს მათში საერთო ადამიანური სიყვარული, თავს ნებას აძლევს გამოაქვინოს თავისი უწმინდური და მხეცური გამოხდობა, რომელიც სულის სიღრმეში შეურაცხყოფს დიდად კეთილშობილურ და წმინდა გრძნობებს სხვათა ვაზრდილთა. მათ შობილურ ენას ის უწოდებს „ცხოველურ ენას“. აღბათ, მან ვერ შეძლო შეექმნა კლასში დისციპლინა, ის მზად არის შერი იძიოს მოსწავლეებზე კარნახისათვის და შეურაცხყოფს მათ შობილურ ენას!

„რა საძიველი უგნური შერისიძიებაა! ჩვენ არ ვართ მალალი აზრის ოქქის დღევანდელ ხელმძღვანელობაზე“.

„ყოველშემოხვევაში სასწავლო ოქქმა დაუყოვნებლივ უნდა უკან გაიწვიოს აღვირახსნილი პედაგოგი ქუთათიდან. პიროვნებამ, რომელიც თავის გამზრდელთა ენას უწოდებს „ცხოველურ“

¹ ვახ. „Новая речь“, № 43, 23 თებერვალი, 1910 წ. თბილისი.

² იქულისსიშობა კავკასიის სასწავლო ოქქი, რომლის სათავეში იდგა შავრახმელი ნიკოლოზ აედორეს ძე რედოლფი.

ლურს“, დაკარგა უფლება შემდგომ შესარულოს ახალგაზრდა თაობის აღმზრდელისა და ხელმძღვანელის მოვალეობანი“.

ვახუთ „Новая речь“-ის იმავე ნომერში დაიბეჭდა წერილი „მოსათმენია?“ (კორესპონდენცია ქუთათიდან).

„10 თებერვალს, მე-6 კლასში, გერმანული ენის გაკვეთილზე ქუთათისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა კესტინოვიჩმა მიმართა მოწოდებებს, რომლებიც უკარნახებდნენ ამხანაგს, შემდეგი სიტყვებით: „შესწავრეტო კარნახი ქართულათ, ამ ცხოველურ ენაზე“. მოწოდებები თუმცა აღშფოთებული იყვნენ სულის სიღრმეში, მაგრამ თავს იკურდნენ და გაკვეთილზე არავითარ უწესრიგობას არ ჩადიდნენ. მხოლოდ გაკვეთილის შემდეგ მათ განუცხადეს ამის შესახებ გიმნაზიის დირექტორს, სხვა მასწავლებლებს და შეატყობინეს ამის შესახებ, რასაკვირველია, თავიანთ დედამამებს“.

„აღშფოთებული სულის სიღრმეში ამ „მასწავლებლის“ უტაქტო და თავხედური მოქმედებით, რომელმაც გაბედა — შეხებოდა ჩემს პროვინულ წმიდათა-წმიდას, თავდაპირველად მიემართა შე რუს საზოგადოებას, რომელსაც მე დიდად ვეცმ პატივს (რასაკვირველია, პუროშვიტინების და ტიმოშინების გამოკლებით) და ვთხოვ იყოს მიუდგომელი მოსამართლე „პედაგოგ“ კესტინოვიჩისა“.

„ეს საკითხი დიდად სერიოზულია და ღირსია ისიც, რომ ჩვენმა საზოგადოებამ დაილაპარაკოს მასზე: აქ კესტინოვიჩი (სიტყვამ მოიტანა, არ ესმის ქართულად არც ერთი სიტყვა) „ცხოველურს“ უწოდებს არა მხოლოდ ამ მოწოდებებს, რომლებმაც შესაძლებელია დანაშაული ჩადინოს მასთან, არამედ მთელ ნაციას, მთელ ქართულ ხალხს“.

მე არ მახსოვს, ვინ იმალემა „პროშეთე“-ს და „Neuter“-ის ფსევდონიმის ქვეშ. ამჟამად ამას მნიშვნელობა არა აქვს. ერთი რამ ვუდავია: წერილების ავტორთა გლამჭერება არამზადა კესტინოვიჩის წინააღმდეგ საყვებით სამართლიანი იყო.

მოვიყვანთ ნაწვეტს კიდევ ერთი წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო ვახუთ „Знамяквзье“-ში.

„დადგა დრო, როცა ბ. ბ. შუგოროვებს, კესტინოვიჩებს და მსგავსთა მათთა შეუძლიათ იმოღვაწეონ თავის ქვენა შიხნებისათვის, შეუძლიათ შეურაცხყოფონ როგორც მოწოდებები, ისე მთელი ნაცია და ამასთანავე ვერ შეხედნენ საგრძნობ პრო-

¹ ვახ. „Знамяквзье“-ში ამ წერილის დაბეჭდვისათვის ვახუთის რედაქტორი ამირჯეიბი დაჯარიმებული იყო თბილისის გუბერნატორის მიერ ასი მანეთით.

ტესტს მოწაფეთა მხრივ.

„Bap“ I.

ეს წერილიც სამართლიანად ილაშქრებს რეაქციონერ „მასწავლებლების“ კუსტინოვიჩების, შუგორეების და მსგავსთა მათთა წინააღმდეგ.

მთელი ქართველი ხალხი ღრმად იყო აღშფოთებული ამ არაშადა „მასწავლებლის“ შვირახმულ-ხელივანური გამოხდომით, რომელიც ნათლად აამჟარავებდა მეფის თვითმყარობელობის რეაქციული პოლიტიკის შინაარსს საქართველოში და სხვა განაპირა ქვეყნებში, ქუთაისის საგუბერნიო თავადაზნაურობამ თავისი წინამძღოლის სიმონ წერეთლის ხელმოწერით მიმართა გიმნაზიის დირექტორს გლეშაკოვს წერილით და სთხოვა დაწერილებით ეცნობებინათ მისთვის ყოველივე ის, რაც მისგან გიმნაზიაში ქართული ენის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით.

საქმე კიდევ უფრო გართულდა. მასში ჩაერია კავკასიის სასწავლო ნაწილის „მზრუნველი“ — შვირახმული რედოლფი, რომელიც ქუთაისში მიაყენა საოლქო ინსპექტორი ლარინოვი და დაავალა მას „გამოეძია“ კუსტინოვიჩის საქმე¹.

მომხდარი ამბით „დინტერესდა“ მეფის ნაცვალცი კავკასიაში — გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. ამ საქმემ მიაღწია ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებამდე პეტერბურგში. პირველ ყოვლისა — დასვა საკითხი სახელმწიფო სათათბიროში, სახელმწიფო სათათბიროში აღიძრა საკითხი ქართველი ხალხის შეურაცხყოფის შესახებ კუსტინოვიჩის შვირახმულ გამოხდომასთან დაკავშირებით. სათათბიროს 38 დეპუტატმა მოაწერა ხელი შევიწყვას და მოითხოვა მისი განხილვა ერთ-ერთ სხდომაზე. ამ 38 დეპუტატის სიაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, შრომის უკუფელები

(„ტრუდოვიცები“) და სხვ. საყურადღებოა, რომ განცხადებას (შეითხვას) ხელსაყერენ კადეტთა პარტიის წევრებიც. ვინაიდან ეს შეიქმნა ინტერესობა მისი არის, ამიტომ მას ინფორმალ მოყოყნა აქ: „გვაქვს რა კერძო ინფორმაცია, რაც მტკიცდება ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული ცნობებით, ორი კვირის წინ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეკლემში ადგილი ჰქონდა საესვებით დამახასიათებელ ინციდენტს. ხსენებულ გიმნაზიის მასწავლებელმა პატრონმა კუსტინოვიჩმა ვაყვეთლის დროს ნება მისცა თავის თავს ქართველი მოწაფის მიმართ, რომელიც უვარანებდა თავის ამხანაგს ქართულ ენაზე, გამოეთქვა სიტყვა-პიტყვით ასე: „ნუ ვუფთ ამ ცხოველურ ენაზე“. მთელი ერის ენის ასე დახასიათებას არ შეეძლო არ გამოეწვია მთელი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება, მით უმეტეს, რომ ავტორი ასეთი დაუშვებელი სიტყვებისა და შეურაცხყოფილი დახასიათებისა არის პედგოგი, თავისი მღვდლმარტოობით მოწოდებული პირველ ყოვლისა ჩააგონოს მოზარდ თაობას გრძნობა ურთიერთპატივისცემისა, სოლიდარობისა. ვლუბულობთ რა მზედველობაში, რომ აღნიშნული შემთხვევა ცინიკური და აღმაშფოთებელი დამოკიდებულებებისა იმის მიმართ, რაც ასე ძვირფასია ყოველი ერისათვის სრულიად არ არის ვრთული (კურსივი ჩეშია — ე. ქონიაშვილი). ჩვენ სახელმწიფო სათათბიროს ქვემოთ ხელისმომწერნი, სახელმწიფო სათათბიროს წესდების მე-40 მუხლის საფუძველზე, წინადადება ვიდრევეთ შვირახმული შეიქმნა კავკასიაში მის იმპერატორობით უდიდებულესობას — მეფის ნაცვალს“. ცნობილია, თუ არა მისთვის აღნიშნული გარემოება და, თუ ცნობილია, რა ზომების მიღებას განიზრახავს ის, რათა აღმოიფხვრას გამოხდომები ზოგი რუსი ჩინოვნიკ-პედაგოგების მხრივ მთელი ერის ღირსების წინააღმდეგ, მისი ახალი თაობის შრომალური ენის სიყვარულის გრძნობის წინააღმდეგ“. „საკითხი ვთხოვთ სენით საქმაროდ“.

მოუხედავად ვადაღმებული ნაბიჯებისა, მეფის ხელისუფლებამ კავკასიაში ფაქტობრივად გამოართვა „მასწავლებელ“ კუსტინოვიჩის შვირახმული გამოხდომა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება ატარებდა ცხოვრებაში იმ შვირახმულ პოლიტიკას, რომელიც დიდ ხანია დამკვიდრებული იყო პეტერბურგში, როგორც სახელმძღვანელო პოლიტიკა.

მაგრამ არაშადა კუსტინოვიჩის მიერ ქართველი ხალხის წმიდათა წმიდის შეურაცხყოფა არც ისე პატარა საქმე იყო, რომ ის საესვებით მიეჩქმლათ, უფურადღებოდ დაეტოვებინათ. ამიტომ „მეფისნაცვლის მოწონებით კავკასიის

¹ წერილის ავტორი „Bap“ ესველიოდ იასონის ძე კაბანაძე, იმ დროს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფე.

1910 წელს, ზაფხულში, ამ სტრიქონების ავტორმა დაწერა სტატია, რომელიც ეხებოდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მომხდარ ამბებს. ეს სტატია დაიბეჭდა იმავე წელს სა-მეცნიერო-პედაგოგიურ და ლიტერატურულ ძურნალში „განათლება“, (№ 10) სათაურით „თანამედროვე გიმნაზიები ჩვენში“, გმირი უღრველის ფსევდონიმით (ეს იყო შამინ ჩემი ფსევდონიმი).

² ჩინოვნიკი ლარინოვი, რომელიც მკვიდრი იყო შვირახმულთა ბანდისა, ცხადია, კუსტინოვიჩის საქმეს მიუღო მალად არ გამოარკვევდა. მართლაც და, თავის წარდგენილ ანგარიშში მზრუნველ რედოლფის სახელზე შან არ დაადასტერა კუსტინოვიჩის მიერ ჩადენილი დანაშაული ქართველი ხალხის მიმართ.

ასწავლო ოქტის „მზრუნველმა“ რედოლფმა კუსტინოვიჩის გამოუცხადა სავედური მის მიერ გამოქვედნებული წინდაუხედაობისათვის გამო-
თქმებში, რომლებშიც, როგორც აღმოჩნდა, გამოიწიეს „ტენდენციური განმარტებანი“ და მისცეს საბაბი დაენახათ მის მიერ გამოთქმულ ფრანზში მთელი ეროვნების შეურაცხყოფა.

კუსტინოვიჩის წინააღიდეგ დიარახმა კლასიკური გიმნაზიის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა (გარდა მცირეოდენი ნაწილისა), თვეების განმავლობაში (1910 წ.), სანამ ის ქუთაისში იყო, გიმნაზიაში მას ვესროდით ლაყე კერცხებს (დერეფანში), ბურთებს, ვუყვიროდით და, ბოლოს ვცადეთ ნამდვილი ყუმბარის გადადება კუსტინოვიჩის მოკვლის მიზნით.

მარტში (1910 წ.). გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლე ჭირაქაძე გიორგი იოსების ძე და მისი 4—5 ამხანაგე საღამოთი გაემართნენ პუშკინის ქუჩისაკენ. ამ ქუჩაზე იყო მოთავსებული რამდენიმე მაღაზია, სადაც კუბოებს აყვებდნენ. ამს ჭირაქაძემ და მისმა ამხანაგებმა მიმართეს ერთ-ერთ მყებულებს და უთხრეს, რომ გარდაიცვალა გიმნაზიის მოსწავლეები კუსტინოვიჩი და მათ დაეალებული აქვთ საბოლოო მას—დაუყოვნებლივ წაიღეს გარდაცვალბულის ბინაზე კუბოს ზომის ასაღებად. მყებულებს ვერ დაეკუდა, მაგრამ მალე დაამხმბდა და მიმინავე გაემართა კუსტინოვიჩის ბინისაკენ (კუსტინოვიჩი ცხოვრობდა იმ სახლში, რომლის პირდაპირ საპოლიციო ქუჩაზე იყო მოთავსებული ქუთაისის პოლიციისტრის სამმართველო). მეორე დღეს კუსტინოვიჩმა, დიდად გაბრაზებულმა მიმართა მოწყალებს: „თქვენ მე გამოიგზავნეთ მექმართა კუსტინოვიჩის ბინისაკენ ზემო სიყვდილი, მაგრამ იყო დეთ, თქვენდა სულზედუროდ, მე არ მოვკვდებიო“.

როგორც კი საჯაროდ ცნობილი გახდა კუსტინოვიჩის შეგრახული გამოხდობა, კლასიკური გიმნაზიის აქტიური მოწაფეთა შორის დაიბადა აზრი შეეკმნათ რევოლუციური ჯგუფი. ჯგუფმა დაიასა მიზნად კუსტინოვიჩის ფრთხილად განადგურება. ამ ჯგუფში შედიოდა: პოლიკარბე ვესილის ძე ნიშინიანიძე (მე-6 კლასის მოწყაფე), გრიგოლ კირილეს ძე ასათიანი (მე-6 კლასის მოწყაფე), ცერცვაძე ვეპალოზ გიორგის ძე (მე-6 კლასის მოწყაფე) და მე (მე-7 კლასის მოწყაფე).

უნდა ხაზი ვავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ჯგუფი შეიქმნა თავისთავად, ბრძოლის შინაგანი კანონების მიხედვით, მას არ ჰქონდა არავითარი ორგანიზაციული კავშირი არც ერთ იმ დროში არსებულ პარტიასთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ჯგუფი მოწყვეტილი იყო იმ პირთ, ვინც თანაუგრძნობდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ჩვენმა ჯგუფმა მიაგზავნა პოლიკარბე ნიშინიანიძე გამოჩენილ პარტიოტთან (გვარძელებს იქნება)

და მისწავლებელთან სიმონ ქვარიაიანთან. უკანასკნელმა ვიგო თუ არა ჯგუფის გვემეხე, სთქვა, რომ ის საცხებით იწონებდა რევოლუციურ საქმეს და სურვილს გამოიხატა, რომ ყველა რეპეტიონერი და შეარახული ლაყე-დირებულ იქნა. პირადად მე ჩვენი ჯგუფის საქმის ყურში მყოფა შეყვანილი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები პარამენ თვალკრებით (პ. ცახელი), ისიც, რასაკვირველია, იწონებდა ჯგუფის გადაწყვეტილებას.

ჩვენ გადაწყვერეთ გავვეეთებინა ნამდვილი ყუმბარა, ამოგვეჩნია მოხერხებული მომენტი და გიმნაზიის კვლევში მოგვესპო შეგრახული კუსტინოვიჩი. ყუმბარას შიგ ჩაუტრთეთ საფანტი. ყუმბარის სროლა წილად მხედდა. 1910 წელს, 19 მარტს, მე შევტრთიე დროს და ამ მომენტში, როცა კუსტინოვიჩი მიღოდა დერეფნით მეორე სართულზე (კუსტინოვიჩის ახლის არავინ არ იყო), ვესროლე ყუმბარა, რომელიც მოხედა კვლელს. ყუმბარა არ აფეთქდა. აი, როგორ არის ეს აქტი აწერილი იმდროინდელ დოკუმენტებში.

„19 მარტს, მეოთხე გავეთილის დასაწყისში, როცა მოსწავლეებმა კუსტინოვიჩმა მე-5 კლასში გავეთოლის გათავების შემდეგ ისინი იყო ვიარა ზემო დერეფნით და გავიდა კიბის ფართიზე დერეფანში, შეჯგუფლთაგან ვინმე მოჩაბეს მიერ იყო გადავლებული რაღაც ქურჯი, სიდიდით კაცის ოდენა, რომელიც იყო შემოგრაგნილი წერილი შეთვლით და გამოფენილი წერილი საფანტით. ეს ქურჯი არ ჰგავდა პეტარდას, იმიტომ რომ ის არ აფეთქდა; პირიქით სრულეთით უხმაუროდ იწოდა, თანაც არ იგრძნობოდა არავითარი სენი, არც კვამლი სჩანდა. ვეწარმოებ ამ საქმის გამოძიებას, რომელმაც ვერ არავითარი შედეგი არ მოგვეცა. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ ეცნობა ბატონ ვუბერნატორს“.

დირექტორი გლუშაკოვი.

გადავებულმა ყუმბარამ გვიმტყუნა, არ აფეთქდა. ამის შემდეგ ჩვენ ვიშოვეთ სმიტიოსა და ვესონის სისტემის რევოლვერი. ამ რევოლვერის ტყვიით უნდა გავმასპინძლებოდით კუსტინოვიჩს.

წველით ლაშით მწვანეყვავილაში (1910 წ., მაისის ბოლო რიცხვებში), რათა იქ გამოგვეცადა საბრძოლო იარაღი. რევოლვერმა გვიმტყუნა, არც ერთხელ არ გავარდა. ამნაირად, ჩვენი გვემა ახლაც ჩაიფეთა, მაგრამ პრძოლზე ხელი არ აგვიღია. ენაიდან სხვა რევოლვერი ვერ ვიშოვეთ (დრო კი არ ითმენდა, შესაძლო იყო კუსტინოვიჩის ქუთაისიდან გაქცევა). შეუუვყოფთ მაგარი ბზის ჯოხები—ორი ცალა. შესაძლოა კუსტინოვიჩი ვინმემ გააფრთხილა და იმ საღამოს, როცა ის მაგრად უნდა დავვეყვებინა ჯოხებით, გავგასწრო და ვაიქცა ფბილისში.

აკაკი წერეთლის ერთი წერილის შესახებ

აკაკის თხზულებათა VII ტომში¹ დაბეჭდილია აკაკის „წერილი ბ. არჩილ ჯორჯაძესთან“, რომელიც თავის დროზე გან. „თემში“ იყო გამოქვეყნებული (1913 წ. № 105). წერილი ასე იწყება:

„ბ. არჩილ!

როდესაც თქვენ პირველად ფეხი გადმოდგით სამწერლო სარბიელისკენ, თუ გავგონებდით, მე, თქვენ მიერ საივედო მომავლით განსტეკაღწეულს, ჩვეულებრივად გული ამძგერდა და აღფრთოვანებით მოგმართეთ წერილით და რჩევასაც გაძლევდით, თუ რა გზას უნდა დადგომოდით...“

აქედან ცხადი ხდება, რომ აკაკის არჩილ ჯორჯაძისადმი წერილი მიუწერია ჯერ კიდევ მაშინ, როცა არჩილს „პირველად გადაუღვამს ფეხი, სამწერლო სარბიელისკენ“, და სათანადო რჩევაც მიუცია მისთვის, თუ რა გზას გაეყოლოდა.

შეთხვევისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება სწორედ ამ პირველი წერილის გაცნობა, რომელსაც აკაკი იხსენებს ამ შემთხვევაში და რომლის პასუხიც მას ადრესატისაგან არ მიუღია.

აკაკი წერეთლის მუხუღმში, სოფელ სხვიტორში, დაეუღლა ერთი წერილი (აკაკის ხელწერილი), რომელშიც აკაკი იღვრთოვანებით მიმართავს მის ადრესატს — არჩილს და სათანადო რჩევა-დარიგებებსაც აძლევს, რა უნდა ახასიათებდეს ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის წერილი ან დედნის პირი, რომელიც აკაკის არჩილ ჯორჯაძისათვის მიუწერია მაშინ, როცა ამ უკანასკნელს პირველად შეუდგამს ფეხი სამწერლო სარბიელზე.

აი ეს წერილიც:

„პატრონო არჩილ!

პატარაობისას გხედავდით ხოლმე თქვენი დედ-მამის სახლში. ახლა შემთხვევით დაგი-

ნახეთ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. ვეღარ გიციანთ, თუარა გული აღარ მომიშენდა, რომ არ გამოვლანარაკებოდით. თქვენც როგორღაც თვალი ამარხდეთ და გვერდი ამარეთ. შეიძლება მეორედ ვეღარსა შეგხვდეთ და შიტომ გვერთ წეროილს. „მართლის მოქმელსა ცხენი შეკანშული უნდა ჰყავდესო“, ამბობდენ ჩვენი ძველები. ჩვენ კი ასე უნდა გადავაკეთოთ: „მართლის მოქმელი გოლგოთისკენ მიშავალი მგზავრიაო“ და რადგან სიპართელ საზოგადო მოღვაწეობასთან შესისხლბორცებულა, ასევე უნდა ვიფიქროთ თითოეულ საზოგადო მოღვაწეებზედაც. ეს კარგად ესმის ჩვენს ახალგაზრდობას უცხოეთში და სამსხვერპლოდ ბრუნდებიან სამშობლოში, მაგრამ რომ ვეღარ უძლებენ ჯერის სიმძიმეს, შუა გზიდან უხევენ და მიკუე ხნის მოწაფეობას გეთსაპირის ბალოთ ათავებენ.

ამან გამოიფანტა ნათელი ოცნება და სიბერის დროს გულში ბნელი ჩაშიყენა... მოულოდნელად ამ ბოლო დროს, ორიოდეწათან ერთად, შენც, პატარა სხივად ჩამეშუქე და გზადახულის მერცხლად დაიკვიკვიე... ოცნება ხელახლად შეკრას მუხსავით მომიდგა კარზე და შაიულებს, რომ ჩემი გულში ნაღები გავიხიაროთ.

უკაც ჩვენი სამშობლო ძველათ ახსოვს და დედაც მთლად წამებულ სამშობლოს მოსამახერხედ უნდა გამოსვლა, უნდა მისი წარსული თაგადასავალი იცოდეს, შესწავლილი კქონდეს მისი ნათელი წარსული და ან გათვალისწინებული. და ამშეოსის შესასწავლად ადგილობრივ იყლედეც როგორც ადგილას მდებარეობით, ისე თვით მატეოკრებლებითაც ფერად-ფერად სახეს და კეთებებს საქართველოსას, რომ იცოდენ რა როგორ დროს თქვენ და იმოქმედონ, უამისოთ შათი შრომა და უწყალო ქება ისე რაღაც სხეებს, იმ მოღვაწეებს, რომელნიც რჩესა და კაქვიკებს გვიანს, მოგვაგონებს ს. აღენ.

უქმალა, თქვენც მოგვხსენებთ, რომ იხვი შესანიშნავ სადგურს იკეთებს მდინარეში, ისე რომ შიგ წყალი ვერ შეუდის, მაგრამ იგივე იხვი, სამრეკლოზე აყვანილი(და)აქ დამწვევ-

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. VII სოლომონ ხელიშვილის რედაქტორობით. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვ. 824.

ული, აქაც იმისთანავე სადგურს იცეთებს! — და კაპიტულებიც მხოლოდ სხეების ნათქვამს იმეორებს! — და სწორედ ამის ბრალია, რომ უსამართლობას არსად ისე არა აქვს ვადგმული ფესვები, როგორც ჩვენ საზოგადოებაში. ბევრი მინახავს უბრალოდ, უსაფუძვლოდ უბად აღებული ჩვენში და კიდევ უფრო მეტი მოწონებული უღირსი! — ნამდვილი მოღვაწე ჩვენში ისე იშვიათია, როგორც ობოლი მარგალიტი. ბრალია იმის თაღლითებში გამოჩენა. ნამდვილ მოღვაწეს ამ შემოდასახელებულ ღირსებასთან ერთად აი რა უნდა ჰქონდეს კიდევ: თითქმის რჯულად გადაქცეული ნოციქულებრივი გულწრფელობა და სიმართლის მოყვარეობა, გამიჯული შეუპოვარი პირდაპირობა. აგდებით არავის არ უნდა უყურებდეს, არც დიდსა და არც პატარას არ ეროდებ-ეკრძალებოდეს, აქაოდა არ შეკადრება, არ შემფერის თავის დამდაბლებათ. წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს თავის თავზე. — არც ავსა და არც კარგს, გინდ წერილმანიც იყოს, არ უნდა აუაროს გვერდი გულგრილად. მისაწონი მოიწონოს და დასაგმობა დაკმოს, მიუხედავად იმისა, თუ სხვები რას იტყვიან და რას იფიქრებენ ამაზე.

უვლას მამასავით უნდა უყურებდეს, მაგრამ უღირსი მათგანი შორიდან ებრალებოდეს და ღირსი უღს იახლოებდეს. — სამართალი ცედი, გინდა უზომოდ იყოს, მტერს მიუტევოს, მაგრამ საზოგადო საკითხებზე რამე, გინდა მცორედიც იყოს, მოყვარესაც არ შეარჩინოს. აი ასეთი უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე ყოველგვანს მამარჩენოსთან ერთად იმეორებდეს აგული წმინდა დაბადე ჩემთან ღმერთო და სული წრფელი განშიახლე გეამსა ჩემსა“-ო. თუ თქვენც ეს ასე გადაგიწყევტიათ, მაშინ კეთილი იყოს თქვენი ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა და ნაყოფიერი...“

წერილი აქ წყდება. არა აქვს ხელისმოწერა.

ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ მას აკლია ის ფერადი, რომელზეც წერილის დასასრული იქნებოდა მოცემული. საერთოდ მოწონებია: შეიძლება წერილი სწორედ აქ სრულდებოდა, მაგრამ ხელმოწერილი იმიტომ, რომ იგი პირს წარმოადგენს არილი ჯორჯაძესთან გაგზავნილი წერილისას. ასეა თუ ისე, ხელნაწერის ნიშნებიცა და შინაარსიც უდავოდ ხდის რომ ეს სწორედ აკლიის ხელით დაწერილი წერილია არა. ჯორჯაძისადმი.

როდის უნდა იყოს დაწერილი იგი? წერილის პირველ გვერდს ზემოთ აწერია 20 ივლისი. წელი მითითებული არაა. თუ დავუვრდნობით წერილის შინაარსს, ცხადია, იგი მაშინაა დაწერილი, როცა არილი ჯორჯაძე პირველად გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე. ეს კი 1901 წელს მოხდა, როცა ეტრნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი წერილები: „შინაური მიმოხილვა“ (№ 5), „ძველი თაობა, ილია პავლევიძე როგორც პუბლიცისტი“ (№ 6 — 10) და ა. შ. სწორედ იმავე წლის, ე. ი. 1901 წლის 20 ივლისს (საერთაშორისო, ძველი სტალით) უნდა იყოს დაწერილი აკლიის ეს წერილი.

წინამდებარე წერილი აკლიის წერეთლისა შრავალმხრივად საუბრადღებო: 1. როგორ ზედმოხდა აკლიის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოსულ ახალგაზრდობას; 2. როგორ ესმოდა მას სამშობლოს სამსახური; 3. როგორ ესახებოდა მას საზოგადო მოღვაწის დანიშნულება.

ყოველივე ამის შესახებ აკლიის ზემოთყვანილ წერილში იმდენად ნათლადაა ნათქვამი, რომ მას კომენტარი აღარ ესაჭიროება. ეს წერილიც ერთხელ კიდევ ნათელს მტყუნს აკლიის წერეთლის პირადსა და საზოგადოებრივ მრწამსს, აკლიისას, რომელშიც მთელი თავისი სიოცხლე სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას მოახმარა.

ირაკლი კახიძის

ინგლისური წიგნი ქეთევან ღვთისმშობელზე

1624 წლის 12 სექტემბერს ქ. შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით, წამებით მოკლეს საქართველოს დედოფალი ქეთევანი. ამ ამბავმა მთელი იმდროინდელი ევროპა ააღაპრა. დიდხანს არ ცხრებოდა ამბავი მსჯელობა რომისა და ანტიოქიის მოქალაქეთა მიზიწერაში. იტალიელი მისიონერის პეტრო დელა ვალეს წიგნმა მსოფლიოს აუწყა სპარსეთის შაჰის ბრძანებისა, ქეთევანისაგან სამშობლოსათვის თავგანწირვა, ქართველი ქალის სულის სიმტკიცე — „ეკუთვნეს ქარნი იგი საშინელნი განსაუდელთანი გოდოლსა სულსა... ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი, რამეთუ დამყარებულ იყო არა ქვიშასა ზედა, არამედ კლდესა ზედა...“ (ი. მინნხი).

თუ ანტიკურ ხანაში ჯერ მითად, ხოლო შემდეგ ვერობიდან შთაგონების წყაროდ იქცა მტკიცე ხასიათის კოლხი ქალი მედეა, „რომელიც აქამდე დარჩა ქართველი ქალის უმთავრეს ხასიათად“ (ტ. ტაბიძე), ევროპის ისტორიის ახალ ხანაში ქეთევანის უდრეკი ეპიკოსის შთაბეჭდილებით ვერმანელმა მწერალმა ა. გრაფიუსმა (1616 — 1664) დაწერა ტრაგედია „ქეთევან ქართველი, ნაცადი სიმტკიცე“ (1657 წელი), რომელმაც მიიყრო ევროპის საზოგადოების ყურადღება. უფრო ადრე კი, 1633 წელს, ქეთევანის წამებაზე დაიბეჭდა წიგნი ინგლისში, ოქსფორდში. ამ წიგნის არსებობა გამოავლინა აკაკი გაწერელიამ („ლიტერატურული წერილები“, თბილისი, 1954; გვ. 126-9) აღნიშნულ წიგნის მეტოქეობით, ჩემი თხოვნით, ლონდონიდან გამოიმგზავნა ინგლისელმა მეგობარმა, საქართველოს მორტივედ ერთმა ახალგაზრდა არქიტექტორმა გ. ჯეივონსმა (G. Jeavons), რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

ამ ოქსფორდელი წიგნის სათაურია: A Letter Relating the Martirdome of Ketevan... Oxford, 1633 (წიგნის თარგმანს ვაჭყვეყნებ ქვემოთ). წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: I წინასიტყვაობა ქართველთა ენაობაზე (5 გვ.) და II. ბერძენი ბერისა გრეგორის წერილი აბატ სოფრონისადმი, საქართველოდან ტრაპეზუნდს ჩასლისას 1626 წლის 16 მაის დაწერილი (23 გვერდი). ეს მეორე ნაწილი, ე. ი. წერილი, 1633 წელს ბეჭდულად (ლათინური თარგმანივით) ცალკე წიგნად დაიბეჭდა (გამოცემის ადგილი

უცნობია). ამ 1632 წელს გამოცემულ წიგნის შესახებ ვეებულობთ ზ. ავალიშვილის ნაშრომიდან „თეიფერაჲ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, 1938; მაგრამ მან არ იცის, რომ ეს წერილი 1633 წელს ინგლისურადაც დაბეჭდეს საუბრადღებო წინასიტყვაობის თანდართვით.

ამ დროს, როცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ქეთევანის წამებაზე მეტწილად კათოლიკე მოძღვართა ჩანაწერებია ცნობილი, ეს ოქსფორდელი წიგნი მართლმადიდებელთა ხელიდანაა გამოსული. იგი ბრალად სდებს რომის ეკლესიას საქართველოსადმი მზაკერულ პოლიტიკას. მასში იხსნა ბერძნული და კათოლიკური ეკლესიების ბრძოლა საქართველოში გავლენისათვის. ბერძენი ბერის წერილის პუბლიკაცია ინგლისის ოფიციალურმა რელიგიამ იეზუიტთა ორდენის სახელის შესახაბად გამოიყენა. ამ წიგნის მიხედვით იეზუიტები საქართველოში 1625 წლის დამლევს ჩამოსულან სპარსეთიდან. საუბრადღებოა ამ წიგნში ისიც, რომ ქეთევანი მამადიანობის მიუღებლობისათვის უწამებოდა და არა რაიმე სხვა მიზეზით. საინტერესოა, რომ წერილის ავტორი გრეგორი საქართველოს საქმეებში ჩახედული კაცი ჩანს, მაგრამ „თბილისის“ ნაცელად „აქაშეთს“ ხმარობს. თუ რამდენად და რაა სარწმუნო ამ წიგნში, ამას შემდგომი კვლევა გამოავლენს. საყვედურია, თუ რა გამოხმაურება სქონდა ამ წიგნს ინგლისში თავის დროზე. იქნებ გრაფიუსის ტრაგედიასაც ეს წიგნიც დაედო საფუძვლად.

სწამს, რომ წერილის ავტორს, გრეგორის, იეზუიტები სძულდა და სიტყვა კი ემარჯუებოდა: მთელი წიგნი მალაღმბატერულ ანტიკლერიკალურ ნოველასავით იყობება.

წიგნის ტექსტის თარგმანი

წერილი ქართველთა ხელმწიფის თეიმურაზის დედის ქეთევანის წამებისა და ამ შემთხვევის გამო იეზუიტთა იშვიათ ვერაგობაზე.

ხუცესისა და პერისა, ანტიოქიის რეჟენერატორის გრეგორიანის უაღრესად წმიდა და განსწავლულ

აბატ სოფრონისადმი ვაგზავნილ 1626 წლის 16 მაისს.

ბერძნულიდან ინგლისურად თარგმნილი; ოქსფორდი, 1633 წელი.

პატივხელს

I

მოწველო მკითხველო, წერილში ხსენებულ ქართველები რჯულით ქრისტიანებია. ინგლისიდან ძლიერ შორს ცხოვრობენ და, შესაძლოა, მათ ვინაობაზე ნაკლებად გასმენოდეთ. ამიტომ საჭიროდ მიმანია მივითითოთ ზოგ მწერალზე, რათა წარმოდგენა გქონდეთ ქართველებზე და მათ დღევანდელ მდგომარეობაზე.

ბატონ ჯორჯ სანდისი შერე გულმოდგინედ და გულწრფელად აღწერილმა მოგზაურობებმა, რომლებსაც თან ახლდა გარკვეული სიძნელეები და ხიფათი, დაგვანახეს, რომ ქართველების ქვეყანა, უწინდელი იბერია და ალბანია, აზიამიკობისთვის, კავკასიონის, კასპიის ზღვასა და სომხეთს შორის მდებარეობს. სანდის აღნიშნავს, რომ მას და მის თანამოგზაურთ გულუხვად გაუმასპინძლდა ერთ-ერთი იქაური ეპისკოპოსოსი.

ქართველები შეომარი ერთი, დღეს აწიოკებული აქეთ-იქიდან თურქებსა და სპარსელები-საგან. მათ საკუთარი მტრობოლიტი ჰყვით: და, როგორც ამბობენ, იგი სინას მთაზე უნდა იშყოფებოდეს. ისინი დაყოფილნი არიან 18 საეპისკოპოსოდ. არ განსხვავდებიან სირიელებისაგან, იმ ვაგებით, რომ ორიენი ერთი სარწმუნოებისანი არიან. უწინ მოწინააღმდეგებდნენ მათ მელქიტები უწოდებს (რაც სირიულ ენაზე მეთუებს ნიშნავს) იმის გამო, რომ არ უნდა გაეზიარებინათ ევტიქისა და დიოსკორეს მწვალებლობა და ქალედონის ელატებს უნდა დამორჩილებოდნენ. მათი პატრიარქი ანტიოქიის ნამდვილი პატრიარქია. იგი დამასკოში იმყოფება, ვინაიდან ანტიოქია მსოფლიოსაგან ძალიან გარიყულ ადგილას მდებარეობს (სანდისი, წიგნი 3, გვ. 172). მათ სარწმუნოებასა და წარმოშობაზე, უფრო დაწერილებით, ბატონი სამეფელ პერჩის¹ მოგვითხრობს თავის „მოგზაურობებში“ (2 ნაწ., წიგნი 8, §5). სერ უოლტერ რალე² („მსოფლიო ისტორია“ I ნაწილი, თავი 7, §10), როცა განიხილავს სომხეთის მთებს, სადაც წყალმა ნოეს კიდობანი მოატოვა, ეყრდნობა რა პტოლომეუსსა და პლინიუსს, აღნიშნავს: მართალია, ქართველები უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ვიდრე გორდიანის მთებია, მაგრამ აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება „გორდიან“ და მერმედ „ჯორჯიან“, სპარს და თურქ უიოდურეს ურწამუნოთა შორის ისინი ცვლიაჲ კვილ ქრისტიანებთ რაგებთან, იციან რა ბერძენთა ენა.

მართალია რომინდ შორს არიან, მაგრამ

მათში საქმაოდ ძლიერია რომისკენ მიდრეკილება და მისი იმედი, ვინაიდან, მათ არსკენ იგზუიტების მაენე და ევრატი ზრბო ქვენებს. იგზუიტები იმისათვის, რომ დაარღიონ ქვეყნად სომედიდ, ამბობების, აჯანყების და ამგვარი მაენე მრწამსის ევროპაში გაერკელებას არ ეყრდნობან. ამ ზოლო დროს გამოირკვა, რომ ისინი მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც მოქმედებენ, როგორც ეს ქვემოდმოყვანილ მეტად გულახდილად ნაამბობ წერილდან გამოირკვა: რადემა, თქვენ შეიტყობთ იმ ცნობილ სიერაგეს, რის გამოც იგზუიტებმა ქართველების (ისევე, როგორც ევროპის ყოველი კეთილი ქრისტიანის) სამართლიანი სიძულელი და გულისწყრომა დამსახურეს. ეს იგზუიტები ისეთივე სასჯელის ღირსნი არიან, როგორც ორ მათგანს ხედა ჩინეთში; ერთი მათგანი-მარტინეზი (იხ. პერჩისის „მოგზაურობანი“, ნაწ. 3, გვ. 339, 406) სასჯელიოდ გაროზგეს, ხოლო მეორე-სებასტიან ფერანდესი, სამარტკვინიზმის მიაყრეს. და ორივე ისეთივე ევრაგობისათვის, რაც ამ შორეულ სამეფოში მოხდა. ისეთივე სასჯელი ეუფუნით, როგორც მათი მშობის ორ წევრს ხედა გერმანიაში, რომლებიც ახლახან იმხილეს, ერთი სტრასბურგში და მეორე ულიპტგში. ამ სტრასბურგელმა, — იგი ფარულად მოქმედებდა იმ მიდამოებში, — აღიარა, რომ თუდათ იგზუიტთა შორის ისიც ამ ომებში კათოლიკური საქმიანობისათვის ყოფილა დაქირავებული. მათ დავალებული ჰქონდათ მოქმედებათ გამოჩენილი სამუდრო და პასუხისმგებელი პირნი; რომ ამ წაყვებთ, ან სამუდრო ძალით ხელი შეეშალათ იმპერატორის ხელისუფლების საქმიანობისათვის. შეიტყვეს რა ეს, სტრასბურგელი მოქალაქეები არ შეუყოფამანდენ და მათ ღირსეული სასჯელი მიუზღვეს.

II

წერილი უაღრესად წმიდა და განსწავლულ აბატ სოფრონისს; ბერი და ხუცესი გრეგორი ვისურგებთ წყალობას ღვთისა.

უაღრესად წმიდათ და განსწავლულთ აბატო.

ახლახან ქაშუეთიდან, იბერიიდან ქართველების ქვეყნიდან) გამოვიგანეთ წერილები და დაწერილებით გაუწყეთ ჩვენი მოგზაურობის ყოველდღიური ამბები, თუ რაოდენ გულხვად გავეიმასპინძლათ თემურაზი — ქართველების ხელმწიფე, და სხვ. ახლა აგერ ორიოდე დღით ტრაპეზუნტს (ქალაქია პონტოს ქვეყანაში) წეჩერდით, და თქვენი წერილებიც მივიღეთ, წყაიკთხეთ, მეერ ბეჯითად განვიხილეთ მათი არს, და მადლობა შეეწირეთ უფალს, — რომ იყოს მეობ და მფარველი თქვენი.

სხვათა შორის თქვენ ეუბოვეთ დაგიმწმომოთ სპარსეთის უაღრესად სასტიკი შაჰის მიერ ზემოხსენებელი ხელმწიფის თეიმურაზის ღედის წამება. შეაქლებისდაგვარად მოყ-



ლეთ ვაიმობთ, რადგან ამ ახლო ხანში ვაიმობთ თქვენს ნახვას და როცა თქვენს წინაშე წარედგებით, მაშინ სხვა ამბებზეც უფრო დაწერილობით მოგახსენებთ.

სპარსეთის შაჰმა განიზრახა ომი დაეწყო ამ ლეთისმოსავ ზღმწიფეთ თემურბაზანს და სხვა მართლმადიდებელ ქართველებთან. ამიტომ 1614 წელს შაჰმა დიდი ჯარით ქაშუეთს, რომ მოესპო ეს წმიდა სამყოფელი. ამასობაში კი ქალაქები და დაბები ნაწილად გადასწვა და ნაწილად მიწასთან გაასწორა. უნარბიო ხალხი, მათ შორის მთხეცეები, ხანდაზნული ქალები და უმწყო ბავშვები სძალზე ავირ. ასე ვაივრანა ყოველივე. დარჩენილი ხალხი ტყვედ წაიყვანა, მათ შორის თემურბაზანს კეთილშობილი დედა ქეთევანი. მერე ვაიმართა ერთ ქალაქსაყენ, რომელსაც გრემი ეწოდება, და სპარსეთისაკენ ვაბრუნდა. თან ვაიყვლა ტყვეებს უმეტესობა, წაიღო უამრავი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარჯალიტი და ძვირფასი სამაყულები.

შაჰი ვაიმარჯუებას ზეიმობდა. მისი ერთი ზეიმი ცხრა დღეს გრძელდებოდა. ბრძანება გასცა, რომ ქალების ვარდა არცერთი ტყვე არ ვაიყვდებოდა. ერთ-ერთ დარბაზობაზე შემოავიწინა ტყვეები და ერთი საათის ვაშვილობაში ასამდე ვაიცი წარსდგა მის წინაშე, ვისაც კი საქართველოში რაიმე სამოქალაქო თანამდებობა ვაიყ. ზოგიერთ მათგანს თავისი ცერტრწენი მიიღებდა. ხოლო ვინც არ ისმინა მის ჯიტირ მოხონვა, ისინი თავის ქვეშევრდომებს შინაყმებად მისცა. ამის შემდეგ შაჰმა ქეთევან დედოფალიც დაიბარა. როცა მოვიდა, ასე მიმართა:

„პოი, დედოფალი ქეთევან! უღერესად დიდ პატივს გცემ, და მდაბლად თავს ვიკრავ. არა ნაყლებ ვაფხსებ, ვიდრე ჩემს შობებელ დედას. ჩემი სურვილი და წრფელი წადილია, რომ კვლავაც მშვიდად და მუდროდ იცხოვროთ, როგორც ეს თქვენებარ დიდგვაროვან და უფლისწულთა დედებს შეეფერება, მეტადრე თქვენებარ ზანდაზნულ ბრძენ და კეთილშობილ მანდლოსანს. მხოლოდ ერთი რამ მსურს თქვენგან. სახელდობრ, რაც თქვენს ქვეყანაში გავრცელებულ სარწმუნოებას შეეხება. მსურს, რომ ჩვენი, ყველაზე წმიდა სარწმუნოება მიიღოთ, რადგანაც, მოგვხსენებთ, ღვთაების ნაცულად მოედგავს თავიანთსევა ურჯულებების უმაღლესი ნიშანია. თუ იწებებთ და ეხიარებით ამას, მაშინ არამე თუ თქვენს ნება-სურვილზე იცხოვრებთ, ფეფრწებით გარემოცული, არამედ უღარეს პატივშიაც იქნებით და ასეთი ნაბიჯით ჩემი გულითადი შვეგობარი და ახლო პირი ვახდებთ“. ასე ვანარბობდა დავიწებულ დარწმუნებას, თავის რჯულისაკენ ქეთევანის მოსამბრობად, მაგრამ ის ურსაც არ ათხოვებდა შაჰის ლაპარაკს, არც ლქენი სიტყვებით მიხიბლულა და ასე მიეგო:

„რად ცდილობთ შეცდენით, უღირსო ადა-

მიანო?! რად გსურთ წამართვათ ყრველვე მიწიერი, რაც ამ წუთისოფლადგე დედმწმინდა! ამა, მითხარით, რამდენ ხანს დეჟქუბქრე მთხეცეს ასე მოხეცი? რომ შემძლებოდა კიდევ სხვა მოყვადებზე გრძლად მომქსოვა ჩემი წუთისოფლის კარგა, ო, ვანა სამართლიანი იქნებოდა ამ მსწრაფლ და წარმაველ ყოფაში ვამეცვალა ის ნეტარება, რომელიც მართალი და უსასრულო იქნება?! ნუთუ ისე სულელი, ისე ბრუევი გგონივართ, რომ შაჰ ალთქმული დაბირებების იმედით დავთანამდებობთ და ვეღვატებ ბიროტი-საგან ჩემს განარინებას, რაც ყველაფერს მირჩევნია ამ ვეწვიწურს?! ისე შაჰგს თქვენი ყოფა, თქვენი მოღსენა და ეგ რომეა, რომ არ ვაიმრებ თდნავ მაინც ვეღვალატო ან განუდგე მას, ვისაც თქვენ მოყვადვს უწოდებთ. რადგან სწორედ მან შამორა მე, თავისავე უმანკო სისხლით, ეშმაკისა და შენისთანების ცთუებმას, და აღდგომისას აღმომაყენა მე ამა სოფლად. და ტეშმარტად იგია ყოვლის მასწელი და უძლიერესი უფალი...“

ვარდა ამისა ქეთევანმა მას ავაზაყ და სასტიკი ტირანი უწოდა, — მიეღეს არ შეჰყვარის, ისე უღირსად დავსხი თავს ქართველებს და უამრავი ქალაქები ავაიარქმენო. შაჰს ასეთი ბასუხი ძლიერ ეწყინა. მოჰყვა საშინელ და საშინ ქაღილს, რასაც ქალისათვის სიზნუნ და სიმტიყე უნდა წარსმია. მაგრამ რაც დრო ვადიოდა ქეთევანს ეს სულ უფრო მეტ ძალას მატებდა, და იგი მტიყედ ერთგულებად ღვთაებას, რომელ არს ქრისტი. (მოგახსენებთ მხოლოდ კეთილშობილნი და დიდსულოვანნი უძლებენ დრო-ვამის ვარაშს). მაშინ შაჰმა ბრძანა, რომ ქეთევანი მღუღარე ქაბაზი ჩავგდოთ. ქეთევანი ამას მწიფიდად შეხება, თითქოს საწლო ოთახში მიჰყავდათ. და მანამდის აძულეს, ვიდრე მისი სული უფალმა მიიბარა, და თავს წამებულის გვირგვინი დაედგა. მისი ვაიმი მიწაზე დაავდეს, და არ დამარხულა, ვით ეს ქრისტიანს ეკადრება.

ხოლო იქიყო ერთი ქალი მოახლა, ნეტარ ქეთევანის ყოფილი მოსამსახურე. იგი ამ ღირს ერთ სპარსელ დიდებულს ჰყავდა მშველად. მან თვითონ იხილა თავისი ძვირფასი ქალბატონის სიყვდილი. ძალიან უნდოდა ქეთევანის გვიანი გადაარჩენა. ჯერ მსურთს სთხოვა, მერე თავისი პატრონი დარწმუნა, რომ თუ ამ ვაიმას გადაარჩენდა, დიდ მოყვებას ნახებდა, რადგან ქეთევანის ვაფისაგან დიდძალ ფულს მიიღებდა. იმვე ლაზით, როცა, როგორც ვოქვით, ნეშტი მიწაზე დაავდეს, ამ მოახლამ და კიდევ ორმა მსახურმა ვაიმი შინ მიიტარეს. მერე მოახლამ ცხემლარი ფაქიზად განაზა, კუბოში ჩაასვენა და სახლის მუდრო ადგილას საიმედოდ გადაამალა, ელოდა, ვიდრე იბერიის ელჩები დაზავების მოსახდენად ჩამოვიდოდნენ და მოახლასა და მის ქალბატონის ნეშტსაც შეისვიდიდნენ. მოახლასაც კარგათ ესმოდა, რომ ქართველებს არ

შესწევდათ იმდენი ძალა, რომ ეომით და სპარსეთის შაჰისათვის დიდხანს გაეძლიოთ. თუშეაჭარბებულს დაუგზავნის და გაუგზავნის ქალაქები, ზავის დადება და კავშირი მიიწვი აუცილებელი იყო. ეს მალე კიდევ მოხდა. შავრამ ახლა უნდა გაუწყობი ზოგი რამ, თუ რა ხდებოდა იქ სწორედ იმ დროს, როცა ნემტის წაღება უნდა მომხდარიყო. მიიღო იყოღეთ სამხედრო გაძევებების ქვეშევრდობა და ოინებო, რაც თქვენი უზრუნველბის ღირსია. იმ დროს სპარსეთში ძველი რომიდან მოსული ე. წ. ი ვ ზ ი ტ ა მ მ ი ბ ა იყოფებოდა. მათ თავი ისე მოქონდათ, ვითომ ცრუ სარწმუნოებისაგან სპარსელების დასახნვლად და ქრისტეს მრწამსის საჭადგებლად მოსულიყვნენ. შავრამ სპარსელები ისე უკიდრნი და ბრძაღ მორწმუნენი არიან, რომ იეზუიტები ბევრს ვერას ვახდენენ, მხოლოდ ბეზღუნებდნენ. როგორც ჩანს, ამიტომ იყო, რომ მათ ვადაწყვიტეს სხვა ალავს ვადასუღიყვნენ. მათი მიზანი და მისია ხომ ის იყო, რომ წარმადებოდა და მოგზობთ განუხორციელებინათ თავიანთი ბნელი ზრახვები. ამიტომ ხელი მიუყვეს ქეთევანის გეამის ძებნას, რომელიც, მათი აზრით, ვადაგებული ექნებოდა და მისი შეძენა არ გაუძნელებოდათ. შავრამ ვერსად მიაგვლიეს. მეტს ვეღარ დაყოვნებდნენ. გეამს რაიმე ნაღობი დაუბრუნებოდა, და თავის გზას დაადგნენ. გზაში ვილაციის გეამს წააწყდნენ, რომელსაც მოაშორეს თავი, სურნელი მალამო წიქსეეს, როგორც სავირობა ისე შეაბეიეს და წამოიღეს იბერიამში. თეიმურაზის საცხოვრებელ ქალაქთან მიახლოებისას კაცი ვაგზავნეს, მოეხსენებოდა ვინმე ქრისტიანები ვართ, წმიდა მოციქულურ წესთა მოსაენი. ვეაბელით მის სახელოვან და ქრისტიანულ უღიდებულესობას, რათა მივართვათ წამებულის და ქრისტეს ჭიმაგის ქეთევანის ნემტის ძვირფასი და სასწაულმოქმედი თავი; რა არ ვიღონეთ რომ მთელი სუტელი შეგვეძინა, შავრამ ვერც თხოვნითა და ვერც უღლით მეტს ვერაფერს ვახვდით; არაერთი ხიფათი ვადაგებდა თავს, ვიდრე, დიდის დავიდაბაბით, რაღაც სასწაულით, ლოცვითა და ვედრებით, მრავალი დაბრკოლების ვადადასვენს მოხდებ, ამ ქვეყნამდე მოვალწიეთ და უვნებლად ჩამოვიტანეთ წმიდანის წმიდა და ძვირფასი, სხეულს მოშორებული თავი. თეიმურაზი წმინდანებისა და წამებულების მიმართ უაღრესი პატივითა და მოწიწებით იყო გამსჭვალული. დედას ხომ თავყანს ცემდა და ძლიერ უყვარდა, და ეს ამავე, ცხადია, გულთან ახლის მიიტანა. დღის სავალზე ვაეშურა მათ შესახებდრად. მას თან ახლდნენ სახლთ-უხუცესნი, დიდებულები, სასულიერო პირნი. ნემტი იბერიის ქაშეეთში ჩამოსაყენეს და მეტე დიდის ამბით ბრწყინვალე წამებულის-წმიდა გიორგის ა ღ ე ვ რ დ ი ს ტაძარში დასვენეს. რაც შეუხებია იეზუიტებს, ხელმწიფემ ისინი დიდი პატივით მიიღო და კარგი და ვრცელი ბინებიც მიუჩინა. ბრძანა, რომ

უბრალო ხალხს არ შეეწყებინა ისინი. ახლა კი იეზუიტების ეშმაკობანი უნდა მოგახსენათ: ხელმწიფემ მათ საპატრიარქოსის საბუღებო მთარება, შავრამ მან ხელს უკრძარ ახლებს. ასეთი რამ ჩვენთვის არა გუარ არს, რადგან თავყანს ვცემთ სიღარიბეს, წმიდა მოციქულურ ცხოვრებას ვეწყვიტთ და ამიტომ არც ამ სიმდიდრის და დიდების მიღება შეგვიძლია. თან უყველა ხელადა, რომ ისინი მარხვას იზაბედდნენ, ზესტად იცავდნენ ღვთისმოსაობის ყოველდღიურ წესებს, იშვიათ თვისებებს — თამებაზლობას და კეთილგონიერებას ამკლავებდნენ. ყოველივე ამით ბრძენ და გონიერ კაცთა სახელოც მოიპოვეს.

მოკლეთ რომ ვთქვათ, მართლაც მოციქულბნაებით უმწიგლოდ იქცოდნენ, რითაც ხელმწიფეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ნემტის თაყყანისცემის შემდეგ თეიმურაზი იეზუიტებთან მიდიოდა და დიდხანს ეზაბეზობდა მათ. კარზე მყოფი დიდებულებიც ასევე იქცოდნენ, ერთმანეთის ქიშპობით ხელმწიფის დედის სახელზე ძვირფასი საწიქრები მოქონდათ, და იშვიათი ძღვენიც საყმარ სიმდიდრე შესძინეს ტაძარს. იეზუიტებმა რომ ეს გულმოდგინე გულუხობა დაინახეს, მიხვდნენ, რომ ამ შეწირული ნივთებით ტაძრის სიმდიდრე დღით-დღე რმატებოდა. მკარ ხელმწიფეს ეახლენ და მოახსენეს: ჩვენ მხოლოდ უბრალო ბერ-მონაზვნები ვართ, ჩვენი ხედვრი ვანმარტობული და მყარნი წესებით ცხოვრებაა და არ შეგვეფერის ძვირფასი სახლებში ყოფნა, სულ მეტივ ოთახში ამ რაიმე ქონსიც ოილთ წყაღეთა, ამიტომ სთხოვენ მის უღიდებულესობას უწყალობის მათ სიველი, რომ მიატოვონ მიჩენილი ბინები და დაბინავდნენ იქ, სადაც ნემტია დარჩილული. მის ჩამოსატანად არა ერთი სიძნელე ვადაგვილახავს და ახლა მისი მოვალზრუნევა და პატრონობაც ზვეწზე იყოს.

ეს თხოვნა ჭეუჭისთან ახლო და საზრიანიც ჩინდა, და ამავე დროს მონაზვნური ყოფაცხოვრების წესსაც შეეფერებოდა. ხელმწიფე აინტენსივ არ იყო მათ ბნელ ზრახვებზე. ბრძანა მიეცათ მათთვის სიველი, რომ ვამოცეცლათ ადგილსამყოფელი და დასახლებულიყვენ ტაძრის ახლო, სადაც რამდენიმე ქართული ბერიანი იღბა.

როგორც კი მოკალათდენ და მოეწყვენენ სურვილის თინახმად, აღარ დააყოვნეს და ნემტს სასწაულმოქმედები მიაწერეს. ამას აშკარად მათი მოყყანსი თუ ხელადადნენ. ეს ხმა კი ისე ვავრცელდა, რომ ათასნაირი ხალხი დიდის ღვთისმოსაობითა და იმედით მიაწყდა მათ. თან უმარავი საბუღებო და შესაწირავი მიქონდათ, რასაც იეზუიტები ღებულობდნენ და იოლადაც ისაყუთობდნენ. ადგილობრივ ბერებს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს უთმობდნენ, და რბიხანად უმტკიცებდნენ: ნემტის ჩამოტანისათვის ხელმწიფემ ტაძრის მთელი შემოსავლისა

და ქონებით სარგებლობის სიველი გვიბოძა და ნუშტის მოვლის პატივაც დაგვიცხრო. მაგრამ, უნებრეს იგუბრებმა ადგილობრივ ბერებს, ამ შემოსავალში თქვენც შეგზიზიარებთ როგორც თანამხრახველებსა და თანამოსახლებსო. ვაუმხილეს, რომ მზად იყვენ (ხელშეწყობისაგან ფარულად) მთელი შემოსავალი გაეყო, და ბერებიც, ცხადია, არ გაამჟღავნებდნენ, თუ სად მიდიოდა სახურებები და შემოჭირული ქონება. (დაუცვირდით, რა ეშმაკურად და მოხერხებულად მოქმედებდნენ).

ამსობაში ამ სასწაულების ამბავზე მთელს იბერიასი დაირბა ხმა. განკურნების იმედით შეპყრობილი უამრავი სწული და დაერდომილი მოაწდა მათ. იგუბრები თაყვანსაცემინებდნენ ნუშტთან, აღოცინებდნენ, პირჯვარს ვადაწერდნენ და დღივდებულებს უკან ისტუმრებდნენ. ვინც ძალიან იყო დაავადებული და აღარაფერი ეშველებოდა, მას განუცხადებდნენ ცოდვებისაგან ხარ წაბიწვლიო და დაბეჯითებით ურჩევდნენ: დაამყოფალოთ კანონი ცოდვების მონანიების მხრივ, და მაშინ ცოდვებისაგან განთავისუფლებულნი და უშვიკლონი, ნუშტთან წარდგომის უფლებასაც მოიპოვებთო. მაგრამ დანიშნული დღისა და გამოჯანსაღების მოლოდინში სწელები ამ სწრაფლ სოფელსაც შორდებოდნენ. ხოლო ვინც ნაყლებად იყო სწული, ასეთების მიმართ შესაფერის წამლობასაც მიმართავდნენ, რადგან ურკეოდნენ გამოყენებით ფიზიკაში და ამგვარ რამებში დახელოვნებულნიც გახლდნენ. ასეთებს ჯერ განკურნავდნენ, მერ მათგან აღსარებას ღებობდნენ, რა სიყვითს არ აღუთქვამდნენ, (ოღონდ კი თქვენს ბორცტებათა ბრკილები-საგან განთავისუფლდით) და არწმუნებდნენ: ასეთი სიყვითის უნარი მხოლოდ ჩვენ ვახვდა წილად, მხოლოდ ჩვენ ვიცით გზა ხსნისა, — მოციქულური მსახურების ეს პატივი თვით ეკლესიის ხელში იყავ და გამგებლებმა გვიბოძაო. უღარესად გულმწყიალემ, უსომოდ კეთილმა და ქველ იესომ განა ბედის ანამარა და განუკითხავი მიგატრია, არამედ ჩვენს შემწედ რომის პაპი დატოვაო. ასეთი ქადაგებით უმეცრებს სიმატლის გზიდან აცილებდნენ. მართალია ზოგი ხედებოდა ამ ეშმაკურ ტყუილსა და სიყვარვს, მაგრამ ხელშეწყობის შიშით კირნტს ვინ დაძრავდა. ყველას კარგად მოიხსენებოდა, რომ მათ ხელში იყავ მფარველობა. თავისი დიდებულებისათვის დავეალებინა კიდევ, უღიერად არავინ მოეპყრათო.

ამ გაძევებებმა ტაძარში შემოჭირული საქონელი ბორცტად, ზოგიერთის გულის მოსანადირებლად გამოიყენეს. ვინ ამ სახურებებში, ვინ ფარისევლობით და თვალთმაქცობით დაიმგობრეს, ბევრნი დააჯერეს კიდევ დაერწმუნებით თეიმურაზი, რომ თვით იხილეს ნუშტის სასწაულმოქმედებანი. შესაფერი ჯღეროც აღუთქვეს თუ მეფეს ღვთისმოსაობით აღაგზნებდ-

ნენ. თმცა სულ ქვეშევრდობით, ფარსევლობით და საწინელი სიკრული გაეფიქრებნენ მხს, მაინც ყოველივე ამას საპატრიარქოში იყავდნენ დებდნენ. საერთოდ ძალიან საზრახად და ფრთხილად მოქმედებდნენ. იმდენი ხალხი მოიმხრეს, რომ ბოლოს იქნებ დაერწმუნებინათ ხელში იყავ და სხვა პირნი იმ სასწაულებში, რომლებიც, თითქოს, ნუშტს მოემოქმედოს ვინ იყოს რა მოხდებოდა, რომ მალე ვითარება არ შეცვლილიყო.

ამ სასწაულების ამბავი მთელს იბერიას მოედო. საპარსელებშიაც ცნობილი გახდა და სწენებულ მოახლას ყურამდევ მიადწია. მოახლამ თეიმურაზს წერილები ვაუგზავნა სასწრაფოდ და აცნობა, ქეთევანის ნუშტი ჩემთან ინახებაო. თეიმურაზმა მიიღო წერილები, მათი შინაარსი არავის გაანდო. ხოლო საპარსეთს ელჩნი ვაგზავნა დახადების მოსახდენად, და თავის ღვთის ნუშტის მოჭებნა დაავალა მათ. ელჩებმა ჩამოგდეს ზავი, შესარტულს ხელში იყავის დავალება, მრავალი ტყვე გამოისყიდეს, მათ შორის მოახლაც და თან ჩამოიტანეს იბერიასი ხელში იყავის ღვთის ნუშტი. ყუთი თუ კუბო, რომელიც ნუშტი იყავი, გახსნეს და სხვადასხვა ნიშნით ამჯარად იცენეს ქეთევანის ნამდვილი სხეული. ახლაც კი, საპართლიანად აღწვთებულმა ხელში იყავ ბრძანა დაეპატონებინათ იგუბრები, მაგრამ გაძევებებმა ზიფათს თავი დააღწიეს და იმ დიდებულებს სახლებს შეუღარნენ, რომელიც მანამდე შეაკლინეს დაერწმუნებინათ ხელში იყავ, ვითომ თეითონ ენახათ ნუშტის სასწაულმოქმედებანი. იგუბრები ელოდნენ, ეღვრე თეიმურაზის მრისხანება და ცხერბოდა და რაიმე გამოსავალს გამოჭებნიდნენ, რომ ხელში იყავს შეედლო დამნაშავენი. ამასობაში ხელში იყავის ნებით მისი ღვთის ნუშტი ხსენებულ წმ. გიორგის ალავერდის ტაძარში დაკრძალეს, იქ, სადაც იგუბრების მიერ ჩამოტანილი ვილაციის თავი ემარხა.

სამი დღის შემდეგ, იგუბრების რჩევით, გაძევებებმა ჩავარდნილი დიდებულები გამოკლინდნენ ხელში იყავისთან და მოახსენეს: მართალია ის თავი ქეთევანის არ ყოფილა, მაგრამ ისიცაა, რომ სასწაულები მოახლდა და როგორც წმიდა რამ უთუოდ შესაფერი პატივის ღირსიოა. რაც შეეხება იგუბრების ძმობას, მათ არც სიყვარულ ჩაუდენიათ და არც საგმირო რამ, მხოლოდ ქეთევანისათვის დიდებობა და უწმიდესი წამებულის სახეობა მოხევეა სურდათო. ხელში იყავ კი მიუხედა მათ, — იცოდა თუ რა პატიოსნები იყვენ მისი დიდებულები, — მაგრამ იმეამად მათი მხარდაქება და ძალა მეტად ესაკიროებოდა, რადგან მოელოდა თავდასხმას ერთი დევნალი მორთავისა, რომელსაც მამულები წაართვა და თითონ დაეპატონა. ამიტომ მათი თავის მართლებითაც ნასიამოვნები დარჩა; მოაჩვენა, თითქოს მართლაც სჯეროდა მათი ნათქვამის, იგუბრებიც შეიწყნარა. მაგრამ დიდებულებმა მათი თავიდან მოშორება ამჯობინეს, რათა დახ-

ღველიყვანენ ხიფათისაგან, თუ ზელმწიფე ოდესმე ამ საქმეს ვახსენებდა. აიძულეს, რომ ეს გაიძვრებოდა იქაურობას ვასკოლანდენ და სხვა მუზობელ ქვეყნებში წასვლიყვანენ. სამარცხენო საქციელმა, რომლის მხილება უპირველეს ყოვლისა მოახლას წყალობით მოხდა, თავი მოსჭრა იეზუიტებს მთელ იბერიაში და ქართველების წყველა-კრულაყ დამსახურეს. ამით დასრულდა ეს კომედია.

რამდენიმე დღის შემდეგ სპარსეთიდან ორი ქართველი მეფურგუნე ჩამოვიდა, რომლებმაც მოყვეს, რომ ერთხელ მათთან ერთად იეზუიტები მგზავრობდნენ, გზათ ავაზაკების თუ ქურდების რამდენსამე გვამს წაწყდომოდნენ. ეს რეკლამები ჩამოშობარან ცხენებიდან, ერთი ყმაწვილის გვამისათვის თავი მოტყრიათ, მეორე მოუხარშავთ და მალაქო წაყვამთ. ეს თეიმურაზს აცნობეს. თეიმურაზმა დაიბარა ეს მეფურგუნეები და მათ ყველაფერი გულმოდგინედ გამოყთხა. ნაამბობი მართალს ჰგავდა და ამიტომ გაგზავნა ისინი იეზუიტების მიერ ჩამოტანილი თავის სანახავად. მათ იცნეს, — სწორედ ის თავია, იეზუიტებმა რომ აიღესო. ზელმწიფემ ძალიან ინანა, რატომ თავები ორ დავაყრევიყო იმ იეზუიტებს. ბრძანა, რომ ის აყარალებელი თავი სადმე შორს გადაეგდოთ. ყოველიყ ამან ზელმწიფეზე ძალიან იმოქმედა. მან აყრძალა ქუთუყანის ნეშტის თაყყანისყვა: ალაყვარდში მარტო წმ. გიორგის თაყყანისყვა უნდა იყოს, ქუთუყანი წმინდანია და ისედაყ ყველა წმიდათა რიყებში ჩაითყლებაო.

ახლა, ჩემის მხრიყ, უნდა ვიღიარო უხერხულობაში ჩაყარდნილი სინდისის სანდგემოდ, რომ თავადაყ დიდი სისულელე ჩავიღინე. სახელდობრ, ის, რომ თაყყანი ვეცი იმ ვილაყის, ურწმუნოსა თუ ავაზაყის თაყს. ეს იმიტომ მომივიდა, რომ ზელმწიფე თეიმურაზთან ყარგ ურთიყრობაში მინდოდა ვეოფილიყყვი. და

ღვთის რისხვა მათ თაყსა ზედა, ვისი მრალყიყა ყოვილიყ!

საყიროდ ჩაეთაყლე ყოველიყეს წყველები-ნა თყვენთის წყრილით. შობაყვალში, როყა, ღვთის წყალობით მინდ ჩამოვილო, დიდ პარტყვად ჩაეთელით თყვენს ნახეის და თყვენთან-საუბარს. მაშინ ყველაფერს უფრო დაწყრილებით შეიტყობთ, თუ რა მოხდა აყ და აგრეთყე იმას, რაზეყ უყანასყნელ წყრილში მწერდით.

თყვენი უღრესად მოყვარული და ერთყველი გრეგორი.

ტრაპეზუნტი, 1626 წლის 16 მაისი.

შენიშვნებო:

1. ჯორჯ სანდსი — Sandys (1578 — 1644) ინგლისელი მოგზაური, პოეტი და ოციდიყსის „მეტამორფოზების“ ინგლისყრად მთარგმნელი. იმოგზაურა იტალიაში, თურქეთში. პალესტინაში, სინას მთაზე ინახულა ქართული მონასტრები და აღწერა წიგნში „The Relation of a Journey... 1610“ („მოგზაურობის ამბაყ...“) ეს წიგნი ნახსენები აყთ ფრენსის ბეყონსა და ჯონ მილტონს.

2. მეღჰას — მეფე უღალი (საბა).

3. სამუელ პურჩასი — Purchas (1575 — 1626) გამოჩენილ მოგზაურთა ჩინაწყრების ინგლისელი შემყრები და გამოცემელი: „Pilgrims... 1625“ („მოგზაურობანი...“) შეიყავს ცნობებს საქართველოზეყ.

4. უოლტერ რალი — Raleigh (1552 — 1618) — ინგლისელი პოლიტიყური მოღვაწე, პოეტი, მეციყოსი, მოგზაური და ისტორიყოსი. შეადგინა „History of the World, 1614“ („მსოფლიოს ისტორია“) — შეიყავს ცნობებს საქართველოზეყ.

5. ივლისხმემა გიორგი საყყაყ.

პირველი ნაბიჯები *

ახალგაზრდა მწერალი... ჩვენი წერილის დასაწყისშივე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს საკმაოდ გავრცელებული განსაზღვრა მეტად შეფარდებითი ხასიათისაა: რომელიმე დამწვები პროზაიკოსის ან პოეტის მსოფიანება-ახალგაზრდობის შესახებ ხომ მხოლოდ მისმა ახლობელმა ადამიანებმა თუ იმ პროფესიულმა ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა იციან, რომლებიც სპეციალურად სწავლობენ მის შემოქმედებას. რაც შეეხება ფართო მკითხველს, იგი განუჩიველ დამოკიდებულებას აღუწეს აღნიშნულ ასაკობრივ მომენტსაღმ: თვითვე ლიტერატურულ მოვლენას იგი უდგება როგორც მისთვის მეტ-ნაკლებად საინტერესო მხატვრულსა-ზოგადობრივ ფენომენს და მოითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა აღუქრას მას გარკვეული აზრები, ემოციები და კითხვები, წარმოსახვის ცხოვრების სიშარბილე, რაღაც თავისებური, ახალი კუთხით დაანახოს მას ცხოვრების მოვლენები, სურათები, ტიპები და ხასიათები. ასე რომ, „ახალგაზრდა მწერლის“ ეტაკეტი ვერას შეეღის მხატვრულ ნაწარმოებს მკითხველის თვალში, თუ იგი არაა აღბეჭდილი ავტორის ინდივიდუალობით, ესთეტიკისა და ფსიქოლოგიის მიერ იმ თითქოს და გარკვეული და შეცნობილი, მაგრამ საბოლოოდ გერ კიდევ საღდაც შეუცნობელი და გასაკრვევი მოვლენის კვალით, რომელსაც მხატვრული ნიჭი, ტალანტი ეწოდება.

ვეხებით რა ო. იოსელიანის, გ. რჩეულიშვილის, ს. კორინთელის, მ. ელიოზიშვილის, ო. დემეტრიაშვილის, ს. დემურხანიაშვილის, გ. ვევეშიძის, ო. ნატროშვილის, ა. გვარამიას, ნ. წულუისკირის, ი. ყუბიშვილისა და გ. გოგიაშვილის ნაწარმოებს, შევედებით ვუპასუხოთ ამ კითხვას და გამოვკვეთოთ ის, რაც დამახასიათებელია ამ ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებისათვის.

ჩვენ კიდევ ვისმარეთ აქ ეს საგოქმანო ტერმინი, მაგრამ, ვიმოკრებთ, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული კრიტიკისათვის, რომელიც თვითვე ლიტერატურულ მოვლენას განიხილავს მისი იდეური შინაარსისა და მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით და ამდენად ვალდებულია პირთვენილ მსჯავრი გამოიტანოს დამწვები თუ „ნამოყალიბებული“ მწერლის შემოქმედებაზე, მიუთითოს მათ მხატვრულ მიგნებების სიმახვილეზე, თუ ჩავარდნებზე, იდეის, სიუჟეტის, კომპოზიციის მისაღებ ან მიუღებელ მხარეებზე და ა. შ. ამიტომ, აღნიშნულ მოთხოვნებისაღმი ხაზგასასმელად, განსახილველ ნაწარმოებებს ჩვენ მიანც როგორც „პირველ ნაბიჯებს“ განვიხილავთ.

უნდა წერო მხოლოდ მაშინ, — ამბობდა ლ. ნ. ტოლსტოი, — როცა საკუთარ თავში იგრძნობ სრულიად ახალ შინაარსს, რომელიც ვასაგებია შენთვის, მაგრამ უცხოა სხვებისათვის და როცა ამ შინაარსის გამოხატვის მოთხოვნა მოსვენებას არ გაძლევს... ან შემდეგ ამე არ შესისი, როგორ შეიძლება წერა, თუ ყველაფერი მრავალგზის არ გადააყეთ. მე თითქმის არ მჩვევია დიდი ხნის წინათ დაწერილ ნაწარმოებების გადაკითხვა, მაგრამ თუ შემთხვევით გადავფურცლავ, ყოველთვის შეჩვენება, რომ ყველაფერი ვადასაკეთებელია... აქედანველია არამარტო „ეოდნა იმისა, რაც უნდა დაწერო, არამედ იმისაც, თუ რა არ უნდა წერო. ვერავითარი გენიალური ჩანაშატები ვერ შექმნიენ ნაწარმოების ისე ვაუმჯობესებას, როგორც დროულად წაშლილი აღვილები“.

ასე უყურებდნენ ლიტერატურულ შრომას მხატვრული სიტყვის კორიფეები და ეს სიტყვები უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც კი ხელთ იღებს კალამს. მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩვენს ახალგაზრდა პროზაიკოსებს.

როცა ლაპარაკი ეხება იმ სახელს, რაც თანამედროვე ქართულ პროზაში ახალგაზრდა პრო-

* ახალგაზრდა მწერლები. მოთხრობები. გამოცემლობა „ნაკადული“. თბილისი, 1960 წ.



ზოგსებმა შემოიტანეს, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ უპირველეს ყოვლისა ოტია იოსელიანის შემოქმედებაზე შევიჩვივებით. აქეთვე გვიბძვებს თეთი „ნაყადლის“ განსახილველი კრებულიც — ის სწორედ ო. იოსელიანის ნაწარმოებებში („მოთხრობები ოჯახზე“, „ლევანა“, „ჩქარი მატარებლიდან“) იხსნება. ამ ნაწარმოებებმა საესეებით კანონზომიერად მიიპყრეს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება, რომელშიც პართებულად დაინახა ამ მწერალში ქართული პროზის ახალი საიმედო ძალა.

რა გეზიხდავს, უპირველეს ყოვლისა, ოტია იოსელიანის შემოქმედებაში? ეს არის მწერლის გულწრფელობა, უშუალობა ნანახისა და განცდილის გადმოცემისას, უპრეტენზიოობა (რაც ესოდენ იშვიათია არა მარტო დამწევებ, არამედ ცნობილ მწერალთა შორისაც). ეს თავისებურებანი მეტ-ნაკლებად ახასიათებს უდავოდ ორიგინალურ „სოფლის ეტრედებს“ („მოთხრობები ოჯახზე“), ლირიულ ნოველა-მინიატურას „ჩქარი მატარებლიდან“ და მოთხრობა „ლევანას“.

ოჯახი და მომავალზე ფიქრი ნიშანდობლივია ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით ქალ-ვაჟთა დამეგობრების შემთხვევაში. ზოგი, ვისაც ზედმეტი ინტელექტუალური დატვირთვა მიუღია, ამ დროს „შარადული“, სიცილი-სიციუხლის პრობლემებზე ფიქრით არის ვართული; ხოლო იმას, ვისაც ასეთი პრეტენზია არა აქვს, ო. იოსელიანის გმირებივით „ასეთ დღეს შეიძლო მთელი დღე ელაპარაკა, ელაპარაკა მომავალ ცხოვრებაზე, მომავალ ოჯახზე, მომავალ... მომავალ შედეგებზეც კი.“

— ოჯახი...

მას შეეძლო ეცქირა მიწისათვის, ცისათვის, და ელაპარაკა ეზოზე, ღობეზე და ვენახზე. ის მზერას ქვას, ხეს მიამყრობდა და სახლზე, სახურავზე და ოთახებზე ყუბობდა. ის უცქეროდა ყვავილებს, ჩიტებს, შვებს და ლაპარაკობდა ბავშვებზე, ლაპარაკობდა სერიოზულად, არც იცინოდა, არც ერიდებოდა...”

ასეთი სიჯანსაღით, ჩერნიშევსკის სიტყვები რომ ვისმართო, „ზნეობრივი გრწმობის სიწმინდით“ არის გამსჭვალული საბივე მინიატურა — „ოცნება ოჯახზე“, „ცხოვრების სიბრძნე“ და „სიციცლის შემოქმედი“, რომლებზეც ქმნიან ციკლს „მოთხრობები ოჯახზე“. სოსლა და თეონას გრწმობებს, მათ ოჯახურ და შრომით სულისკვეთებას თანატერწმობს ყველა, ვისაც აღუღვებს ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის შორალური სამყარო, მისი განმტკიცება ცხოვრებასა და წინსვლის გზაზე.

ამდგვარი შთაბეჭდილება ჩნება იოსელიანის მეორე ნაწარმოების („ჩქარი მატარებლიდან“) წამოთხველსაც. ამ ნოველის გმირი ახალგაზრდა მებანქანია, რომელიც ჩქარი მატარებლის ორთქლავლის საკესთან დგას, მიაჭროლებს მას და „ორთქლავალი გრუბუნებს მთებს შორის, მიბრავენებს ხიდეზზე და მიდის.

სოფელი, მდინარე, ყანები, ვენახები, ალგები, მუხები, ქალი, კაცი, ცა და მიწა, ჩემი ქვეყანა ვიქნე ხელს, ქედს, თავს, მოვლი, შედეგ ტარევიტები სარკმელში.

- გამარჯობათ, ხიდეზო!
- გამარჯობათ, ბავშვებო!
- თქვენი სიციცლე, მუხებო, ვენახებო!
- მთაო!
- კაცებო!
- გამარჯობათ, გამარჯობათ, ვენახებო!..

ამ ჯანბონით სავსე, ჯანმრთელ, ახალგაზრდას ასეთივე ჯანსაღი, ოპტიმისტური რომანტიკით მოსილი სიყვარული აღუძრება იმ უცნობი ქალიშვილისადმი, რომელიც ერთ-ერთი ოდის ღია ფანჯრის რაფაზე შემომჯდარა, „ხელში ცისფერყლიანი წიგნით“ და რომელსაც მემანქანე ჩაქტროლებს ხოლმე თავის ჩქარი მატარებლით.

მსუბუქი ირონიით, გმირებისადმი ქვეშარითი სიყვარულით ავსოურს ო. იოსელიანი, როგორ შეცუნდა „ჩქარი მატარებლიდან“ შეყვარებულ ოჯახსაგან: მან შეებულა აილო და, ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, ვასლა სიაცნებო — უცნობ და თითქოს ყარგად ნაცნობ ქალიშვილს (მას თურმე შაია ჭქეია), მაგრამ შაია ვერ იცნო იგი — „სხვა“ უყვარს, რომელზედაც ამბობს: „ერთი თავიდან ფეხებამდე გამოერული ბიჭია და.. პო, ერთი გამურული ბიჭია და აქვს თეთრი, თეთრი ქბილები...”

ამით თავდება მინიატურა „ჩქარი მატარებლიდან“. არ ვიცი, როგორ დამთავრდება ქალ-ვაჟის ეს რომანი, შეიქვევა თუ არა შაია ვაჟურაზე, გამოწყობილ ვაჟს; მაგრამ მკითხველს მოხიბლული რჩება იმ ლალი და თანაც ფაქიზი ზნეობრივი სამყაროთი, რომელშიაც შეყვარათ მწერალს.

მაგრამ შეეძლოა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ო. იოსელიანი მხოლოდ მაყორულ ტონებში ასახავს სინამდვილეს ანდა კმაყოფილდება ცხოვრების მხოლოდ იმპრესიონისტული შტრიხებით წარმოსახვით, რაც ესოდენ ემარჯეება მას. ო. იოსელიანმა თავისი ძალა სიუჟეტურ მოთხრობაშიც სცადა. ეს ნაწარმოებია „ლევანა“, რომელშიაც ცხოვრების ტრაგიკული მხარეები არის დანახული.

ლევან კაცობემ საშინელი უბედურება განიცადა — დაყარა ორი საცილშვილოდ აღერებულ ი ვაჟაკი და დარღისაგან გამოლენნებულ ცოლი. ცხადია, რომ ძნელია ამგვარი უბედურების გადატანა, ლევანა კი ამ დარტყმამ სოფლისაგან განცალკევა; მან შეწყვიტა შრომა და, ყველასაგან გამოკლებილი, თავის ოთახში საკეთიარ თავისა და შვილებს ესაუბრებდა. ყოველივე ეს მოთხრობის პირველ ნაწილში ქრონიკალურად, ზუსტი და სადა (სადღაც ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა მონათესავე) პროზის ენით არის გადმოცემული. მოთხრობის სტილიური მობრუნება გმირის სულიერ გარდატეხას.



ემთხვევა“ ლევანა დანიხავს მეზობლისაგან მიტოვებულ ხარებს და მასში გააღვიძებს შრომისადმი მისწრაფება, თავისებური „მინის ძალა“. აქამდე თვობით გაოგნებული ლევანა ხარებს მინდორში ვარჯისს, გააქუცტებულ მიწას სახინისთ შევიდეს... დადამიანი სიციხეს დაუბრუნდება — შრომამ, მიწამ აღორძინეს ლევანა, ამ ეპიზოდების აღწერისას „ლევანას“ პროზა მღელვარე, მთეარის წიქით გაბარწყინებული ხდება და სუნთქვაშეკრული მყოხველიც თითქოს ლევანასთან ერთად ბოგირზე მიოდდება ხარებს.

ჩვენი აზრით, ო. იოსელიანის შემოქმედებას აზნუნვია საზოგადოებრივ — ინტელექტუალური სამუშაოს ერთგვარი განსაზღვრულობა. ასე, მაგალითად, მისი ლევანა იმერეთის დღევანდელი საკომუნისტური სოფლისაგან გამოთიშულია, იგი რაღაც ტრაგიკულ-ინდივიდუალურ რომანტიზმად წარმოგვიდგება. ო. იოსელიანს, ამ ნიქიერ პროზაიკოსს, აგრეთვე უნდა მიეუთითოს ენისა და სტილისადმი დამოკიდებულებასზე. კვანძობრივი პროზა, დიდ ინტელექტს, წერის კულტურის ღრმა დაუფლებას, ფართო საზოგადოებრივ პოპოლარობას.

როცა ვლადიმერობით იმ ახალგაზრდა პროზაიკოსებზე, რომლებმაც, ო. იოსელიანის მსგავსად, თავიანთ კმნილებებში ინდივიდუალობა, შემოქმედის მხატვრული „შე“ გამოაღიანეს, არ შეგვიძლია აქ რამდენიმე სიტყვით არ შეგნერდეთ ასე უდროოდ დაღუპულ ნიქიერ ახალგაზრდას — გერამ რჩეულიშვილის მოთხრობაზე „სიკვდილი მთებში“. ჩვენ არ მივუვებთ აქ კრიტიკული ანალიზის ნეგატიურ მხარეს, შეეჩერდებით იმ დადებით მომენტებზე, იმ მოგონებებზე, რომელიც ახასიათებდა გერამ რჩეულიშვილს და რომელზედაც მინიშნება უსარგებლო არ იქნება სხვა ახალგაზრდა მწერლებისათვის.

„სიკვდილი მთებში“ არ არის მკვეთრად გამოხატული სიტუატური მოთხრობა; იგი უფრო, თუ გამოდგება ასეთი მრავალსართულიანი განსაზღვრა, „მოთხრობა-ნარკვევია-რეპორტაჟი“. რომელიც შექმნა გ. რჩეულიშვილმა რეალური ეპიზოდის — გერამეიდ მწერალ აღფრედ კერძოს ცოლის ხეცურეთის მთებში სიკვდილით მოგვრილ შთაბეჭდილებათა საფუძველზე.

გ. რჩეულიშვილმა ყოველგვარი გახეიადების, გარეგნული აქსესუარების სიჭარბის გარეშე წარმოგვიდგინა საბჭოთა ხეცურეთის გარემო: „მალა, მთებში, ერთი ექიმი კი არა, არამედ ექიმებია; ქვემოთ კი, მოსაფალტებულ გზაზე, კომუნისტურად“ ასფალტზე ასი უჩვენა და ერთ საათში თბილისში იყო“. საბჭოთა ახალგაზრდა — მოთხრობის ავტორი და მისი ინტელექტური გმირი — არა მარტო თავისუფლად გერმანულად ესაუბრება მწერალ აღფრედ კერძოს, არამედ ასევე თავისუფლად მსჯელობს ვრცხ რეპარტის

რომანის („ეამი სიციხისა და ეამი მრეკდ-ლისა“) შესახებ, რომელიც მისივე მხედველობიდან ბუნდოვნად აღსოს, თანაც უკვლავ მხედველთა დილოსოფიას სიკვდილ — სიციხისა და ინდივიდუალობისა: „ახლს არ შეუძლია იდარდოს ჯველამ ერთად, ამიტომ დარდობს იმას, ვინც რაღაცით გამოირჩევა, იმიტომ რომ ის თავის სიკვდილით განსხვავდება სხვებისაგან. მთელი ომის უბედურებაც იმ ერთის სიკვდილში გადააქვთ. მართალია ხალხი, თქვენც ზომ იმსჯელოთ ამაზე“

აღბთ თქვენც გულის სიღრმეში რაღაც ივარძნით..

განა ყველაფერი ეს არ მეტყველებს იმაზე, რასაც ჩვენ მწერლის კულტურასა და თვალსაზრისის სიფართოვს ვეძახით? ამიტომ კიდევ ერთხელ სინანულთ აღნიშნავთ, რომ ასე ნაადრევად გამოგვეცალა გერამ რჩეულიშვილი..

ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებთა განხილვისას თვალში გვეცმათ ორი რამ: ერთის მხრივ, მოხუცებული გმირების ნამდვილი მოზღვაება ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებაში, ხოლო მეორეს მხრივ, ეგრეთ-წოდებულ „წერითმეზობა“, კამერულობა, რაც დამახასიათებელია სარკვევითი კრებულში მოთავსებულ ბევრი ნაწარმოებებისთვისაც.

ჩვენ სრულიადაც არ გვესრს ისე გავიგონ, თითქოს რაღაც ასაკობრივი ზღუდეები შემოგვეკონდეს ლიტერატურაში; რა თქმა უნდა, ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოების გმირი, მათ შორის ღრმა მოხუციც. ამის მშვენიერ მაგალითებს იძლევა გიორგი ნატროშვილის შემოქმედება, რომლის „მოხუცები“ — იორამი — „კვლავ განაფხული იყო იორზე“, მიხა — „უდარდელი კაცის სიკვდილი“, სარქელი მოთხრობიდან „შენია ეს ქვეყანა“ — მილო და შეიყვარა მკითხველმა, რადგანაც ისინი გამოხატავენ ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის ისეთ საუკეთესო თვისებებს, როგორცაა სიმზნევე, ამტანობა, ეფექციობა, შრომისმოყვარეობა და რომელთაც ესენი თავისებური ესტაბეტით გადასცემენ ახალგაზრდა თაობას. ასეთი მოხუცების ძალა, რაგანდ მათადმოქსედიადც არ უნდა ეჩვენოთ ეს აზრი, მათ სულიერ ახალგაზრდობასა და გაუტყებულობასია; ამიტომ გვიპყრობენ ეს გმირები და რჩებიან ჩვენს მუხსიერებაში. ეს იმიტომ, რომ მწერალმა ბევრი ასეთი ადამიანი ცხოვრებაში ნახა, მათი განცდები და ფიქრები ტიპობრივ მოვლენად წარმოგვიცხასა.

მაგრამ ახლა გადავხედოთ იმ მოხუცებს, რომელთაც ვეცხატავენ, როგორც ზღვაზე, ისე ზღვლეთზე იოსებ ყაქვიშვილი, თამარ ნატროშვილი, მერაბ ელიოზიშვილი. გერამ გიგეშიძე, ნოდარ წულუისკირი და გერამ ვოგიაშვილი. ბევრ იმათგანზე ვერ გავიმოვრებთ ზემოთქმულ-



ლს, ე. ი. იმას, რომ მათი გმირები ეროვნული სულისკვთების ბრძედში არიან გამოტარებული და ნაციონალურ ტიპებს წარმოადგენენ (ასეთ ღირ მოთხოვნას ვერც წარუდგენთ დაწვევებ მწერლებს, მაგრამ მათაც მოეთხოვებათ, როგორც მინიმუმ, მხოლოდ განცდილია და კარგად გაანარჩუნების დაბატვა).

ჩვენი აზრით, კვლავ იგივე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ეს „მოხუცების მოზღვაება“, რაც ასე ცხადად იჩენს თავს ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში, იხსნება იმ დღი ზეგავლენით, რომელიც მეტრზე იქონია ერნესტ ჰემინგუეის საძვეყნოდ განთქმულმა მოთხრობამ „მოხუცმა და ზღვამ“. ჩვენ აქ არ შევედგებით ე. ჰემინგუეის აღნიშნული ნაწარმოებისა და მისი მხატვრულ-ფილოსოფიური შინაარსის განმეორება-გაორკვევას აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგიერთმა ჩვენმა პროზაიკოსმა გამოავლინა ეპიგონური მიზანქვა ცნობილი ამერიკელი მწერლის გმირ სანტიაგოსადმი და გადაწყვიტა, რომ მსგავსი მოხუცები ქართულ სინამდვილეშიაც აღმოეჩინა: ზოგი სად წავიდა ამ ქობაში, ზოგი სად, თანაც დავებთ, რომ იმ პროზაიკოსთა დიდი უმრავლესობა, რომელთა ნაწარმოებებიც „ნაკადულმა“ კრებულის სახით წარუდგინა მკითხველს, ეყუთუნის საუნევერსიტეტო, ასე რომ ვთქვათ, „ფილოსოფიურ ახალგაზრდობას“. ერთის მხრით, ეს საუნევერსიტეტო განათლება უდავოდ დღემდის მოცდენაა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ახალგაზრდა ლიტერატორები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ცხოვრებას და არა აქვთ ლიტერატურული შრომის მნიშვნელობა და დღი გამოცდილება, უფრო ადვილად ემორჩილებიან უცხოეთის უახლოეს ლიტერატურის ზეგავლენას (რაც, როგორც ცნობილია, უფრო გამოზრამველი ლიტერატორებსაც მოსდით). ცხადია, ვერაფერ ვერ უარყოფს მსოფლიოს მხატვრული ლიტერატურის გამოცდილების შესწავლისა და მიღწევის შემოქმედებით ათვისების აუცილებლობას, მაგრამ ისიც უცილობელი ქვეყნობაა, რომ ყოველი ნამდვილი მწერლობის ძირი მისი ხალხის ცხოვრებაშია. ამ ცხოვრებას აცდენილი, მრთდე გზაზე გასული ლიტერატურა ვერასდროს ახლო ვერ მივა მკითხველთან.

ამ მოსაზრებათა შექმნე, ვფიქრობთ, რომ თვითელი დავიკრებულნი მკითხველი ფსიქოლოგიურად ვერ მიიღებს, ვერ დაიჯერებს ი. ყუპიშვილის მოხუცი მებადურის, „ზღვის ლომის“ (ამავე სახელწოდების მოთხრობიდან) მოქმედებას, რომელიც ჯამსალ, ღონიერ ახალგაზრდას შეეკობრება ცურვამი მხოლოდ იმიტომ, რომ არ დასცეს თავისი — „ზღვის ლომის“ რეპუტაცია, ზღვასთან შეზრდილი და საუკეთესო მოცურავე კაციის რენომე. ე. ჰემინგუეის სანტიაგოს თავგანწირვა ზღვასთან და ზეგანებთან ბრძოლაში საცნობიო გამოათლებელია შექმნილი სიტუაციით — იგი გმირის

ზღვას თავისი საყუთარი სიციცხლის გადასარჩენად, გააფორებით იბრძვის „დაღი-დაღი“ შესანარჩუნებლად, ხოლო „დაღი-დაღი“ „ზღვის ლომის“ საყოფაია, მოხუცებულობის ახირებას ეწირება მისი სიციცხლი.

ასევე „ლიტერატურული“ ხასიათისა ნ. წულეისკირის „გაუტყველი მებაპიროსე“ მოსე, რომელიც ვაქრობს „ეპიზუგითა“ და „ბელომორით“, თვალყურს ადევნებს, როგორ „ერთნაირად მიქრიან და მიქრიან მინქანები, ისე უიღულოდ ბაპიროსებს“. თავისი ფსიქოლოგიით მას ენათესავება შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ დღენ, უინტერესო არსებობის შინაარსით „მეონარე მოხუცი“ — გ. გუგუშვილის „ეუი.“

ამ „მოხუცების დამხატველ“ მოთხრობებიდან გამოირჩევა მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ და თ. ნატროშვილის „ხედა დღი იქნება ხეობაში“. აღნიშნულ ნაწარმოებებში ჩანს ავტორების თავისებური ხედვა, მხატვრული აზროვნება და რაც მთავარია, მათ აქ არა გამოწავლინი, არამედ ნამდვილად ნანახი აგვიწყრეს.

მერამ ელიოზიშვილმა გვიჩვენა, რომ მას აქვს თანამედროვე მოვლენების მძაფრი და ნიჭიერი წარმოსახვის უნარი (ჩვენ შეხედულებაში გვაქვს მისი ნამდვილად შესანიშნავი ნარკვევი „პირველი და ოცდამეათერთმეტე დღე გვირაბში“). ამასთან ერთად, მან დაგვიხატა წარსულის ამრღველი, მოხუცი მეზურნეები, ძველი გორელი დამკრეველები — მუდო, მეზურნე ბუთბუზა და მეგარმონე სოსო, რომლებიც გარიფა ცხოვრების ახალმა მოვლენებმა, თუნდაც გორის იმავე ახალმა მუსიკალურმა სინაქაგეგებლმა, სადაც ასე მშვიდად თელუმს მოხუცი სოსო... მაგრამ მწერალმა ისეთი სიყვარულით, ისე მკაფიოდ დაგვიხატა მოხუცი მეზურნეები, რომ მოთხრობის ყველაზე უჩვეულო ეპიზოდს — როცა ძველ წისქვილში მოკაათებულ დამკრეველებს მშვიერი დათვი დაადგება თავს და ისინიც დავკრით იგვრებენ დამშვეულ ნადირს — ისე მოგონილად და გაზვიადებულად არ გვიჩვენება.

და ბოლოს იმავე „ტრაგიკული მოხუცის თემის“ ერთ-ერთ უარაბნტს ვხვდებით თამარ ნატროშვილის მოთხრობაში „ხედა დღი იქნება ხეობაში“. მისი „მთის დოსტაქარი“, მოხუც ხევსურ მედიკოსს ხასიათი კოლორიტული შტრიხებით არის მოხაზული. ამასთანავე მოთხრობაში გვხვდება დაძმეველი ლიტერატურული ტემინისკენციები (მაგალითად, მოხუც ხევსურის „პირტიტველასთან“ შეპირისპირების სურათი), აგრეთვე ნაძალადევა ხევსურთა ზნე-ჩვეულებითისთვის უცხო ეპიზოდი — მედიკოსს თვითმკვლელობა და მისი ფსიქოლოგიური მოზადების ჩვენების ცდა. მართალია, ავტორი ცდილობს დაასახულოს მედიკოსს ეს ნაბიჯი და ამბობს, რომ მოხუც დოსტაქარს უნდოდა სიკვდილისათვის დაქსრო, არ დანებებოდა მას,



თითქოს ფრონტზედაც სწორედ ასეთი შემთხვევისთვის იზიარებენ უკანასკნელ ტუვიას, მაგრამ ამგვარი ფილოსოფია ბოლომდე ვერ არწმუნებს შეთხვევას.

ახლა თვლი გდავავლოთ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ თანამედროვეობის სხვადასხვა მოვლენებს. ამ ნაწარმოებებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ წერილის დასაწყისში, თავისი ხედვის კუთხის სიფართოვით გამოირჩევა ჯ. რიველიშვილის „სიკვდილი მთებში“. რაც შეეხება სხვა ნაწარმოებებს, მათ როგორც საერთო ნიშანი, ახასიათებთ თემბუქის კაპიტულაობა, ე. წ. „წერილთემბუქობა“.

ამგვარი შეზღუდულობა ზოგიერთ, მათ შორის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალსაც კი იქითავე უბიძგებს, რომ ცხოვრებაში შექნარდეს რაღაც უჩვეულოზე (ზოგ შემთხვევაში, პათოლოგიურზე, როგორც ეს გვხვდება ს. დემურჩანაშვილის „ღაბუაში“ და ჯ. გოგიაშვილის „ბოგანოში“). მაგრამ ეს არ არის, სტუფან ცვაიგის თქმისა არ იყოს, ისეთი მშვენიერი სიმართლე, რომელიც არაჩვეულებრივად გვეჩვენება. მართალია, უჩვეულოა, განუიადება, გროტესკსაც ხელოვნებაში აქვს მოქალაქობრივი უფლება, მაგრამ იგი უპირატესად უფლისა ცხოვრების სიმართლეს გამოხატავს უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყალბი ნოტები ეღერს სოლომონ დემურჩანაშვილის საივე მოთხრობაში („ფოსტალიონი“, „გაზაფხული და უცხო ქალიშვილი“ და „ღაბუა“). განსაკუთრებით არადაშავრებელია „ღაბუა“ სიუჟეტური ქარგა; ჩვენი არ გვეჯერა (და, ვფიქრობთ, ამახ ფართო შეთხვევიც ვერ დაიჯერებს) იმ ეპიზოდის სიმართლისა, როცა ფორანში, რომელიც გაგვივებლმა მდინარეც ეს-ეს არის უნდა წაღვოს, ტვიზის ანთონისაგან ტრავმირებულ დევენერატ ლაბებს ღამათსადმი სიყვარული მოუღვლის, იგი გამშავებელი დაუწყებს მას კოცნას და ქალიც „მიუჩიდა“ და „მიიწაბა“. ეს პათოლოგიური სცენაა.

ცხოვრების სიმართლეს ასევე არ შეესაბამება ფოსტალიონის სენტიმენტალური სიყვარული ღამებ ქალიშვილ ციარასადმი („ფოსტალიონი“) ან მარტოხელა კოტეს (რომელიც საერთოდ სალი მუშა-ვაიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს) სექსუალური ლტოლვა ცარიელ ტრამვაიში მის გვერდით მჯდომ ქალიშვილისადმი. ს. დემურჩანაშვილს შერთ დაფიქრება მართებს იმაზე, რომ ასეთი გამოწავლი და „მოლიტარატორი“ სიტუაციებით არ იქმნება ნაწარმოების მკვირი, რეალისტური სიუჟეტი, მართალი სახეები და ხასიათები.

აქვე დავებრუნდებით მ. ელიოზიშვილის მოთხრობებს და აღვნიშნავთ, რომ დაახლოებით იგივე ითქმის მის „უკანასკნელ კონწიალზე“. განუზომელია კონწიალთან სონას გაბრბის სიყვარული თორასადმი, რომელიც მას თავ-

ზეხელაღებულად აქცევს, აიძულებს პრეტენსივი ლიბების თავზე გადაქიმულ ბავჯირით გადავიდეს მდინარის მეორე ნაპირზე, მაგრამ სიძვერედის მოკლებულია მწერლის, პათოლოგიზმით აღბეჭდილი ისეგლობა კონწიალთან რალაც ფატალურია, თანდაყოლილი სიმძინჯის — თემბამოვარდნილობის შეახებ, რაც გაბრბისაც გამოჰყვია, მიუხედავად იმისა, რომ იგი სონას შვილი კი არ არის, არამედ ნაშვილები! ას კიდევ, მართალია, გაბრბო ნამდვილ გმირობას წადის, როცა მიოცუავს სატრფოს სახელსენ თავისებურ „ბეჭვის ხიდზე“ — გაყოფებულ მდინარეზე გადაქიმულ ბავჯირით, მაგრამ როგორია მისი საქციელის ზნეობრივი სარჩელი — ამისკენ, ხომ მას, როგორც მწერალი გვიამბობს, უბიძგა იმ გარემოებაში, რომ ლიბებში დაიბრბოთ თორას ქმარი — სოფლებშია კავებით „გაითრიეს, რას ვა-ვაგლახით გამოთარეს სარბულა-პია ილა დალწვილ ხის ტოტებიდან“. მდგომარეობას ამჟღერებს კიდევ ის, რომ თუ-ნა გაბრბოსთან ნაცხოვრები იყო და მშობლებში იგი მიიწი ილას გაატანეს, გაბრბო შვილიც იმას ღარჩა... ჩვენი აზრით, ამგვარი დეკლარატორ-პათოლოგიური დეტალები რბგანელი არ არის ნიჭიერ პრბნაისი მ. ელიოზიშვილისათვის და იგი მით უფრო კარგს იზა.ს, რაც აღბე დალწვილს თავს ამგვარი ცდუნებებს — ენებათა პარადოქსული, არნახელი ხლართებითა და დაუჯერებელი კონფლიქტებით გატაცება.

უკვე ითქვა, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა უმრავლესობას ასახაითებს კავრული ხმოვანება, რომ ეს უკრ კიდევ რბდა და დიდი სოციალური სუნთქვის პრბზა. ამაში გვარწმუნებს სოსო კორინთელისა და თობრ დემეტრასვილის მოთხრობებთან ვაცნობა. რათა ბრალი არ დაგვლომ მსჯელობის მერბის-მეტრე კატეგორიულობაში, იმთავთვე ვიტყვი, რომ სრულიადაც არ ვფიქრობთ მბატერული შემოქმედების ასეთ მკაცრ შეზღუდვას: ამდენად კამერულ პირად-ინტიმერ თემბუქისააც აქვს თავისი ადგალი ზელოვნებაში. რომ ამ სფეროშიაც არის შესაძლებელი წარმატებები, გემბუქიკებს ს. კორინთელის რბ მოთხრობა.

სოსო კორინთელის რბ მოთხრობას („ღამე წალვერთან“ და „სიციარელე“) არც აქვთ დიდი მსშტაბის ნაწარმოებების პრეტენზია, მაგრამ ამის გამო ვერ წაეშლით მათ ღირსებებს. „ღამე წალვერთან“ გადმოვიცემს საპოთა ახალგაზრდის ერთ-ერთ მწიხიდველ მბარეს — გრძინობათა სიწმინდეს. მოთხრობის გმირი ბორჯოლიდან წალვერისაკენ მიმავალ გზაზე ხედება უცნობ ქალიშვილს — თინას და რა სათთად, ფაქზად ექცევა მას. ზოგიერთი გულუბრყვილო ადგლის გამონაყლისით (მაგალითად, თუ გამოუცდელი მკობხველი დაუჯერებს მოთხრობის აეტორს, რალე დიდი პრბლემია უოფლია ბორჯოლიდან წალვერში ჩასვლა, ანდა ახალგაზრ-

დის სიტუაციები, რომ თინას კოცნა არ შეიძლება), ეს მოთხრობა არის მორალური პრობლემატიკის მხატვრული გააზრების კარგი ცდა. იგავე უნდა გავიკვიროთ „სიკარიელის“ შესახებ. ყოველგვარი ზედმეტი რწვეა-დარიგების გარეშე, სტუდენტ ბიძინას განცდებისა და ფიჭრების მართალი გამოცემით, ს. კორინთელი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ საყვარელი, ბედნიერება აღვლი მისამოვებელი არ არის. ხანდახან უხეშობას, ყოველბინობას შეუძლია დავაკარგვისოთ ცხოვრების ბედნიერება. ასე მოუვიდა ბიძინას, რომელსაც თავი მოაქონდა სტუდენტობითა და თბილისელი ქალიშვილებს, მათ შორის ვიღაც გამოგონილ ნანა ლაღიშის მოთხრობა და საბოლოოდ დავარგა მშვენიერი მშროშელი ქალიშვილი — ქეთინა. იგი სხვის მითხრედა, ბიძინას კი დაუფულა — სიკარიელე...

მსგავსი სისადაეთითა და უშუალოებით წერს უბრალო, რიგითი ადამიანების — სტუდენტთა ახალგაზრდობის და ინტელიგენტების შესახებ ოთარ დემეტრაშვილი. ისიც ვერ ზღვდა ჯერ დიდი, მწვავე პრობლემისათვის ხელის მოკლდების, მაგრამ მწერალს უკვე აქვს თავის მიერ კარგად შესწავლილი ცხოვრების ერთ-ერთი კუთხე: ახალგაზრდობის ურთიერთობა, მათი მორალური მისწრაფებანი და ა. შ.

ო. დემეტრაშვილის „წითელ ვაშლებს“, სადაც მოთხრობილია პელო ბეზიასა და სტუდენტ გიგოს ურთიერთობა, აღწერითობა გადაკარავს. სამაგიეროდ, მკითხველი კარგად მიიღებს „კარგადღმა მეზობელსა“ და „წეროს“, ზნეობრივი პრობლემის არც ისე რთული, მაგრამ საღი მხატვრული გააზრების წყალობით. მწერალი უჩვენებს, როგორ მრავალმხრივია ჩვენი უბრალო ადამიანების სულიერი მხარე.

უბრალო ხელოსანის ქალიშვილს, საფეიქრო ფაბრიკის მუშა ქეთინოს უყვარს თავისი „კარგადღმა მეზობელი“ სტუდენტი, იგი მძიმედ განიცდის მის გატაცებას მშობლების მიერ განეხიერებულ მხეკალობით, მაგრამ გვირისათვის მძიმე წუთში (მას ფული არა აქვს ტაქსის შოფრის გასასტუმრებლად, მინქანში კი ქალიშვილები უსხედან) ხელში ჩაიღებს ოცდახუთმანეთიანს და ისინის მას „შერცხვენიასგან“. ამიტომ მკითხველიც განიცდის გვირის დროებით „ღაბბს“ და უხარია მის ქეთინოსაკენ კვლავ მობრუნება. ასევე მოთხრობაში „წეროს“ შეყვარებული მხატვარი ქედმაღლურად უყურებს ერთ მოკრძალებულ, შეიშვლავ ახალგაზრდას, „წეროსაც“ კი უწოდებს მას. მაგრამ მოთხრობის ბოლოს ირკვევა, რომ „წეროს“ — ნიჭიერი ქირურგია, რომელმაც იხსნა სიყვლისაგან მხატვრის სატრფო — თამარი. ასე აღწევს მწერალი ამ თითქოს და ენობილ, მაგრამ ხშირად ძნელად ასათვისებელ ჰუმანიტეტების განსახიერებას, რომ ადა-

მიანის უფერულ გარეგნობის იქით ბევრ შემთხვევაში ახალგაზრდი ხასიათი იმართება.

მსგავს თემატიკას, მაგრამ ნაკლებად მოამბე-კლავად, იმეშვებს ანზორ გგნაშვილი „მოთხრობაში“, გადასახედთან“. იქ კვლავ ჩნდება „მოხუცი“ თუ არა, ყოველ შემთხვევაში „ხნიერი“ მწვედელი, მისი ახალგაზრდა ქალიშვილი, გვირისადმი სიყვარული და სხვა ნაცნობი აქსესუარები და სიტუაციები...

გერამ გოგიაშვილი მოთხრობა „ბოგანოს“-ში ავლენს ქართული ენის კარგ ცოდნას. თხრობას კარგად ფლობს, რაც იგრძნობა როგორც ავტორისეულ ენაში, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში. ამ ნაწარმოებში ავტორი არ მისდევს ენისათვის არაბუნებრივ ნეოლოგიზმებსა და ბარბარისმებს, ცდილობს თითოეულ სიტყვას თავისი სიტყვიერი შესატყვისობა გამოეჩინოს, რაც შეისახმება ყოფაცხოვრებით გატაცების აღწერაშიაც („ობლუ ფეხზე წამოგდა, თხა ისევ ბაკში შეაგდო და ახლა ჩინჩხერის დაუწყო ძებნა. შერე ტანგიდან თანგირა ქვაბის ვადასახა რძე და ქობის წინ გამართულ ქმის ზედადგარზე შედგა“). უნდა ითქვას, რომ იმპრესიონისტული მანერით დაწერილ, გ. გოგიაშვილის უსიუფერო მოთხრობაში დეკადენტური პათოლოგიზმის ერთგვარი ანარეკელი იგრძნობა. ავტორის სურდა გამოეხატა ის იდეა, რომ ომი არის საშინელი მოვლენა რომ მისი მძიმე ტრამეების ტერათი მთელი წლობით აწევს ადამიანებს. ამასი არაფერი არის სადავო. მაგრამ რა მხატვრულ ხერხებს და სიტუაციებს მიმართავს ავტორი ამ იდეის გამოსახატავად?

მოთხრობის დასაწყისშივე ავტორი აღწერს „ბოგანოს“ სინმარ-ბოდვას: „ცეცხლი ედებოდა ტუცებს, ხეები ძირფესვიანად აღიოლა ცაში, დამტრთხალი ნადირი კლდეებზე იჩხებოდა, ფრინველი ვეღარ ასწრებდა აფრენას და იხრუვებოდა ცეცხლში. კაცი გვერდს იცვლიდა, ვითომ წინა ფიჭრს იშორებდა. მაგრამ ახლა ახალი ფიჭრი უთანგავდა ტეინს... ძალიან მაღალ ხეზე მიცოცავდა, ცამედ ამოღობილზე, ხე სახარსავით იჩხებოდა, დაბლა კი აფრაცებელი საჩხელო იგავა... შერე დენდგო ხალხს, ნიღბიანი და ოჩოფეხებზე შემდგარი, აუარებელი მელია, სუყველა წითელი და კედა, ერთმანეთში ირეოდნენ და დარბოდნენ უმველებელ თავში“ (!!).

ამ კომპარტილი ზმანების გადმოცემის შემდეგ ავტორი გვაშრობს ასევე უჩვეულო, ჩვენი სინამდვილისათვის არატიპიურ გმირებს. ესენია სულიერად დაზნეიებული, რაღაც აბსურულ-ფასოვანა მსათე-„ბოგანოს“ (ობლუ), რომელსაც შვილი ომში დაედუბა და ბერი, რომელიც უვლის მითრებულ გულსას (როგორც ჩვენს, რაღაც ისტორიულ ძეგლს). ცეცხლის სანახავად მოდიან უცხოელი ტურისტები (ვიღაც გერმანელი პროფესორი მეტელოთერტი). დამხდურანი და სტუმრები შედიან ტამარში. იქ „პუ-



რუსი იღვა, ბერმა სათელი ანთო და ფრესკებს ღიმილი მოეფინათ“. როცა ბოგანო მნათე შეიტყობს, რომ ჩამოსული უცხოელები გერმანელებია, მას აგონდება ფრონტზე დაღუპული შვილი და იგი ბერს ეუბნება: — „აქ რაღა პირით ჩამოდიან, მამაო...“ და, აღსუქუნებული, მესხლებზე დაემოხა საყრთხვეულის წინ, როცა ბოგანოს მწუხარების მიზეზს ამცნობენ გერმანელ პროფესორს, ისიც შეძრწუნდება: „კარგა ხანს იღვა ვაოგნებულებით ერთ ადგილას, შერე რაღაცა ნისლისმავალი ჩამოაწვა თვალებზე და შებარბადა...“ ამ სცენის შემდეგ, ავტორი ამბობს, რომ უკან მიმავალ პროფესორს თვალები დაეხუტა და აღარც ახსოვდა, რა ნახა, თვალეში მხოლოდ საყრთხვეულის წინ დაეცმული, აქეთიწინებული ჩია შამაგაცი ჩამორჩენილია... გრძნობია, რომ უამრავი ქვა ეყარა ირველი, საცა იყო დაეწოდნენ და ჩაქოლადნენ* ვ. ი. ამ შტრიხებიდან ირკვევა, რომ გერმანელ პროფესორსაც შვილი დაუკარგავს და მხოლოდ სხვისი უბედურების დახატვისას იგრძნობ თავისი დანაშაული... ვლექტრობთ, რომ ყოველივე ეს არადამაჯერებელ იერს ატარებს.

ახსტრაქტული რელიგიური მოტილისა და პემინიზმის ელემენტები—ეს ისეთი ხარვეზებია,

რომელსაც კრიტიკა უყურადღებოდ ვერ დატოვებს და თვითონ ავტორიც უნდა ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას. ჩვენ იმეტიმ წიგნებში ამ სიციური მწერლის ნაწარმოებზე, რომ მსგავსი ტენდენციები იგრძნობა მის სხვა მოთხრობებშიც, კერძოდ „გიეში“, რომელიც ერთნაღ „დროშაში“ დაიბეჭდა.

